

„ეს არის ძლიერი, წინასწარმეტყველური და შთამაგონებელი წიგნი“  
ქრისტინ კეინი დამაარსებელი A21 დაPropel Women-ის დამფუძნებელი

გაითავისეთ თქვენი იზენტურობა  
და მიზანი ამ შფრთითა და  
ეტოპეობით აღსავსე დროში!

# პონაშრანების გურებე

## ლიზა ჯევილი

ბესთსელერების ავტორი, ისეთების როგორიცაა:  
„ძუ ლომის გამოღვიძება“ და „გოგონები ხმლებით“

ძვირფასო მეგობარო!

შენ ღმერთმა უნიკალური შეგქმნა, რათა ყოფილიყავი მიზნის ძლიერი ქალბატონი! თუმცა, მრავალმა ჩვენგანმა ძალიან დიდი გზა განვლო დაბნეულობასა და უიმედოობაში. სიმშვიდე და სიხარული მოგვპარა იმან, რომ გამუდმებით ვადარებდით საკუთარ თავს სხვებს.

დღოა წამოვდგეთ და ვიცხოვროთ ისეთი ცხოვრებით, რომელიც შეუდარებელი იქნება სილამაზის, ძალის, ღირსებისა და წვდომის მხრივ. იპოვე შენი ნამდვილი იდენტურობა ქრისტეში! იყავი იმედით გაპრენინებული, ერთგულად იმსახურე და სიყვარულით აკეთე ყველაფერი!

ამ წიგნის გზავნილი ყველა ასაკის ქალბატონისთვისაა და ჩემთვის უდიდესი პატივია მქონდეს შესაძლებლობა, გაკურთხო ამ წიგნით, ჩემმ ძვირფასო მეგობარო და დაო. გთხოვ, ნუ მოგერიდება, გაუზიარო ეს რესურსი ყველა ადამიანს, ვისაც კი იცნობ! ეს ჩემი შენდამი საჩუქარია!

იცხოვრე სიყვარულით, გაბედულებითა და ენთუზიაზმით  
აღვსილმა!

პატივისცემით,



ლიზა ბევერი  
LisaBevere@ymail.com



გაითავისეთ თქვენი იძენტურობა  
და მიზანი ამ შფრთითა და  
მატოქეობით აღსავს დროში!

# პოლურანცის გარეშე

ლიზა  
ბევრი

ბესთსელერების ავტორი, ისეთების, როგორიცაა:  
„ძუ ლომის გამოლვიძება“ და „გოგონები ხმლებით“.



„წარმოიდგინეთ სამყარო, რომელშიც თითოეული ჩვენგანი აცნობიერებს, თუ რა ძლიერ უყვარვართ და გვაფასებს ღმერით. თავის წიგნში „კონკურენციის გარეშე“, ლიზა ბევირი მოგვიწოდებს გავაცნობიეროთ, რომ ღმერთმა უნიკალურებად შეგვქმნა და შეგვიყვარა. სწორედ ამიტომ, თითოეულ ჩვენგანს მოგვეცა გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლი ღვთის გეგმის აღსრულებაში. ეს წიგნი გიწვევთ გაჰყევთ ღმერთს და იმ მისიას, რომელიც მას თქვენთვის აქვს გამზადებული“.

– **ჰოლი ვაგნერი**, მწყემსი და მწერალი.

„ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ კულტურაში, რომელიც სავსეა საკუთარი იდენტურობის ძებნაში მოხეტიალე სულებით, რომლებიც არასწორ ადგილებში ეძებენ მას. წინამდებარე წიგნი, გახლავთ ნამდვილი კომპასი, რომელიც მამაკაცებსა და ქალებს ჩვენი სულიერი იდენტურობის ჭეშმარიტი წყაროს გვიჩვენებს. ჩვენ ღმერთს ვეკუთვნით, მან აგვირჩია და უნიკალური სიყვარულით შეგვიყვარა. ამ მუდმივი ჭეშმარიტებების ცხოვრებაში გატარებით ლიზა სამაგალითო საქმეს აკეთებს. ეს წიგნი აუცილებლად უზდა წაკითხოთ!“

– **ბრედი ბოიდი**, ახალი სიცოცხლის ეკლესიის მწყემსი, კოლორადო სპრინგსი, და ავტორი წიგნისა „Addicted to Busy“.

„წიგნში „კონკურენციის გარეშე“, ლიზა გვიზიარებს სულში ჩამწვდომ ჭეშმარიტებას, თუ რისთვის შეგვქმნა ღმერთმა და რომ მას პერსონალურად და უნიკალურად უყვარს თითოეული ჩვენგანი. ვერ წარმომიდგენია, რომ ამ წიგნის წაკითხების შემდეგ, ვინმე დაეჭვდეს უფლის მისდამი სიყვარულში!“

– **ქრის ჰიუგესი, მწყემსი ეკლესიისა Church of the Highlands და ავტორი წიგნებისა „Fresh Air და Four Cups“.**

„თუ ოდესმე გქონიათ პრობლემა საკუთარი თავის იდენტურობასთან, ეს წიგნი გარდატების მომენტად იქცევა თქვენთვის. გაცნობიერება იმისა, თუ რამდენად უნიკალური ვართ ქრისტეში, იმდენად გვცვლის, რომ უსაფრთხოების ზონიდან გამოვდივართ და საკუთარ ადგილს ვიკავებთ უზენაესის მიერ ადამიანთა გადარჩენის დიდებულ გეგმაში“.

– **შეიძლა უოლში, ავტორი წიგნისა „God Loves Broken People“ და Women of Faith-ის ძირითადი სპიკერი.**

„კონკურენციის გარეშე“ ჭეშმარიტად თვალის ამხელი წიგნია, რომელიც, ჩემი აზრით, დიდ გავლენას მოახდენს თანამედროვე თაობაზე. ლიზა ბევირი იმდენად ლამაზი და ცოცხალი გზით გადმისცემს შემოქმედის სიყვარულს, რომ ნამდვილად დაატყვევებს თითოეულ მკითხველს. რაც უფრო ღრმად ჩაეფლობა მკითხველი ამ საოცარ წიგნში, იგი უფრო და უფრო მეტს შეიტყობს ღვთის სიყვარულის შესახებ, და ასევე საკუთარი იდენტურობის ღმერთში აღმოჩენის მნიშვნელობის შესახებ“.

– **მეთიუ ბარნეტი, ოცნების ცენტრის თანადამფუძნებელი.**

„კონკურენციის გარეშე“ უფლის სიყვარულის ლამაზ შეხსენებას წარმოადგენს ყველა ერისთვის. ლიზა ამ თემას განახლებული გამოცხადებით უდგება და თავის აზრებს ელეგანტური და ლაკონური გზით გამოხატავს. ეს ჭეშმარიტად ლამაზი წიგნი გახლავთ, რომელიც შთააგონებს თითოეულ მკითხველს“.

- **ქეროლაინ ბარნეტი, ოცნების ცენტრის თანამწყემსი.**

„კონკურენციითა და შედარების მოხდენით შეპყრობილ სამყაროში, ეს წიგნი აუცილებლად წასაკითხი წიგნია თითოეული დედისთვის, ქალიშვილისთვის, ლიდერისთვის და მეგობრისთვის. დროა ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები, წაცვლად იმისა, რომ დავიწყოთ იმის შედარება, თუ ვის რა გვიჭირავს ხელში. დროა, რომ ერთმანეთთან მოზიარეობით დავტკბეთ, წაცვლად იმისა, რომ ერთმანეთი ავიტანოთ. ჩვენ კონკურენციის გარეშე ვართ, ამიტომ, მოდი, ყველას მივცეთ წარმატების მიღწევის საშუალება!“

- **შარლოტ გემბილი, წამყვანი მწყემსი ეკლესიისა LIFE Church, Bradford, UK**

„თუ თქვენ ხბრძვით გრძნობას, რომ არაფრის მაქნისი არ ხართ და ვერ ხედავთ, თუ რაშია თქვენი ცხოვრების დანიშნულება, კონკურენციის გარეშე, სწორედ ის არის, რაც თქვენ შინაგანი კრიტიკოსის გასაჩუმებლად გჭირდებათ. ღმერთმა დაგრინგესათ, რომ კმაყოფილება შეინარჩუნოთ ნებისმიერი გარემოების შუაგულში“.

- **მწყემსები სტივენ და ჰოლი ფურტიკები, ამაღლების ეკლესია.**

„ლიზა დაგეხმარებათ აღმოჩენაში, თუ როგორ განიცადოთ ის თავისუფლება და თვითრწმენა, რომელიც მოჰყვება იმის ცოდნას, რომ თქვენ შემოქმების ექსკულუზიურ შედევრს წარმოადგენთ მეტოქეობისა და კონკურენციის გარეშე და, რომ თქვენ ყველაფერი გაქვთ, რაც გჭირდებათ ღვთის მიერ თქვენთვის მოცემული უნიკალური დანიშნულების შესასრულებლად“.

- **ვიქტორია ასტინი, ლეიქვუდის ეკლესიის თანამწყემსი, ჰიუსტონი, ტექსასი.**

„ლიზა ბევირის წიგნი „კონკურენციის გარეშე“, ქრისტეში თქვენი იდენტურობის ახალ განზომილებაში გამოგაღვიძებთ. ლიზას წიგნი სავსეა გამჭრიახობითა და ღვთიური სიბრძნით. იგი გამოგინვევთ, შთაგაგონებთ და აღგჭურვავთ იმისთვის, რომ გაჰყვეთ უფლის უნიკალურ მოწოდებას თქვენს ცხოვრებაში. თუ თქვენი დიდი სურვილია, შეიტყოთ, თუ რას ამბობს უფალი თქვენს ბედზე, ეს წიგნი თქვენთვისაა! მე მას უმაღლეს რეკომენდაციას ვუწევ“.

- **კრის ვალოტონი, ეკლესია „ბეთელის“ ხელმძღვანელის უფროსი დამხმარე, რედინგი, კალიფორნია.**

„ლიზა ბევირი მრავალი წელია, რაც ჩვენი ახლო მეგობარია და ჩვენ გვჯერა, რომ ის იდები, რომლებსაც იგი გვიზარებს წიგნში „კონკურენციის გარეშე“, მრავალს მიანიჭებს თავისუფლებას. მისი კითხვისას, სთხოვეთ ღმერთს, დაგეხმაროთ საკუთარი თავის სხვასთან შედარებისა და კონკურირების სურვილის გადალახვაში და იმაში, რომ მისცეთ მას საშუალება დაგანახოთ, თუ როგორ მოიცვათ და იზეიმოთ იმ პიროვნებით, როგორიც ღმერთმა შეგქმნათ“.

– **ჯეიმს რობინსონი**, LIFE Outreach International-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

„მიყვარს ლიზა. მას ისეთი დროული სიტყვა მოაქვს. ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხონ ადამიანებმა და აუცილებლად უნდა ინამონ ის, რაც მასში წერია. ცოდნა იმისა, თუ ვინ ზარ და რომ სხვა ადამიანებს საჭიროებ, ძალიან ბევრს ნიშნავს! ამ წიგნის კითხვა გაგაძლიერებთ, იგრძნობთ რა, რომ მამა გესაუბრებათ თქვენი ჭეშმარიტი, ურყევი იდენტურობის შესახებ“.

– **ჯენი ჯონსონი**, ქება-დიდების ლიდერი/სიმღერების ავტორი ბეთელის მუსიკით.

„კონკურენციის გარეშე“ წარმოადგენს ბრწყინვალე გამომაფხიზლებელ მოწოდებას ყველა ასაკის ქალბატონებისთვის. ლიზას უწყება, რომ ღმერთმა ჩვენ უნიკალურად შეგვიყვარა და მოგვინდა, ძალიან საჭიროა. მე მომწონს მისი ვნება და ენერგია, რომელიც წიგნის ყოველ გვერდზე გვხვდება თვალში“.

– **ალი უორტინგტონი**, ავტორი წიგნისა: Breaking Busy: How to Find Peace and Purpose in a World of Crazy.

„ლიზას გაბედული და სულით აღსავსე სიტყვები დაეხმარება ქალბატონებს განთავისუფლდნენ მეტოქეობის, სიამაყისა და შურისგან. ის ისე ცხოვრობს, როგორც ქადაგებს: როდესაც იესოს ეკუთვნი, შენ კონკურენტი არ გყას“.

– **სარა ბესსი**, ავტორი წიგნებისა Jesus Feminist და Out of Sorts: Making Peace with an Evolving Faith.

„ლიზას ახალი წიგნი ისეთი საგანძურია. ფაქტიურად, იგი ლიტერატურულ ექვივალენტს წარმოადგენს იმისა, რომ ღმერთმა სელებით მოაბრუნოს ჩვენი სახე თავისკენ და მშვიდად და მტკიცედ გვითხრას: „მე შენ მიყვარხარ!“

– **ლიზა ჰარპერი**, მწერალი და ბიბლიის მასწავლებელი.

„გაგება იმისა, თუ ვის ეკუთვნი, რა უნიკალური ადგილი გიყავია უზენაესის ოჯახში, და აგრეთვე, ქრისტეს ხასიათის ჩანგვდომა, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ჯანსაღი გულისა და სულის მუდმივ ზრდაში. როდესაც საქმე ამ მარადიულ პრინციპებს ეხება, ლიზა ბევირს გააჩნია განსაკუთრებული უნარი, გადმოგვცეს

ბიბლიური ჭეშმარიტება და პირადი გამოცხადება. თქვენ კვლავ აღმოჩენთ არა მხოლოდ იმას, თუ ვინ ხართ, არამედ იმას, თუ ვინ არის ის: შეუდარებელი, პირადი და ძლევამოსილი მხსნელი“.

– **ბრაიან და ბობი ჰიუსტონები**, ჰიონსონგის ეკლესიის გლობალური დამფუძნებლები და უფროსი მწყემსები.

„სამყაროში, რომელშიც ქალები გამოიჩინებან საკუთარი თავის სხვასთან შედარებითა და მეტოქეობით, ლიზა ბევირი აკეთებს იმას, რაც ყველაზე უკეთ გამოსდის – გვიზიდავს ჩვენ თავის ქალურ გულთან ახლოს ძალის მომცემი და განმკურნებელი სიტყვებით: „ქალიშვილო, შენ საკამარისად კარგი ხარ, რამეთუ მამას სრულყოფილი სიყვარულით უყვარხარ!“. წიგნი „კონკურენციის გარეშე“ გვართმევს საჭიროებას შევეჯიბროთ ვინმეს, გვათავსებს რა პირდაპირ მამის გულში და მის მკლავებში გვხვევს. ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხოს ყველა ქალმა, ვისაც უფრო ღრმა კავშირის, იდენტურობისა და მიზნის ქრისტულის!

– **კრისტა ბლექ გიფორდი**, ჯილდოების მქონე კომპოზიტორი, სპიკერი და ავტორი წიგნებისა *God Loves Ugly* და *Heart Made Whole*

„ლიზა ბევირის ახალი წიგნი „კონკურენციის გარეშე“ წარმოადგენს მშვენიერ აღნერას ღვთის უნიკალური სიყვარულისა, რომელიც მას თითოეული ჩვენგანის მიმართ გააჩნია. წიგნი შეგვასენებს, რომ ჩვენ კონკურენტები არ გვყავს, რამეთუ ღმერთმა, ჩვენი შექმნის დროს, უნიკალური ღირებულებები და იდენტურობა მოგვანიჭა თავისში. ამ წიგნის წაკითხვა ყველასთვის აუცილებელია!“

– **ჯენტლენ ფრანკ კლინი**, Free Chapel-ის უფროსი მწყემსი და New York Times-ის თანახმად, ბესთსელერების ავტორი.

„ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა, ლიზა ბევირმა, ეს ისევ გააკეთა. კონკურენციის გარეშე, ეს არის ძლიერი, წინასწარმეტყველური და შთამაგონებელი წიგნი, რომელიც დაგეხმარებათ იმის აღმოჩენაში, თუ ვინ ხართ, ვის ეკუთვნით, როგორც ღვთის ქალი. გადაეცით ეს წიგნი ყველა ქალს, ვისაც იცნობთ! – მე ვიცი, რომ ასე მოვიქცევი“.

– **ქრისტინ კეინი**, A21-ისა da Propel Women-ის დამფუძნებელი.

„ჩვენ არა მხოლოდ ერთნაირად გუყვარვართ ღმერთს, არამედ უნიკალურადაც. წიგნში „კონკურენციის გარეშე“ ლიზა ფარდას ხდის ჭეშმარიტებებს, რომლებიც ხელს შეგინყობენ თქვენი ძალისა და მიზნის აღდგენაში“.

– **მარკ ბატერსონი**, New York Times-ის თანახმად, ბესთსელერების ავტორი წიგნისა *Circle Maker* და National Community Church-ის უფროსი მწყემსი.

გაითავისეთ თქვენი იდენტურობა  
და მიზანი აა შფოთითა და  
მათობრივით აღსავსა დროში!

# პოლიტიკური გარემო

## ლიზა ჩევილი

ბესთსელერების ავტორი, ისეთების, როგორიცაა:  
„ძუ ლომის გამოლვიძება“ და „გოგონები ხმლებით“.

Without Rival by Lisa Bevere, Georgian  
© 2017 Messenger International  
[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)  
Originally published in English as Without Rival  
Additional resources in Georgian by John and Lisa Bevere are available for  
free download at: [www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)  
To contact the author: [LisaBevere@ymail.com](mailto:LisaBevere@ymail.com)

„კონკურენციის გარეშე“ ლიზა ბევერი ქართულად  
© 2017 Messenger International  
[www.MessengerInternational.org](http://www.MessengerInternational.org)  
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე Without Rival  
ჯონ და ლიზა ბევერისაგან, დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე  
ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)  
ავტორის ელფონსტრის მისამართია: [LisaBevere@ymail.com](mailto:LisaBevere@ymail.com)

## ძვირფასო!

შენ ხარ შეუფარებული და მამის მიერ შეუვარებული ქალიშვილი და ამ აუპირესულებულ დროს, შენ მონაცობილი გაქვს ისეთი უნიკალური და ალტერნატიული რომელსაც ანალიზი არ გააჩნია. შენ ამ მომენტისთვის იყავი შერჩეული, რომელიც ერთდროულად ფილებულის არის და საშინელის. სწორედ ამიჭომ, შენ უნდა გიყვარდეს უშიშრად... გრამტეს საოჯახი რჩმენით... და უსაზღვრო იქნები გქონდეს.



## შენახვის

1.	იდენტურობა მეტოქის გარეშე.....	13
2.	ჩვენი შეუდარებელი ღმერთი.....	29
3.	დაპირება კონკურენციის გარეშე.....	49
4.	არც კი გაბედო შედარება!.....	73
5.	როდესაც მეტოქედ აღგიქვამენ.....	91
6.	სქესი მეტოქის გარეშე.....	113
7.	შიშისადა სიყვარულის მეტოქეობა.....	143
8.	ღრმა ჭაბურლილები და სურვილის ჭაბურლილები.....	161
9.	ქალიშვილი მეტოქის გარეშე.....	183
10.	შეუდარებელი ცხოვრება.....	205
	შენიშვნები.....	223



# იდენტურობა მეტოქის გარეშე

„ჩვენს მთავარ საჭიროებას, წარმოადგენს ადამიანი, რომელიც შთაგვაგონებს ჩამოვყალიბდეთ ისეთ პიროვნებად, როგორადაც, შეგვიძლია, რომ ვიქცეთ“.

რალფ უოლდო ემერსონი

**მ**დესმე გყოლიათ მეტოქე? მე არ ვგულისხმობ მეგობრებს შორის გამართულ სპორტულ შეჯიბრებებს და არც ბავშვებს, რომლებიც მშობლების ყურადღებისა და სიყვარულის მოპოვებაში ეცილებიან ერთმანეთს.

მე უფრო სერიოზულ მეტოქეობას ვგულისხმობ. ეს არის მეტოქე, რომელიც მეგობარს ან ოჯახის წევრს არ ჰგავს. ასეთი მეტოქის მიზანი არის არა ის, რომ მოიგოს თამაში, არამედ საერთოდ გამოგთიშოთ თამაშიდან.

მაგრამ რა მოხდება, თუკი ალმოაჩენთ, რომ ცხოვრება, რომელზეც თქვენ ოცნებობდით, ამ მეტოქეობის მიღმაა? თუ აღმოაჩენთ, რომ იმისთვის, რომ თამაშს გამოეთიშოთ, წაგება სულაც არ არის აუცილებელი? რა მოხდება, თუკი მიხვდებით, რომ წაგება არ შეგიძლიათ? რა მოხდება, თუკი არა მხოლოდ იაზროვნებთ არასტანდარტულად, არამედ იცხოვრებთ კიდეც ასე?

მრავალი წლის წინ ერთი წიგნი წავიკითხე, რომლის ავტორიც ვარაუდობდა, რომ ქვეყნიერების აღსასრული, რომელიც ჩვენ ვიცით, რომ ნამდვილად დადგება, საყოველთაო გაუცხოების

## კონცურენციის გარეშე

შედეგად უფრო იქნება, (ვიდრე უცხოპლანეტელთა შემოსევის შედეგად). წიგნში საუბარი იყო იმაზე, რომ დადგება დრო, როდესაც მსოფლიო ორ მოწინააღმდეგეთა ბანაკად ან ერთმანეთის სანინააღმდეგო აზრის მატარებელ ჯგუფებად დაიყოფა. ასეთი საყოველთაო გაყოფის ატმოსფეროში ძალიან ადვილია მტრულად განწყობილი მხარეების ერთმანეთთან დაპირისპირება, რათა მათ სრული აპოკალიფსის დადგომამდე იომონ.

ასეთი მასშტაბის მქონე ნებისმიერი დაყოფა, ბევრად უფრო ვიწრო წრეში დაიწყება. ის შეიძლება დაიწყოს სახლებიდან, სადაც დაყოფილი ოჯახები სავსენი იქნებიან გულნატკენი ადამიანებით, რომელთაც გაყოფილი გულები ექნებათ. არსებობენ რეალური ძალები, რომლებიც ცრუ ჭეშმარიტებას თესავენ, რაც ადამიანის გონებას, ნებას და ემოციებს სტანჯავს, რათა აიძულონ ადამიანი ჯერ საკუთარ თავს დაესხას თავს და შემდეგ სხვებს.

როგორიც თავი დავალწიოთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც გვეუბნებიან, რომ ჩვენ არასაკმარისად კარგი, არასაკმარისად ახალგაზრდა, ჭკვიანი, სწრაფი და მდიდარი ვართ. ჩვენ თავს გვესხმიან და მოელიან, რომ ბედს შევეგუებით და მათ მოლოდინს გავამართლებთ. მაგრამ ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ იგი ცდილობს გაექცეს საკუთარი თავის ამ უსასრულო დამცირებას, რომელიც ცდილობს, დაარწმუნოს იგი იმაში, რომ მას არასაკმარისად აქვს ყველაფერი. როდესაც ეს დამცირება კრიტიკულ ზღვარს აღწევს, ზოგიერთი ადამიანი დათმობაზე მიდის, იწყებს ადაპტირებას, სხვის მიბაძვას, ხოლო სხვები კი თავდაცვით პოზიციას იკავებენ და საპასუხო ბრალდებების კორიანტელს აყრიან მოწინააღმდეგეს.

ჩვენ განვსჯით სხვებს მაშინ, როდესაც ვგრძნობთ, რომ ჩვენ განგვსჯიან.

ვარცხვენთ სხვებს, როდესაც ჩვენ გვარცხვენენ;

გვძულს სხვები მაშინ, როდესაც საკუთარი თავი არ გვიყვარს;

შორს არ ვართ სურვილისგან, გავძარცვოთ სხვები, როდესაც ვგრძნობთ, რომ ჩვენც გვძარცვავენ.

ამ პროცესის დროს, ყველა წაგებული რჩება და მოგებული არავინაა. მაგრამ, იქნებ პავლე მოციქულის მიერ ნათქვამი სიტყვები ჭეშმარიტებას წარმოადგენს?

„აჲა, დიადი შენაძენია ლვთისმოსაობა კმაყოფილებასთან ერთად!“ (1ტიმოთე 6:6)

ღვთისმოსაობა – ეს არის უნარი გაითავისო ღვთის თვალსაზრისი. ეს ნიშნავს იმას, რომ როდესაც ჩვენ ვაღიარებთ მის შეხედულებას სხვა ადამიანების მიმართ, ამით ვდებულობთ მის შეხედულებას ჩვენი თავის მიმართაც.

კმაყოფილება და კომფორტის გრძნობა საკუთარ სხეულში არ წარმოშობს თვითკმაყოფილებას; ისინი კრეატიულობას გამოათავისუფლებენ! ზურგი შეაქციეთ ყოველგვარ ცილისმნამებელსა და ხელის შემშლელ ფაქტორს! მას ჩვენზე აქვს მოპყრობილი თვალები, რათა ჩვენც შევძლოთ ჩვენი თვალების აპყრობა მისკენ.

შემდეგ რა?

ნაცვლად იმისა, რომ შეეჯიბროთ სხვებს იმაში, რაც ღმერთს არასდროს უფიქრია თქვენზე... საკმარისად გექნებათ ენერგია, რათა აღმოაჩინოთ ის, რაც თქვენია.

ვლოცულობ, რომ ამ წიგნმა გააცხადოს, თუ რა აბინძურებს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებას. ნაცვლად იმისა, რომ შეეჯიბრის მოგება სცადოთ, რაც არაფერს მოგიტანთ, მინდა, რომ ომის მოგების პოზიცია დაიკავოთ. თქვენი სულის სიძლიერის წინააღმდეგ ძალიან რეალური ბრძოლაა გამართული. დროა, რომ თქვენი ადგილი დაიკავოთ ამ სამყაროში. მოდი, სააშკარაოზე გამოვიტანოთ სიცრუე და ხელის შემშლელი ფაქტორები და აღმოვაჩინოთ, თუ ვინ ხართ სინამდვილეში!

## დაკარგული და ნაკოვნი

მიყვარს ძალლები. ამას წინათ, როდესაც სახლიდან შორს ვიმყოფებოდი, სამხრეთ კორეაში, ჩვენი საყვარელი ძალლი, ტია დაიკარგა. როგორც ჩანს, ჩვენს სახლში მომუშავე ერთ-ერთმა ხელოსანმა კარი ღია დატოვა და ტიამ მყუდრო სახლის სითბო მიატოვა, რათა კოლორადოს ცივი ზამთრის ქუჩებში ეხეტიალა. რაღაც მიზეზის გამო, მან სახლს ვეღარ მოაგნო იმ ღამით. ჩვენთვის უცნობმა მეზობელმა მის მიმართ მზრუნველობა გამოიჩინა და ღამით თავის სახლში შეიფარა, დილით კი ცხოველთა თავშესაფარში დატოვა.

ტიას საყელოზე იარლიყი ეკეთა, თუმცა იგი თითქმის უსარგებლო იყო, რამეთუ მასზე აღნიშნული ტელეფონის ნომერი უკვე ჩვენ აღარ გვეკუთვნოდა. ამასთან ერთად, მისი ლიცენზიის ვადა ამოინურა (მომიტევეთ, მეგონა, რომ ძაღლზე ლიცენზიის გაფორმება მხოლოდ ერთხელ ხდებოდა), და აი, ჩვენთვის ყველასთვის უსაყვარლესი ძალლი, რომელსაც აქვს სახლი, მაგრამ არ გააჩინა არც ხმა და არც საიდენტიფიკაციო საპუთი, რომლებიც მას სახლის პოვნაში დაეხმარებოდნენ.

## პონტურენციის გარეშე

სეულში, სამხრეთ კორეაში, მე წარმოდგენაც კი არ მქონდა, თუ რა ხდებოდა სახლში. ჩემმა ვაჟებმა გონივრული გადაწყვეტილება მიიღეს და არ გამიმხილეს ტიას დაკარგვის ამბავი, თუმცა სახლში, რაღა თქმა უნდა, პანიკა სუფევდა. ისინი ყველაგან ეძებდნენ ძალს, მაგრამ ვერსად პოულობდნენ. მათ ეშინოდათ, რომ ტია კოიოტების მსხვერპლი გახდა. ბოლოს და ბოლოს, თითქმის ხუმრობით, მათ გადაწყვიტეს ვიღაცის რჩევისთვის მოქსმინათ და ძალლების თავშესაფარში დარეკეს.

როდესაც ოსტინი თავშესაფარში მივიდა და ტია დაინახა, იგი დარწმუნებული არ იყო, რომ ეს ჩვენი ძალლი იყო. თავგადასავალმა იმდენად შეცვალა მისი ქცევის მანერა, რომ იგი უფრო დეპრესიაში მყოფი ჩანდა, ვიდრე გახარებული ოსტინის დანახვით. იგი გალის კუთხეში იჯდა მოკუნტული და მთელი სხეულით ცახცახებდა. მას შემდეგ, რაც ოსტინმა მისი თავშესაფარში ყოფნის საფასური გადაიხადა, რაც დაახლოებით კარგ სასტუმროში ცხოვრების საფასურს უტოლდებოდა, და აგრეთვე რამდენიმე დიდი ჯარიმის გადახდის შემდეგ (როგორც ჩანს, ვადაგასული ლიცენზიის გამო მკაცრად სჯიან), ტია კვლავ ჩვენი გახდა.

როდესაც სახლში დავბრუნდი და ეს ამბავი შევიტყვე, გული მეტკინა არა ჩემი ბიჭების, არამედ ჩემი ძალლის გამო. ტია უკვე ათ წელზე მეტია ჩვენთან ცხოვრობს და ასეთი რამ პირველად შეემთხვა, როდესაც სახლიდან გაიქცა და თავისით აღარ დაბრუნებულა. ავლელდი... რატომ ახლა? შესაძლოა, კატარაქტამ დაუსუსტა მხედველობა? ან, იქნებ ეს მისი ასაკის ბრალია? მე ხომ არ მეძებდა?

საბოლოო ჯამში, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა მიზეზით წავიდა იგი. ტია ჩვენი ოჯახის წევრია და ის, რომ მას არ აქვს სახლის გზის პოვნის უნარი, ამ ფაქტს არ ცვლის. ჩვენ იგი მოვძებნეთ, გადავიხადეთ ჯარიმა, გავაგრძელეთ ლიცენზია, იგი იმ სამარცხვინო გალიიდან განთავისუფლდა და თავის ადგილს დაუბრუნდა, რომელიც ჩემს საწილთან, ჩემს ფეხებთანაა. ერთი ღამით ხეტიალი, ვერ გახდებოდა მასზე უარის თქმის მიზეზი.

ალბათ მიხვდით, რის თქმას ვცდილობ. თუკი ჩვენ (შინაური ცხოველების, უდავოდ, არასრულყოფილი მფლობელები) ამდენს ვაკეთებთ ჩვენი ძალლებისთვის, რამდენად ბევრს აკეთებს ჩვენთვის ჩვენი ზეციერი მამა? საკუთარი თავის შეცნობის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს იმის გაცება, თუ ვინ ხართ თქვენ ღვთისთვის. 1იოანე 3:1 ფარდას ხდის შემოქმედის შეხედულებას ჩვენზე, მის შვილებზე.

## იდენტურობა მეტოქის გარეშე

„ნახეთ, როგორი საოცარი სიყვარული განავრცო მამამ ჩვენზე! უბრალოდ, შეხედეთ ამას – ჩვენ მისი შვილები ვართ. აი, ვინ ვართ სინამდვილეში. მაგრამ, სწორედ ამიტომ არ გვიცნობს ქვეყნიერება და სერიოზულად არ გვიყურებს, რამეთუ მას წარმოდგენაც კი არ აქვს, თუ ვინ არის იქსო და რას აკეთებს იგი“. (Message)

მოდი, ცოტაოდენ უფლის საოცარ სიყვარულზე ვიმ-სჯელოთ! იგი ჩვენში თრთოლვას იწვევს, აღტაცებაში მოყვავართ და თავბრუს გვახვევს. ზეციური მამის სიყვარული, ქვეყნიურისა და ჩვეულებრივის სრულიად საწინააღმდეგო ცნებას წარმოადგენს. ამ სიყვარულის სილრმე საკმარისია ჩვენს გასაოცებლად. ამ საოცარ სიყვარულს გაგრძელება გააჩნია, იგი ჰგავს საჩუქარს, რომელიც შენაძენს მოჰყვება, მაგრამ უფრო უკეთესია, რამეთუ ეს არის საჩუქარი, რომელიც შენაძენს მოსდევს თან. ჩვენ გადარჩენა საჩუქრად გადმოგვეცა. ღმერთმა საცოდავ მდგომარეობაში, გალიაში დაგვინახა, რომელიდაც გარკვეული რელიგიურ-ჰუმანისტური საზოგადოების კუთხეში შეყუულები, და ფასი გადაიხადა ჩვენს დასახსნელად. მაგრამ იგი ამაზე არ გაჩერებულა. მან თავისთან მიგვიზიდა, განაახლა ჩვენი ლიცენზია და საკუთარ თავთან გაგვაიგივა (და ეს ყველაფერი მანამდე გააკეთა, ვიდრე აბაზანას მივიღებდით). თქვენ ნამდვილად მას ეკუთვნით. მას საოცრად უყვარს თითოეული თავისი შვილი. მაგრამ ამასთანავე მას უნიკალური სიყვარულით უყვარს თითოეული ჩვენგანი.

## თანაბარი თუ უნიკალური?

ხშირად, ადამიანური მცდელობის გამო, ყველაფერში სამართლიანობა დავინახოთ, ჩვენ განვიცდით ცდუნებას, ვიფიქროთ, რომ ღმერთს ყველანი ერთნაირად ვუყვარვართ. რა კარგადაც არ უნდა ჟღვრდეს ეს, ერთნაირად არ ნიშნავს საკმარისად ძლიერად. სიტყვა „ერთნაირად“ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ერთმანეთის შენაცვლება შეგვიძლია. ეს ამის მსგავსია: „ოჳ, არა! მე იასამნისფერი ჭიქა გავტეხე იმ ჭიქებიდან, რომელიც გასულ კვირას ჰიპერმარკეტში ვიყიდე, იმედია მათ კიდევ აქვთ ასეთივე ჭიქები გაყიდვაში“. ან, როგორც ჩემს შემთხვევაში: „ძალლი, რომელიც ათ წელზე მეტი მიყვარდა, დამეკარგა, მაგრამ არა უშავს, წავალ, ასეთივე ძალლს ვიყიდი და ისიც ამის მსგავსად მეყვარება“.

## კონცურენციის გარეშე

არა, ჩემს შემთხვევაში ეს ასე არ არის და იმედი მაქვს, რომ არც ლმერთან არის ასე. აგიხსნით, თუ რატომ.

ერთხელ, დღისით დასვენება გადავწყვიტე. საქმე იმაშია, რომ საწოლზე კი არ დამეძინა, არამედ ჩემს ლეპტოპზე. როდესაც უეცრად გამომეღვიძა, აღმოვაჩინე, რომ ასო „ტ“ რვა გვერდზე იყო აკრეფილი.

ამ დროს ვიგრძენი, რომ ნამდვილად საწოლზე უნდა წამოვწოლილიყავი, ამიტომ ჩემს ფეხებთან მწოლიარე

მე ერთნაირად  
არ მიყვარს ჩემი  
შვილები,  
მე ისინი  
უნიკალურად  
მიყვარს.

ძალი ხელში ავიყვანე და საძინებელში წავედი. სანამ ჩავთვლემდი, სულინმიდის ნაზი ხმა ჩამესმა: „მე ჩემი შვილები ერთნაირად არ მიყვარს“. ამან შემაცბუნა და საწოლზე წამოვჯექი. საიდან მოვიდა ეს ღვთისაგმობი აზრი? პასუხად დაუფიქრებლად წარმოვთქვი: „შენ ერთნაირად უნდა გიყვარდეთ, სხვაგვარად ეს უსამართლობა იქნებოდა“.

ჩემს პროტესტს დაუყოვნებლივ

მოჰყვა პასუხი: „არა, ასე არ არის. ყველასადმი თანაბარი სიყვარული — ეს არის სიყვარული, რომლის გაზომვაც შესაძლებელია, მაგრამ გარწმუნებ, რომ ჩემი სიყვარულის გაზომვა შეუძლებელია. „თანაბარი“ ნიშნავს იმას, რომ ჩემი შვილები ურთიერთშემცვლელები არიან, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩემი გული განყოფილებებად არ არის დაყოფილი. მასში ვერავინ შეცვლის სხვას და ვერ დაიკავებს სხვის ადგილს. ახლა გესმის, რომ ჩემი შვილები თანაბარი სიყვარულით არ მიყვარს. მე თქვენ უნიკალური სიყვარულით მიყვარხართ!“

ღრმად ამოისუნთქეთ და კითხვა განაგრძეთ. ღმერთს ჩვენ უნიკალური სიყვარულით ვუყვარვართ, და არა ერთნაირი სიყვარულით. დამიჯერეთ, უნიკალური — ეს უკეთესია.

თუ თქვენ ორი ან მეტი შვილი გყავთ, ალბათ ხვდებით, თუ რაზეასაუბარი. როდესაც თქვენს ოჯახში მეორე ბავშვი დაიბადა, ხოლო შემდეგ მესამე, თქვენი სიყვარული არ გაყოფილა მათ შორის. იგი საოცრად გაიზარდა. თქვენ ვერ ანონიდით თქვენს სიყვარულს თითოეული შვილისადმი, რომც გეცადათ ეს. განა შესაძლებელია საკუთარი გულის ძალის გაზომვა? თქვენი სიყვარული თითოეული შვილისადმი უნიკალურია. თითოეული მათგანი განსაკუთრებულად აღვიძებს თქვენს სიყვარულს. საინტერესოა, როგორ შეიძლება გიყვარდეს რაიმე უნიკალური თვისება ერთ ბავშვში და სრულიად საწინააღმდეგო თვისება მეორეში. მაგალითად, მე მყავს ძალიან ენერგიული შვილიშვილი

ցողօնա, ՌՈՄԵԼՈՒ ქարո՛վեալուզիոտաա. մաս ჰպացს უფրոնս օմա, ჩՎԵՆԻ პորցելո შვոլո՛վոլո, ՌՈՄԵԼՈՒ սալուն մցրճնօնքութէ դա պշորագլւեթիոնա. մը մատ յրտմանէտս առ զաճարցէ. մը մոյզարս օսնոն დա զայածք կը բարեգութուննու մատ ասետ ցանծեազեպչլ մուջըմաս. արացուտար Շեմտեզեզամո առ ցունուրցեծնո, ՌՈՄ օսնոն յրտնաիրցն պացուլուպնեն. առշ յրտ մատցանս առ չպացուա ჩիմի ցուլնո մեռունց უպրո մեբու աֆցունո, մը օսնոն որովց մուելո արսեծիութ դա չնոյկալուրո սոյզարուլութ մոյզարս.

„տաճածարո“ ացրյատզու նոմնացս օմաս, ՌՈՄ Շեմոյմեդուս սոյզարուլո ցանօմքագու դա ցանօմունուա, մացրամ յը ասյ սუլաց առ արուս. օգո չսասրուլուա. უնիզալուր սոյզարուլու պայուն մեբու սոլորմէ ցաճենուա տացուսմո. մեռլունց յրտու პորունենա արսեծուն օսետու, րոցօնրու Շեն ხար! նեցուրմա ազցանքունեն Շեսանոմնացու սութպցեծու տէյա: „Ըմերտս օսյ չպարս տոտույլու ჩՎԵՆցցանու, տոտէյուս սեբա արացուն ჰպացս, չնոշ Շեուկւնենա ռոմ չպարծացու“.

ծեցուրո մամուս սոյզարուլու զեր Շեցաճարցէտ Շոյունագուն ան ալունծուն նամցեցարս, ՌՈՄԵԼՈՒ մթրունցելմա մմոնծուն տաճածար նանուլունա գագրուց, հատա արշ յրտմա ձացիւզմա տացու դահացրունագ առ օցրճնու. չնենացանս սաուցարո սոյզարուլու առ յեցեմդունենա նանուլոնծուն կոնցրուլու. ապնունիյրութու, րոմ ման չյեր կունե չվեցնուներցն Շեյմնամքու Շեցուպցարատ դա մուսու տէցենդամո սոյզարուլո չսասրուլուա? տէցեն Շեցունդուն թուրցու այցուու մաս, ցայցուետ, չորչունետնու մոնինու տէցենու սանունու, ակետու նեծունմունու սայմե, մացրամ օգո առ Շենցպցեթս տէցենս սոյզարուլու (դա տու սերուունունագ զոմինչցելութու, ցանա արուս օսետու պորունենա, չորչունետնու մուլո ռոմ օսուրցու՞?).

նոնասնարմեթպցել ոյրեմուս մեշվեռնուտ, Ըմերտմա Շեմծեցի րամ տէյա տացուս սոյզարուլու Շեսաեթ: „սամունամու սոյզարուլութ Շեցուպցարու, սրայել, մամու ցամու մուգուաթու նյալունուտ“ (ոյրեմու 31:3).

պշորագլւեթա մույցուետ նմնուս ցորմաս - յը նարսունու դրու. մուսու սոյզարուլո - ցաճանցպցեթունո սայմե. ման դունդո սոյզարուլութ Շեցուպցարատ პորաճագ տէցեն, րեալուրո դա უնիզալուրո տէցեն, սամունամու սոյզարուլութ, ռոմելու արասուգու դասրունցեթա, մույեցաճագ օմուսա, տու րամճանագ աხալցանիճագ ան մուեցու նրճանցեթիուտ, րամճանագ ցամեճարու տու մեսյեանու ხարտ. Ըմերտս մամնապ չպարծացու, րուգըսապ ախալցանիճագ դա պայունուրո ոյացուտ. մաս չպարզա մը, պայունուրո սանճանմուլու դա արամունցնունիրցն աճունու. Ըմերտու սոյզարուլուա. ჩՎԵՆՍ մամուս սոյզարուլու յու առ ցաճենու ჩՎԵՆՍ մոմարտ - օս տացագ նարմուաճցյենս ჩՎԵՆճամո սոյզարուլու.

ծեցուրո մամուս սայցեռու սոյզարուլու չՎԵՆ մոմարտ

## კონცურენციის გარეშე

უსასარულო, ინტიმური და უნიკალურია. თქვენ მას უნიკალური სიყვარულით უყვარხართ, რამეთუ უნიკალურად ხართ შექმნილი.

„უნიკალური“ ნიშნავს „განსაკუთრებულს, განუ-მეორებელს“, და ჩემი საყვარელი განსაზღვრებაა – „რომელსაც არ ჰყავს თანაბარი ან კონკურენტი“. ჩვენს მამა ღმერთს არავინ ჰყავს მისი მსგავსი და ჩვენც არ უნდა გვიკვირდეს, რომ მის თვალში ჩვენ ვართ მისი ქალიშვილები, რომელთაც მეტოქე არ გააჩნიათ, ამიტომ არანაირი მიზეზი არ არსებობს იმისთვის, რომ ერთმანეთს შევეჯიბროთ.

თქვენ განუმეორებელი ხართ!

თქვენ ხართ საკუთარი თავის დასაწყისიც და დასასრულიც. არ არსებობს ისეთი ნიმუში, რომელიც მასიური წარმოებისთვის იქნა შექმნილი. ადამიანებს შორის არ არსებობს ერთმანეთის ასლი, ერთნაირი და თანაბარი. თქვენ არ გყავთ კონკურენტი, თქვენს მსგავსად სიყვარული, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, თქვენს მსგავსად, ღმერთს მხოლოდ თქვენ უყვარხართ. ვერავინ შეძლებს თქვენად ყოფნას თქვენზე უკეთესად!

ღმერთმა თქვენი დნმ-ი უნიკალურად შექმნა და საიდუმლოდ გამოგდერწათ, რათა მთელი მსოფლიო გაეოცებინა. მან მოიფიქრა, თუ როგორი გული გექნებოდათ, ღმერთი იყო თქვენი ლიმილისა და თქვენი ხმის მელოდიის არქიტექტორი, მან შექმნა თქვენი ყველა ნაკვთი, და შექმნის პროცესში მხოლოდ საუკეთესო და ნათელი ფიქრები გააჩნდა თქვენს მიმართ. თქვენს მშობლებთან ერთად ღმერთი ხარობდა თქვენი პირველი ლიმილის დანახვაზე და სინაზით ადევნებდა თვალს თქვენს პირველ ნაბიჯებს.

ამ ნაზი და ყურადღებიანი მზრუნველობის წყალობით თქვენს ცხოვრებაში არის მრავალი მხარე, რომლებიც უნიკალურად ასახავენ მის სიყვარულს. მან განსაკუთრებული თვისებები და ნიჭი ერთ პაკეტში მოათავსა, ანუ თქვენში, ღვთის ასულში. მან იცოდა, რომ თითოეული ეს თვისება საუკეთესოდ აისახება თქვენი ქალური ფორმის მეშვეობით.

ღმერთმა იცოდა, რომ თქვენ საუკეთესოდ წარადგენდით მას და კავშირს დაამყარებდით მასთან მისი ქალიშვილის რანგში. სწორედ ამიტომ შეარჩია მან თქვენთვის მდედრობითი სქესი. მამებსა და ქალიშვილებს შორის ძალიან ფაქიზი კავშირი არსებობს.

როდესაც ღმერთი თქვენ გქმნიდათ, იგი მხოლოდ თქვენზე ფიქრობდა... თქვენ მისი სიხარული ხართ!

ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ არ იქნებოდით უკეთესი, რომ ყოფილიყავით უფრო მაღალი ან დაბალი, რომ გქონდათ უფრო მუქი ან უფრო თეთრი კანის ფერი.

## იდენტურობა მეთოდის გარეშე

ეს აგრეთვე ნიშნავს იმას, რომ თქვენ არ იქნებოდით მის მიერ თქვენთვის მონდობილი სიყვარულის უფრო უკეთესი მატარებელი, მამრობითი სქესის რომ ყოფილიყავით. ღმერთს თავისი ქალიშვილები ვაჟიშვილებზე ნაკლებად არ უყვარს. და არც თანაბარი სიყვარულით არ უყვარს ისინი. მას ქალები და მამაკაცები უნიკალური სიყვარულით უყვარს. შესაძლოა, ბავშვობაში თქვენ გეუბნებოდნენ ან იქნებ გიყვიროდნენ კიდეც, რომ ვაჟს ელოდნენ და ვაჟის ნაცვლად თქვენ დაიბადეთ. შესაძლოა, თქვენ თავადაც გსურდათ, რომ მამაკაცი ყოფილიყავით. მაგრამ იცოდეთ, ღმერთს არასოდეს სდომებია ეს.

ჩვენი ზეციერი მამა ხარობდა, როდესაც თქვენ პირველად ჩაისუნთქეთ, და წლების შემდეგ, როდესაც თქვენ სულიერად იწვით, მისი ქალიშვილი გახდით და სულით აღივსეთ, ანგელოზები მასთან ერთად სცემდნენ ყიჯინას.

საოცრად საყვარელო არსებავ, თქვენში შემთხვევითი აბსოლიტურად არაფერია!

## ქალიშვილი, რომელსაც მეთოქა არ ჰყავს

რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ყველას საკმარისზე მეტი გვაქვს განუზომელი და უსასრულო სიყვარული. თქვენ არ მოგინევთ ბრძოლა იმისთვის, რომ მის მაგიდასთან ადგილი დაიკავოთ ან მისი სიყვარული მოიპოვოთ. ვერავინ შეძლებს თქვენს გაძევებას ან შეცვლას... თქვენ არ გყავთ მეტოქე!

„მაგრამ, მეგობრებო, აი ვინ ვართ ჩვენ: ღვთის შვილები. და ეს მხოლოდ დასაწყისია. ვინ იცის, როგორ დავასრულებთ!

რაც ვიცით ის არის, რომ, როდესაც ქრისტე ცხადლივ გამოჩნდება, ჩვენ ვიხილავთ მას – და როდესაც ვიხილავთ, მისი მსგავსნი გავხდებით. ყოველმა, ვისაც მისი მოსვლის მოლოდინი აქვს, გაემზადოს, და იესოს სიწმიდე ნიმუშად გამოიყენოს“. (1 ოანე 3:2-3 Message)

ერთად ჩვენ აღმოვაჩენთ, თუ როგორ ვიყოთ ის, ვინც ვართ – არა სხვა ვინმე, იმის მცდელობაში, რომ სხვების სიყვარული და მიღება მოვიპოვოთ. ჩვენ აღარ შევადარებთ საკუთარ თავს სხვებს, რამეთუ შედარებას არ მოაქვს შთაგონება. საკუთარი თავის სხვებთან შედარება გვძარცვავს ჩვენ, ხოლო ჩვენი მხრიდან კი – მთელს მოსვლიოს. განა არსებობს

## კონცურენციის გარეშე

შედარების მოხდენისა და მეტოქეობის აუცილებლობა, თუკი ჩვენი ფასეულობა და იდენტურობა, საბოლოო ჯამში, ჩვენს თანდაყოლილ უნიკალურობასთან არის დაკავშირებული? ჩვენ მხოლოდ დავქანცავთ საკუთარ თავს. თქვენ ხართ ქალიშვილი მეტოქის გარეშე, რომელსაც სინათლის ტარებაში კონკურენტი არ გყავთ, და ალტურილი ხართ, იპრძოლოთ კონკურენტის გარეშე – უნიკალურად.

„ამიტომ, აღმოვაჩენთ რა საკუთარს თავს ასეთ შესანიშნავად შექმნილ და საოცრად ფუნქციონირებად ნაწილებად ქრისტეს სხეულებში, მოდი, ვიყოთ ის, რადაც ლმერთმა დაგვიწესა ყოფნა, ნუ შევადარებთ საკუთარ თავს სხვებს შურითა და სიამაყით აღვსილები, და ნუ ვეცდებით ვიყოთ ის, რაც არ ვართ!“ (რომაელთა 12:5-6 Message)

წმიდა წერილის ეს მონაკვეთი ორ ძირითად თვისებას გვიჩენებს, რაც ხელს უშლის ადამიანებს, იცხოვრონ მეტოქეობის გარეშე: სიამაყე და შური. ის, რომ თქვენ ხართ უზენაესი მამის უნიკალური ქალიშვილი, რომელსაც მეტოქე არ ჰყავს, არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ უკვე მიაღწიეთ დანიშნულების ადგილს. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ არსებობს გზა, არსებობს მოზაიკის ნაწილი და ფუნქცია ქრისტეს სხეულში, რომელიც აუცილებლად უნდა შეასრულოთ.

სიამაყე გვაშორებს ქრისტეს სხეულს, შთაგვაგონებს რა აზრებს, რომლებიც სხეულის სხვა ნაწილებზე მაღლა გვაყენებს და გვაიძულებს ასე ვიმსჯელოთ: „ჩემი ნაწილი – ყველაზე მნიშვნელოვანია. მე მარტო ვარ, არავინ მჭირდება, ყველაზე მნიშვნელოვანი ვარ, ამაყი და დიდებული“.

სხვა მხრივ, ამცირებს რა ჩვენს ამოცანებს, შური ცდუნების წინაშე გვაყენებს, უგულებელყველოთ ის როლი, რომელიც უფალმა გვიბოძა ამ სამყაროში. შური ამბობს: „მე არ ვაფასებ საკუთარ როლსა და წილს, რამეთუ მსურს, გზიდან ჩამოგიცილო და შენი ადგილი დავიკავო“.

ეს ორი თვისება – მომაკვდინებელი ხმლის ორ ბასრ პირს წარმოადგენს, რომელიც იმისთვის არის შექმნილი, რომ ავნოს ადამიანებს და არ მისცეს საშუალება ამა თუ იმ ჯგუფებს შეასრულონ თავიანთი ფუნქცია და დაიკავონ საკუთარი ადგილი. ზოგჯერ, მტერი ამ ხმლის ორივე პირს იყენებს და მამაკაცებს უტევს ქრისტეს სხეულში, შთააგონებს რა მათ მეტოქეობას და გენდერულ სიამაყეს, ხოლო ქალებს გენდერული შურის მსხვერპლად აქცევს.

იყავით ნამდვილი დაქალი თითოეული ჩვენგანისთვის და ამავე დროს ნუ უღალატებთ საკუთარ მეობას! დადგა დრო,

## იდენტურობა მეთოდის გარეშე

რომ ლვთის ასულები დატკბნენ საკუთარი უნიკალურობით და შეწყვიტონ სწრაფვა იმისკენ, რომ „ყველას მსგავსი იყვნენ“, ან სხვაზე „მეტი“. რამეთუ, როდესაც საკუთარ თავს მალავთ, ამით სხვებს იმის უფლებას აძლევთ, რომ პატივს არ გცემდნენ. ადამიანებს ყოველთვის შეუძლიათ, გაარჩიონ ნაყალბევი და ასლი ორიგინალისგან.

ეს რომ ვერც დაინახონ, ისინი

იგრძობენ და გაიგებენ ამას თქვენი ცარიელი სიტყვების, მოქმედებებისა და შეხედულების მეშვეობით. ძალიან დიდი განსხვავებაა ამ ორ მოქმედებას შორის: მისდევდე ვიღაცის მაგალითს და ვიღაცის კოპირებას ახდენდე. სწორედ ამიტომ

ხართ ასეთი იმედგაცრუებული, როდესაც

ცდილობთ იყოთ ის, ვინც არ ხართ. ცხოვრება დიდი არჩევანის მქონე ტესტს ჰგავს და არასწორი პასუხები მხოლოდ ის პასუხები შეიძლება იყოს, რომელთაც თქვენ თავად არ ირჩევთ თქვენთვის.

საკუთარი უნიკალურობის ჩახშობით ჩვენ უფლის სიყვარულის არსს ვუგულებელყოფთ. ჩემი დიდი სურვილია, რომ თქვენ გაიგოთ, რომ თქვენი გარეგნობა ყველაზე უფრო ნაკლებად უნდა გაღელვებდეთ. მრავალი ადამიანი ფიქრობს, რომ ჩაცმულობაში, ვარცხნილობაში, ბიუტერიასა და მაკიაჟში პირადი გემოვნების ქონით, იგი საკუთარ უნიკალურობას გამოხატავს. ეს გარეგნული ელემენტები მხოლოდ აქსესუარებს წარმოადგენენ. ისინი შორს დგანან ღრმა გამოცხადებიდან იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ ხართ თქვენ სინამდვილეში.

ჭეშმარიტება მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ შეიძლება შეიცვალოთ გარეგნობა, მაგრამ მაინც ვერ ჩაწვდეთ თქვენს უნიკალურობას.

მოდი, შევწყვიტოთ დროის ფლანგვა აქეთ იქით ყურებაში და ნუ მივცემთ უფლებას გამუდმებით ცვალებად საზოგადოებრივ აზრს, რომ თავს მოგეხვიოს თავისი იდეები! მოდი, გაბედულად მივიღოთ ყველაფერი ის, რისი უნიკალურად გამოხატვისთვისაც შეგვემნა ღმერთმა!

ვერავინ შეძლებს  
თქვენს გაძევებას  
ან შეცვლას...  
თქვენ არ გყავთ  
მეტოქე!

## ვის ეკუთვნით?

მე არ მჭირდება იმის ცოდნა, თუ ვისთან ატარებთ დროს. არ მჭირდება არც თქვენი მშობლების სახელების, არც იმ სკოლის სახელწოდების ცოდნა, რომელშიც სწავლობთ, ან

## პონტურენციის გარეშე

კომპანიის, რომელშიც მუშაობთ. მხოლოდ იმ პიროვნების სახელი მაინტერესებს, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე გასცა თქვენს გამოსასყიდად. მაგრამ, თუ ფიქრობთ, რომ მისი მსხვერპლი მხოლოდ ამ გამოსყიდვით შემოიფარგლება, გამოდის, რომ ჯერ კიდევ მრავალი რამ არ იცით. მან გიპოვათ თქვენ, მაგრამ ამის შემდეგ, არა მხოლოდ გაგწმინდათ და იქ დაგაბრუნათ, სადაც იმყოფებოდით. არამედ მან აგამაღლათ და თავისი სინმიდე მოგანიჭათ.

თქვით, თუნდაც თქვენი გულის ჩურჩულით: „ის ჩემია, მე კი მისი“.

მხოლოდ თქვენს ზეციერ მამას აქვს უფლება, განსაზღვროს თქვენი ვინაობა. დედათქვენი დაორსულდა თქვენზე მუცლით გატარათ და აგლზარდათ, მაგრამ თქვენმა ზეციერმა მამამ ჩაგიფიქრათ, შეგქმნათ და მოგცათ სიცოცხლის სუნთქვა. როდესაც დაკარგული იყავით, მან გიხსნათ, რათა კვლავ მისი გამხდარიყავით. დადგება დღე, როდესაც ჩვენი დრო დედამიწაზე დასრულდება; მაშინ ღმერთი აღადგენს თითოეულ ჩვენგანს და მივხვდებით, რომ ჩვენი დედამიწაზე ცხოვრება მხოლოდ თესლია, რომელიც ზეცაში გაიფურჩქნება და ჩვენი არსის სისრულეს მიაღწევს.

სადაც არ უნდა მიგიყვანოთ დღეს თქვენმა ცხოვრებამ, გააცნობიერეთ, რომ მომენტები, ადგილები და გარემოებები გამუდმებით იცვლება. ბედის ცვალებადობის მიუხედავად, ყველაზე მნიშვნელოვანია იცოდეთ, თუ ვინ ხართ და ვის ეკუთვნით.

წიგნის წინამდებარე თავის დასაწყისში, მე ჩემი საყვარელი ციტატა მოვიყვანე, რომელიც რალფ უოლდო ემერსონს ეკუთვნის: „ჩვენს მთავარ საჭიროებას, წარმოადგენს ადამიანი, რომელიც შთაგვაგონებს ჩამოვყალიბდეთ ისეთ პიროვნებად, როგორიც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, შეგვიძლია, რომ ვიქცეთ“. სწორედ ღმერთია ის პიროვნება. მთელი მისი არსება და მისი საქმეები შთაგვაგონებს ჩვენ. შემოქმედმა ოსტატურად შექმნა ყოველივე, რასაც ვხედავთ, გვესმის და ვიცნობთ, როგორც ქმნილებას, რათა კვლავ თავის ღვთაებრივ ბუნებასთან შევერთებინეთ. ღმერთმა თავისი ძე გამოგზავნა, რათა ჩვენ მასთან ურთიერთობა აღვედგინა.

ჩვენს ჭეშმარიტ იდენტურობასთან ამ დიდებული შეერთების მიუხედავად, მრავალი ადამიანი კმაყოფილია იმით, რომ უფლებას აძლევს იმას, თუ რას აკეთებს იგი, ან რა აქვს მას, ან ვინ უყვარს, განსაზღვროს იგი. მაგრამ, უგუნურებაა, შენი იდენტურობა დაუკავშირო იმას, რაც ძალიან ადვილად შეიძლება წარეთვას. სამსახურს იცვლიან, უნარებს და

საგნებს კარგავენ. ყველაზე ახლო ურთიერთობაც კი შეიძლება დაინგრეს. თქვენი ქონება, სამსახური და ირგვლივ მყოფი ადამიანები შეიძლება შეიცვალონ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რასაც არასოდეს დაკარგავთ, - ეს არის ის, თუ ვინ ხართ თქვენ სინამდვილეში, და შემოქმედი, რომელსაც თქვენ ეკუთვნით.

თუ მხოლოდ ის იცით, თუ სად მიდიხართ, რისკის ქვეშ ხართ გზაში, საკუთარი თავი დაკარგოთ. თუ მხოლოდ ის იცით, თუ რისთვის ხართ მოწოდებული, შესაძლოა საკუთარ თავთან კომპრომისზე წახვიდეთ ამ მიზნის მიღწევაში.

ამგვარად, თავს იჩენს უძველესი შეკითხვა:

„რა სარგებლობა აქვს ადამიანს, თუნდაც მთელი ქვეყანა შეიძინოს, სულს კი დაკარგავს? ან რას გაიღებს ადამიანი თავისი სულის სანაცვლოდ?“ (მათე 16:26)

უფრო მნიშვნელოვანია იცოდეთ, თუ ვინ ხართ, ვიდრე ის, თუ სად მიდიხართ და ისიც კი, თუ რისი უნარი გაგაჩნიათ. ვინაიდან ღმერთი თქვენი შემოქმედია, მას აქვს სათქმელი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ ხართ თქვენ. პასუხი კითხვაზე, თუ ვინ ხართ თქვენ, თავის თავში მოიცავს გამოცხადებას იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება რომ გახდეთ.

## 306 ხართ თქვენ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, არ არის საჭირო იმის გახსენება, თუ რა გააკეთეთ და არც იმის, თუ რა გამოიარეთ ცხოვრებაში. ნუ შეაფასებთ საკუთარ თავს თქვენი სამსახურით და ნურც ოჯახური მდგომარეობით – გათხოვილი არ ვარ, ქმართან გაყრილი ვარ ან ვიღაცას ვხვდები. აյ Faceboook-ის გვერდის განახლებაზე არაა საუბარი. ეს პასუხი არც ჩემთვის არის საჭირო და არც სხვისთვის.

მსურს, რომ თქვენ იცოდეთ, თუ ვინ ხართ.

ვიდრე გავაგრძელებდეთ, აიღეთ კალამი, დახუჭეთ თვალები და სთხოვეთ შემოქმედს ჩაგრძულებულოთ ის უნიკალური დანიშნულებები, რომლებიც მან თქვენთვის ჩაიფიქრა. ნუ შეგემინდებათ ჩაინიშნოთ სიყვარულისა და დაფასების სიტყვები. მათში ღვთის შეხედულება ირეკლება თქვენს შესახებ. შეჩერდით და შეიცანით. გამოწვევას გთავაზობთ, ჩაიწეროთ სამი სიტყვა ან ფრაზა, რომელთაც ღმერთი ჩუმად ჩაგრძულებდეთ. როდესაც დაასრულებთ ამის კეთებას, შეხედეთ იმ სიტყვებს, რომლებიც მოისმინეთ იმ მომენტში, როდესაც შეძელით თქვენდამი სხვისი განსაზღვრება და იმის

## კონცურენციის გარეშე

მოსმენა, თუ ღმერთი რას ამბობს თქვენზე. შესაძლოა, თქვენ ცოტაოდენ გაიცებთ ის სია, რომელიც შეადგინეთ. შესაძლოა, უკვე დიდი ხანია, ასე აღარ შეგიხდავთ საკუთარი თავისთვის?

მერწმუნეთ, ღმერთი არასოდეს იტყვის არაფერს ისეთს, რაც მის სიტყვას ეწინააღმდეგება. სულინმიდა აცოცხლებს იმას, რასაც ღვთის სიტყვა ხაზს უსვამს. ჩვენ გვაქვს ბიბლია, მაგრამ ჩვენ არა მხოლოდ უნდა ვკითხულობდეთ მას, არამედ უნდა ვუსმენდეთ კიდეც. ბიბლიის თარგმანში “Message” წერია, რომ „ღმერთი გულგრილი დამკირვებელი არ არის“ (ებრაელთა 12:28). დარწმუნებული ვარ, რომ მუდმივი კითხვა, რომელიც შვიდჯერ არის წამოჭრილი გამოცხადების წიგნში, დღეს ჩვენთვის გამოწვევასავით ჟღერს.

„გახსნილია თუ არა თქვენი ყურები? ისმინეთ ქარის სიტყვები, რომელთაც სულინმიდა უბერავს ეკლესიების მეშვეობით!“ (გამოცხადება 2:7, 11, 17, 29; 3:6, 13, 22, ‘Message’)

ეს კითხვა შვიდჯერ მეორდება ბიბლიის ერთ წიგნში, შესაბამისად, იგი ძალზე მნიშვნელოვანია... ეს მაიძულებს ვიფიქრო, რომ მაშინაც კი, როდესაც ვფხიზლობ, ჩემს ყურებს შეიძლება არ ესმოდეთ. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს წიგნი გახსნის თქვენს ყურებს და აიძულებს მათ მოისმინონ.

თუმცა, ჩვენ შეგვიძლია მოვპრუნდეთ და მოვისმინოთ ღვთის ხმა. და რა შეიძლება მოხდეს, თუკი მოვიწვევთ სულინმიდას ჩვენი ცხოვრების ისეთ სფეროებზე სასაუბროდ, რომელთა შესახებ გვგონია, რომ იგი ჩუმად არის? მისცემთ მას უფლებას, რომ პირისპირ დაგელაპარაკოთ? შეუძლია ღმერთს კონკრეტულად გელაპარაკოთ თქვენს მეგობრობას, ქორწინებასა და ოჯახზე? ჩვენ უკვე მივეჩიეთ ჩვენი ყრუ ყურების მიყურადებას უფლის გაფრთხილებებისადმი და ამასთან ერთად სხვა სფეროების იგნორირებას, რომელთა ავსებაც სურს მას. მოსმენა, ქრისტეს სხეულში, ინყება ცალკეული ადამიანების გადაწყვეტილებით, მოუსმინონ ღმერთს. გავბედავთ თუ არა ჩვენი ყურების გახსნას მისი ხმის მოსასმენად?

ჩვენ ვერ მივცემთ საკუთარ თავს უფლებას, ეჭვი შეგვეპაროს იმ უნიკალურ მოწოდებაში, რომელიც ღმერთმა გვიბონა. თუ ასე მოვიქცევით, ეჭვის თვალით, შიშითა და რისხვით მოვეპყრობით ყველა ნიჭს, რომელიც ღმერთმა მოგვცა. მას სურს გამოისყიდოს, აღადგინოს და შეცვალოს ჩვენი ბუნება, რათა არავითარმა შემთხვევებმა და გარემოებებმა, არავითარმა

## იდენტურობა მეტოქის გარეშე

მომენტებმა და არავითარმა სახელებმა წარსულიდან არ განაპირობონ ჩვენი ვინაობა. დიახ, შემთხვევებმა, კრიტიკამ და სხვადასხვა მოვლენებმა შეიძლება განგვაახლოს, მათ გააჩნიათ პოტენციალი გავლენა მოახდინონ ჩვენი ცხოვრების ხარისხზე, მაგრამ ცხოვრების სუბსტანცია სხვა რამეშია – იგი ღმერთშია.

ღმერთი გულწრფელად გეძებდათ თქვენ, რამეთუ უნიკალური სიყვარულით უყვარხართ და იმიტომ, რომ თქვენ უნიკალურად ასახავთ მის სიყვარულს სხვა ადამიანების მიმართ. ჩვენი, როგორც ღვთის შვილების ორიგინალურობა, მხოლოდ დასაწყისია, რომელიც რაღაც უფრო დიდში გადაიზრდება, როდესაც ღვთის თითოეული შვილი იქცევა იმად, რადაც ღმერთმა შექმნა იგი. სამყაროში, სადაც თითოეული ცდილობს, აღმოაჩინოს ან გადააკეთოს საკუთარი თავი, ღმერთი ასრულებს იმას, რაც მან ჩაიფიქრა. ეს წიგნი, გახლავთ მოწოდება, გაჰყვეთ ღმერთს... რათა მან შეძლოს თქვენი ნამდვილი ბუნების გამოააშკარავება.

### პითევები დისკუსიისთვის

1. რატომ არის იმის ცოდნა, თუ ვინ ხართ, უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, თუ სად მიდიხართ?
2. განიხილეთ, თუ რატომ არის „უნიკალური“ უფრო უკეთესი, ვიდრე „თანაბარი“ ან „მსგავსი“?
3. დაასახელეთ რამდენიმე მეტოქე, რომელთაც გაძარცვეს თქვენი უნარი, მიგეღოთ საკუთარი ინდივიდუალურობა და ღვთის სიყვარული.
4. როულია თუ არა თქვენთვის აღწეროთ საკუთარი თავი იმ კატეგორიებით, რომლებიც თქვენს საქმიანობას არ ეხება? თუ ასეა, რატომ?
5. რას ამბობს თქვენს შესახებ ღმერთი?



# 2

## ჩვენი გაუდარებელი ლმართი

„აქ დაბეჭდილი სიტყვები წარმოადგენს ცნებებს. თქვენ გა-  
მოცდილება უნდა შეიძინოთ!“

ნეტარი ავგუსტინე

### არავინ არის მისი მსგავსი

1980-იანი წლების ბოლოს ქრისტიანული მუსიკის ლანდშაფტმა შეცვლა დაიწყო, რამეთუ Integrity Music-ი მთელს მსოფლიოს უვლიდა, რათა სხვადასხვა ქვეყნების თაყვანისცემის მუსიკა გაეცნო ჩვენთვის აქ, ჩრდილოეთ ამერიკაში. ჩვენი ოჯახი აღტაცებით ელოდა ყოველ თვე, თუ როდის ჩამოვიდოდა უახლესი კასეტა (დიახ, მე ასეთი ასაკოვანი ვარ). ერთი ჩანაწერი განსაკუთრებით მოსწონდა ჩვენს ოჯახს: „იხარე აფრიკაგ!“. დღესაც თვალწინ მიდგას ჩემი რიგით მეორე ბიჭი, ოსტინი, რომელიც მიკი მაუსის საცვლით თავის სათამაშო ცხენზე ზის და ხმამაღლა მღერის სიმღერას.

ერთ-ერთ სიმღერაში, ქება-დიდების სამხრეთ აფრიკელი ლიდერი მგზნებარედ რთავდა სიმღერაში ფრაზას: „არავინაა მისი მსგავსი!“

ყოველთვის, როდესაც სიმღერა ჩაირთვებოდა, ჩემი სამი წლის ვაჟი, ყოველგვარი მერყეობის გარეშე, ცდილობდა მიმიკით მიებაძა თაყვანისცემის ლიდერის მგზნებარე გამოთქმისთვის.

## პონტურიცის გარეშე

ერთხელ ოსტინი მომიახლოვდა და შემდეგი კითხვა დამისვა:

– დედა, ყველას რატომ არ მოსწონს ღმერთი?

მე როგორც შემეძლო ავუხსენი, რომ სიმღერაში საუბარია არა იმაზე, რომ ღმერთი არავის მოსწონს, არამედ იმაზე, რომ არავინ არის მისი მსგავსი.

„შხოლოდ ღმერთი“ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვემსახურებით ღმერთს, რომელიც მარტოსული ან მოწყებილია. ისევე როგორც, ფრაზა „არავინაა მის გარდა“ არ ნიშნავს იმას, რომ არავის სურს მის გვერდით ჯდომა.

ჩვენი ღმერთი პასიურად არ გვიყურებს და არ გველოდება. მან უკვე ალასრულა თავისი საქმე, ისვენებს თავის დასრულებულ საქმეში და ხარობს, როდესაც მისი შვილები სთხოვენ ფარდა ახადოს ამ ისტორიას.

და ეს დიდებული და წმიდა ღმერთი გარეგნობას არ უყურებს.

მისი უპირატესობა წარსულსა, აწმყოსა და მომავლში რაღაცნაირად სინერონიზირებულია ისე, რომ იგი დასაწყისში ხედავს დასასრულს და იწყებს ყველაფერს მას შემდეგ, რაც უკვე დაასრულებს მას.

ჩვენი მეშვეობით, მას სურს, რომ იყოს ჩვენში და გამოვლინდეს ჩვენგან არა იმიტომ, რომ ჩვენი თვალები სჭირდება, არამედ იმის გამო, რომ ჩვენ გვჭირდება მისეული ხედვა.

„უზენაესი ღმერთი“ აღწერს ღმერთს, როგორც ყველა-ფერზე უფრო მაღლა მყოფს, იმდენად მაღლა, რომ ჩვენ ვერ ვწვდებით მის მნიშვნელობას. მეფისალმუნე შიშმა მოიცვა ამ გამოცხადების მიღების შემდეგ, ფსალმუნი 96.

„უმღერეთ უფალს ახალი სიმღერა,

უმღერე უფალს, მთელო ქვეყნიერებავ!

უმღერეთ უფალს, აკურთხეთ მისი სახელი,

დღითიდღე ახარეთ ხსნა მისმიერი!

აუზყეთ ერებს მისი სიდიადე,

ყოველ ხალხს მისი სასწაულები!

რადგან დიადია უფალი და დიდად

საქებარი, ყველა ღმერთზე საშიშია იგი.

რადგან ხალხთა ყველა ღმერთი

კერპებია, უფალმა კი ცანი შექმნა.

სიდიადე და ბრწყინვალებაა მის წინაშე,

ძალა და მშვენიერებაა – მის საწმიდარში.

უძლვენით უფალს, ხალხთა

ტომებო, უძლვენით უფალს დიდება და ძალა!

უძლვენით უფალს დიდება მისი  
სახელისა! წაუღეთ ძლვენი და  
მიდით მის ეზოებში!  
თაყვანი ეცით უფალს წმიდა  
მოწინებით; თრთოდე მის წინაშე,  
მთელო ქვეყნიერებავ!“ (მუხლები 1-9)

კვლავ და კვლავ, წმიდა წერილი ამა თუ იმ ფორმით სვამს შემდეგ კითხვას: „ვინ არის უზენაესის მსგავსი?“

ეს არგახლავთ რიტორიკული შეკითხვა, რომელიც დაგვისვეს, რათა ვიფიქროთ მასზე. ეს არის სიცოცხლის განმსაზღვრელი კითხვა, რომელიც ხმამაღლა გაცემულ პასუხს მოითხოვს: „არავინ!“ ჩვენი პასუხი ღვთის უპირატესობის ამ განცხადებაზე გვაყენებს პოზიციაში, რომ მივიღოთ ან უნებლიერ უარვყოთ ის ყველაფერი, რაც ღმერთს ჩვენთვის აქვს გამზადებული. იცით, ერთხელ გამოჩნდა ის, ვინც საკუთარი თავი უზენაეს ღმერთს გაუტოლა. ეს იყო ანგელოზი, რომელიც მრავალი რამის გამო შეიძლებოდა სრულყოფილების სისრულედ ჩათვლილიყო, ჩვენ საჭანად ვიცნობთ მას, მაგრამ მისი სახელი ლუციფერი იყო, დილის ვარსკვლავი და მთავარანგელოზი, რომელიც ქება-დიდების მსახურებას უძლვებოდა. არსებითად, იგი შემოქმედის დიდებას უმზერდა და უზენაესის წმიდა თანდასწრებაში იმყოფებოდა სატახტო დარბაზში. ეზეკიელის 28:12-17-ში იგი ასეთნაირად არის აღწერილი:

„სრულყოფილების მაგალითი იყავი,  
სიბრძნითა და სრული მშვენებით სავსე,  
ედემში, ღვთის ბაღში იმყოფებოდი,  
ყველა ძვირფასი ქვა გემოსა,  
წითელი ლალი, ტოპაზი და ალმასი,  
ქრიზოლითი, ონიქსი, იასპი,  
საფირონი, ზურმუხტი და ბივრილი;  
ოსტატურად გესხდა ოქროს ბუდეებში;  
შენი შექმნის დღეს გამზადდა.  
მფარველ ქერუბად გცხე, ღვთის წმიდა  
მთაზე დაგადგინე; ცეცხლოვან ქვებს  
შორის დადიოდი. უმწიკვლო იყავ შენს  
გზაზე, შენი შექმნის დღიდან,  
სანამ უმართლობა გამოგაჩნდებოდა.  
შენი ნავაჭრის სიმრავლემ ძალადობით  
აგივსო შინაგანი და შესცოდე;  
მოგაშორე ღვთის მთას, როგორც

## კონცურენციის გარეშე

შებილწული და გაგაძევე, მფარველო  
ქერუბო, ცეცხლოვანი ქვების  
შუაგულიდან. აღზევდა შენი  
გული შენი სილამაზით,  
გაიხრწნა ბრწყინვალება  
შენი სიბრძნისა;“.

ლმერთმა იგი ბრწყინვალედ შექმნა, სიბრძნით სავსე და  
სრულყოფილი ფორმა და ფუნქცია მიანიჭა. რაღაც მომენტში,  
მისმა თაყვანისცემამ იკლო. შესაძლოა, რომ იგი საკუთარი  
თავით აღტაცებამ შეცვალა. მისი ცოდვით დაცემის გზა  
მკაფიოდ არ ჩანს, მაგრამ, ვიცით, რომ ამ ბრწყინვალე და  
ბრძენმა არსებამ, ლმერთს როგორც კონკურენტს, ისე დაუწყო  
ყურება. თაყვანისცემის დინამიკაში არსებობს გაგება, რომ  
ღვთის გარეშე შენ არაფერს წარმოადგენ. ესაია მის დაცემას  
შემდეგნაირად აღწერს:

„როგორ ჩამოვარდი ციდან, მნათობო,  
ძეო განთიადისა; მიწამდე ჩამოემხე,  
ერთა დამძაბუნებელო. გულში ამბობდი:  
„ცამდე ავმაღლდები, ღვთის ვარსკვლავთა  
ზემოთ ავიმაღლებ ტახტს, საკრებულო  
მთაზე დავჯდები, ჩრდილოეთის კიდეებზე.  
ლრუბლებს ზემოთ ავმაღლდები,  
უზენაესს დავემსგავსები!“  
(ესაია 14:12-14)

იგივერგახდებოდა უზენაესი ლმერთივით... ამით მას მხოლოდ  
საკუთარი თავის განადგურება შეეძლო და ლუციფერი, დილის  
ვარსკვლავი, მატყუარა სატანად გადაიქცა. ეს წახდენა მის  
გულში დაიწყო. მან სრულყოფილებით დაიწყო და სიყალბით  
დაასრულა. ჩვენ მანკიერები და არასრულყოფილები ვართ  
დაბადებიდან, და ქრისტეში ხელახლა შებით წუნდაუდებელნი  
და სრულყოფილნი ვხდებით. სიამაყე საკუთარი თავის  
თაყვანისცემისკენ უბიძგებს, მაშინ როდესაც თავმდაბლობა  
სიამაყის ეგოიზმს ამარცხებს. როდესაც ესაიამ უფალი იხილა,  
იგი განადგურებული იყო.

„ვთქვი: „ვაი! დავიღუპე, რადგან ბაგეუნმიდური კაცი ვარ  
და ბაგეუნმიდურ ხალხში ვცხოვრობ, ჩემმა თვალებმა კი  
მეფე, ცაბაოთ უფალი იხილეს“. (ესაია 6:5)

ამ განადგურებამ ღვთიური უზრუნველყოფა დააჩქარა და ცეცხლის ერთ-ერთი ქვა, რომელთა შორისაც ღუციფერი დადიოდა, თავმდაბალ ესაიას მოუტანეს.

„და მოფრინდა ჩემთან ერთ-ერთი სერაფიმი, რომელსაც ხელში სამსხვერპლოდან აღებული მოგიზგიზე მუგუზალი ეჭირა მაშით. ბაგეზე შემახო და თქვა: „აჰა, შეეხო მუგუზალი შენს ბაგეს და მოგცილდა ურჯულოება, მიგეტევა შენი ცოდვა“. (ესაია 6:6-7)

როდესაც ვეძებთ უფალს, ვპოულობთ მას. ამ გამოცხადებით, ჩვენ თაყვანს ვცემთ მას და ვაცხადებთ, რომ მხოლოდ ის არის წმიდა, მხოლოდ ის არის კეთილი, მხოლოდ ის არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მხოლოდ უფალია უზენაესი ღმერთი!

ჩვენი ღვთის არსებობა უპრეცედენტოა; მას არ გააჩნია პრეცედენტი ან წინა ათვლის ნერტილი. ღმერთამდე არავინ ყოფილა. ჩვენს ღმერთს ევოლუცია არ განუცდია. იგი იყო, არის და იქნება. ისევე როგორც ჩვენ შევიტყვეთ, რომ უნიკალურები ვართ, ჩვენი ღმერთიც უნიკალურად წარმოიშვა.

ღმერთამდე არ ყოფილა სხვა ღმერთები, სწორედ ამიტომ არ უნდა გვყავდეს სხვა ღმერთები მის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ღმერთი უხილავია, მისი არსებობის უარყოფა შეუძლებელია. რომაელთა მიმართ წერილი ამტკიცებს:

„მაგრამ, ღვთის ძირითადი რეალობა, სავსებით საკმარისია. გაახილეთ თვალები და დაინახავ! ხანგრძლივი და გააზრებული დანახვით იმისა, რაც ღმერთმა შექმნა, ადამიანებს ყოველთვის შეეძლოთ ეხილათ ის, რასაც როგორც ასეთი, საკუთარი თვალებით ვერ ხედავდნენ: მაგალითად, მარადიული ძალა, და მისი ღვთაებრივობის საიდუმლო. ასე რომ, ვერავინ გაიმართლებს თავს“. (რომაელთა 1:19-20 Message)

ინგლისურ სტანდარტულ ვერსიაში ეს შემდეგნაირად არის ნათარგმნი:

„იმიტომ, რომ ცხადია მათთვის, რაც შეეძლება იცოდნენ ღმერთზე, რადგან ღმერთმა განუცხადა მათ. ვინაიდან, ქვეყნიერების დასაბამიდან, ქმნილებათა განხილვით შეიცნობა უხილავნი ღვთისა – მისი მარადიული ძალა და ღვთაებრივობა – ასე რომ, ვერ გამართლდებიან ისინი“.

## კონცურენციის გარეშე

მთელი ქმნილება ადასტურებს მისი შემოქმედის რეალურობას, მაგრამ ჩვენი ღვთის განსაზღვრა – სულ სხვა რამ არის. ვიმედოვნებ, რომ წიგნის წინამდებარე თავი გამოაღვიძებს თქვენს სულს, რომ უფრო მეტი დოზით გქონდეთ ეს ღვთაებრივი კავშირი ღმერთთან.

დავადგინეთ, რომ ჩვენ, როგორც მის ასულებს, მეტოქე არ გვყავს, რამეთუ ჩვენს ზეციერ მამას უნიკალურად ვუყვარვაროთ. იმისთვის, რომ უფრო ღრმად დაუკავშირდეთ უზენაესის მიერ თქვენთვის მოცემულ იდენტურობას, აუცილებელია, რომ უფრო უკეთ გაიგოთ, თუ რას მოიცავს ეს ღვთიური ნიჭი. მოდი, განვავრცოთ ჩვენეული გაგება იმისა, თუ ვინ არის ჩვენი ღმერთი, რომელსაც არ ჰყავს კონკურენტი. მერიებ უებსტერი აღნერს ღმერთს როგორც „სრულყოფილი ძალის, სიბრძნისა და სიკეთის მქონე არსებას, რომელსაც თაყვანს სცემენ, როგორც სამყაროს შემოქმედსა და მმართველს“.

შესაძლოა, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს განსაზღვრება ყოვლისმომცველი და სრულიად ამომწურავია, მაგრამ ეს მხოლოდ დასასაწყისია. ძალიან რეალურ გამოწვევას წარმოადგენს ჩვენი მინიური ენის შეზღუდულობა და აგრეთვე ჩვენი ამქვეყნიური თვალსაზრისის ბრძოლა, ჩვენ არ შეგვიძლია შეზღუდულები არ ვიყოთ შეუზღუდავი ღვთის ინტერპრეტირებაში. როგორ შევძლებთ სიტყვების მოძებნას იმის აღსანერად, ვისი გამოცხადებაც დაგვამუნჯებს?

ღმერთი აღემატება აღნერას.

რაღაცის განსასაზღვრად შენ მისი არსი იმ სიტყვებით უნდა გადმოსცე, რომლებიც მას ასახავს. ჩვენი ენის შეცვლის გზით ღმერთი გამოწვევას უცხადებს ამ პარამეტრებს.

კარგით, მოდი დავივინყოთ განსაზღვრება! რაც შეეხება აღნერას? ესეც შეუძლებელია. როგორ შევძლებთ სიცხადე შევიტანოთ ბუნდოვან მონახაზში, როდესაც მიუწვდელმა ნათელმა დაგვაპრმავა?

„იგი თავის დროზე გამოჩნდება, მისი მოსვლა გარანტირებულია კურთხეული და ერთადერთი ხელმწიფის, მეფეთა მეფისა და უფალთა უფლის მიერ. ის არის ერთადერთი, ვისაც სიკვდილი ვერ ეკარება, მისი სინათლე იმდენად კაშკაშაა, რომ ვერავის შეუძლია მასთან მიახლოება. ადამიანის თვალს არასდროს უნახავს იგი – ადამიანის თვალებს არ ძალუდ მისი ხილვა; მას პატივი და საუკუნო ხელმწიფება! ოჳ, დიახ!“ (1ტიმოთე 6:15-16 Message)

თუკი, ჩვენს თვალებს მისი დანახვაც კი არ შეუძლიათ, მაშინ, როგორ შევძლებდით მისი ფიგურის კონტურული გამოსახულების შექმნას? ჩვენი სიტყვები შეგვარცხვენენ და ჩვენც ვიტყვით იობის მსგავსად, მას შემდეგ, რაც ღმერთი გრიგალიდან დაელაპარაკა მას: „ყურმოკვრით გიცნობდი; ახლა კი გხედავენ ჩემი თვალები. ამიტომ უკან ვიხევ და ვინანიებ მტვერსა და ნაცარში“ (იობი 42:5-6).

ნამდვილად მომწონს, თუ როგორ არის ეს მონაკვეთი ნათარგმნი Message-ის თარგმანში.

„ვალიარებ, რომ აქამდე სხვისგან მსმენია შენს შესახებ; ახლა კი – საკუთარი თვალებით გიხილე და საკუთარი ყურებით მოგისმინე! ვწუხვარ, მომიტევე! აღარასოდეს გავიმეორებ ამას, გპირდები! აღარასოდეს ვიცხოვრებ მოსმენილის ნამცეცებით!“

ყოვლისშემძლის ამ გამოცხადებამ უფრო მეტის წყურვილი ნარმოშვა იობში. მრავალი ჩვენგანი, არ არის კმაყოფილი ღვთის გამოცხადებით, რომელიც აქ აღწერილია, როგორც „პურის ნამცეცები“. ჩვენ კმაყოფილი ვართ ქადაგებების მოსმენით, მოვიწონოთ Facebook-ისა და Instagram-ის პოსტები. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ იმ სადღესასწაულო სუფრასთან შედარებით, რომელიც ღმერთს აქვს თქვენთვის გამზადებული, ეს მხოლოდ პურის ნამცეცებია. ჭეშმარიტება მდგომარეობს იმაში, რომ ღმერთს სურს, რომ თქვენ მისი ერთგულებით იკვებოთ. მსურს მადა აღგიძრათ იმის თქმით, რომ შემოქმედის შესახებ საუბარი, დიდად განსხვავდება იმისგან, რომ მოუსმინო ღმერთს, რომელიც შენ გესაუბრება.

ვიცი, რომ არიან ისეთები, ვინც ამბობს, რომ ჩვენ ვემსახურებით ღმერთს, რომელიც აღარ ლაპარაკობს. მაგრამ, ასეთი მსჯელობა შეურაცხყოფას აყენებს მის ბუნებას. მან რომც გადაწყვიტოს გაჩუმება, მისი ქმნილების სანახაობა იქცევა მის ხმად. მან თავისი სულინმიდა გამოგზავნა ჩვენს მანუგეშებლად და მრჩევლად. როდესაც ბიბლიას ვკითხულობთ, სწორედ სულინმიდა გვასწავლის და მიგვიძლვება ყოველგვარ ჭაშმარიტებაში. უზენაესი ყრუ და მუნჯი კერპი არ არის. ღმერთი არ არის მამა, რომელიც ისმენს, მაგრამ პასუხს არ გვცემს. თუკი ჩვენ ვერ ჩავნვდებით საიდუმლოს, თუ ვინ არის ზეცირი მამა, არ გვეცოდინება, თუ როგორ მიუჟახლოვდეთ მას. ზოგჯერ, ღმერთი თავისი სიტყვის მეშვეობით ლაპარაკობს, ზოგჯერ კი თავისი ქმნილების, მსახურების, ხედვებისა და სიზმრების, და ზოგჯერ კი თავისი სხეულის

## პონტურენციის გარეშე

წევრების მეშვეობით. მე ვილოცე, და მჯერა, რომ იგი ამ წიგნის მეშვეობითაც დაგელაპარაკებათ. ღმერთი ყოველთვის ლაპარაკობს. კითხვა შემდეგში მდგომარეობს: ვუსმენთ მას, თუ ვზღუდავთ? არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ მივიღოთ ეს შეუდარებელი, უსაზღვრო სასანაულის უფალი და გვჯეროდეს, რომ მას პირადი ურთიერთობა სურს ჩვენთან.

ბრწყინვალე თეოლოგმა, თომა აკვინელმა, თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ღვთის შესახებ წერაში გაატარა. იყო რა, მღვდელიც და ფილოსოფოსიც, იგი შრომობდა, რათა მეცნიერული კვლევები, ჩვენი შემოქმედის შეცნობასთან დაეკავშირებინა. თავის სიკვდილამდე სამი თვით ადრე, აკვინელს მუდმივი სამეფოს გამოცხადება ჰქონდა, და მისდამი შიშმა, იგი აიძულა საბოლოო სიტყვები დაეწერა, შემდეგ კი მან კალამი გადადო. აკვინელი წერდა:

„დადგა ჩემი შრომის დასასრული. ყველაფერი, რაც დავწერე, ნამჯას ჰგავს იმასთან შედარებით, რაც გამიცხადდა“.

მაგრამ, მაინც, ეს არის კაცი, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა და დაწერა სიტყვათა ტომები, რომლებიც უზენაესის დიდებასა და ეკლესიის სასწაულს აცხადებდნენ. აგრეთვე, იგი ცხოვრობდა ჩვენი დროიდან განსხვავებულ, სულ სხვა ეპოქაში, როდესაც სიტყვას ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ამიტომ, დიდი სიფრთხილითაც გამოიყენებოდა. წერა-კითხვის შესაძლებლობა მდიდართა, სამეფო გვარისა და მღვდელთა პრივილეგიას წარმოადგენდა. თომა აკვინელი გახლდათ სიტყვის მაღალკვალიფიციური ოსტატი, მაგრამ მან სიტყვა „ნამჯა“ გამოიყენა მთელი თავისი ცხოვრების საქმის აღსანერად. „ნამჯა“ ხშირად გამოიყენება ისეთი რაღაცის აღსანერად, რასაც ფასი არ აქვს. „ნამჯა“ სასარგებლო მარცვლეულის გვერდით პროდუქტს წარმოადგენს, ყველაზე ხშირად იგი საქონლის ქვეშაგებად და მცენარეთა მუზჩად გამოიყენება. არსებითად, იგი ამბობდა, რომ მისი ცხოვრების საქმიანობის ნაყოფი, მხოლოდ იმისთვის თუ ვარგოდა, რომ ადამიანების და ცხოველების ფეხევეშ დასაგებად ყოფილიყო გამოიყენებული.

მან ეს ყველაზე შესაფერის ანალოგიად მიიჩნია, რომელიც შეიძლებოდა მოეყვანა ღვთის შესახებ მის მიერ დაწერილსა და შემოქმედის რეალობას შორის, რომელიც მას გაუცხადდა. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ორმა წინადადებამ უფრო მეტი თქვა, ციდრე ნებისმიერმა სხვა გვერდმა იმ ნაშრომებიდან,

რომელნიც მან ოცი წლის მანძილზე დაწერა. ამ სიტყვებში ჩაქსოვილი იყო თავმდაბლობა და გაოცება, რამეთუ აკვინელმა განიცადა ის, რაც ნეტარმა ავგუსტინემ ათასი წლით ადრე დაწერა: „ღმერთს საუკეთესოდ იცნობ მაშინ, როდესაც არ იცნობ მას“.

ღვთის გამოცხადება იწყება მაშინ, როდესაც ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ფაქტიურად, ჯერ არ ვიცნობთ მას. ყველა განსაზღვრება, რომელიც გვაქვს, ადამიანური კონტექსტითა და კონცეფციებით არის კლასიფიცირებული. ჩვენი მცდელობა, მოვახდინოთ იმის ფორმულირება, თუ ვინ არის ღმერთი, შეიძლება შევადაროთ ბავშვის მცდელობას აღწეროს დედამისი მაშინ, როდესაც მას ჯერ სიტყვების ფორმულირება არ მოუხდენია. სიცოცხლის უზარმაზარ სამყაროში, ადამიანები ქმნილების მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე არიან დასახლებულები. ეს იმის მსგავსია, რომ ჩვენ ქვიშის მარცვალზე ვიდგეთ და იქიდან, ოკეანისა და მთელი მისი სიღრმის აღწერა ვცადოთ.

## 306 არის ჩვენი ღმერთი?

და მაინც, ჩვენი მამის სურვილია, რომ უფრო ახლოს მივიდეთ მასთან, რათა უკეთ გავიცნოთ იგი, განვიცადოთ მისი თანდასწრება და ვისწავლოთ მისი ხმის გარჩევა. ისევე როგორც, სულ სხვა რამ არის იცოდე ცეცხლის შესახებ, და სულ სხვა განიცადო მისი სინათლე, სითბო და სიმსურალე. ღმერთი გვეპატიუება რომ გავიცნოთ იგი და არა უბრალოდ ცოდნა გაგვაჩნდეს მის შესახებ. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე განაცხადი, რაშიც სრულად ვართ დარწმუნებული, რამეთუ სწორედ ასე წარადგენს იგი საკუთარ თავს წმიდა წერილებში:

„მე ვარ ... ერთი“ (ლკ. 6:4; მარკ. 12:29; გალ. 3:20; 1ტიმ. 2:5; იაკ. 2:19;)

„მე ვარ ... ალფა და ომეგა“( გამოცხ. 1:8; 21:6; 22:13;)

„მე ვარ ... რომელიც ვარ.“ (გამოსვ. 3:14;)

„მე ვარ ... უკუნიოთი უკუნისამდე“ (1ნებტ. 16:36;)

„მე ვარ ... შენი რწმენის წინამძღოლი და სრულმყოფელი“ (ეპრ. 12:2;)

„მე ვარ ... ცისა და მიწის შემოქმედი“ (დაბ. 1:1;)

„მე ვარ ... შემძლე“ (მათ. 3:9;)

„მე ვარ ... სიყვარული“ (1 იოან. 4:7-8,16;)

„მე ვარ ... კეთილი“ (მარკ. 1:18; 1 ტიმ. 4:4;)

## პონტურენციის გარეშე

- „მე ვარ ... თქვენს შორის“ ( რჯუ. 6:15; ლუკ. 17:21; 1 კორ. 14:25;)
- „მე ვარ ... ჭეშმარიტება და სიმართლე“ (იოან. 3:33;)
- „მე ვარ ... შენი მკურნალი“ (გამოსვ. 15:26;)
- „მე ვარ ... სული“ (იოან. 4:24;)
- „მე ვარ ... მამა“ (იოან. 6:46; ფილ. 1:8; 1 თეს. 2:5;)
- „მე ვარ ... ძეში განდიდებული“ (იოან. 13:31;)
- „მე ვარ ... შენი მონმე“ (რომ. 1:9; ფილ. 1:8; 1 თეს. 2:5;)
- „მე ვარ ... გაცხადებული“ (რომ. 1:17;)
- „მე ვარ ... შენს მხარეს“ (რომ. 8:31;)
- „მე ვარ ... ყოველთა ზედა“ (რომ. 9:5; ეფეს. 4:6;)
- „მე ვარ ... მოწყალე“ (რჯუ. 4:31; რომ. 12:1;)
- „მე ვარ ... ერთგული“ (1 კორ. 1:9; 10:13; 2 კორ. 1:18;)
- „მე ვარ ... ადამიანებზე ბრძენი“ (1 კორ. 1:25;)
- „მე ვარ... არა უნესრიგობის ღმერთი“ (1 კორ. 14:33;)
- „მე ვარ ... მშვიდობის ღმერთი“ (1 კორ. 14:33;)
- „მე ვარ ... შენი შემძლეობა. (2 კორინთელთა 3:2;)
- „მე ვარ ... შემბრალე და მოწყალე“ (გამოსვ. 34; ნეემ. 9;)
- „მე ვარ ... სულგრძელი“ (იოელი 2:13; ნაუმი 1:3;)
- „მე ვარ ... ამაღლებული“ (ფილ. 2:9;)
- „მე ვარ ... შენში მოქმედი“ (ფილ. 2:13;)
- „მე ვარ... უხილავი“ (კოლ. 1:15;)
- „მე ვარ ... ღმერთი, რომელიც მოდის“ (კოლ. 3:6;)
- „მე ვარ ... სამართლიანი მსაჯული“ (2 თესა. 1:5;)
- „მე ვარ ... ყველა ადამიანის მხსნელი“ (1 ტიმ. 2:4; 4:10;)
- „მე ვარ ... არა შებორკილი“ (2 ტიმ. 2:9;)
- „მე ვარ ... ყოველივეს ალმშენებელი“ (ებრ. 3:4;)
- „მე ვარ ... სამართლიანი“ (ებრ. 6:10;)
- „მე ვარ ... ცოცხალი“ (ებრ. 10:31;)
- „მე ვარ ... მშთანთქმელი ცეხლი“ (რჯ. 6:3; ებრ. 12:29;)
- „მე ვარ ... სინათლე“ (1 იოან. 1:5;)
- „მე ვარ ... თქვენს გულებზე დიდი“ (1 იოან. 3:20;)
- „მე ვარ ... ღმერთი, რომელიც იყო, არის და მოვა“ (გამოცხ. 1:18;)
- „მე ვარ ... წმიდა“ (გამოცხ. 4:8;)
- „მე ვარ ... ყოვლისმპყრობელი“ (გამოცხ. 11:17;)
- „მე ვარ ... შენი ძალა“ (გამოსვ. 15:2;)
- „მე ვარ ... შენი სიმღერა“ (გამოსვ. 15:2;)
- „მე ვარ ... ეჭვიანი“ (გამოსვ. 34:14; რჯუ. 4:24;)
- „მე ვარ ... არა კაცი“ (რიცხვ. 23:19; რჯუ. 4:24;)
- „მე ვარ ... ღმერთია ღმერთი და უფალთა უფალი“ (რჯუ. 10:17;)

„მე ვარ ... დიადი, ძლიერი და საშინელი“ (რჯუ. 10:17;)  
„მე ვარ ... არა პირმოთნე“ (რჯუ. 10:17;)  
„მე ვარ ... შენი დიდება“ (რჯუ. 10:21;)  
„მე ვარ ... შენთან, ბრძოლის დროს“ (რჯუ. 20:4;)  
„მე ვარ ... მეომარი“ (გამოსვ. 15:3;)  
„მე ვარ... შენი თავშესაფარი“ (რჯუ. 33:27;)  
„მე ვარ... შენი კლდე და ციხესიმაგრე“ (2 სამუელი 22:32-33;)  
„მე ვარ... ღმერთი და სხვა არავინაა ჩემს გარდა“ (რჯულ. 4:32,35; 1მეფ. 8:60;)

და, ეს არ გახლავთ ამომწურავი სია! მე გთავაზობთ შეისწავლოთ თითოეული მათგანი, მაგრამ წინამდებარე თავში მსურს სამ მათგანზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. პირველი, რომელსაც მინდა შევეხო, არის კონცეფცია, რომ ღმერთი ერთია.

## ღმერთი ერთია!

„ისმინე ისრაელ, უფალი, ჩვენი ღმერთი – ერთი უფალია. შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი არსებით!“. (რჯუ. 6:4-5;)

ნუ იფიქრებთ, რომ ამ შემთხვევაში „ერთი“ ნიშნავს იმას, რომ ჩვენმა ღმერთმა პირველი ადგილი აიღო ღმერთების უნივერსალურ კონკურსში. მინიშნება „ერთი“ იმდენად ღვთის რიცხვობრივ უპირატესობაზე არ მიუთითებს, რამდენადაც განმარტავს, რომ შემოქმედი არის ერთი და ერთადერთი. ერთი ნიშნავს იმას, რომ სხვა არ არსებობს. არ არსებობს ღმერთი რიგით მეორე, მესამე ან მეოთხე. მხოლოდ ის არის ღმერთი, რამეთუ მხოლოდ ის არის ღმერთი. ეს შეესაბამება იმას, რასაც იესომ უდიდესი მცნება უნოდა:

„უპასუხა: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით! ეს არის პირველი და უდიდესი მცნება“. (მათე 22:37-38)

ჩვენი სიყვარული ღვთის მიმართ, გულის, სულისა და გონების ერთობლივ გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს. მხოლოდ უზენაესია ჩვენი ფოკუსირების ცენტრი და მხოლოდ ის არის ჩვენი თაყვანისცემის ღირსი. ღმერთმა იცის, რომ ჩვენ წარმატებას ვერ მივაღწევთ გაყოფილი გულით, იგი ვერ

## კონცურენციის გარეშე

აიტანს თავის მეტოქე „ღმერთებს“ ჩვენს ცხოვრებაში, ასე რომ ეს კარგ შეთანხმებას წარმოადგენს. ეს მცნება იმიტომ არ მოუცია ღმერთს, რომ იგი არ არის დარწმუნებული თავის პოზიციაში ჩვენში; არამედ იგი ჩვენს დასაცავად მოგვეცა, რათა სხვა მიმართულებით არ წავიდეთ და გზას არ ავცდეთ.

წმიდა წერილის ეს მონაკვეთი, შესაძლოა დამაბნეველი იყოს ჩვენს დროში, როდესაც ადამიანები არ აცხადებენ საკუთარ თავებს სხვა ღმერთების თაყვანის მცემლებად. ჩვენ უფრო მეტი ალბათობით, ხელოვნურ კერპებს ვცემთ თაყვანს, ვიდრე ძველ ღვთაებებს. ღმერთი თავიდანვე აფრთხილებდა თავის შვილებს:

„არ გაიკეთოთ კერპები და გამოსახულებანი, არ აღმართოთ სვეტები და მოხატული ქვა არ დაიდგათ ქვეყანაში თაყვანის საცემად, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი“ (ლევიანები 26:1)

  
**კერპი არის  
ნებისმიერი რამ,  
რასაც შენ შენს  
ძალას აძლევ,  
ან თავად  
ღებულობ ძალას  
მისგან.**

მრავალ ჩვენგანს არ აღუმართავს სვეტები და ქვის ქანდაკებები ჩვენს სახლება და ეზოებში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს კერპებს საკუთარი გულით არ ვატარებთ. კერპი არის ნებისმიერი რამ, რასაც შენ შენს ძალას აძლევ, ან თავად ღებულობ ძალას მისგან. ეს არის ის, რასთანაც მიღიხარ სიცოცხლის მისაღებად. ეს შეიძლება იყოს ის, რასაც შენ მიმართავ, როგორც თავშესაფარს. შესაძლოა ეს იყოს ისეთი მიწიერი რამ, როგორიცაა საჭმელი, ან თქვენი ჩართულობა სოციალურ ქსელებში. თუკი გადახედავთ ზემოთ მოცემულ ჩამონათვალს, სადაც ჩამოთვლილია, თუ ვინ არის ღმერთი, მაშინ უნდა იცოდეთ, რომ ის არის ჩვენი ძალა, სიცოცხლე და თავშესაფარი. არც ერთ ადამიანს, ურთიერთობას ან საგანს არ უნდა ჰქონდეს თქვენზე ძალაუფლება, გარდა უზენაესისა.

ზოგიერთი ჩვენგანისთვის, ჩვენი გრძნობები წარმოადგენს კერპს. თუ თავს ლამაზებად ვერძნობთ, გვგონია, რომ ჩვენ ვართ ლამაზები. თუ თავს კარგებად ვერძნობთ, გვგონია, რომ ჩვენ ვართ კარგები. თუკი მხოლოდ გრძნობებით მავალნი ვიქნებით, მოტყუებულები დავრჩებით და დიდი დრო არ დაგვჭირდება იმისთვის, რომ გზას ავცდეთ.

ჭეშმარიტება კი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ ლამაზი ხართ, რადგანაც ღმერთი ხსნით დაამშვენებს თავმდაბლებს (ფსალმუნი 149:4). თქვენ ლამაზი ხართ, რამეთუ ღმერთმა თავის დროზე, ყოველივე მშვენივრად შექმნა (ეკლესიასტე 3:11). ნუ მისცემთ უფლებას უგუნურ კერპებსა და იმის იმიჯმეიკერებს, რასაც ქვეყნიერება სილამაზეს უწოდებს გიკარნახონ ცხოვრების წესები, როდესაც ღმერთმა უკვე წარმოსთქვა კურთხევა თქვენს ცხოვრებაზე! დავითი, თაყვანისცემის მეომარი, ასე აღწერდა კერპთაყვანისმცემლობას:

„მათი კერპები ვერცხლი და ოქროა,  
ადამიანთა ხელით შექმნილი.  
პირი აქვთ და ვერ ლაპარაკობენ,  
თვალები აქვთ და ვერ ხედავენ.  
ყურები აქვთ და არ ესმით, ცხვირი  
აქვთ და ვერ იყნოსავენ.  
ხელები აქვთ და ვერაფერს ეხებიან,  
ფეხები აქვთ და ვერ დადიან,  
ხმას ვერ გამოსცემენ თავისი ხორხიდან.  
მათ დაემსგავსებიან მათი გამკეთებლები,  
ყველა, ვინც მათზეა მინდობილი“.  
(ფსალმუნი 115:4-8)

რას ნიშნავს ეს, „მათ დაემსგავსებიან მათი გამკეთებლები“? როდესაც თქვენ აამაღლებთ იმას, რაც ადამიანურია, თქვენ შემოიფარგლებით მხოლოდ იმით, რისი შექმნაც ადამიანებს შეუძლიათ. კერპები წარმოადგენენ მხოლოდ ფორმებს, რომელთაც ფუნქცია არ გააჩნიათ. ისინი მხოლოდ ჰგვანან ცოცხლებს, მაგრამ, არანაირი ძალა არ გააჩნიათ სხვებისთვის გადასაცემად. ამგვარად, მათი თაყვანისმცემლები საფრთხის წინაშე აყენებენ შემოქმედის მიერ მათთვის მიცემულ გრძნობებს, კარგავენ ხმას და მოძრაობის თავისუფლებას. როდესაც ღმერთს სცემ თაყვანს, შენ მისი ხატების მსგავსად დიდებიდან დიდებაში გარდაისახები. ვინაიდან, არავინაა ჩვენი ზეციერი მამის მსგავსი, არ არსებობს უფრო უკეთესი გზა თქვენი უნიკალურობის გამოსავლენად, ვიდრე ის რომ მას გაჰყვეთ. თქვენ შეგიძლიათ სხვა ადამიანების მოწაფეები გახდეთ, მაგრამ, არასოდეს არ უნდა იყოთ მათი თაყვანისმცემლები.

## ღვართი ალფა და ომაგაა

მეორე ჭეშმარიტება, რომ ღმერთი მარადიულია, მხოლოდ და მხოლოდ სხვა გზას წარმოადგენს იმის სათქმელად, რომ ის არის ალფა და ომეგა. ალფა და ომეგა ბერძნული ანბანის პირველი და უკანასკნელი ასოებია. როდესაც ეს სიტყვები ერთად გვხვდება კონტექსტში, ისინი წარმოადგენენ ყველაფერს, დასაბამიდან დასასრულამდე. ალფა ნიშნავს „დასაწყისს, წარმოშობას, დაბადებას, ჩასახვას და საწყისს“. რაც შეეხება ომეგას, მისი განსაზღვრება არ არის მკაფიო, მაგრამ ის ნიშნავს „დასასრულს, საბოლოო წერტილს და უკიდურესს“. შესაძლოა, ომეგას განსაზღვრება უფრო ფართო იყოს, რამეთუ ჩვენ, ადამიანები უფრო კარგად ვიცნობთ იმას, რაც იყო, ვიდრე იმას, რაც იქნება. სწორედ ამიტომ უნდა მივუახლოვდეთ ღმერთს, რათა მისი რჩევა მოვისმინოთ. მხოლოდ ღმერთი არსებობდა ყოველთვის. არავინაა ჩვენი ღვთის მსგავსი. ესაია წინასწარმეტყველი ამბობს:

„გაიხსენეთ უწინდელი, დიდი ხნის წარსული, რადგან მე ღმერთი ვარ და არ არის სხვა, მე ღმერთი ვარ და არვინ არის ჩემი მსგავსი. დასაწყისიდანვე ვაცხადებ დასასრულს და უძველესი დროიდან იმას, რაც ჯერ არ მომხდარა; ვამბობ: ‘ჩემი განზრახვა აღსრულდება და ყოველ ჩემს სურვილს ავასრულებ’“. (ესაია 46:9-10)

ხოლო Message-ის თარგმანი ასეთია:

„გახსოვდეთ თქვენი ისტორია, თქვენი ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია. მევარღმერთი, ერთადერთიღმერთი, რომელიც თქვენ გყავდათ, ან ოდესმე გეყოლებათ – შეუდარებელი, შეუცვლელი – რომელიც დასაბამიდანვე გაუწყებდით, თუ როგორი იქნებოდა დასასრული, გიცხადებდით რა მთელი ამ ხნის განმავლობაში იმას, თუ რა უნდა მოხდეს, და გარნშენებდით, “მე ხანგრძლივი დროით ვარ ამაში, და ზუსტად აღვასრულებ იმას, რაც დავაწესე“.

ღმერთი დასაწყისშივე აცხადებს ყველაფრის ბოლოს. იგი აცხადებს ომეგას მაშინ, როდესაც ჯერ მხოლოდ ალფა დაიწერა. ჩვენ გვთავაზობენ გავიხედოთ უკან და დავინახოთ მისი ერთგულება. მან იცის, თუ როგორ დამთავრდება თითოეული დღე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის მხოლოდ თენდება.

„დიდი ხნის მანძილზე, მე გიმხელდით ჩემი მოქმედების გზას: მე წინასწარ გეუბნებოდით იმას, რის გაკეთებასაც ვაპირებდი, შემდეგ ვაკეთებდი ამას და ყველაფერი სრულდებოდა, და ეს არის ის“. (ესაია 48:3 Message)

ეს დასრულებული და საბოლოოა. მას არაფერი დაუტოვებია, რომ არ აღესრულებინოს; მას არაფერი შეუცვლია, არ გადაუფიქრებია და უკან არ დაუხევია. მისი საბოლოო პასუხი იქსო იყო.

„ამიტომ, წინასწარ შეგამზადეთ და გითხარით თუ რა მოხდებოდა, ვიდრე ეს მოხდებოდა. ამიტომ, ვერ იტყვით: „ჩემმა კერპმა გააკეთა ეს“. „ჩემმა გამოთლილმა კერპმა ბრძანა ამის აღსრულება“. თქვენი საკუთარი თვალები და ყურები დაგემონებიან ამაში. განა არ უნდა საუბრობდეთ ამაზე? და ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მე ბევრად უფრო მეტი მაქვს თქვენთვის სათქმელი, ისეთი რამ, რისი არსებობის შესახებ არც იცოდით“. (ესაია 48:5-7)

ჩვენი ღმერთი დასაწყისში გვეუბნება ყველაფერს, რათა არ ვენდოთ ისეთ ადამიანებს ან მოვლენებს, რომელთა ნდობაც იმედს გაგვიცრუებს ან წარუმატებლობას მოგვიტანს. განა უფრო მეტად იმაზე არ უნდა ვსაუბრობდეთ, თუ რა გააკეთა მან, ნაცვლად იმისა, რომ ვსაუბრობდეთ იმაზე, თუ ჩვენ რა გავაკეთეთ? განა უფრო მეტად არ უნდა ვიყოთ გათვითცნობიერებული იმაში, რასაც შემოქმედი გვაუწყებს წინასწარ, ვიდრე მისი ქმნილების წინასწარმეტყველებებში?

ღმერთი ამბობს:

„ეს არ არის ერთი და იგივე ძველი რაღაცის ვარიაცია. ეს ახალია, ახალთახალი, რაღაც ისეთი, რაზეც არასოდეს იფიქრებდით, ან იოცნებებდით. როდესაც მოისმენთ მას, ვერ იტყვით, „მე მთელი ამ დროის მანძილზე ვიცოდი ეს“. (ესაია 48:7 Message)

აი, ისიც...

ჩვენი ღმერთი დასაწყისში აცხადებს დასასრულს.

ქრისტეში, ღმერთმა მანამდე შეგვიყვარა, ვიდრე ჩვენ შევიყვარებდით მას, ხელი ჩაგვავლო, ვიდრე წავიქცეოდით, მოგვიტევა, ვიდრე ამას ვთხოვდით, სამართლიანობით შეგვმოსა, ვიდრე გავაცნობიერებდით, რომ შიშვლები ვიყავით და გაგვასუფთავა, ვიდრე ჩვენი სიბინძურის შესახებ შევიტყობდით.

## კონცურენციის გარეშე

ღმერთმა თავისი შვილები და მეგობრები უნოდა მათ, ვინც იყო მისი მტერი და გაუცხოებული იყო მისგან. მან ჩვენი ცხოვრების ამბავი ჯერ კიდევ მანამდე დაწერა, ვიდრე პირველად ამოვისუნთქავდით.

მინდა, მოგინოდოთ, რომ დაინახოთ ეს შეუდარებელი ღმერთი ისეთი, როგორის ის სინამდვილეში არის და დაიწყოთ მისი იმიტირება, როგორც მამის მიერ ძლიერ შეყვარებულმა, შესანიშნავმა შვილებმა.

## ღმერთი არის „მე ვარ, რომელიც ვარ“

შემდეგი, მინდა, განვიხილოთ „მე ვარ, რომელიც ვარ“. გამოსვლის 3:13-14-ში დაწერილია:

„უთხრა მოსემ ღმერთს: „აპა, მივდივარ ისრაელის შვილებთან და ვეტყვი მათ: თქვენი მამა-პაპის ღმერთმა მომავლინა-მეთქი თქვენთან. და თუ მკითხეს: რა არისო მისი სახელი? რა ვუპასუხო?“ უთხრა ღმერთმა მოსეს: „მე ვარ, რომელიც ვარ“. და თქვა: „ასე უთხარი ისრაელის შვილებს: „მე ვარ“-მა მომავლინა-თქო თქვენთან“.

დარწმუნებული ვარ, მოსე ფიქრობდა, რა სახელია ეს? წარმოიდგინეთ, ვიდაც გაიცანით და როდესაც სახელი ჰკითხეთ, მან გიპასუხათ: „ჩემი სახელია, მე ვარ“. და როდესაც სთხოვეთ უფრო უკეთ განემარტა, მან თქვა: „მე ვარ, რომელიც ვარ“. თქვენ, ალბათ, დაიბნეოდით და მართალიც იქნებოდით. წარმოიდგინეთ, როგორ წარიმართებოდა საუბარი: „როგორ ხარ, მე ვარ?“ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნებოდა, რომ თქვენ მას ელაპარაკებით მაშინ, როდესაც საკუთარ თავს მიმართავთ. დაბნეულობა ჩვენი მხრიდან, ეხმიანება კონცეფციას, რომ ჩვენი ღმერთი ერთია, და მხოლოდ ერთადერთია, რომელიც ყველაფერს მოიცავს. მე, რა თქმა უნდა, არ ვარ „მე ვარ, რომელიც ვარ“. ჩვენ უფრო ზუსტად, შემდეგნაირად ვართ აღწერილი „მე ვარ, რამეთუ ის არის“.

ღმერთი არის ის, ვინც არის. ღმერთი არსებობს იმიტომ, რომ ის არსებობს. მე არ ვარსებობ იმიტომ, რომ ვარსებობ და არც იმიტომ, რომ ჩემი მშობლები დაახლოვდნენ. საბოლოო ჯამში, მე ვარსებობ იმის შედევად, რომ ყოვლისშემძლე არსებობს. იგია ყოველი ცოცხალი სულის შემოქმედი.

ვინაიდან, ის არის „მე ვარ, რომელიც ვარ“, მე შემიძლია ვთქვა: „მე ვარ ქრისტეში ის, ვინც არის მე ვარ“. ვფიქრობ, რომ ჩვენ სავსებით ვერ ვაცნობიერებთ, თუ რამხელა ძალას შეიცავს ეს ხუთი სიტყვა, რამეთუ, ასე რომ იყოს, ჩვენ სხვანაირად ვიცხოვრებდით. ქვეყნიერება შეეცდება გვითხრას, თუ ვინ არის ღმერთი, მაგრამ სრულად იგი თავის ძეში გამოვლინდა. ზეციერ მამას სურს თავისი ძის მეშვეობით გამოგიცხადოთ საკუთარი თავი, და ამ პროცესში, თქვენი თავიც გაგიცხადოთ. ერთხელ, იესო ცდილობდა თავისი მოწაფეებისთვის აეხსნა ეს დინამიკა მათეს 16:13-18-ში.

„ფილიპეს კესარიის მხარეს რომ მივიდა იესო, მან ჰკითხა თავის მოწაფეებს: „რას ამბობს ხალხი, ვინ არისო ძე კაცისა?“ უპასუხეს: „ზოგი ამბობს იოანე ნათლისმცემელიაო, ზოგი – ელიააო, ზოგიც – იერემია ან ერთი წინასწარმეტყველთაგანია“. ჰკითხა მათ: „თქვენ რას ამბობთ, ვინა ვარ?“ სიმონ-პეტრემ მიუგო: „შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა“. იესომ პასუხად უთხრა: „ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონას ძევ, რადგან შენ წიგნებიდან კი არ მიიღე ეს პასუხი, ან მასწავლებლებისგან. არამედ მამაჩემმა, რომელიც ზეცაშია, გაგიცხადა, თუ ვინ ვარ მე სინამდვილეში. და ახლა მე გეტყვი შენ, თუ ვინ ხარ შენ სინამდვილეში. შენ ხარ პეტრე, კლდე“. (Message)

გესმით ეს? როდესაც გვაქვს გამოცხადება, თუ ვინ არის იესო სინამდვილეში, ეს გვაყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ მოვისმინოთ, თუ ვინ ვართ ჩვენ სინამდვილეში. სიმონი, სინამდვილეში პეტრე იყო. იგი ყოველთვის თავის გრძნობებს აყოლილი მეთევზე არ იქნებოდა. იგი გახდებოდა სულით მავალი ლიდერი და კლდე. ვგრძნობ იესოს მღელვარებას, როდესაც ის აგრძელებს საუბარს მათეს 16:18-19-ში.

„შენ ხარ კლდე, და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას, რომელსაც იმდენად დიდი ძალა ექნება, რომ ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას. და ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. შენ გექნება სრული და თავისუფალი შისადგომი ღვთის სამეფოსადმი, მოგცემ ცათა სამეფოს გასაღებს, რომლითაც გააღებ ნებისმიერ კარს: აღარ იქნება ბარიერები ზეცასა და მიწას შორის, მიწასა და ზეცას შორის. დიახ, დედამიწაზე იქნება დიახ, და – ზეცაშიც. არა, დედამიწაზე, იქნება არა ზეცაშიც“. (Message).

## კოდესაც იცი, თუ ვინ ხარ... იცი, თუ რა არის ხელმისაწვდომი

შენთვის. ეკლესიის იდენტურობა და მისი წვდომა ზეცის მიერ უზრუნველყოფისადმი, მჭიდრო კავშირშია იმასთან, თუ რამდენად გამოცხადებულია მისთვის ქრისტე. როდესაც ვიცნობთ სიტყვას, ანუ ქრისტეს, ჩვენ სიტყვის თანახმად ვლოცულობთ და ზეცა გვეხმიანება: „დიახ!“ და „ამინ!“.

## რას უცოდებთ იესოს?

უზენაესის თქვენეული კონცეფცია გავლენას იქონიებს თქვენზე. შემოქმედის თქვენეული აღქმა, საბოლოო ჯამში, თქვენს ცხოვრებაზე და თქვენს არჩევაზე აისახება. ჩვენს ცხოვრებაში, ღვთის გამოვლინების ერთ-ერთ გზას, ნარმოადგენს ის, თუ რას ვუწოდებთ იესოს. თუ ჩვენ მას კეთილ მოძღვარს ვუწოდებთ, იგი დაგმოძღვრავს ჩვენ. თუ ბრძენ მრჩეველს ვუწოდებთ მას, იგი სიბრძნეს მოგვანიჭებს. ისლამი, იესოს წინასწარმეტყველსაც უწოდებს და მკურნალსაც. ცალ-ცალკე, ეს ტიტულები, მხოლოდ ჭორებს და ნამცეცებს ნარმოადგენს. მაგრამ, როდესაც იესოს უწოდებთ ქრისტეს, ცოცხალი ღვთის ძეს, ამ დროს იესოს, უფლის გამოცხადებას დებულობ შენში. 1იოანეს წიგნი გვამცნობს:

„ვინც აღიარებს, რომ იესო არის ძე ღვთისა, ღმერთი მასში რჩება, ის – ღმერთში. ჩვენ შევიცანით და ვინამეთ სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს. ღმერთი სიყვარულია, სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება, ხოლო ღმერთი – მასში. ამგვარად, ისეთ სრულყოფას აღნევს სიყვარული ჩვენში, რომ გაპედულება გვაქვს განკითხვის დღეს, რადგან როგორიც ისაა, ჩვენც ისეთივე ვართ ამ ქვეყნიერებაზე“. (1 იოანე 4:15-17)

  
**ღვთის  
თქვენეული  
კონცეფცია  
გავლენას  
იქონიებს თქვენზე**

ამ კავშირის შიგნით, იქმნება მუდმივი კავშირი, და ამით ივსება ნაპრალი, მისმიერ ხსნასა და ჩვენს რეალობას შორის. როდესაც შემოქმედის სიტყვას ხმამაღლა ვამბობთ, ის მანძილი, რომელიც ჭეშმარიტებას გვაშორებს, მცირდება. ჩვენ განსაზღვრული გვაქვს მოვახდინოთ უზენაესის იდენტიფიცირება იმაზე დაყრდნობით, თუ ვინ არის იგი, და არა იმაზე, თუ ვინ ვართ

ჩვენ. ეს ნიშნავს იმას, რომ მე ვარ ის, ვინც, ღმერთი ამბობს, რომ ვარ. „ქრისტეში“ ღვთის ყველა აღთქმის გაცნობიერება და გამოცხადება, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რას ვუწოდებ მე იესოს. არის უფალი მკურნალი, მშვიდობის მთავარი, ჩემი რწმენის ავტორი და აღმსრულებელი? ქრისტეს ვუწოდებ ღმერთს, თუ უბრალოდ კეთილ მოძღვარს?

რაკი ღმერთი სიყვარულია, მე მას ვუყვარვარ და მეც შემიძლია სიყვარული.

რაკი ის არის სიცოცხლე, მე ცოცხალი ვარ;

რაკი მას ძალუძს ყოველივე, მეც მაქვს ამის უნარი;

რაკი ის ჩემი ძმაა, მე ღვთის ასული ვარ;

რაკი ის ყოვლისშემძლება, მე ძლევამოსილი ვარ;

რაკი ის მკურნალია, მე განკურნებული ვარ;

რაკი ის სიბრძნეა, მე ბრძენი ვარ;

რაკი ის არის, მე ვარსებობ;

იმის გამო, თუ ვინ არის იგი, მე ვარ ის, რასაც ის ამბობს, რომ ვარ.

მე მან მშვენიერი (მშვენიერ არსებად) გამომსახა.

გირჩევთ, რომ დაპატიჟოთ ღვთის ცოცხალი სიტყვა, იესო, თქვენს ცხოვრებაში! ამ პროცესის ახლავე დასაწყებად, ლოცვას გთავაზობთ:

ძვირფასო ზეციურო მამავ,

ვიცი, რომ მე ვარ ის, რასაც შენ ამბობ ჩემზე. მომიტევე, შენი გამოსახულება რომ შემცირდა ჩემს გონებაში და რომ საკუთარი ხელით შექმნილ კერპებს ვეთაყვანებოდი. უარს ვამბობ თაყვანი ვცე ადამიანების მიერ შექმნილ, უსარგებლო კერპებს. სულინმიდავ, მიჩვენე ჩემი ცხოვრების ნებისმიერი სფერო, რომელშიც ამ კერპებს გავლენა აქვთ ჩემზე. შენ ხარ სიყვარული, და ამიტომ არა მხოლოდ მე ვარ შენ მიერ შეყვარებული, არამედ მეც შემიძლია შენს მსგავსად სხვების შეყვარება. შენ ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო და მიზეზი იმისა, რომ მე ვსუნთქავ.

შენ შეგიძლია, დაასრულო ის, რისი კეთებაც დაიწყე ჩემს ცხოვრებაში, და შენ მაძლევ უნარს აღვასრულო ყველაფერი, რაც შენ დამისახე. ქრისტეში, მე შენი ქალიშვილი ვარ და ვინაიდან ჩემი ზეციერი მამა ყოვლისშემძლეა, შენი სულით, მე გამაჩინია მთელი ძალა, რომელსაც ვსაჭიროებ. შენ ხარ ჩემი შეუცვლელი მკურნალი; მე აღარასოდეს მივმართავ გვეყნიერებას იმ ჭრილობების განსაკურნავად, რომლებიც

## კონცურენციის გარეშე

მან მომაყენა. ვინაიდან, შენა ხარ მთელი სიბრძნის წყარო, მე დავეყრდნობი შენს რჩევას.

მომიტევე ის, რომ მე მივეცი უფლება შენს გამოსახულებას, განსაზღვრული ყოფილიყო სხვა ადამიანების გამოცდილებებით. მინდა შეგიცნო სრულად. მჯერა, რომ შენ უფრო დიდი ხარ, ვიდრე მე ოდესმე წარმომედგინა, და უფლებას გაძლევ წამიძღვე შეუდარებელი საოცრებებით სავსე ცხოვრებაში. იმის გამო, თუ ვინ ხარ შენ, მე ვარ ის, ვინც შენ ამბობ, რომ ვარ. მიუხედავად იმისა, თუ რას ვგრძნობ ამ მომენტში, შენ მე მშვენიერი გამომსახე.

იესოს სახელით, ამინ.

## სადისპუსიო კითხვები

1. წარსულში ადარებდით თუ არა თავს სხვას და ფიქრობდით თუ არა უზენაეს ღმერთზე იმ საზომით, რაც უკვე იცოდით ან გამოცდილი გქონდათ? მაგალითად, გეგონათ იგი მამათქვენის მსგავსი (კარგი თუ ცუდი)? როგორს ხედავთ მას ახლა?
2. არის ახლა თქვენს ცხოვრებაში გარკვეული სფეროები, სადაც სხვების ნამცეცებზე ცხოვრობთ? ხოლო რაც შეეხება ჭორებს?
3. როგორ ფიქრობთ, რას გულისხმობდა წმიდა ავგუსტინე, როდესაც ამბობდა „ღმერთს საუკეთესოდ იცნობ მაშინ, როდესაც არ იცნობ მას“?
4. რომელ სფეროებში გჭირდებათ ღვთის, როგორც „მე ვარ“-ის უფრო მეტად შეცნობა?
5. „კერპი, არის ნებისმიერი რამ, რასაც საკუთარ ძალას აძლევ ან მისგან ღებულობ ძალას“ ამის კონტექსტში, რომელია თქვენს ცხოვრებაში ისეთი სფეროები, რომელშიც ქვეცნობიერად, კერპები გაიჩინეთ?
6. ღვთის თანდასწრებისას, როდესაც თქვენ უწოდებთ მას იმას, ვინც ის არის, რას გინოდებთ იგი თქვენ?

# 3

## დაპირება კონკურენციის გარეშე

„თუ ჩვენ ავწონ-დავწონით სახარებაში აღთქმულ და-ჯილდოების კადნიერ დაპირებებს, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნება, რომ ჩვენი უფალი, ჩვენს სურვილებს ძალიან ძლიერ სურვილებად კი არ მიიჩნევს, არამედ ძალიან სუსტად. ჩვენ ვართ ნახევარი გულის მქონე ქმნილებები, რომლებიც ვგიუდებით სასმელზე, სექსსა და ამბიციებზე მაშინ როდესაც ღმერთი უსასრულო სიხარულს გვთავაზობს, უვიცი ბავშვის მსგავსად, რომელსაც სურს ტალახისგან ნამცხვრები აცხოს სადაც ჯურლმულებმი, რამეთუ, მას ვერ წარმოუდგენია, თუ რას ნიშნავს შემოთავაზება ზღვის სანანაპიროზე გაატაროს არდადეგები. ჩვენ ძალიან ცოტა გვჭირდება კმაყოფილებისთვის“.

კ.ს. ლუისი

**3** არგით... ვაუ.  
თქვენს ცხოვრებაზე არის შეუდარებელი აღთქმა, და იგი აგრეთვე თქვენს საგანძურსაც წარმოადგენს. ეს საგანძური ყველაფერს აღემატება და დროს მოიცავს. იგი არახელშესახები პოტენციალის სახით მოდის თქვენთან. ზოგიერთ პიროვნებაში ამ ნიჭს სძინავს... ცოცხალია, მაგრამ სძინავს.

უფრო იოლი იქნებოდა და უფრო ამაღელვებელიც, თქვენთვის რომ მეთქვა, რომ ვილაცამ მილიარდი დოლარი გადმორიცხა თქვენს საბანკო ანგარიშზე. მაგრამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის, რაც თქვენ დაგრჩებოდათ იმაზე უფრო მეტი იქნებოდა, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გეყოფილდათ...

## კონცურენციის გარეშე

სინამდვილეში, ეს თანხა არასოდეს იქნებოდა თქვენი. რამეთუ, ქვეყნიური საგანძურის კანონი მოითხოვს, რომ იგი თავისი წარმოშობის სფეროში უნდა დარჩეს. როდესაც გარდაიცვლებით, იგი უკან დაგრჩებათ, ანუ მას თან ვერ წაიღებთ. მაგრამ, ის საგანძური, რომელსაც თქვენ ფლობთ, იცვლება, რამეთუ უფრო მდიდრდება და თან გაგყვებათ მუდმივობაში.

ამ აღთქმას, რომელზეც მე ვსაუბრობ, ანალოგი არ გააჩნია, არა მხოლოდ სიმძიდრის მხრივ, არამედ მიღწევადობის მხრივაც. ამ აღთქმის ნაყოფი თქვენს შვილებსაც გაჰყვება მას შემდეგაც, რაც გარდაიცვლებით და აგრეთვე ზეცაშიც დაგხვდებათ. ამ აღთქმას ვერავინ ვერასოდეს მოგპარავთ, თუმცა, იგი შესაძლოა, გაყიდულ იქნას ისეთ ტრივიალურ რამეზე, როგორიცაა ერთი ჯამი ოსპის შეჭამანდი, მსგავსად იმისა, როგორც ესავი მოიქცა (დაბადება 25). იგი უკეთ იქნება დაცული, ოცნებებსა და იმედში თუ იქნება გახვეული. თუკი დაამუშავებთ თქვენი გულის ნიადაგს, ეს საგანძური გაიფურჩება და გაიზრდება. მილიონობით ადამიანს აქვს ამ აღთქმის თესლი თავიანთ გულებში, თუმცა მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ადამიანი გაინაწილებს მას, ეს საგანძური არასდროს მცირდება.

მე ვსაუბრობ მეფეთა მეფისა და უფალთა უფლის კურთხევაზე. ეს არის საგანძური, რომელიც ძალიან დიდია იმისთვის, რომ გაიზომოს ქალალდის დოლარებით ან ოქროთი და ვერცხლით. მხოლოდ ერთი ხელი ტანსაცმელი რომ დაგრჩეთ, ის, რომელიც ტანზე გაცვიათ, და სხვა არაფერი, ეს საგანძური მაინც თქვენი იქნება. ეს სიმძიდრე არ არის დაკავშირებული არაფერთან, რაც ადამიანის მიერ არის შექმნილი; იგი მუდმივია და მისი მიღება შესაძლებელია ჩურჩულით წარმოთქმული ლოცვით. თქვენ, ჩემო მეგობარო, მეფის ოჯახის წევრი ბრძანდებით, ისევე როგორც ნებისმიერი მომხიბლავი პრინცესა.

## სამეცნიერო მინვევა

წარმოიდგინეთ, რომ კარზე კაკუნია. კართან მიღიხართ, რათა გააღოთ იგი და აღმოაჩენთ, რომ კართან მეფის დახვენილი აგენტი დგას. მინდა, რომ კონკიას სტილზე იფიქროთ, მაგრამ მეფის ჰერალდის ნაცვლად, თქვენს კარებთან ანგელოზი დგას. ეს ანგელოზი იმდენად დიდი და გაბრწყინებულია, რომ თქვენ მას ძლივს ხედავთ, მაგრამ, იცით, რომ ირგვლივ მოწმეთა

## დაპირებას კონცურენციის გარეშე

კრებულია, რომელიც თქვენი რეაქციის დაჭერას ცდილობს. ლვთაებრივი მაცნე სახელით მოგიხმობთ და ხმამაღლა გამცნებთ, რომ თქვენ ხართ მემკვიდრე – ზეციური სამეფოს პრინცესა. ისმის აპლოდისმენტები. თქვენ გაოცებული ეკითხებით: „მე ვარ?“ იგი თავს გიქნევთ დასტურის ნიშნად და მოსაწვევს გინვდით. აკანკალებული ხელებით ხსნით კონვერტს. შეცდომა არ ყოფილა, თქვენი სახელი მშვენიერი და დიდი, ოქროსფერი ასოებით წერია. თქვენ ღრმად ამოისუნთქავთ და ცრემლნარევ თვალებს აღაპყრობთ მაღლა, მხოლოდ იმიტომ, რომ გაანალიზოთ, რომ თქვენ მარტო დგახართ კარის ზღურბლთან. ანგელოზი და მისი გარემოცვა წასულან. სახლის შიგნიდან ხმა ისმის.

– „ვინ არის?“

– „მე ვარ“ – პასუხობთ ჩურჩულით.

განცვიფრებულიხართ. გრძნობთ, რომყველაფერიშეიცვალა, მაგრამ, როდესაც გარემოებებს შეხედავთ, აღმოაჩენთ, რომ თითქოს არაფერი შეცვლილა. ამ მონახულების მიზანი არ ყოფილა გარემოებების ან ადგილმდებარეობის შეცვლა. ეს მონცვევა შინაგანი, შეუდარებელი ტრანსფორმაციისთვის არის.

თქვენ სწრაფად მოავლებთ თვალს საკუთარ თავს. იგივე ტანსაცმელი გაცვიათ, რაც გეცვათ კარის გაღებისას, მაგრამ ეს ტანსაცმელი დამსუბუქდა, თითქოს მას აღარ აქვს უნარი მოგიჭიროთ, იარლიყი დაგადოთ და მოახდინოს თქვენი იდენტიფიცირება. როდესაც მოპრუნდებით, რომ სახლში შეხვიდეთ, თქვენი გონება განათებულია და აცნობიერებთ, რომ თუმცა ეს სახლი ის სახლია, სადაც თქვენ ცხოვრობთ, იგი აღარ წარმოადგენს თქვენს ჭეშმარიტ სახლს. შორეული ქალაქი, რომლის დამფუძნებელიც თქვენი ღმერთი და მეფეა, გელოდებათ თქვენ. საძინებლისკენ მიემართებით და სასტუმრო ოთახზე გადიხართ, სადაც თქვენი საყვარელი ოჯახის წევრების ოდნავ დაბნეულ სახეებს ამჩნევთ. თქვენს ოთახში მშვიდად განმარტოვდებით, ხსნით კონვერტს და ფრთხილად იღებთ მოოქროვილ მოსაწვევს.

„შენ, ჩემთ საყვარელო ქალიშვილო, ახლა ხელახლა იშვი, როგორც სარა, უზენაესი ღვთის პრინცესა.“

იესოს პირადად შეცნობის ზრდის პროცესში, მისი მადლი და მშვიდობა მუდმივად გაიზრდება შენს ცხოვრებაში.

სამეფო თანამდებობა ნიშნავს იმას, რომ წვდომა გექნება ყველაფერთან, რაც კი ოდესმე დაგჭირდება ცხოვრებაში, იცხოვრებ რა ღვთისმოსაობით და გაირბენ შენი ცხოვრების სარბიელს. დარწმუნებული იყავი, რომ თუ ჩაუღრმავდები წმიდა წერილს, შენი ახალგაზრდობა და გონება განახლდება

## კონცურენციის გარეშე

და შეიცნობ, თუ რაოდენდიდია ლვთის მიერ შენთვის მოცემულ დიდებულ და ძვირფას აღთქმათა სიმდიდრე. თითოეული მათგანი სასწაულებრივად გადმოგეცა! საყვარელო, თუ ჯერ კიდევ ეჭვი გეპარება, ეს ხომ საუკეთესო მოსაწვევია მათ შორის, რაც კი ოდესმე მიგიღია! ერთადერთი, რაც გევალება არის ის, რომ ზურგი შეაქციო ქვეყნიერებას, რომელმაც თავად უკვე შეგაქცია ზურგი.

2 პეტრეს 1:2-4-ში ვაითხულობთ:

„მადლი და მშვიდობა გაგიმრავლდეთ ლვთისა და ჩვენი უფლის იესოს შემეცნებით, ისე, როგორც მისმა ლვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ლვთისმოსაობისთვის გვჭირდება, მისი შემეცნებით, ვინც თავისი დიდებისა და სათნოებისკენ მოგვიწოდა, რომელთა მიერაც მოგვეცა უაღრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათი მეშვეობით გავხდეთ ლვთიური ბუნების ზიარნი, განვერიდებით რა გულისთქმით გამოწვეულ ხრწნილებას ამ ქვეყანაზე“.

ქრისტეს რომ არ დაეკაუნებინა ჩემი გულის კარზე, ხელში არაფერი არ შემრჩებოდა. სასწაული დამჭირდებოდა იმისთვის, რომ რამე მიმელო მემკვიდრეობით! ჩემი ოჯახი არ იყო იმ მდგომარეობაში, რომ მემკვიდრეობა დაეტოვებინა ჩემთვის და ჩემი ძმისთვის. მაგრამ, რის მიღებას უფრო ვისურვებდი, ნარჩენების თუ მემკვიდრეობის? მე დიდი ხნის წინ შევიტყვე, რომ ლვთის დაპირება მემკვიდრეობაზე მეტხანს ძლებს.

და, რა სახით შეგვიძლია ამ დიდებული აღთქმების მიღება? ჩვენ მათ ვღებულობთ რწმენით. გალატელთა 3:14-ში ნათქვამია:

მაგრამ, რის  
მიღებას უფრო  
ვისურვებდი,  
ნარჩენების თუ  
მემკვიდრეობის?

„იმისთვის, რომ აპრაპამის კურთხევა  
ქრისტე იესოს მიერ იყოს წარმართებზე,  
რათა რწმენის მეშვეობით მივიღოთ  
სულის აღთქმა“.

## გაიცანით აპრაში და სარაი

ამ აღთქმების შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად, მოდი დამკვირვებლების რანგში გადავხედოთ წმიდა წერილის ნაცნობ ადგილებს. ღმერთმა ეს ისტორიები წმიდა წერილში იმ მიზნით დაწერა, რათა ჩვენ სხვათა მაგალითზე გვესწავლა. კითხვისას, ვაკვირდები, თუ როგორ ისხამს ხორცს თითოეული ისტორიის წინადადებების ჩონჩხი. მე წარმოვიდგენ ამბავს და ვუსმენ სულინმილას, ამგვარად, ვხედავ და მესმის ის, რასაც ვერ ვხედავ მაშინ, როდესაც უბრალოდ ვკითხულობ წმიდა წერილს. ვსვამ კითხვებს: რა გრძნობა დამეუფლებოდა მათ სიტუაციაში მყოფს? რა იქნებოდა ჩემთვის ყველაზე დიდი გამოწვევა და შიში?

ეს პრაქტიკა მხოლოდ ერთ-ერთია იმ მრავალ საშუალებათაგან, რომელთაც წმიდა წერილებთან დასახლოებლად ვიყენებ. იგი არ არის ექსტრაბიბლიური; ეს არის სიტყვაზე მედიტირება, რათა წმიდა წერილი გაცოცხლდეს. პატრიარქები და მატრიარქები, ჩვენი ძმები და დები არიან ამ პრაქტიკაში. მე აი, ასე ვასრულებ სელა-ს... ასე ვჩერდები და ვფიქრობ.

პირველ რიგში, მინდა რომ აბრამი გაიცნოთ. იგი ჩვენი მამაა რწმენით. წარმოიდგინეთ ერთგული, არასრულყოფილი, ხანდაზმული, ღვთისმოშიში ადამიანი. შემდეგ, სარაი. იგი ჩვენი აღთქმის დედაა. ის საოცრად ლამაზია და მისი ქმრის მსგავსად ერთგული, არასრულყოფილი, ხანდაზმული და ღვთისმოსავია.

ღვთის მონოდებაზე, ამ ორმა ადამიანმა საკმარისი სიმამაცე გამოიჩინა, რომ მიეტოვებინათ ყველაფერი, რაც მათთვის ნაცნობი იყო. ღმერთი ამ უნაყოფუ წყვილს კურთხევასა და გამრავლებას დაჰპირდა. ისინი ერთად გაემგზავრნენ მოგზაურობაში. ისინი ექვედნენ იმას, რაც არასოდეს უნახავთ, შემოქმედის მიერ აშენებულ ქალაქს. ჩვენი მათთან შეერთების დროს, ისინი უკვე ათწლეულების მანძილზე მოგზაურობენ. აბრამი, ასი წლის ზღურბლს უახლოვდება, ხოლო სარაი – ოთხმოცდათის.

უდაბნოში ხეტიალისას, მათ უკვე მრავალი აღმასვლა და დაღმასვლა განიცადეს ცხოვრებაში. მოკლედ შემოგთავაზებთ მათ ისტორიას: მათ გაუძლეს დავას, რომელმაც ღვთის მიერ მათი კურთხევის შედეგად იჩინა თავი; რამაც ლოტთან, მათ ძმისშვილთან, გაყოფა გამოიწვია; სარაი ფარაონის ჰარამხანაში აღმოჩნდა და შემდეგ განთავისუფლებულ იქნა. შემდეგ, მათ მინი ომი მოიგეს, გადაარჩინეს ტყვედ წაყვანილი ძმისწული და რწმენით მისცეს მეათედი მეფე მელქისედეკს, უზენაესი ღვთის მღვდელს. მათ სერიოზული იმედგაცრუება განიცადეს

## კონცურენციის გარეშე

და არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს, როდესაც სარაიმ თავისი მხევალი მისცა აპრამს, რათა მისგან შესძენოდა ვაუი, რომელსაც ისმაელი უწოდეს. ამ იმედგაცრუების შედეგად, სარაი ოჯახურ ძალადობაში გახდა დამნაშავე. არა მგონია, რომ ეს სამკუთხედი (ქმარი, ცოლო, მსახური) სასიამოვნო ყოფილიყო.

მსურს ხაზი გავუსვა რამდენიმე ფაქტს, რათა აპრამისა და სარაის ამბის მოკლე მიმოხილვისას არ გამომრჩეს ისინი.

1. ისინი უკან არ იხედებოდნენ. აპრამმა და სარაიმ მიატოვეს ური, ისე რომ უკან აღარც მიუხედავთ. უკან დასახევი გზა აღარ იყო. ღმერთმა მოუწოდა მათ და ისინიც დაემორჩილნენ. დაბადების 12:1-2 ამბობს:  
„უთხრა უფალმა აპრამს: „წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც გაჩვენებ! დიდ ერად გაქცევ, გაკურთხებ, განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები“. ღმერთი ახალ რაღაცას აკეთებდა ახალი მეთოდით. იგი წინ მიუძლვოდა მათ რწმენასა და იმედში. ისინი შეცდომებს უშვებდნენ, მაგრამ უკან არასდროს იხედებოდნენ;
2. მათ დავას აარიდეს თავი. აპრამმა და სარაიმ მიატოვეს ური, მაგრამ თან წამოიყვანეს ლოტი (რაც საუკეთესო იდეა ნამდვილად არ იყო). აპრამის კურთხევამ ლოტის აღმასვლაც გამოიწვია. როდესაც მიწა უკვე ვეღარ იტევდა ორივეს, მათი მწყემსები ერთმანეთში ჩაუბიძლნენ. ნაცვლად იმისა, რომ ჩსუბისთვის ზრდის საშუალება მიეცა, აპრამმა ლოტს მიწის არჩევის უფლება მისცა. მათთვის უკეთესი იყო გაყოფა, ვიდრე ერთად დარჩენა და ამ ყველაფერთან ერთად, არეულობა. შენიშვნა: თუ თქვენ ცხოვრების გზაზე ისეთ ადამიანებთან ერთად მოგზაურობთ, რომლებთან ერთადაც არ უნდა მოგზაურობდეთ, დადგება დრო, როდესაც უფალი ორივეს გაგამრავლებთ, რათა დაშორდეთ ერთმანეთს. ჩსუბი ჩაახშობს ღვთის კურთხევას და თქვენი ცხოვრების ეფექტურობას;
3. მათი შესაწირი რწმენის აქტს გამოხატავდა. როდესაც აპრამმა მელქისედეკს მეათედი მისცა, მან იგი წინ წაუმძღვარა უზენაესის აღთქმებს. ნაცვლად იმისა, რომ სოდომის ნადავლი აეღო თავისთვის, მან რწმენით მისცა მეათედი, რამაც მისი იმედი არსებითი გახადა.

## დაპირებას კონცურენციის გარეშე

ეს სამი რამ გაირკვა მაშინ, როდესაც ლმერთი გამოეცხადა აბრამს და შემდეგი აღთქმა დაუდო დაბადების 17:4-5-ში:

„აპა, ჩემი აღთქმა შენთან – მრავალი ერის მამა იქნები! და აღარ გერქმევა სახელად აბრამი – ამაღლებული მამა, არამედ აბრამამი – მრავალთა მამა, ვინაიდან მრავალი ერის მამად გაქცევ!“

## სამუდაო აღთქმა

როდესაც აღმოაჩენთ, რომ მემკვიდრე ხართ, ლმერთი ცვლის თქვენს ტიტულს. როდესაც ლმერთმა აბრამს სახელი აბრაამით შეუცვალა, მისი ცხოვრება გაფართოვდა. ამიერიდან, ის უკვე აღარ იქნებოდა უთვისტომო კაცი... მას მრავალი ერის მამა ეწოდა. დაბადების მე-17 თავში, ლმერთი დეტალურად აღწერს, თუ რამხელა სიდიდადისა და სიმდიდრის მატარებელი იქნება ეს აღთქმა. აბრაამის ცხოვრება გარშემორტყმული იქნებოდა ისეთი სიტყვებით, როგორიცაა „თაობის ფუძემდებელი და მარადიული მამა“. იგივე მიწას, რომელზეც აბრაამი დადიოდა, როგორც მდგმური და ხიზანი, ერთ დღესაც მისი შთამომავლობა დაიმკვიდრებს და ის სამუდამოდ მათი გახდება. ლმერთი დაპირდა მას, რომ აბრაამის შთამომავლობასთანაც ისევე იქნებოდა, როგორც აბრამთან იყო. ვფიქრობ, რომ აბრაამმა ტირილი დაიწყო ღვთის თანდასწრების დროს, დაინახა რა თუ რა დიდებული მომავალი მოელოდა მის შთამომავლობას.

ჩემს წარმოსახვებში შემოქმედის წინაშე მიწაზე გართხმულ აბრაამს ვხედავ. შემდეგ, იგი მუხლებზე დგება და ცრემლიან სახეს ვარსკვლავებს მიაპყრობს. მას გაწვდილი აქვს ხელები, თითქოს სურს სურს მისწვდეს კაშკაშა სინათლეს, რომელიც წერტილებივით მოსჩანს უდაბნოს ბნელ, უღრუბლო ცაზე. იგი მადლიერებით აღსაგესა. აღთქმის ყოველი სიტყვა მის ძვლის ტვინამდე აღწევს. რალაც მომენტში, ასაკის საფარი ქრება და აბრაამი კვლავ ახალგაზრდაა, მისი სხეულის ყველა უჯრედი ცოცხლდება სასწაულებრივად.

ეს ახალი სახელი აბრაამი, მის გულს სიხარულითა და იმედით ავსებს. იგი ხედავს ისმაელს და ფიქრობს: ეს ყველაფერი შენი იქნება, შეილო ჩემო; შენი ცხოვრება გაფართოვდება გამრავლების შედეგად და კურთხეული და დიდი მომავალი გექნება!

უფალი ეუბნება აბრაამს, რომ ეს შეთანხმება ნიშანს მოითხოვს. ეს არ იქნება ისეთი ლამაზი და ყველასთვის დასანახი

## კონცურენციის გარეშე

ნიშანი, როგორიც ცისარტყელა იყო ნოეს შემთხვევაში; ნაცვლად ამისა, ეს მტკივნეული და პირადი ნიშანი იქნება. აბრაამის სახლის ყოველმა მამაკაცმა უნდა წინადაიცვითოს. ხორცის მოცილება ადასტურებს, რომ აბრაამი და მისი შთამომავლობა აღთქმაში არიან უზენაეს ღმერთთან. შემდეგ, შემოქმედთან საუბარი უფრო სერიოზულ მიმართულებას ღებულობს:

„უთხრა ღმერთმა აბრაამს: „აღარ უნოდო შენს ცოლს სარაი, ამიერიდან სარა იყოს მისი სახელი. ვაკურთხებ მას და ძესაც მოგცემ მისგან; აპა, მასაც ვაკურთხებ და გახდება იგიერების დედა; ხალხთა მეფენი წარმოიშობიან მისგან“. (დაბადება 17:15-16)

თითქმის ვხედავ აბრაამის დაბნეულობას. შეცბუნებული მზერა ანაოჭებს მის შუბლს... სარა? აღთქმა ჩემთან არის დადებული და მე უკვე მყავს ძე... ისმაელი. მე იგი აგარისგან მყავს. მოვლენების ასეთმა განვითარებამ აიძულა აბრაამი კვლავ მიწაზე გართხმულიყო სახით.

„პირქვე დაემხო აბრაამი, გაეცინა და თქვა გულში: „ნუთუ ასი წლის კაცს შეეძინება შვილი? ნუთუ ოთხმოცდაათი წლის სარა დაბადებს?“. (დაბადება 17:17)

ჩვენ ბევრი გვსმენია დედა სარაზე, რომელიც იცინოდა, როდესაც გაიგო, რომ შვილი ეყოლებოდა, მაგრამ აბრაამს პირველს გაეცინა ღვთის დანაპირებზე. თუმცა, იგი სიცილით არ შემოფარგლულა. იგი უფრო შორს წავიდა და ალტერნატიული გზა შესთავაზა ღმერთს:

„და უთხრა აბრაამმა ღმერთს: „ნეტავ ისმაელმა იცოცხლოს შენს წინაშე!“. (დაბადება 17:18)

ჩემთვის ისე უღერს, თითქოს აბრაამი ისმაელის ჩართვას ცდილობდა ყოვლისმპრობელის გეგმაში. რა საჭიროა სარას გამო შეწუხება? მიუხედავად იმისა, ახალი სახელი ექნება თუ არა, მას ხომ დაბერებული საშვილოსნო აქვს და მოხუცი ქმარი ჰყავს. მაგრამ ღმერთმა მის არც ერთ წინააღმდეგობას არ გაუწია ანგარიში:

„უთხრა ღმერთმა აბრაამს: „არა, შენი ცოლი, სარა შობს შენთვის ძეს, სახელად ისაკს დაარქმევ და მასთან დავდებ

## დაპირებას პონტურენციის გარეშე

სამარადისო აღთქმას მისი შთამომავლობისათვის“.  
(დაბადება 17:19)

„არა, შენი ცოლი, სარა...“ სავსებით გასაგებია. თითქოს, შემოქმედმა მისი აზრები წაიკითხა. წარმოიდგინეთ! ღმერთმა უსმინა აბრაჰამს და აკურთხა ისმაელი, მაგრამ არა როგორც მისი აღთქმის მეტყვიდრე.

როდესაც ორი ადამიანი ერთი ხდება ქორწინებაში, ღვთის აღთქმა მათ ორივეს ეხებათ. რა თქმა უნდა, აბრაჰამს უყვარდა ისმაელი და ბუნებრივი იყო, რომ მას ყველაფერი ისმაელისთვის უნდოდა, რასაც ღმერთი შეპირდა მას. მაგრამ ისმაელი მონა ქალის ძე იყო, რომელიც ბრძოლისა და ხორცის სფეროსთან იყო დაკავშირებული. უკონკურენციო დაპირება, უპრეცენდენტო ნიშნებითა და სასწაულებით უნდა აღსრულებულიყო. ბავშვი უნდა ჰყოლოდა ძალიან მოხუც, უნაყოფო ქალს:

„მაგრამ ჩემს აღთქმას ისაკს დავუდებ, რომელსაც სარა გიშობს გაისად ამ დროს“. (დაბადება 17:21)

რამდენად ხშირად ვიქცევით ჩვენც იგივენაირად?

ღმერთი გვეუბნება, რომ ახალი და სასწაულებრივი რაღაცის გაკეთებას აპირებს, ჩვენ კი ურწმუნოების გამო ვმერყეობთ. უზენაესი ამბობს, რომ ჩვენი ცხოვრების გაფართოებას აპირებს, ჩვენ კი ვეუბნებით მას, რომ არ არის საჭირო ასე შეწუხება... უბრალოდ აკურთხე ის, რაც მაქვს. ის, რაც გვაქვს და რასაც ვაკეთებთ, არ არის საკმარისად დიდი. ყოვლადძლიერს სურს ჩაერთოს. იგი თაობების პერსპექტივიდან გამომდინარე ფიქრობს. აღთქმა ისააკის მხრიდან იქნება, რომელიც უნდა მოვიდეს. მისი მხრიდან, რომელზეც აბრაამი იცინოდა... და არა იმის მხრიდან, რომლის მამაც იგი ხორცით იყო.

ძალიან მამხნევებს აბრაჰამის ადამიანურობა. ეს გაკვეთილს წარმოადგენს თითოეული ჩვენთაგანისათვის. ღმერთი, თავისი წყალობით, მზად არის აკურთოს ისიც კი, რაც ჩვენი ძალებით ავაშენეთ, მაგრამ მისი სამუდამო აღთქმა ადამიანური უზრუნველყოფის სფეროს მიღმაა დადგენილი.

## ახალი სახელი = ახალი პედი

ებრაული ტრადიციის თანახმად სახელი ადამიანის ბედსა და პოტენციალს შეიცავს. ამიტომ სახელის შეცვლას ადამიანის სასიათის შეცვლის პოტენციალი გააჩინა, რომელიც თავის

## კონცურენციის გარეშე

მხრივ, მის ბედსაც ცვლის. მაგალითად, ჩვენ განგებ შევურჩიეთ ჩვენს შვილებს სახელები იმ იმედით, რომ ისინი თავიანთი სახელების შესაბამის პიროვნებებად ჩამოყალიბდებოდნენ. ეს მე, ჩემი მამა ზეციერისგან ვისწავლე, რამეთუ, ყოველთვის, როდესაც მათ სახელებს ვამბობ, ამით მათი სახელების მნიშვნელობას ვაცხადებ მათ ცხოვრებაზე.

ღმერთი ხშირად უცვლიდა სახელებს პიროვნებებს, როდესაც მათი სახელები აღარ გამოხატავდა მათ ხასიათს. ქრისტიანების მდევნელ სავლეს, მან პავლე დაარქვა, ხოლო მეთევზე სიმონს იესომ პეტრე უწოდა, რაც კლდეს ნიშნავს. ისააკის ძეს, იაკობსაც შეუცვალა ღმერთმა სახელი და ისრაელი დაარქვა, რაც „ღვთის უფლისნულს“ ნიშნავს. ჩვენი ღმერთი სახელების შეცვლის ბიზნესით არის დაკავებული. ხანდახან ვფიქრობ, რომ ეს მოწმეთა დაცვის პროგრამაა, რომელშიც ჩვენ ყველანი იესოს სახელის იდენტურობის ქვეშ ვფუნქციონირებთ.

როდესაც უფალი აღთქმაში შევიდა აბრაჰამთან, მან მისთვის სახელის შეცვლის მეშვეობით, აბრაჰამის უნარიანობა გაზიარდა. მე შესანიშნავი მეგობარი მყავს, ბრაიან ბილეკი, რომელიც მესიანელი რაბინია და მან ამისნა, თუ რა მნიშვნელობას ატარებს სახელების შეცვლა. აბრამის სახელის აბრაჰამად გადარქმევისას ღმერთმა მისი სახელი შუაზე გაჰყო, თავისი საკუთარი სახელიდან ამოიღო ასო და აბრამის სახელს ჩაუმატა. სახელი აბრამი ნიშნავს „ამაღლებული მამა“. ხოლო განვრცობილი სახელი აბრაჰამი ნიშნავს „მრავალი ადამიანის მამას“.

ახალი სახელი აცხადებდა იმას, თუ ვინ გახდებოდა აბრაჰამი. ეს იყო სახელი, რომელიც სრულად ვერ იქნებოდა გააზრებული აბრაჰამის ცხოვრებაში. რაკი აბრაჰამის ცხოვრება შემოქმედს განადიდებდა, მისი მემკვიდრეობა უზომოდ გამრავლდებოდა. არასოდეს დაიგინყოთ, რომ თქვენი იდენტურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული თქვენს ძედთან. რაბი ბრაინმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ღვთის აღთქმა მანამ არ აღსრულდა, ვიდრე ყოვლადძლიერმა აბრამის ცოლის სახელიც არ განავრცო. სარაინიშნავს „იაჰვე არის უფლისნული“, რომელიც მან სარად, შეცვალა, რაც „ღვთის პრინცესას“ ნიშნავს. ღმერთმა თავისი სახელიდან „იაჰვე“ ამოიღო ასო და მის სახელს ჩაუმატა.

მისი სახელის შეცვლა მიუთითებდა იმაზე, რომ სარა უზენაესთან იყო კავშირში. ეს მჭიდროდ აკავშირებდა მას ღმერთთან და ამავდროულად მიუთითებდა იმაზე, რომ ყველა მისი ქალიშვილი აღთქმით სარას მსგავსად, სამეფო პოზიციის მატარებელი იქნებოდა. ახალმა სახელმა, სარას ნაცვლად ღმერთი აამოქმედა მის საქმეში.

## დაპირებას კონცურენციის გარეშე

როდესაც სარაის სახელი მამრობითი დეკლარაციიდან („იაჰვე არის უფლისწული“) მდედრობითი როლით შეიცვალა („ლვთის პრინცესა“), მისი მნიშვნელობა შერბილდა და უფრო მგრძნობიარე გახდა. აბრაჰამის ახალი სახელი გაფართოვდა, რათა უამრავი ხალხი მოეცვა და ამ აღთქმის თესლს, რაღა თქმა უნდა, აღთქმის ნიადაგიც დასჭირდებოდა. სარას ცხოვრება ნიადაგად იქცა აბრაჰამისთვის, მისი საშვილოსნო გაცოცხლდა აღთქმით.

სარას სახელის გადარქემევამ გააფხვიერა მისი დასვენებული ნიადაგი და მოამზადა იგი იმ გამრავლებისთვის, რომელიც ორივეს დაეკისრა, აბრაჰამსაც და სარასაც. ღმერთმა უთხრა აბრაჰამს, რომ იგი გახდებოდა მრავალი ერის მამა და სარა გახდება ერების დედა; ხალხთა მეფენი წარმოიშობიან მისგან. ღმერთმა დაკონკრეტებული ხედვები მისცა ორივეს.

როდესაც ადამიანები პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს და თავიანთ ღმერთს, ყოვლისშემძლე შეუძლებელს აკეთებს მათთვის. უზაყოფო საშვილოსნოები ცოცხლდებიან და ძლიერდებიან საშობად, უსიყვარულო ქორწინებები იკურნება, ვაჟები და ქალიშვილები დემონებისგან თავისუფლდებიან და ბავშვები ცოცხლდებიან. იმედი კვლავ განახლებულია, რწმენის ცეცხლი კვლავ ანთებულია, სიყვარული ზემობს და მტერმა უკან დაიხია, რამეთუ დადუმებულ იქნა ტყუილის მოლაპარაკე ბაგეები.

აცნობიერებთ თუ არა, მაგრამ, ხელახლა შობის დროს, თქვენი სახელი შეიცვალა. თქვენი სახელიც განვრცობილ იქნა. იესომ, აბრაჰამის თესლმა აღთქმით, არა მხოლოდ შეცვალა ჩვენი სახელები საკუთარი სახელიდან აღებული ასოს მეშვეობით მისი გაფართოებით, არამედ თავისი სახელის გამოყენებით, უსაზღვრო მისადგომი მოგვცა მამასთან. როგორც იოანეს 16:26-27-შია ნათქვამი:

„იმ დღეს, ჩემი სახელით შესთხოვთ; და არ გეუბნებით, რომ მე ვთხოვ მამას თქვენთვის. ვინაიდან თვითონ მამას უყვარხართ, რაკი მე შემიყვარეთ და იონმუნეთ, რომ ლვთისგან გამოვედი“.

იესო გააშიშვლეს და მან ჩვენი სირცხვილი იტვირთა, როდესაც ჩვენი ადგილი დაიკავა ჯვარზე. მან თავისი სრულიად უმნიკვლო სიცოცხლე გაიღო ჩვენი ბინიერი და გარყვნილი პიროვნების დასახსნელად და თავისი სრულყოფილი მსხვერპლით გვიხსნა ჩვენ, აღთქმის თითოეული ვაჟი და ასული.

## ალბათ, ხუმრობ!

ჩვენი ისტორია გრძელდება დაბადების მე-18 თავში, სადაც ღმერთი კვლავ მოინახულებს აპრაპამს. აპრაპამი თავისი კარვის შესასვლელში ზის ჩრდილში, სადაც აქვს შანსი ცოტათი მაინც გაგრილდეს. ის აღაპყრობს თვალებს და დაინახავს, რომ სამი კაცი დგას მის წინ, მამრეს მუხებთან. მრავალი სწავლული ფიქრობს, რომ ისინი ანგელოზები იყვნენ. აპრაპამი მიირბენს მათთან, თაყვანს სცემს და დარჩენას აიძულებს:

„უთხრა: „უფალო! თუ რამ მადლი ვპოვე შენს თვალში, გვერდს ნუ აუვლი შენს მსახურს. ცოტა წყალს მოვატანინებ და ფეხს დაგბანენ; მერე ხის ჩრდილში მოისვენეთ. გამოგიტანთ მცირეოდენ პურს და დაინაყრეთ გული, შემდეგ კი წადით; რაკი გზად ჩაუარეთ თქვენს მსახურს“. და უთხრეს მას: „ისე გააკეთე, როგორც თქვი“. (დაბადება 18:3-5)

მომწონს ის, თუ როგორ აკავებს ამ მგზავრებს და პატივს სცემს მათ. იგი ჯერ სარასთან მიირბენს და ეტყვის, რომ მან კვერები გამოაცხოს საუკეთესო ფქვილისგან. შემდეგ მიდის ნახირისკენ, საუკეთესო ხბოს არჩევს და მსახურ ბიჭს დაავალებს მის მომზადებას. როდესაც ყველაფერი მზად არის, იგი ერბოს და რძეს იღებს და მათთან ერთად მიართმევს მათ ხბოს. ნადიმი, რომლითაც აპრაპამი სტუმრებს უმასპინძლდება, ბევრად უფრო დახვენილია, ვიდრე უბრალო პურის ნაჭერი!

აპრაპამი სტუმრებთან ზის, როდესაც ისმის კითხვა:

„სად არის სარა, შენი ცოლი?“ უპასუხა: „აქ არის, კარავში“. და თქვა ერთმა მათგანმა: „გაისად ამ დროს აუცილებლად დავბრუნდები შენთან და აპა, ძე ეყოლება სარას, შენს ცოლს“. და ისმენდა სარა ამას კარვის შესასვლელთან, რადგან მის უკან იდგა“. (დაბადება 18:9-10)

როდესაც წმიდა წერილის ამ მონაკვეთს ვკითხულობ, თითქოს მოულოდნელად მეც სარას კარავში ვჩნდები. მის უკან ვდგავარ და მისი მხრების უკნიდან ვიყურები. აპრაპამი სტუმრებთან ერთად ზის გარეთ, სუფთა ჰაერზე ხის ჩრდილში. უდაბნოს ცხელ ნიავს მოაქვს მათი ხმა კარავში.

სარა ჩაბნელებული კარვიდან ისმენს მათ საუბარს, იგი საკმაოდ ახლოს არის, რომ მოისმინოს მათი საუბარი, თუმცა,

## დაპირებას კონცურენციის გარეშე

თავად არ ერთვება მასში. იგი ფრთხილობს, რომ არ იხმაუროს, მაგრამ წმიდა წერილი ამჟღავნებს მის აზრებს:

„მოხუცები იყვნენ აპრაპამი და სარა, ხანში შესულნი; და შეწყვეტილი ჰქონდა სარას დედათა წესი. გაეცინა სარას გულში და თქვა: „როგორ უნდა განვიცადო მოხუცმა სიამე? და ჩემი ბატონიც ხომ მოხუცია!“. (დაბადება 18:11-12)

ეს აპრაპამის რეაქციის მსგავსია, რაც მაფიქრებინებს... განა სარამ პირველად მოისმინა ეს? როგორც ჩანს, ეს მისთვის მოულოდნელია. ზოგჯერ, დანაპირების აღსრულება სწორედ მაშინ ხდება, როდესაც იგი თითქოსდა არასდროს ყოფილა ასეთი შეუძლებელი.

დაბადების 17:21-ში, ჩვენ ვკითხულობთ: „გაისად ამ დროს...“ და როდესაც დაპირება სარას წინაშე მეორდება, იგი ასე უდერს: „დაახლოებით ამ დროს, გაისად...“. როგორც ჩანს, გრაფიკი შეიცვალა. შეუძლებელია იმის ზუსტად გაგება, თუ რამდენი დრო გავიდა აპრაპამის ღმერთთან საუბარსა და ამ ანგელოზების გამოჩენას შორის, მაგრამ დიდი დრო არ უნდა ყოფილიყო გასული. შესაძლოა, ერთ თვეზე ნაკლები ყოფილიყო გასული. ზეციერი მამა დარწმუნებულია, რომ სარამ იცის ამ საუბრის შესახებ.

„და უთხრა უფალმა აპრაპამს: „რად გაიცინა სარამ ამ სიტყვებით: „ნუთუ მართლა ვშობ ამ მოხუცობისას?“ განა უფლისთვის შეუძლებელია რაიმე? დათქმულ დროს, გაისად დავბრუნდები შენთან; და ეყოლება სარას ძე!“ შეეშინდა სარას და უარყო, არ გამიცინიაო. და უთხრა: „არა, გაიცინე!“. (დაბადება 18:13-15)

სარამ არა მხოლოდ გაიცინა... მან იცრუა კიდეც! მას შეეშინდა, რამეთუ ეს ისეთი სიცილი იყო, როდესაც იტყვიან ხლომე: „შენ ალბათ ხუმრობ... ეს დაცინვაზე მეტი იყო“.

## სად არის სარა, პენი ცოლი?

წმიდა წერილის მუხლებმა, დამაფიქრა, თუ რამდენი რამის თქმა მსურდა, მაგრამ უთქმელი დამრჩა. რამდენიმე რამე მოვინიშნე, რასაც მინდა რომ შევეხო. ზოგიერთი მათგანი გამომრჩა და ახლა მინდა განვიხილო.

## პონტურენციის გარეშე

პირველი, მინდა განვიხილო შემდეგი კითხვა: „სად არის სარა?“ რატომ იმალება იგი თავის კარავში? რატომ არ არის იგი თავისი ქმრის გვერდით და მონაწილეობას არ ღებულობს ამ საუბარში?

ვიცი, რომ თქვენთვის ცნობილია ამ ამბის დასასრული, მაგრამ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სარას ეს არ გაუკეთებია. თავისი ასაკიდან გამომდინარე, იგი შესაძლოა ფიქრობდა, რომ მისი ამბავი დასრულდა და ცხოვრებამაც ჩაიარა. შესაძლოა, იგი გრძნობდა, რომ მისი ქმრის სხვა ქალთან კავშირის და იმის გამო, რომ იგი ცუდად ექცეოდა აგარს, დისკვალიფიცირებული იყო.

იგი ვერ აცნობიერებდა, თუ რა ტკივილს განიცდიდა და რომ ის შეცდომები, რომელთაც იგი განმეორებითი იმედგაცრუებებისა და რთული გარემოებების დროს უშვებდა, ღრმა კვალს ტოვებდნენ მის მგრძნობიარე სულზე. სარა ისააკისა და ისრაელი ერის დედა უნდა გამხდარიყო, ამიტომ მისი მომზადება იყო საჭირო.

ცამეტი წლის მანძილზე, იგი ხედავდა, თუ როგორ იზრდებოდა ისმაელი. მას იმედი ჰქონდა, რომ აგარის შვილს საკუთარი შვილივით გაზრდიდა, მაგრამ ისმაელი თავს სარას შვილად არ გრძნობდა. აბრაჰამი კმაყოფილი ჩანდა, მაგრამ სარა გულგატეხილი იყო. ისე ჩანდა, თითქოსდა ყველაფერი მის წინააღმდეგ მუშაობდა. მაგრამ ყველაზე უფრო ტრაგიკული კი იყო ის, რომ ეს ყველაფერი იქიდან გამომდინარეობდა, რომ სარამ და აბრაჰამმა დაივიწყეს, თუ ვინ იყო სარა.

შემდეგი რამ, რამაც გამაოცა, იყო შემდეგი კითხვა: „სად არის სარა, შენი ცოლი?“

როდესაც სტუმარი მოდის ჩვენს სახლში და მე მკითხულობს, ჯონს არ ეკითხება, სად არის ლიზა, შენი ცოლი?“ დაზუსტება არ არის აუცილებელი. დაზუსტება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მიზანშეწონილი, ჩვენს სახლში ორი ქალი რომ ცხოვრობდეს, სახელად ლიზა. მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი ვაჟი რომ დაქორწინდეს გოგონაზე სახელად ლიზა, დაზუსტება არ იქნებოდა უადგილო: „მე ლიზასთან მოვედი, შენს მეუღლესთან და არა შენს რძალთან“.

ის, ვინც გვიცნობს ჩვენ, უბრალოდ იკითხავს: „სად არის ლიზა?“ მაგრამ, ვიღაც რომ არ გვიცნობდეს და დიასახლისთან უნდოდეს საუბარი, ამ შემთხვევაში ჰკითხავს ჯონს: „სად არის თქვენი მეუღლე?“

მე მაინტრიგებს ის ფაქტი, რომ ეს მგზავრები ორივეს იცნობდნენ, აბრაჰამსაც და სარასაც, თუმცა სარა სახელითაც იკითხეს და მისი სტატუსითაც აბრაჰამთან მიმართებაში.

## ლაპირებას კონცურენციის გარეშე

შეეძლოთ ამ ანგელოზ ვიზიტორებს ეთქვათ: „აპრაპამ, ჩვენ აქ ვართ, რათა შეგახსენოთ, რომ სარა შენი ცოლია. ვიცი, რომ თქვენი ერთობლივი ცხოვრება ამ ეტაპზე განსხვავებულია, და რომ აგარისგან ბავშვი გყავს, მაგრამ სარა ჯერ ისევ შენი ცოლია“. შესაძლოა, ამით აიხსნება ის, თუ რატომ დაკმაყოფილდა სარა იმ საუბრის მხოლოდ მოსმენით, რომლის მოხაწილეც უნდა ყოფილიყო. სტუმარი აღბათ იმვიათი იყო მათ მომთაბარე ცხოვრებაში. აპრაპამი ფეხზე წამოხტა, როდესაც ეს სამი კაცი დაინახა ხესთან მდგომი, მისი კარვის შესასვლელის მოშორებით. ვკითხულობთ რა ამბავს ბიბლიაში, ისე ჩანს, თითქოს საჭმელი რამდენიმე წუთში მომზადდა, მაგრამ ასეთი ნადიმის მომზადებას საათები დასჭირდებოდა.

განა დავკმაყოფილდებოდით თითოეული ჩვენგანი ღვთის დაპირებების მხოლოდ მოსმენით, განა არ ჩავერთვებოდით საუპარში. შესაძლოა, სტუმარმა მიმოიხედა ორგვლივ და თქვა: „მე ვხედავ რჩმენის მამას; დედა სადღაა?“

ანგელოზები ან უფალი რომ მოვიდეს ჩვენს სახლში და ჯონმა ისინი სადიოლზე დაპატიჟოს, მას ჩემი სასტუმრო ოთახიდან გამოგდება მოუწევს. სიმართლე რომ ითქვას, ეს პრობლემა არასდროს წამოიჭრებოდა ჩემს ოჯახში. ჯონის სტუმრები ჩემი სტუმრები არიან, ხოლო ჩემი სტუმრები – მისი. დავუშვათ, რაღაც მიზეზის გამო ოთახში რომ არ ვყოფილიყავი და გამეგო, რომ ისინი მე მკითხულობდნენ, დაუყოვნებლივ ოთახში გავჩნდებოდი.

არ მაქვს მიზეზი ვივარაუდო, რომ სარას სთხოვეს წასულიყო ან აპრაამს საერთოდ არ დაეშვა მისი იქ ყოფნა. მაინტერესებს, სარამ თავად ხომ არ აირჩია თავის გარიდება. ეს პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანები იმდენად მიჩვეულნი არიან იმედგაცრუებას, რომ ავიწყდებათ, თუ ვინ არიან. იმედი მტკივნეულია. ამიტომ, ისინი იმალებიან, შემდეგ იცინიან, ხოლო შემდეგ კი ცრუობენ.

მიუხედავად იმ მიზეზებისა, თუ რატომ იყო სარა შიგნით, ღმერთმა იგი კვლავ მოვლენების ცენტრში მოათავსა. მჯერა, რომ ეს იმით დაიწყო, რომ ღმერთმა შეახსენა აპრაპამსაც და სარასაც, რომ სარა კვლავაც მისი ცოლი იყო. ამის გაცხადება აგარის, მისი მეტოქის გვერდზე გაწევაში დაეხმარა სარას და ამ პროცესმა ყველას შეახსენა, თუ ვინ იყო იგი. სარა იყო პრინცესა.

კონცურენციის გარეშე

## რატომ ჰყითხეს აპრაპამს?

შემდეგი საკითხი, რომელმაც დამაინტერესა ამ ამბავში, იყო ის ფაქტი, რომ სარას გაეცინა, მაგრამ მის ნაცვლად აპრაპამს ჰქითხეს ამის შესახებ:

„და უთხრა უფალმა აპრაპამს: „რად გაიცინა სარამ ამ სიტყვებით: ‘ნუთუ მართლა ვშობ ამ მოხუცობისას’?“. (დაბადება 18:13)

რატომ მოჰქითხეს აპრაპამს ის, რაც სარამ გააკეთა? როდესაც ამას ვხედავ, ნამდვილად ვრწმუნდები, რომ აპრაპამს არ ჰქონდა ნათქვამი სარასთვის იმ საუბრის შესახებ ღმერთსა და აპრაპამს შორის, რომელიც დაბადების მე-17 თავშია აღწერილი. შესაძლოა, აპრაპამი ჯერ კიდევ ფიქრობდა იმაზე, რაც უფალმა უთხრა მას, ან, იქნებ არც უნდოდა, რომ ეთქვა სარასთვის. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ მე და ჯონისაც გვავინყდება ერთმანეთისთვის ინფორმაციის გადაცემა. ან, შესაძლოა ისაუბრეს კიდეც ამის შესახებ, მაგრამ სათანადოდ ვერ შეაფასეს ლვთის ეს დაპირება. მაგრამ, ერთი რამ ცხადია, ძის ალთქმა, რომელიც სარას მეშვეობით ეყოლებოდა აპრაპამს არ იყო გაცადებული სარას ცხოვრებაში. მაცნეები ეკითხებიან აპრაპამს:

„განა უფლისთვის შეუძლებელია რაიმე? დათქმულ დროს, გაისად დავბრუნდები შენთან; და ეყოლება სარას ძე!“. (მუხლი 14)

ერთ წელიწადში სარას ძე შეეძინება. სასაცილოდ მეჩვენება ის ფაქტი, რომ სარამ მოიტყუა და უარყო, რომ გაიცინა, მაშინ როდესაც მისთვის არც კი უკითხავთ, რატომ გაგეცინაო; აპრაპამს ჰქითხეს ეს. კიდევ, უალრესად მანუგეშებელია ჩემთვის ის, რომ ჩვენმა ზეციერმა მამამ, სამუდამო ალთქმის ღმერთმა მოისმინა სარას ჩუმი სიცილი, რამეთუ ეს მარწმუნებს იმაში, რომ მას აგრეთვე მტირალი გულის სიჩუმეც ესმის.

დიდი განსხვავებაა იცინი რაღაც აზრის გამო, თუ სიხარულის შედეგად იცინი. სარას ცხოვრება სიცილს მოკლებული იყო. ისააკის დაბადება შეცვლიდა ამ ყველაფერს. აპრაპამმა და სარამ ერთად დაიწყეს თავიანთი მოგზაურობა, და ისინი დაჩქარებდნენ ალთქმის ალსრულებას, თუკი კვლავ ისწავლიდნენ ერთად სიცილს. დაპირებების ალსრულება გულისხმობს, რომ ქმრები და ცოლები, ძმები და დები, კაცები და ქალები ერთმანეთში არკვევდნენ ურთიერთობებს.

რამეთუ, ძალიან დიდი ხანია რაც ქალები იმაღლებიან, მაგრამ შემოქმედის სურვილია იცოდე, რომ მას უნდა საუბარში იყო ჩართული. ღმერთს სარას დიდი სურვილი და სულის სიღრმე სჭირდებოდა თავისი აღთქმის ერის დასაფუძნებლად. გალატელთა 4:22-23-ში ნათქვამია:

„ვინაიდან დაწერილია, რომ ორი ძე ჰყავდა აბრაჟამს, ერთი მხევლისგან, მეორე კი – თავისუფლისგან. მაგრამ მხევლისგან გამოსული ხორციელად იყო შობილი, ხოლო თავისუფლისგან გამოსული – აღთქმის მიხედვით“.

ღმერთს სარას  
დიდი სურვილი  
და სულის  
სიღრმე  
სჭირდებოდა  
თავისი  
აღთქმის ერის  
დასაფუძნებლად.

## 306 იცავს სარას?

ვიდრე სარა ისააკს აიყვანდა ხელში, კიდევ იყო ერთი საუბარი, რომელში მონაწილეობის მიღებაზეც სარამ თავი შეიკავა. ეს სრულ საიდუმლოს წარმოადგენს ჩემთვის, მაგრამ ამჯერად, როდესაც სარა გაჩუმდა და იცრუა, ღმერთი ჩაერია:

„თქვა აბრაჟამია სარაზე, თავის ცოლზე, რომ და იყო მისი. აბიმელექმა, გერარის მეფემ, კაცი გაგზავნა და თავისთან მიაყვანინა სარა. მაგრამ ღმერთი მოევლინა სიზმარში აბიმელექს და უთხრა: „აჟა, მოკვდები იმ ქალის გამო, რომელიც მოიყვანე, რადგან ქმრიანია იგი!“. (დაბადება 20:2-3)

მიხარია, რომ ღმერთმა დაიცვა სარა, რადგან მეჩვენება, რომ აბრაჟამიც და სარაც კმაყოფილნი იყვნენ გაჩუმებით. რას ფიქრობდნენ ისინი? ღმერთი ახალ საქმეს აკეთებდა, მაგრამ ისინი ერთმანეთს კვლავ ძველებურად ეპყრობოდნენ. ძმისა და დის ეს დინამიკა ყოველთვის არასწორი იყო, მაგრამ ახლა ყველაზე უფრო მეტად. ღმერთმა მათ სახელები შეუცვალა და სარას სადაცაა ისააკი უნდა ჩასახოდა.

აშკარაა, რომ სარა შეუდარებელი სილამაზის ქალი იყო... მაგრამ ის ოთხმოცდათი წლის იყო! როგორც ჩანს, იგი კარგად ბერდებოდა, ან იქნებ ღმერთმა რადიკალურად განაახლა მისი ახალგაზრდობა ისააკის გამო. ნებისმიერ შემთხვევაში, იცოდა

## კონცურენციის გარეშე

რა აბრაჟამჩა, რომ სარას ერთ წელინადში უნდა ჩასახოდა და ჰყოლოდა მათი ერთობლივი შვილი, უნდა დაეცვა თავისი ცოლი მეფე აბიმელექისგან. სხვაგვარად, როგორ დარწმუნდებოდა აბრაჟამი, რომ სარას შვილი ნამდვილად მისგან იყო? ძალიან ხშირად ვფიქრობთ, რომ სიჩუმე მორჩილებას ნიშნავს, მაგრამ ასე არ არის... იგი სიცრუეს თქმას ნიშნავს. მორჩილება – ეს არის ცოდნა იმისა, თუ როდის და რა იღაპარაკო. ეს ნამდვილად ასეთი დრო იყო.

ასაკის გამო, შესაძლოა აბრაჟამი და სარა მართლაც და- ძმასავით ცხოვრობდნენ, მაგრამ ეს დღეები დასრულდა. თუ ასეთი იყო მათი ურთიერთობა სახელების შეცვლამდე, ანგელოზების მიერ მათი მონახულების შემდეგ ვითარება უნდა შეცვლილიყო. სარას და აბრაჟამის განახლებულ სახელებს მათი ინტიმური ცხოვრების განახლება უნდა გამოეწვია. ორივე მათგანი აცნობიერებდა, რომ ერთ წელზე ნაკლებ დროში სარა მათი შვილით დაორსულდებოდა. სარა დაეთანხმა ნახევრად სიმართლეს, მაგრამ ალბათ ფიქრობთ, ნეტავ რას ფიქრობდნენ ისინი?

„მოიხმო აბიმელექმა აბრაჟამი და უთხრა: „ეს რა გვიყავი? რა შეგცოდე, რომ მოაწიე ჩემზე და მთელ ჩემს სამეფოზე დიდი ცოდვა? საქმე, რომელიც არ ჩადენილა, ჩაიდინე ჩემთან!“. (დაბადება 20:9)

მას შემდეგ, რაც აბრაჟამმა აუხსნა თავისი ტყუილის საეჭვო მიზეზი, მეფე აბიმელექმა მაინც აკურთხა იგი და მის ქვეყანაში დამკვიდრება შესთავაზა. აბრაჟამმა ილოცა აბიმელექისთვის და ღმერთმა კვლავ გაუხსნა საშო ყველა ქალს მის ოჯახში. ირონიულია ის, რომ აბრაჟამმა იმისთვის ილოცა, რისი აღსრულებაც ჯერ საკუთარ ცხოვრებაში არ ენახა. ღმერთმა დაიცვა სარა მაშინაც კი, როდესაც მისმა მეულლემ საკუთარი უსაფრთხოება მასზე მაღლა დააყენა. ღმერთი სიზმარში ელაპარაკა მეფეს, რათა დაეცვა სარა, რამეთუ იგი ძვირფას საგანძურს წარმოადგენდა მისთვის. ჩვენ შეგვიძლია მივანდოთ ღმერთს ჩვენი უსაფრთხოება და გვჯეროდეს, რომ იგი აღასრულებს თავის დანაპირებს ჩვენს ცხოვრებაში მაშინაც კი, როდესაც ჩვენი ახლობლები – ჩვენი ქმრებიც კი ვერ ამართლებენ ჩვენს იმედებს.

## თავისუფალი ქალი მონა ქალის ნინააღმდეგ

1პეტრე 3:6-ში ვკითხულობთ: „თქვენ მისი ჭეშმარიტი შვილები ხართ, როცა კეთილ საქმეს აკეთებთ და არაფრის 66

## ლაპირებას კონცურენციის გარეშე

შიში არ გაკრთობთ [არ აძლევთ ადგილს ისტერიულ შიშს, და უსიამოვნებები არ გაღიზიანებთ]“. სარას ქალიშვილი არასოდეს გაუჩენია, მაგრამ წმიდა წერილის ეს მონაკვეთი ამტკიცებს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ მისი ჭეშმარიტი ასულები. ჩვენ აღთქმის ქალიშვილები ვართ, თავისუფლის შვილები, როდესაც არ ვაძლევთ უფლებას შიშს აკონტროლოს ჩვენი ქმედებები და შფოთს, წაგვართვას გამბედაობა.

სარა იყო თავისუფალი ქალი, რომელიც პატივს მიაგებდა ლმერთს და ქმარს. მეორეს მხრივ, აგარი იყო მონა ქალი, რომელსაც სძულდა თავისი ქალბატონი, სარა. აგარის შვილმა, ისმაელმა დედის მაგალითს მიბაძა და ისააკს დასცინოდა. სარა მიხვდა, რომ საჭირო იყო მონის თავისუფლისგან განცალევება. ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ. გალატელთა 4:30-ში ვკითხულობთ: „განდევნე მხევალი და მისი ძე, ვინაიდან მხევლის ძე ვერ გახდება მემკვიდრე თავისუფლის ძესთან ერთად!“

მხევალი ქალის ძეს უარი ეთქვა მემკვიდრეობის განაწილებაზე. მან დაკარგა საკუთარი მამა და ყველაფერი, რაც ოჯახად მიაჩნდა. თავისუფალ ქალსაც და მხევალსაც, ორივეს ერთი ქმარი ჰყავდათ. ორივეს ჰყავდა ძე. თუმცა მათი ურთიერთობა აბრაჟამთან ძალიან განსხვავებული იყო. აგარი წარმოადგენდა ხორცს და მის მონობას. სარა კი თავისუფლებისა და აღთქმის მხარეს წარმოადგენდა. გალატელთა 4:22-26 ამას შემდეგნაირად აღწერს:

„გახსოვთ, ორი ძე ჰყავდა აბრაჟაში: ერთი მხევლისგან, მეორე კი - თავისუფლისგან. მაგრამ მხევლისგან გამოსული ხორციელად იყო შობილი, ხოლო თავისუფლისგან გამოსული – აღთქმის მიხედვით. ეს სწორედ იმის ილუსტრირებას ახდენს, რასაც ჩვენ ახლა განვიხილავთ. ორი დაბადება წარმოადგენს ლმერთთან ურთიერთობის ორ გზას. ერთი არის სინაის მთიდან, არაბეთში. იგი შეესაბამება იმას, რაც დღეს ხდება იერუსალიმში – მონურ ცხოვრებას, რომელიც მონურ შთამომავლობას წარმოშობს. ეს აგარის გზაა. იგი საპირისპიროა უხილავი იერუსალიმისა, თავისუფალი იერუსალიმისა, და ეს არის დედაჩვენი – ეს არის სარას გზა“. (Message)

მომწონს ეს ფრაზა „ეს არის სარას გზა“. უხრწნელი სილამაზე, ის იყო ბუნებრივი მომასწავებელი ნიშანი იმ უბერებელი, უჭინობი სილამაზისა, რომელსაც ქრისტეში ვპოულობთ. თქვენ აღთქმის შედეგად დაიბადეთ.

## კონცურენციის გარეშე

აბრაჟამი, რწმენის მამა და მისი პრინცესა სარა, ქრისტესა და მისი პატარძლის, ეკლესიის მაგალითს წარმოადგენენ. ჩვენ მოწოდებული ვართ დამოკიდებული ვიყოთ ქრისტეზე და პირველობა მას მივაკუთვნოთ. ის არის ჩვენი თავი და ყველა, ვისაც სწამს მისი, ეკვემდებარება მის უფლობას, ლიდერობასა და ავტორიტეტს. მაგრამ, ჩვენ არ გვაქვს მიზეზი შიშში ვიყოთ. ის არის ჩვენი შემოქმედი – ქმარი. მან თავისი სიყვარულით შეგვემნა.

## შეცვიტეთ დაგალვა!

თუ ღმერთმა რაღაცის დიდი სურვილი ჩადო თქვენში, ძალასაც მოგცემთ, რომ მოთმინება გამოიჩინოთ და გამოიღოთ ნაყოფი. ძალა მოდის მაშინ, როდესაც ღმერთი მოვა და რაღაცას დაპირდებათ. შესაძლოა, ამ წიგნის გვერდები სარას სტუმრების როლს თამაშობენ. შესაძლოა, ეს სიტყვები იმისთვის დაინერა, რომ შეგახსენოთ, თუ ვინ ხართ.

ჭეშმარიტება მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს ღვთის პირდაპირ თქვენთან საუბრის შემცვლელი. თქვენ უნდა სწრაფად ჩაერთოთ ღმერთთან საუბრებში, რომლებიც თქვენს ბედს შეეხება. აღარ არის ქალების დამალვის დრო. დროა, რომ ჩვენი სახელის ხსენებაზე, შევძახოთ: „აქ ვარ! აქ ვარ, და მინდა მოვისმინო!“

თუ გინდა უკონკურენციო ცხოვრებით იცხოვრო, უნდა შეწყვიტო დამალვა და საუბარში უნდა ჩაერთო.

ბევრი რამ შეიძლება მოხდეს ერთ წელიწადში. ეს წელი სარას ცხოვრებაში სხვა წლებისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. რაც გასაკვირი არაა, როდესაც ეს არის შემოქმედის ვიზიტის წელი.

აცნობიერებთ, რომ ეს წელი იგივენაირი შეიძლება იყოს თქვენთვისაც? ეს წელი შეიძლება სადღაც ჩრდილში დაიწყოს, სიცილისა და ტყუილის თანხლებით, მაგრამ დანაპირების აღსრულებით დასრულდეს თქვენთვის.

შესაძლოა ფიქრობდეთ: „მოიცადე ერთი წუთით, მე არ ვიტყუები!“

იტყუებით, თუკი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ფრაზას მაინც ამბობთ:

„მეტისმეტად გვიანია“.

„მეტისმეტად ახალგაზრდა ვარ“.

„მეტისმეტად ხანშიშესული ვარ“.

„არ ვარ კვალიფიცირებული“.

## ლაპირებას პონურენცის გარეშე

„ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვი“.  
„მშვენივრად ვგრძნობ თავს“.  
„მე არ მჭირდება ოცნება“.

ნუ ცრუობთ და ნუ ამბობთ, რომ არ გჭირდებათ უფრო მეტი. ნუ უარყოფთ თქვენს ოცნებებს. როდესაც ასე იქცევით, ამას ჯერ სიცილი მოჰყება, ხოლო შემდეგ, როგორც კი თქვენი გულის კარი იკეტება, ცრუობთ კიდეც. ღია დატოვეთ გულის კარი და მოიცავით ის სასწაულებრივი საკვირველება, რომელშიც იქნებით მიწვეული. ნაცვლად იძისა, რომ დასცინოთ ამ მიწვევას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ შეგვიძლია, ვიცხოვროთ ცხოვრებით რომელიც ერთდროულად სასწაულებრივიც იქნება და ღვთაებრივიც, მოდი იმაზე გავიცინოთ, რომ გვიკვირს ეს ყველაფერი! ჩვენ კონკიას ვგავართ, ხოლო ეს ქვეყნიერება შეგვიძლია ჩვენს ბოროტ ნახევარ დებს შევადაროთ. რამდენ ხანს უნდა ვიტიროთ გუშინდელი ნაცრით სავსე ბუხართან, როდესაც უფლისწული უკვე კარზეა მომდგარი? თქვენ ყველაფერი გაქვთ იმისთვის, რომ ისეთი ცხოვრებით იცხოვროთ, როგორი ცხოვრების ჩაფიქრებაც მხოლოდ ღმერთს შეეძლო თქვენთვის.

ასე რომ, რას ემალებით?

რომელ ოცნებას დასცინით ამჟამად? რომელ იმედს? თქვენთვის ნაცნობია ის ნერვიული სიცილი, რომელიც ყელში გიფერთ იმის მცდელობაში, რომ ჩაახშოს ის, რაც ახლა მეტისმეტად მტკიცნეულია იმისთვის, რომ სერიოზულად იქნას მიღებული? მისმინეთ, თქვენ არ ხართ არც კვალიფიცირებული და არც დასკვალიფიცირებული. თქვენ ქრისტეს გამო ხართ ამ აღთქმაში.

ან, იქნებ თქვენს ცხოვრებაში აღარ არის ტკივილი წავიდა და გაქვავებული დაგტოვათ. ეს ის ადგილია, რომელსაც ღმერთი როდესაც ეხება, თქვენ ტირილს იწყებთ? მეტისმეტად ბევრი ადამიანია ცარიელი, ამიტომ ისინი იცინიან, ცდილობენ რა, დასცინონ იმედს.

ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ რაღაც დონეზე თქვენ მამა აბრაჟამის მსგავსად გჯერათ, რომ არის რაღაცები, რისი გაკეთებაც ყოვლისშემძლისთვის მეტისმეტად რთულია? განა, მეტისმეტად რთულია მისთვის, რომ აზრი მიანიჭოს თქვენს ცხოვრებას?

განა მეტისმეტად რთულია მისთვის, სიყვარული ჩადოს თქვენს სამყაროში? რა არის ისეთი, რაც გგონიათ, რომ მეტისმეტად რთულია შემოქმედისთვის რომ თქვენთვის მოიმოქმედოს?

გალატელთა 4:4-7-ში ვკითხულობთ:

## პონტურენციის გარეშე

„და როცა მოვიდა სისრულე დროისა, რომელიც დადგენილი იყო მამა ღმერთის მიერ, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც დედაკაცისგან იშვა ჩვენს შორის და რომელიც რჯულის პირობების ქვეშ იშვა, რათა შეძლებოდა მათი გამოსყიდვა, ვინც კანონის მიერ იქნა გატაცებული. ამგვარად, ჩვენ გამოსყიდული ვიქენით, რათა განგვეცადა ჩვენი კანონიერი მემკვიდრეობა. ახლა თქვენ დარწმუნებით შეგიძლიათ თქვათ, რომ მის პირად შვილებად ხართ მიღებული, რამეთუ ღმერთმა გამოგზავნა თავისი ძის სული ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც შესძახის: „მამიკო, მამაო!“ განა ღმერთთან ინტიმური საუბრის ეს პრივილეგია არ გიჩვენებთ, რომ თქვენ მონები კი არ ხართ, არამედ შვილები ხართ? ხოლო თუ მისი შვილები ხართ, მემკვიდრენიც ხართ, რომელთაც სრული მისადგომი აქვთ მემკვიდრეობასთან“. (Message)

თქვენ გატაცებული მემკვიდრე იყავით, რომელიც გამოხსნილ იქნა. ერთ-ერთი ყველაზე დიდებული და გაბედული რამ, რაც შეგიძლიათ გააკეთოთ, არის ის, რომ იცხოვროთ იმ ყველაფრის სისრულეში, რაც იესომ თავისი სიკვდილით მოიპოვა თქვენთვის. მისი სიტყვის კითხვის მეშვეობით, თქვენ გაიგებთ, თუ რა გეკუთვნით, რამეთუ მისი სიტყვა პირადი წერილი უფროა, ვიდრე ისტორიული ანგარიში. შემდეგ კი თქვენ თქვენს ხმას გამოიყენებთ იმისთვის, რომ მისი სიტყვა თქვენს გულში განამტკიცოთ. მიუხედავად იმისა, ჩანს თუ არა ეს ასე, ან გრძნობთ თუ არა ამას, თქვენ ხართ ყველაფერი ის და გაქვთ ყველაფერი, რასაც უზენაესის სიტყვა ამბობს თქვენს შესახებ. დღესაც კი, ახლა, ღმერთი გაძლევთ ახალ სახელს, ასრულებს რა თავის ალთქმებს თქვენს მიმართ და ადასტურებს, რომ ღვთის შვილი ხართ. თქვენი ცხოვრების ღვთისმიერი დანიშნულება და მისი სიტყვები თქვენს შესახებ, თქვენი ამჟამინდელი სიტუაციით არ შემოიფარგლება. მისი დაპირება თქვენდამი უკონკურენციოა. ნუ დაემალებით მას!

მოიცავით იგი!

**საღისაუსიო კითხვები:**

1. იცოდით, რომ ღმერთმა მიგვიწვია, რათა მისი ძის ლვთიური ბუნების მონაწილენი გავხდეთ ახლა ქრისტეში აღმოჩენილი აღთქმების მეშვეობით?
2. არის ისეთი სფერო ან ურთიერთობა თქვენს ცხოვრებაში, რომელიც გამუდმებული ბრძოლის წყაროა და რომელსაც უნდა გამოეყოთ ან გამოასწოროთ მანამ, სანამ ღმერთი თავისი დანაპირების აღსრულებას დაიწყებდეს თქვენს ცხოვრებაში?
3. ემალებით რამეს? თუ ასეა, რას ემალებით?
4. უსმერთ თუ არა იმ საუბრებს, რომელთა მონაწილეც ღმერთს სურს რომ იყოთ? რატომ?
5. როდის არ ნიშნავს სიჩუმე მორჩილებას?
6. არის ისეთი რამ, რასაც ღმერთი შეგპირდათ, მაგრამ თქვენ დასკინით მას და ცრუობთ მის შესახებ?
7. რა ნაბიჯების გადადგმა შეგიძლიათ, რათა შეცვალოთ ეს დინამიკა, რომ გარედან მაყურებლიდან, აქტიურ, მხურვალე მონაწილედ იქცეთ.



# 4

## არც პი გაპედო შედარება!

„სხვასთან შედარება სიხარულს გვპარავს“.

თეოდორ რუზველტი

მ თავს, ალბათ, გაფრთხილებაც მოჰყვება თან! ის, რასაც ახლა წაიკითხავთ, ჩემთვის მტკიცნეულია. შემდეგი ამბავი სამწუხაროდ ნამდვილად გადამხდა და უხერხული, მაგრამ სასაცილო ამბავია ჩემს შესახებ. იმედი მაქვს, რომ არც ერთ თქვენგანს არ ჰქონია გონების ისეთი დროებითი დაბინდვა, რის გადმოცემასაც ახლა სიტყვებით ვაპირებ, მაგრამ, თუ ოდესმე განგიცდიათ ასეთი რამ... თქვენ მარტო არ ხართ. დავიწყოთ!

ჩემი დღე საკმაოდ უწყინრად დაიწყო. მე ჩავთრატუნდი ჩვენს სამზარეულოში ხალათში მჭიდროდ გახვეული, რომელიც ჩემს ფლანელის პიუამოზე მქონდა გადაცმული, რათა კოლორადოს კიდევ ერთი იანვრის ცივი დილა მომეგრიებინ. ჯონი უკვე ერთი საათის მანძილზე მშვიდად კითხულობდა თავის კაბინეტში. სამზარეულოში დავიწყე ფუსფუსი ჩემს ესპრესოს აპარატთან, სადაც ჯერ კიდევ ნამძინარევი, ბუნდოენად ვხედავდი, თუ როგორ ემზადებოდა ჩემი ორი ბიჭი სახლიდან გასასვლელად. ოსტინი სამსახურში მიდიოდა, ხოლო ალეკი სკოლაში. როდესაც სახლში შემოსასვლელი კარი დაიხურა, დივანზე მოვეწყე კომფორტულად და ჩემი ესპრესოს მეორე პორციის მოწრუპვას შევუდექი, რომელიც შეზავებული იყო ათქვეფილი ნალებით, ზემოდან მოყრილი ჰქონდა ნამდვილი

## კონცურენციის გარეშე

შოკოლადის ნათალი, დარიჩინი, არარაფინირებული შაქარი და წინაკის მწივი (შემიძლია უბრალოდ ვთქვა, რომ ნეტავ ყველა ჩემი მეგობრისთვის ასეთი ყავის მირთმევა შემეძლოს?). ზამთრის მზე ჯერ ეხლა ამოინვერა ჩვენს უკანა ეზოში. დივანზე მოვიკუნტე და ვუყურებდი, თუ როგორ გაფანტა ვარდისისფერმა ჩრდილებმა ღრმა ლურჯი ჩრდილები. არსად არ მივთრინავდი და არც დილით თათბირი არ მქონდა, ასე რომ შხაპის მიღებაც არ იყო აუცილებელი. შემეძლო მოვდუნებულიყავი და ნელ ტემპში გამეტარებინა დღე, სწორედ ისე, როგორც მომწონდა. ღრმად ამოვისუნთქე და მოვსვი ყავა დალარული ფინჯნიდან, და თან ვტკბებოდი იმ სითბოთი, რომელმაც მთელს სხეულში დამიარა, ისე რომ ვიგრძენი, თუ როგორ მოაწვა სისხლი ჩემს ტვის. იდეალური სიწყნარე სუფევდა.

სწორედ ამიტომ, ბიბლია უნდა ამეღო და წამეკითხა ის მონაკვეთი, რომელსაც იმ დროისთვის განვიხილავდი, ან უბრალოდ მეფიქრა ღვთის სიკეთეზე, რომელიც ჩემს მიმართ ვლინდება.

ამის ნაცვლად ტელეფონი ავიღე. რასაც ახლა ვნანობ, დამიჯერეთ... მაგრამ, ჩემი ერთ-ერთი სისუსტე, ჩემს ძლიერ მხარესაც წარმოადგენს. სოციალურ მედიას ჩემს მეგობრებთან დაკავშირების შესაძლებლობად განვიხილავ. მათი პოსტების დათვალიერება უტოლდებოდა მათთან ფინჯან ყავაზე დროის გატარებას. სხვა ადამიანებთან ურთიერთობის სურვილი კარგია, თუკი ეს სწორ დროს და ადგილას ხდება. ეს კი არც ერთი იყო და არც მეორე. მე იმ პიროვნებებს მივეკუთვნები, ვინც საზოგადოებაში გამოჩენამდე ჯერ ყავას უნდა შეუერთდეს, ხოლო შემდეგ სულინმიდას.

## სია

Twitter-ში რომ შევედი სიახლეების სანახავად, ჩემი მეგობრების ბმულებსა წავაწყდი. ადამიანები, რომლებსაც ვიცნობ, მიყვარს და რომელთა მხრიდანაც დაცულად ვგრძნობ თავს, მადლობას უხდიდნენ ვიღაცას, ვინც ისინი სიაში შეიყვანა. მაგრამ, ეს არ იყო უბრალოდ რაღაცა სია. ეს იყო სიბ. სია, რომელშიც მოხვედრის ძალიან დიდი სურვილი მქონდა.

კარგით, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ კონტექსტი გაგაცნოთ.

ეს არის სია, რომელიც ყოველწლიურად იქმნება და ახლდება. ბოლო რამდენიმე ათწლეულების მანძილზე, სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებს, „სიის“ შედგენა ევალებათ.

## პრც პი გაბეჭო შედარება!

ამჯერად, სიის შედგენა წილად ხვდა ერთ ქალბატონს... რომლის შესახებაც მსმენია, თუმცა პირადად არ ვიცნობდი. მაგრამ, ის ფაქტი, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობდით, სულაც არ გულისხმობდა იმას, რომ მე არ მსურდა მის სიაში მოხვედრა.

მე გვარებს გადავხედე. ვინაიდან სია ანბანის მიხედვით იყო შედგენილი და ჩემი გვარი „ბ“-ასოთი იწყება, დიდი დრო არ დამჭირვებია რომ მივმხვდარიყავი, რომ ჩემი გვარი არ იყო სიაში... არც ამჯერად.

ამ სიაში არასოდეს მოვხვედრივარ. მაგრამ, როგორც ჩანს, ამჯერად ყველა დანარჩენი, ვისაც მე ვიცნობდი, იყო ამ სიაში. ადამიანები, რომელთაც მე ვუწევდი მენტორობას, მოხვდნენ ამ სიაში, ჩემი მთარგმნელიც კი, რომელიც ჩემს წიგნებს ესპანურ ენაზე თარგმნის.

ალბათ გაინტერესებთ... რა სიაა ეს და რატომ არის ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვანი?

ეს გახლდათ ამერიკის მასშტაბით ტოპ ასეულში მოხვედრილ ქალ მსახურთა სია.

ჩემს გულს ბაგა-ბუგი გაჰქინდა. სასაცილო კითხვები და შედარებები მიტრიალებდა თავში. რატომ მე არ ვიყავი ამ სიაში?

ეს იმიტომ ხომ არ მოხდა, რომ საკმარისად არ ვწერ ბლოგებს?

ჩემს გონებაში ბრძოლა დაიწყო...

რატომ მოხდა ისე, რომ ერთ მილიონზე მეტი წიგნი მაქვს გაყიდული, ოც წელზე მეტია ვმოგზაურობ და ქალთა მსახურებას ვეწევი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვერ მოვხვდი ამ სიაში?

კარგი მეგობარი ვარ. ის არაფერს ნიშნავს, რომ უკვე ოცდაათ წელზე მეტია დაქორწინებული ვარ, ოთხი შვილი გავზარდე და მაქვს ოჯახი, რომელსაც ერთად ყოფნა უყვარს.

შემდეგ პოსტსკრიპტუმი წავიკითხე, რომელიც სიას ახლდა. სავარაუდოდ, ქალმა, რომელმაც შეადგინა აღნიშნული სია, აღიარა, რომ შესაძლოა, ადგილი ჰქონოდა უყურადღებობას და მას გამორჩენოდა იმ ქალთა გვარები, რომელთა დამატებაც საჭირო იყო ამ სიაში... მაგრამ ვერ მოხვდნენ. ამის გა-მოსწორების მიზნით მან ჩასამატებელი ადგილი დატოვა.

არასწორი იქნება ჩემი გვარი რომ ჩავამატო?

ამას სერიოზულად ვამბობ? რა თქმა უნდა, არასწორი იქნება!

იქნებ ჩემს ასისტენს ვთხოვო, რომ მან ჩაამატოს ჩემი სახელი. მივხვდი რა, რომ სიგიურის ზღვარს კრიტიკულად

## კონცურენციის გარეშე

ვუახლოვდებოდი, ჩემი ქმრის საძებნელად წავედი.

მის კაბინეტში ქარიშხალივით შევვარდი და დამწუხერებულმა მივახალე: „ჯონ, სიაში არ ვარ... არც ამჯერად!“

ჩემმა საყვარელმა ქმარმა, რომელიც ბიბლიას კითხულობდა, სათვალეების ქვემოდან ამომხედა. დაბნეული ჩანდა. მან არაფერი იცოდა სიის შესახებ. ხელების გაშლით დავუწყე ახსნა, თუ რა სია იყო ეს. მას არც ერთი ნერვი არ შეტოკებია. მე ჩამოვუთვალე მას, თუ ვინ იყო იმ სიაში და აგრეთვე არ დავმალე, თუ რამდენად იმედგაცრუებული ვიყავი სიაში არ მოხვედრის გამო. იგი არც კი განძრეულა სკამიდან. მან ბიბლიის მარკერი დადო და წარბი ასწია. როდესაც დეკლამაცია დავასრულე, მან მშვიდად შემომთავაზა რამდენიმე მუხლისთვის გადამეხედა.

ეს არ იყო ის გამოხმაურება, რომელსაც ველოდი! მინდოდა, რომ მას ეთქავა: „ლიზა, ძალიან ვწუხვარ! გეთანხმები, რომ მათ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს. მომიტანე ჩემი ტელეფონი! მე ჩაგამატებ სიაში“. მაგრამ იგი ასე არ მოქცეულა.

მე შევეწინააღმდეგი: „არ ვაპირებ მაგ მუხლების წაკითხვას, უკვე მათი ციტირებაც შემიძლია! ეს არ არის ის, რაც მე ახლა შენგან მჭირდება! ვერ ხედავ? უკვე ორმოცდაათ ნელს გადაცილებული ვარ და იმ სიაში ვერსდროს მოვხვდები!“

ჯონმა მკითხა: „ვინ შექმნა ეგ სია?“ მე ვუთხარი მას იმ ქალის სახელი... მას არ ეცნო იგი.

– იცნობ იმ ქალს?

უარის ნიშნად თავი გავიქნიე. მან თავი დამიკრა მშვიდად, ბიბლიაში ჩაიხედა ისევ და ის მუხლები გამიმეორა, ერთი მუხლის დამატებით, რომელთა წაკითხვაც მანამდე მირჩია.

ვერავითარი თანავრძნობა ვერ მივიღე ჩემი ქმრის მხრიდან. გაბრაზებული გამოვარდი მისი კაბინეტიდან, ყვირილით: „არ მჭირდება ბიბლიის მაგ მუხლების წაკითხვა იმისთვის, რათა დავრწმუნდე რომ არასწორად ვიქცევი! ვიცი რომ ვტყუივარ, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ვტყუივარ, მაგრამ რაღაც მაინც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს!“

აქ ქალის მხარდაჭერა მჭირდებოდა. ყინვას არ შევუშინდი და პიყამოებში ჩაცმული გარეთ გავედი ტერასაზე, რათა ჩემს მეულლეს არ გაეგო ჩემი საუბარი. იმდენი წინდახედულება მაინც მეყო, რომ სიმართლის პირში მთქმელი პიროვნებისთვის დამერეკა და არა პირმოთხესთვის. ვიდრე ამბავს მოვუყვებოდი, ჯერ წინასიტყვაობა ჩავურთე: „ვიცი, რომ ვცდები, მაგრამ ...“, შემდეგ კი სიის მთელი საგა მოვუთხრე.

– მე ვარ სიაში? – მკითხა მან.

– რა თქმა უნდა, ხარ! ყველა სიაშია ჩემ გარდა!

– ვის ადარდებს ეგ სია? – თქვა მან.

## არც კი გაპელო შედარება!

– როგორც ხედავ, მე მადარდებს, რა თქმა უნდა, შენთვის სულერთია, შენ ხომ ხარ სიაში, – შევეპასუხე მე. შემდეგ ვალიარე მის წინაშე: „არ მინდა, რომ მადარდებდეს ეს, მაგრამ მადარდებს. ვიცი, რომ ეს არასწორია, მაგრამ ვიღაცისთვის გული უნდა გადამეშალა. ჯონმა უკვე შემომთავაზა მუხლების წაკითხვა წმიდა წერილიდან...“

სიჩუმე.

ოდესმე გქონიათ ისეთი მომენტები, როდესაც გრძნობდით, რომ თითქოს საკუთარი სხეულიდან ხართ გამოსული და გვერდიდან უყურებთ გიუ ქალი როგორ მოქმედებს თქვენში?

სწორედ ასეთ მომენტს განვიცდიდი. რაც უფრო მეტს ვლაპარაკობდი, მით უფრო სასაცილოდ ჟღერდა ჩემი საუბარი. სწრაფად უნდა დამესრულებინა ეს სატელეფონი საუბარი, რომელსაც ძალიან ვნანობდი. მე უუთხარი მას: „მე შენ, როგორც სულიერ მოძღვარს, ისე მოგმართე. მინდა, რომ სხვა მხრიდან შევხედო ამას!“

იგი გულითადად დამეთანხმა, (რომ ვცდებოდი) და საუბარი დავასრულეთ.

ვიცოდი, რა იყო სწორი. ჩემმა მეუღლემ იცოდა, რა იყო სწორი. ჩემმა მეგობარმა იცოდა რა იყო სწორი. მაგრამ, მაინც ისეთი გრძნობა მქონდა, რომ რაღაც იყო არასწორი.

ახლა, გაგიუებული ვიყავი სიის კონცეფციით და უკმაყოფილო – ამა წლის სიის ავტორით. ვინ აკეთებს ასეთ რაღაცას? ყველაფრის შემდეგ, როდესაც კვლავ გადავხედე სიას, მივხვდი, რომ კიდევ იყვნენ სხვა ადამიანები, რომლებიც შეყვანილი უნდა ყოფილიყვნენ ამ სიაში, მაგრამ ამ ქალბატონის ყურადღების მიღმა დარჩენ... იქნებ მე შევადგინო სია! თითოეულ მათგანს ჩავრთავდი სიაში. ბოლოს და ბოლოს, მე უფრო მეტი მიმდევარი მყავდა Twitter-ზე და უფრო მეტი მეგობარი Facebook-ზე, ვიდრე ავტორს. რა ანიჭებდა მის სიას ღირებულებას? შემდეგ, დაახლოებით ათი წამის მანძილზე ვფიქრობდი მოქმედების ასეთ კურსზე. არ არსებობდა, რომ მე ეს გამეკეთებინა!

სიის შედგენის ჩემეული მცდელობა, უკეთეს შემთხვევაში, ლიმიტირებული იქნებოდა და იმისდა მიუხედავად, თუ რა სიფრთხილით შევადგენდი მას, ვიღაც ნამდვილად გამომრჩებოდა. მქონდა კი სურვილი, იგივე კონფლიქტი გამომეწვია მათში, რომელშიც მე ვიმყოფებოდი ამჟამად? (გარდა იმისა, რომ ეჭვი მეპარებოდა, რომ ვინმე, ვინც შეცდომით გამომრჩებოდა, ისევე აბსურდულად მოქცეულიყო, როგორც მე ვიქცეოდი, ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში).

## კონცურენციის გარეშე

მობილური ტელეფონი დავდე, თვალები დავხუჭე, ლრმად ჩავისუნთქე და საშუალება მივეცი ამ ყველაფერს ჩემგან წასულიყო. როდესაც აძოვისუნთქე, გავიგოხე სულინშიდის ნაზი ხმა: „ლიზა, ასეთივე შენუხებული იქნებოდი ამ სიის გამო, მასში რომ ყოფილიყავი? დესტრუქციულსა და უსაფუძვლოს უწოდებდი ამ სიას, შენი სახელი რომ ყოფილიყო მასში მოხსენიებული?“

ჭემარიტების მომენტი. არა. ნაცვლად გაბრაზებისა, მე გამოვიყენებდი ჩემს პლატფორმას სოციალურ ქსელებში იმისთვის, რომ მადლობა მეთქვა ამ ქალისთვის, რომელსაც არ ვიცნობდი, და ალბათ გავაზიარებდი, რათა სხვებისთვის მიმეთითებინა ამ სიის შესახებ.

განადგურებული ვიყავი.

დაის. ერთი კაცის ცოლი ვარ, ოთხი შვილის დედა და ბებიაც ვარ, მაგრამ, როდესაც ვწყდები ჩემს ნამდვილ იდენტურობას, კვლავ შემიძლია საკუთარი თავის სხვებთან შედარების სისასტიკის მსხვერპლი გავხდე.

ამ შემთხვევაში, სია ჩემთვის საჩუქარი გახდა, რამეთუ მან ჩემი ადგილსამყოფელი დაადგინა.

როდესაც სხვა ადამიანებისგან ველით მოწონებას, ყოველთვის ისე ვიგრძნობთ თავს, თითქოს გარეთ ვიმყოფებით და გარედან ვიხედებით შიგნით. გულწრფელად რომ ვთქვათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც შეუძლია სრულიად შეავსოს თვითგანმტკიცების სიცარიელე თქვენს ცხოვრებაში (მომიტევეთ, თქვენი ქმარი სრულყოფილიც რომ იყოს, ეს მაინც არ მოხდება). არ არსებობს არანაირი ცხოვრებისეული მიღწევა, სია, ან ჯილდო, რომელსაც შეუძლია იმ სიტყვების დარწმუნებით დაწერა, რომელთა ამოტვიფრაც მხოლოდ ღმერთს ძალუძს შენს გულზე:

„საყვარელო, ლამაზო, ფასეულო, სრულიად შეცნობილო... ჩემო!“

## სიხარულის მპარავი

როგორც არ უნდა ჩანდეს გარედან, მხოლოდ ღმერთს ესმის ქალის გულის კანკალი, და მხოლოდ უფალმა იცის, როგორ დაამშვიდოს პიჟამოში გამოწყობილი გაშმაგებული ქალები, რომელთაც ავიწყდებათ, დაიმშვიდონ გულები, ვიდრე შედარების ცდუნება მოვა მათი სიმშვიდის მოსაპარად. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერი, რასაც თქვენ მეტოქეობის გამო პკეთებთ, ძალას გამოგაცლით. როგორც თეოდორ რუზველტმა აღნიშნა ესოდენ ზუსტად: „სხვასთან შედარება სიხარულს გვპარავს“.

იმ დილით, სწორედ ასეთი ქურდობის მსხვერპლი გავხდი. მეგონა, ამ საქციელზე მაღლა ვიდექი. სინამდვილეში, ასეთი ალშფორთების ფეთქება მრავალი წლის მანძილზე არ მქონია! მაგრამ იმ დილით სულიერის უგულებელყოფა და მენოპაუზის ნაზავი აალებადი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ჩემი ცხოვრების ზოგიერთი წყარო დაბინძურებული აღმოჩნდა და ჩემი გულის ბალს ძალა სჭირდებოდა ვილაცის ყურადღება. როგორც ჩანს, ვაზის ზოგიერთი რტო წამოვზარდე, მაშინ როდესაც ისინი გასხვლას საჭიროებდნენ.

საკუთარი თავის სხვასთან შედარებას მიზიდულობის ძალა გააჩნია. თუკი ნებას მისცემთ, იგი ყოველთვის ეცდება აგაცდინოთ თქვენს ჭეშმარიტ იდენტურობას. შედარება ეცდება გაგბეროთ სიამაყით, ან გაუბედაობის ტირანიის მეშვეობით დაგცეთ ძირს. ნებისმიერ შემთხვევაში, დიდი დრო არ დასჭირდება იმას, რომ ეს დაბნეულობა გარეგნულ მხარეზეც აისახოს.

მმულს, როდესაც ვილაცას განგებ გამოტოვებენ ხოლმე. მაგრამ ზოგჯერ გარეგნულად გამოხატული გრძნობა, ერთადერთი რამ არის, რაც გვაიძულებს, ჩვენს თავში ჩავიხედოთ. სიის შემდგენელს რაც შეეხება. ის ახალგაზრდა, გონებამახვილი და ჭკვიანია. ვეთანხმები, თუ არ ვეთანხმები მის მიღომას, ძალა მაღლობელი ვარ იმის, რომ სიამ ჩემი შინაგანი მდგომარეობა დამანახა.

მე შეტყობინება მივწერე ჩემს მომთმენ მეგობარს, რომელიც ალბათ ფიქრობდა, რომ ფსიქიკა შემერყა. შემდეგ ჩემი ქმრის კაბინეტში შევედი, რათა მოვხვეოდი ჩემს წმიდა ქმარს. შემდეგ ჩემს საძინებელში შევედი, კარი ჩავკეტე და მუხლებზე დავეცი. შემდეგი ჩემი ლოცვის ნაწილს წარმოადგენს:

„ზეციურო მამავ,  
გმადლობ, რომ ამხილე ჩემი უარყოფითი მხარე.  
მომიტევე დამანახე ამ სარეველა ბალახის ფესვი. იესოს  
სახელით, ამინ“.

ჩემი დღე გაგრძელდა და საშუალება მომეცა უკან გამეხედა, დამენახა ჩემი სიგიურის საათი და მეცინა საკუთარ აბსურდულობაზე. იმავე დღეს, მოგვიანებით, ჩემს ასისტენტს შევხვდი. ფოსტას რომ ვათვალიერებდით, უჩვეულო რამ

ყველაფერი,  
რასაც თქვენ  
მეტოქეობის  
გამო აკეთებთ,  
ძალას  
გამოგაცლით.

## კონცურენციის გარეშე

აღმოვაჩინეთ. როგორც აღმოჩნდა, მე, სხვა ქალებთან ერთად, ქალთა გამამხნევებელი ღონისძიების საპატიო მონაწილედ შემარჩიეს. ჩვენს საპატიოდ, მათ თითოეული ჩვენგანის თორმეტდიუმიანი პლასტიკური თოჯინა შექმნეს. ჩემი თოჯინა ჯონს გაუგზავნეს იმის იმედით, რომ იგი მის ოფისში დაიმკიდრებდა ადგილს. როდესაც თოჯინას ვათვალიერებდი, სმამაღლა გამეცინა, რამეთუ, როგორც წესი, სცენაზე თეთრი ჯინსით არ გამოვდიოდი. თოჯინა გვერდზე გადავდე. უეცრად, ნაცნობი ხმა ჩამესმა ჩურჩულით: „შენ თოჯინად გაქციუს. ეს ბედნიერებას განიჭებს?“

თავი გავაქნიე და ჩემს პლასტიკურ გამოსახულებას შევხედე, რომელსაც თეთრი ჯინსი ეცვა და ხელში მიკროფონი ეჭირა. თოჯინა, ისეთივე ხელოვნური იყო, როგორც სია. კვლავ გამეცინა. თოჯინის გადაგდება ვცადე, მაგრამ ჩემმა მეუღლემ მისი კონფისკაცია მოახდინა, შემახსენა რა, რომ იგი მას გაუგზავნეს და არა მე. ეჭვი მაქვს, რომ იგი მას იმ მიზნით ინახავს, რომ მომავალში აბსურდული დღეებისგან დამიცვას.

## სამი მუსლი

ხოლო, რაც შეეხება იმ მუხლებს წმიდა წერილიდან, რომელთა წაკითხვაც ჯონმა მირჩია და რომლებიც ნაცნობი იყო ჩემთვის, პირველია 2 კორინთელთა 10:12:

„ვინაიდან ვერ ვბედავთ მივეტოლოთ, ანდა შევედაროთ  
იმათ, ვისაც თავი მოაქს: ისინი საკუთარი თავების  
მიხედვით ზომავენ და თავიანთ  
თავსვე ედრებიან უგუნურად!“

არ გაბედოთ  
საკუთარი თავი  
სხვას  
გაუტოლოთ, ან  
შეადაროთ!

ჩემგან ისწავლეთ! არ გაბედოთ  
საკუთარი თავი სხვას გაუტოლოთ, ან  
შეადაროთ. რატომ? ეს სიამაყის ქმედებას  
წარმოადგენს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ  
თქვენ მიერ გაკეთებული შედარება  
თქვენთვის არახელსაყრელია. ჩვენთვის  
ყველასთვის ცნობილია, რომ სიამაყე  
სრული განადგურების საწინდარს

წარმოადგენს. და ეს იმ ადგილამდე მიგიყვანთ, რომელიც  
ერთდროულად სახიფათოც არის და საშიშიც.

## რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი ხეპის კლასიფირებას ვახდეთ

ბრძენი ადამიანი არ ახდენს ადამიანთა კლასიფირებას. ადამიანების კლასიფირება არ არის ის, რითაც შეიძლება ვიამაყოთ. რაღაცის კლასიფირებისთვის საჭიროა, იგი თავის ადგილზე მოათავსო ან გარკვეულ კატეგორიას მიაკუთვნო. კლასიფირების სინონიმებია: დახარისხება, გადარჩევა, მარკირება, კატალოგში შეტანა, მიკუთვნება.

ცხოვრებაში არ არსებობს სუფთა კატეგორიები. ცხოვრება, ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში, რომელია. სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ ყველას ცხოვრება იმაზე უფრო ბევრად რთულია, ვიდრე ჩვენ ვხედავთ.

ამ დროსა და საუკუნეში, ცუდი არ იქნება, თუ ხშირად ვკითხავთ საკუთარ თავს, რის მშენებლობაში მინდა ყველაზე მეტად მონაწილეობის მიღება? მაქვს სურვილი, რომ სხვას მიმაკუთვნონ, დამახარისხონ და არქივში შემინახონ?

## რა ხდება, როდესაც ჩვენს შედარებას ვახდეთ

მამაცი ადამიანები ვერ ბედავენ, საკუთარი თავი სხვას შეადარონ მაშინაც კი, თუ ეს შედარება მათ ყველაზე მაღლა დააყენებს. ისინი აცნობიერებენ, რომ კიდევ ბევრი ნაბიჯი დარჩათ გასავლელი. მათ დაინახეს მარადისობა და მიხვდნენ, რომ მას ვერაფერი მიწიერი ვერ შეედრება. ეს უფრო დიდებული რაღაცის ხედვა სტიმულს აძლევს მათ. შედარება, თავშესაფარს წარმოადგენს მხდალთათვის, რომლებიც ვერ ბედავენ დაიჯერონ, რომ უფრო მეტიც არსებობს.

რა ჰქვია ამ მთას, რომელზეც ჩვენ ვცდილობთ რომ ავიდეთ? პოპულარულობა? მარადიული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ეს მხოლოდ და მხოლოდ ნაცრის გროვაა. ან, თუ გვინდა უფრო ბიბლიური ვიყოთ და პავლეს ციტირებას მოვახდეთ ფილიპელთა 3:8-ს, ეს ძალის განავალს შეედრება. განავალი, ეს არ არის ის, რაც ხელში უნდა ავიღოთ, ეს არის ის, რასაც უნდა გადააბიჯო და გაეცალო. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ძალიან ბევრი ჩვენგანი ფეხსაცმელზე ძალის განავალ აკრული დავდივართ და ცუდ სუნს ვტოვებთ ჩვენს შემდეგ. ჩვენ მივეჩვიეთ ამ სუნს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას კარგი სუნი აქვს. ფილიპელთა 3:7-9-ში ვკითხულობთ:

„იმ სიგელებს, რომელთაც ეს ადამიანები აქეთ-

## კონცურენციის გარეშე

იქით აფრიალებენ, როგორც რაღაც განსაკუთრებულს, მე ვხევ და ნაგავში მოვისვრი ყველაფერ დანარჩენთან ერთად, რაც ადრე ფასეულად მიმართდა. და რატომ? ქრისტეს გულისთვის. დიახ, ყველაფერი, რაც ადრე ძალიან მნიშვნელოვნად მიმართდა, ახლა ნავიდა ჩემი ცხოვრებიდან. ქრისტეს, ჩემს უფლად შეცნობის უმაღლეს პრივილეგიასთან შედარებით ყველაფერი, რაც ადრე მოგებად მიმართდა, ახლა უმნიშვნელო გახდა ჩემთვის – ძალის განავლად იქცა. ეგ ყველაფერი მე ნაგავში მოვისროლე, რათა ქრისტე მომეცვა და მე მოცული ვყოფილიყავი მის მიერ“. (Message)

შესაძლებლობა, შევიცნოთ ქრისტე უფლად, ჩვენს უმაღლეს პრივილეგიას წარმოადგენს. როდესაც ჩემი მობილური ტელეფონი ავილე, ნაცვლად იმისა, რომ უფრო მეტად შემეცნო უფალი, მე უფრო ნაკლები ღირებულების მქონე რამ ავირჩიე. გაცილებით უკეთესია იცნობდე ღმერთს, ვიდრე ადამიანებისთვის იყო ცნობილი.

## რა ხდება, როდესაც ვახვათ

რაც შეეხება ჩვენი თავის შექებას? რა არის ცუდი იმაში, თუ დრო და დრო აღვნიშნავთ იმას, თუ რა „გაგვიკეთებია“? დიახ, არის დრო, როდესაც უნდა ვიდლესასწაულოთ და აპლოდისმენტები მივუძლვნათ ზრდას. მაგრამ პრობლემა იჩენს თავს, როდესაც ჩვენ პირად მიღწევად მივიჩნევთ იმას, რაც უსასყიდლოდ მოგვეცა. ნაყოფის კულტივირება ხდება, ხოლო საჩუქრებს კი უბრალოდ ვდებულობთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ჩვენ ღვთის საჩუქრების მხოლოდ განმგებლებს წარმოვადგენთ.

ზოგიერთი ადამიანი საოცრად ლამაზია. სხვები დიდი სიმდიდრისა და პრივილეგიის მქონე ოჯახებში დაიბადნენ. ძალიან მცირე ნაწილია ისეთი, რომელიც ორივე კატეგორიას ემთხვევა. არიან ისეთებიც, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგო პირობებში იშვნენ. ისინი სრულ სილარიბები ცხოვრობენ და ისეთ ოჯახებში იზრდებიან, რომელთაც არანაირი კავშირები არ გააჩნიათ. არიან ისეთებიც, რომელნიც გარეგნული სილამაზით არ გამოირჩევიან. ჩვენი უმრავლესობა, ამ კატეგორიების სადღაც შუაში მოხვდება. მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში, არც ერთ ამ დინამიკას არ აქვს ძალაუფლება, დაწეროს თქვენი ისტორია ან თქვენს ფასეულობაზე მოახდინოს გავლენა. ღმერთი ჩვენს გარეგნობას არ უყურებს... იგი ჩვენს

## არც კი გაპელო შედარება!

გულებს უყურებს. ერთი თაობის სიმდიდრემ, შესაძლოა ფრთხები გამოისხას და მიატოვოს შემდეგი თაობა.

როდესაც ამას ვუყურებ, ვფიქრობ, რომ ეს არ არის სამართლიანი, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი: ღმერთი სამართლიანია. მან იცის, თუ როგორ აწონოს თავისი ხელის გულით თითოეული სულის გამოწვევანი და უპირატესობანი. მხოლოდ მას აქვს სამართლიანი სასწორი. ეს ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს იმისა, თუ რატომ არ უნდა ვადარებდეთ საკუთარ თავს სხვებს. რამეთუ, ყველაფერს, რაც აქ, დროებით სფეროში ხდება, მედალის მეორე მხარე გააჩნია მუდმივობის სფეროში.

აქ ჩვენ რისკის ქვეშ ვიმყოფებით, იმის მოდელირება მოვახდინოთ, რაც განადიდებს ადამიანს და არა ღმერთს, და როდესაც ადგილი აქვს ამ დინამიკას, ჩვენ უსარგებლო კონკურენციას მივმართავთ. მოდი, 2 კორინთელთა 10:12-ის მეორე ნაწილი წავიკითხოთ:

„ისინი საკუთარი თავების მიხედვით ზომავენ და თავიანთ თავსვე ედრებიან უგუნურად!“

იცით, მე გამიკეთებია ეს. გამახარებდა იმის ცოდნა, რომ ჩვენ ყველას გაგვიკეთებია ეს. ჩვენ გაგვიზომავს და შევდრებივართ სხვას. არიან ისეთები, რომლებიც სიამაყით ადარებენ საკუთარ თავს სხვებს, და არიან ისეთებიც, რომლებიც უგუნურად უშვებენ ამ შედარებას და ამით ამცირებენ იმას, რისი გაკეთებაც ღმერთს მათ ცხოვრებაში სურს.

სიამაყ სპექტრის ერთ ბოლოს არღვევს, ხოლო გაუბედაობა მეორე მხარეს ასუსტებს. ორივე უკიდურესობა საშიშია. მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი საზომი არსებობს, ქრისტე, რომელიც განუზომელია, ჩვენი ცხებული მეფეთა მეფე. მხოლოდ ის არის წმიდა, უმწიკვლო და ძლევამოსილი. ჩვენ ჭიანჭველების მსგავსნი ვართ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ჭიანჭველაჭამიას ეშინია ჩვენთან მოახლოება, მაშინ როდესაც ის ლომის წინაშე კანკალებს, რომლის ჩრდილშიც ჩვენ ვისვენებთ. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად შრომისმოყვარე ვართ, რამდენად ვართ ქების ლირსნი, ეს ყველაფერი ახლოსაც ვერ მოვა იმასთან, ვინც გარდაგვქმნა ჩვენ.

მინდა კიდევ ერთი მონაკვეთი შემოვთავაზოთ წმიდა წერილიდან, რომლის წაკითხვაც ჯონმა მირჩია – იოანე 5:44.

„როგორ ფიქრობთ ღმერთთან მისვლას, როდესაც მთელ თქვენს დროს, ერთმანეთთან ბრძოლას ანდომებთ საუკეთესო პოზიციის გამო, დაკავებული ხართ ერთმანეთის შეფასებით და ღვთის იგნორირებას ახდენთ?“ (Message)

## კონცურენციის გარეშე

რატომ უნდა ვკარგავდეთ დროს ჩვენი მეტოქეების შეფასებაში, როდესაც შეუდარებელი უფლის თანდასწრებაში ვიქენით მიპატიჟებული? ყოველთვის, როდესაც უფლებას ვაძლევ, რომ სხვა ადამიანებმა განსაზღვრონ ჩემი ცხოვრება, ვამჩნევ, რომ მეკარგება კავშირი ზეციერ მამასთან. ამის შედეგად, ჩემი თვალსაზრისი, დამახინჯებული ხდება იმით, რასაც ადამიანები ამბობენ ჩემს შესახებ, და მავიწყდება ღვთის გამოცხადება იმის შესახებ, თუ ვინ უნდა გავხდე. არის ისეთი მომენტები, როდესაც ვფიქრობ, თუ რა შედეგები მოიტანა ჩემმა უგუნურმა ქმედებებმა და შეზღუდულმა გაგებამ.

იმედი მაქვს, რომ თქვენ იცინებთ ჩემს სასაცილო დილაზე და თავად არ გაიმეორებთ ჩემს შეცდომას და არ ეცდებით საკუთარი თავის სხვასთან შედარებას. ეს ძალიან დამღლელი იქნებოდა, ყოველდღიურ დინამიკას რომ წარმოადგენდეს და არა ცალკეულ შემთხვევას. მიზეზი იმისა, თუ რატომ არ წარმოადგენს შედარება მუდმივ დინამიკას ჩემს ცხოვრებაში, არის ის, რომ გვერდში მყავს ჩემი ქმრის მსგავსი ადამიანები, ერთგული მეგობრები, რომლებიც სისუსტეს გამოდევნიან ჩემგან.

## ერთმანეთის პარა და ჭამა

სოციალური მედია, წარმოადგენს მრავალი ადამიანისა და ხმების მოწვევას თქვენს ცხოვრებაში. ერთის მხრივ, ეს შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ იგი მრავალ არამეგობრულ ადამიანს აქცევს ჩვენს მეზობლებად. თუ თქვენ არ შეგიძლიათ მათი შეყვარება, უკეთესი იქნება, თუ საზღვრებს დააწესებთ. თუ რომელიმე მათგანი სიძულვილით გეპყრობათ, ნუ მიაგებთ მათ სანაცვლოს; მაღლა ასწიეთ თამასა. მადლის ქვეშ ცხოვრება არ გვაძლევს უფლებას უხემად მოვეპყრათ ერთმანეთს. იგი აგრეთვე არ გულისხმობს იმას, რომ თქვენ საკუთარი თავი თქვენს მეზობელს შეადაროთ და დარწმუნდეთ, რომ თქვენ ყოველთვის უფრო წინ დგახართ.

პაგლე წერდა: „ვინაიდან მთელ რჯულს ეს ერთი მცნება მოიცავს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი!“ მაგრამ თუ კბენთ და ჭამთ ერთმანეთს, ფრთხილად იყავით, ერთმანეთი არ მოსპოთ!“ (გალატელთა 5:14-15). აქ ნაჩვენები სურათი, ლამაზი არ არის. ორი ადამიანი კბილებით გლევენ ერთმანეთის ხორცს, როგორც გარეული, აზრის არმქონე მხეცები, ვიდრე ერთმანეთს არ შთანთქავენ. ეს მოდელი არ უნდა იყოს ჩვენთვის დამახასიათებელი, მათთვის, ვინც ქრისტეს აღიარებს. და მაინც, სწორედ ასე გამოიყურება ზოგიერთი

## არც კი გაბეჭო შედარება!

ჩვენი ბლოგი ან ელექტრონული ვერბალური სპარინგი. შესაძლოა, ეს ხოცვა-ულეტა არ ჩანს თქვენს მობილურსა და ვებგვერდზე, მაგრამ თქვენს სულში ნამდვილად იქნება. ადრე არ იყო შესაძლებელი ადამიანების ასეთი იოლი წვდომა. ახლა თვალის დახამხამებაში შეგიძლიათ ვიღაცის კბენა და შექმა. სამწუხაროდ მე ვიცი ეს, რამეთუ თავადაც გამიკეთება.

რასაც მე ვუღრენ და ვკბენ, როგორც წესი, ის სფეროებია, რომელზეც ჯერ კიდევ შრომაა საჭირო. თუ ვინმე მტკიცნეულ ადგილს ეხება, ჩემი მარცხი, იარის დასაცავადაა. ვისწავლე, რომ გვერდზე გადავდო ჩემი ტელეფონი და წავიდე მისგან შორს, თითქოს იგი დატენილი იარაღი იყოს.

ზოგჯერ ადამიანებს უბრალოდ რთული დღეები აქვთ. მკაცრად წუ განიკითხავთ მათ!

დიდი განსახვავება არსებობს სხვების შთაგონებასა და მათში შურის ალძვრას შორის. ისევე როგორც დიდი განსახვავებაა სხვების დაპატიჟებასა და მათ განგებ გამოტოვებას შორის. თუ თქვენ ვიღაცის მიმდევარი ხართ სოციალურ ქსელში, და მას საშკაროზე გამოაქვს თქვენი სუსტი მხარეები ნაცვლად იმისა, რომ იგი დაძრახოთ, შეჩერდით და ჰკითხეთ საკუთარ თავს: „რატომ?“

მეტოქეობა გაგძარცვავს, ვიდრე არ ისწავლი, თუ როგორ შეძლებს ღმერთი სასიკეთოდ გამოიყენოს ის, რაც მტერმა საბოროტოდ განიზრხა. წმიდა წერილის შემდეგი მონაკვეთი ავლენს, თუ როგორ გამოიყურება მეტოქეობით სავსე გარემო:

„აშკარაა, თუ როგორი ცხოვრება ყალიბდება მაშინ, როდესაც ცდილობ ყველაფერი შენებურად აკეთო; ერთფეროვნება, უსიყვარულობა, იაფფასიანი სექსი; მენტალური და ემოციონალური ნაგვის დაგროვება; ბედნიერებისთვის გიურიდა უსიხარულო ბრძოლა, ვითომ ლმერთები; რელიგიის მაგიური შოუები, პარანოიდალური მარტოობა; უხეში კონკურენცია; ყველაფრის შთანთქმა, მაგრამ მაინც ყოველთვის დაუკმაყოფილებლობა; სასტიკი ხასიათი, უუნარობა გიყვარდეს, ან უყვარდე; დაყოფილი ოჯახები და დანგრეული ცხოვრება; სულმოკლედ და ცალყბად გაკეთებული საქმეები; მანკიერი ჩვევა, ყველა ადამიანი საკუთარ მეტოქედ მიიჩნიო; უკონტროლო დამოკიდებულებანი, საზოგადოების მახინჯი პაროდიები; შემეძლო კიდევ გამეგრძელებინა და გამეგრძელებინა. ეს არ ხდება პირველად, როდესაც მე თქვენ გაფრთხილებთ, თქვენ იცით ეს. თუ საკუთარ თავისუფლებას ასე გამოიყენებთ, ვერ დაიმკვიდრებთ ღვთის სასუფეველს“. (გალატელთა 5:19-21)

## კონცურენციის გარეშე

ამ სიტყვების კითხვისას, ტირილი მინდება. ამ უკანასკნელ დროს, ძალიან ბევრი რამ ხდება იმ საქმეთაგან, რასაც პავლე აქ ჩამოგვითვლის. და მე არ ვიშვერ თითს ქვეყნიერებისკენ; გალატელთა მიმართ წერილი ეკლესიისადმი მიმართული წერილია. რას ნიშნავს ადამიანის დეპერსონალიზაცია? ეს ადამიანისთვის ინდივიდუალურობის წართმევას ნიშნავს. იგი მათ ინდივიდუალურობას და უნიკალურ პიროვნულობას ართმევს. ნაცისტები ებრაელების დეპერსონალიზაციას ახდენდნენ, ამის შედეგად, გერმანელი ხალხი უუნარო გახდა დაენახა, რომ ადამიანი ღვთის ხატად არის შექმნილი... ისინი ხედავდნენ კოლექტიურ პრობლემას, რომელიც მათ არიულ ხატებას არ ასახავდა. სამწუხაროდ, ეს ტაქტიკა ისევ გამოყენებადია ჩვენს დროშიც, როგორც ჯგუფებთან მიმართებაში, ისევე ცალკეული პიროვნებების მიმართაც.

ადამიანები ტენდენციურები არიან მეტისმეტად სწრაფად განსაჯონ სხვა და სახელი შეარქვან მას. ადამიანები გულების მქონე პიროვნებები არიან და აცნობიერებთ თქვენ, თუ არა, ელექტრონულ სიტყვებს ძალუდ მათი გულების დაჭრა. როგორც ეზოპეტ აღნიშნა: „იოლია იყო მამაცი უსაფრთხო მანძილიდან“. ჩვენი სოციალური მედიის უმრავლესობის ფორმატი ამ „უსაფრთხო მანძილს“ ქმნის. ეს დინამიკა ემსახურება მხდალი და კრიტიკოსი ადამიანებისთვის გაბედულების მიცემას, რომ მათ შეაშინონ და ცილი დასწამონ ადამიანებს, რომელთა დეპერსაონალიზაციაც მათ მოახდინეს. ისინი ვერასდროს გაბედავდნენ სახეში ეთქვათ ამ პიროვნებისთვის ის, რასაც სოციალური მედიის მეშვეობით ამბობენ. რატომ? იმიტომ, რომ რთული წარმოიდგინო ადამიანი რობოტად, როდესაც მის თვალებზე ცრემლებს ხედავ. მე მსმენია, თუ როგორ უწოდებდნენ ქრისტიანები ერთმანეთს ათასგვარ შეურაცხმყოფელ სიტყვას, ერეტიკოსით დაწყებული, მეძავით დამთავრებული... მაშინ როდესაც სატანა იცინოდა. რაც უფრო მეტს გავაკეთებთ ასეთ საქმეებს, მით უფრო ცოტა საქმე ექნება მას გასაკეთებელი.

## როგორ ვუთხრათ საყვედური და შევუსწოროთ

ზოგიერთი თქვენგანი ალბათ ახლაც შემეკამათება: „კი, მაგრამ განა საჯაროდ არ უნდა მივუთითოთ მათ, ვინც არასწორად იქცევა?“ იცით, კარგი ამბავი იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთს აპლიკაცია გააჩნია ამასთან დაკავშირებით:

## არც კი გაბეჭო შედარება!

„აშკარა მხილება სჯობს დაფარულ სიყვარულს. მეგობრისგან ჭრილობა ერთგულების ნიშანია, მოძულე კი კოცნით აგავსებს“. (იგავი 27:5-6)

რას გულისხმობს წმიდა წერილის ეს მონაკვეთი, როდესაც აშკარა მხილებისკენ გვიძიძებს? აქ, საკვანძო სიტყვა „აშკარა“. ჩვენ ყველამ ისეთი ფორმით უნდა ვუთხრათ სხვას შენიშვნა, რა ფორმითაც ჩვენ გვინდა, რომ სხვამ გვითხრას. იდეალური ვარიანტი ასეთია, რომ მე მსურს ისეთმა ადამიანმა მითხრას შენიშვნა, რომელიც საუკეთესო თვისებებს ავლენს ჩემში.

წმიდა წერილის ეს მონაკვეთი, ხაზს უსვამს მეგობრებს შორის მხილებას, მაგრამ შეიძლება, რომ ეს იყოს ლიდერი, მასწავლებელი, ან თანამშრომელიც კი. რამეთუ ნებისმიერ მხილებას მიღების საუკეთესო შანსი აქვს მაშინ, როდესაც ის მომდინარეობს პიროვნებისგან, რომელიც გიცნობს შენ, ან დიდად ზრუნავს შენზე. იდეალურია, თუ ეს ჩარევა ერთი-ერთზე მოხდება. თუ პირადად შეხვედრა ვერ ხერხდება, შემდეგი საუკეთესო ვარიანტია დარეკვა.

(არ გირჩევდით მხილების სახით, ტექსტური შეტყობინების გაგზავნას. ამ დროს ძალიან ბევრი რამ შეიძლება დაიკარგოს. ტექსტური შეტყობინებისას, არ არის ჩართული სხეულის ენა და ხმის ტონი. ჯონმა და მე მრავალი სასაცილო გაუგებრობა განვიცადეთ, როდესაც ტექსტურ შეტყობინებებს ვუგზავნიდით ერთმანეთს)

ჩვენ ყველას განგვიცდია დახურული საყვედური; ეს ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები შენს ზურგს უკან გაკრიტიკებენ. როდესაც ადამიანები ამას თქვენი ჩართულობის გარეშე აკეთებენ, თქვენ ეჭვქვეშ უნდა დააყენოთ მათი საყვედურის სიწრფელე. შესაძლოა, ისინი მართალიც იყვნენ იმაში, რასაც ამბობენ, ეს არ დაეხმარება თქვენს ზრდას, სანამ ამ პროცესში არ ჩაერთვებით.

ფაქტობრივად, ასეთი სახის მითითება, როგორც წესი, ზიანს აყენებს ზრდის პროცესს, რამეთუ როდესაც ადამიანები თქვენს ზურგს უკან საუბრობენ თქვენს შესახებ, ისინი ისეთ პოზიციაში გაყენებენ, რომ თქვენ თავი დაიცვათ. პირდაპირი „ლია შენიშვნა“, რომელსაც ნამდვილი მეგობარი იძლევა, შანსს აძლევს ორივე პიროვნებას პასუხი გასცენ ერთმანეთს და გაიზარდონ ამ გამოსწორების პროცესში.

ვიღაცის გამოსწორების მცდელობა სოციალური მედიის საშუალებით არ წარმოადგენს აშკარა მხილებას სწორედ იმის გამო, რომ იგი ლიაა საზოგადოებისთვის. მე მყავს ლამაზი,

## კონცურენციის გარეშე

ძლიერი მეგობრები, რომლებიც მიყვარს და ვაფასებ. ესენი ისინი არიან, რომლებთანაც საკმაოდ ახლოს ვარ, რომ ვიცოდე, თუ რა ცხოვრებით ცხოვრობენ ისინი. მე მინახავს, თუ როგორ ესმიან თავს საჯაროდ ამ ღვთისმოსავ ადამიანებს ისინი, რომელთაც არც კი შეიწუხეს თავი, რომ პირადად მოსულიყვნენ მათთან და ეთქვათ ის, რაც ანუხებდათ, მაგრამ ამის ნაცვლად, ჩემი მეგობრების გულის დასაჭრელად, საჯაროდ ამახინჯებდნენ სიმართლეს. ბიბლია ძალიან კარგად საუბრობს ამ თემის ირგვლივ:

„განხეთქილების შემომტანს პირველი და მეორე შეგონების შემდეგ გაერიდე! იცოდე, რომ ასეთმა კაცმა გზიდან გადაუხვია და სცოდავს; და თავისივე თავის მიერ არის მსჯავრდებული!“ (ტიტე 3:10-11)

ნუ წაიკითხავთ მათ ბლოგებს, ნუ შეუერთდებით მათ მოსაზრებებს, ნუ გახდებით მათი მეგობარი Twitter-ზე, ნუ დაუმოგობრდებით Facebook-ზე!... ეს არ არის კარგი თქვენი ჯანმთელობისთვის. ეძებთ შთაგონება და არა განხეთქილება. ტიტე 3:10-11 Message-ის თარგმანში ნათქვამია:

„გააფრთხილე მოჩეუბარი პიროვნება ერთხელ ან ორჯერ, მაგრამ შემდეგ თავი დაანებე! აშკარაა, რომ ასეთი პიროვნება მეამბოხეა ღვთის წინაშე. რჩება რა განხეთქილებაში, იგი საკუთარ თავს გამორიცხავს“.

ჩემს ცხოვრებაში თანდათან მეგობრებმა იკლეს, მაგრამ რომლებიც დამრჩა, ნამდვილი მეგობრები არიან. ჩემი მეგობრები მაჩვენებენ, თუ როგორი მინდა რომ გაეხდე, ხოლო ჩემი მტრები მიჩვენებენ, თუ როგორი არ მსურს რომ გავხდე. მეტოქეობით სავსე გარემომ, შესაძლოა პირველ რიგში, ჩვენი ბუნების ყველაზე ცუდი თვისებები გამოიტანოს სააშკაროზე. როდესაც ბრძოლაში ვართ, ღმერთს შეუძლია, ჩაერიოს და ეს ბრძოლა ხასიათის ჩამოყალიბების მიზნით გამოიყენოს ჩვენში.

იგავების წიგნის 27-ე თავის შემდეგი მუხლი, ამის საუკეთესო გზას გვიჩვენებს:

„მაძლარი გოლეულსაც დაიწუნებს, მშიერს კი ყოველივე მწარეც ეტკბილება“. (მუხლი 7)

მე მწყურია, ღვთისმოსაობის უფრო მეტი ნაყოფი ვიხილო ჩემს ცხოვრებაში. მწყურია, უფრო მეტად გავიზარდო. რაც

უფრო ახლოს მივდივარ ღმერთთან, უფრო მეტად ვხედავ იმას, რაც ხელს უშლის მისი სიცოცხლის ზრდას ჩემში. ერთ-ერთი ტებილი რამ, რაც ცხოვრებაში მიგემია, ესენი არიან ჩემი მეგობრები, რომლებიც იმდენად ზრუნავდნენ ჩემზე, რომ გული დამიჭრეს ჭეშმარიტების თქმით. მტერმა შეიძლება მლიქენელობით, ან შეიძლება ტყუილით დაგვიჭრას გული. მოდი, ნუ დავკამაყოფილდებით ადამიანური სიებითა და შედარებებით! როდესაც შევამჩნევთ არაადეკვატურობის მწვავე ტკივილებს, რაც მეტოქეობას მოაქვს, ან სიამაყის თვითემაყოფილებასა და იზოლაციას, მოდი, მუხლებზე დავემხოთ! თუ ჩვენს მამასთან მივალთ, იგი ძალიან ბედნიერი იქნება, მოგვაშოროს ის, რაც მასთან მიახლოებას გვიშლის.

## სადისკუსიო კითხვები

1. ოდესმე თქვენთვის იარლიყი მოუწებებიათ ან თქვენი კლასიფიცირება თუ მოუხდენიათ? (მაგალითები შეიძლება იყოს სქესი, რასა, ან ასაკობრივი ზღვარი). რა სახით მოახდინეს ამ იარლიყებმა თქვენი ლიმიტირება? რა გზით შეგიძლიათ გამოხვიდეთ ამ კლასიფიცირების საზღვრებიდან?
2. თქვენი ცხოვრების რომელ სფეროებში გპარავთ სიხარულს საკუთარი თავის სხვებთან შედარება?
3. როდესაც ჩვენ ვახდენთ ადამიანების კლასიფიცირებას, შედარებას და შეფასებას, რისი ღრმა ნიშანია ეს? (მითითება: იგავნი 29:25)
4. სოციალური მედია შთაგაგონებთ, თუ წაგაქეზებთ? რა ნაბიჯებს გადადგმა შევიძლიათ, რათა დარწმუნდეთ, რომ ეს კონსტრუქციული გავლენაა?
5. ახსენით განსხვავება დახურული და ღია საყვედურის მიდგომასა და მოტივებს შორის.



# 5

## როდესაც მეტოქედ აღგიერვამან

„წინააღმდეგობათა გარკვეული რაოდენობა დიდ დახმარებას უწევს ადამიანს. ფრანგი ქარის საწინააღმდეგოდ აღიმართება და არა ქართან ერთად“.

ლუის მამფორდი

ხლახან ჩემს ძვირფას მეგობარს ვესაუბრებოდი ტელეფონით. მისი ქმარი ნიჭიერი მუსიკოსია, რომელიც მუსიკალურ პროდიუსერად მუშაობს, ხოლო თავად ჩემი მეგობარი ძლიერი მსახური და ყოველმხრივ საოცარი ადამიანია. მე ყოველთვის ვიცნობდი მათ, როგორც სუფთა, თავმდაბალ და თანამგრძნობ ადამიანებს, თუმცა ამ ბოლო დროს მათ მრავალი რამის გადატანა მოუხდათ. მათ სჭორავდნენ, უარყოფდნენ და სათანადოდ არ აფასებდნენ.

ჩემმა მეგობარმა ამისსნა: „მათ ცილი დაგვწამეს ჩვენ...“ და მან რამდენიმე ძირითადი მოთამაშის გვარები ჩამომითვალა. მე ვუსმენდი. ყველაფერი გასაგები იყო. შემდეგ აზრი დავკარგე, თუ რას მეუბნებოდა, რამეთუ უკვე აღარ ვიცოდი, თუ რა გამოიარეს ან ახლა რას გადიოდნენ. მე ის დავინახე, თუ სად მიიყვანდა მათ მათი მომავალი. იმდენად აღმაფრთვანა იმან, რაც დავინახე, რომ წამოვაყრანტალე: „კარგია! თქვენ მადლობა უნდა გადაუხადოთ ლერთს მათ გამო. მათმა ცუდმა მოპყრობამ გაქციათ ისეთ ადამიანებად, როგორებიც დღეს ხართ“.

მინდა გამიგოთ, იმას კი არ ვზეიმობდი, რომ მათ ცუდად მოექცნენ; ამ ყველაფერზე ამ წყვილის რეაქციის მიხედვით მივხვდი, რომ მათ ნათელი მომავალი ელოდათ.

## კონცურენციის გარეშე

რა თქმა უნდა, ჩემთვის ადვილი იყო ამის თქმა, რადგან მე შორიდან მაყურებელი ვიყავი. შემდეგ საკუთარი თავიც ჩავრთე ამ ზეიმში და განვაცხადე: „ვისწავლე, უსაზღვროდ მადლობელი ვიყო ჩემი მეტოქეების წინააღმდეგობის გამო ჩემს ცხოვრებაში“.

ეს საუბარი სწორედ ის საუბარი იყო, რომელიც იმ დღისით მჭირდებოდა. მან გამამხნევა მე იმ დღეს, რომელიც ჩემთვისაც რთული იყო. იმედი მაქვს, რომ არც ერთ თქვენგანს არ განსჯიან მყაცრად და ერეტიკოსს არ უნიდებენ. თუკი ეს მაინც მოხდა თქვენს ცხოვრებაში, მაშინ თქვენთვის ცნობილია, რომ ეს მტკიცნეულია.

მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ თავი დავანებო ყველაფერს და იმედგაცრუებაში გადავვარდე, ვისწავლე უკან გახედვა და ლვთის არა ერთხელ გამოვლენილი ერთგულების დანახვა. იგი ხელით მატარებდა ყოველთვის, როდესაც მეგონა, რომ შემდეგ დღეს ველარ გავუმკლავდებოდი. უფლის ერთგულების შესახებ ჩემი მტრების მხრიდან უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე მეგობრებისგან. ამაზე უფრო მეტსაც გეტყვით; ჩემს შესახებ ჩემი მტრებისგან უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე მეგობრებისგან.

მეგობრები თავშესაფარს შემოგთავაზებენ. რაც კარგია, მაგრამ ასეთი დინამიკა ხელს ყოველთვის არ უწყობს ზრდას. მეგობრების სურვილია დაცულს გხედავდნენ ცხოვრების ქარიშხლებისგან მაშინ, როდესაც მტერი ყველანაირად ეცდება კოკისპირული წვიმის დროს თქვენი ბლოკირება მოახდინოს. მაგრამ იქნება ახლა ისეთ უამს გადიხართ, როდესაც ღმერთს სურს დაგანახოთ, რომ ის არის თქვენი უკანასკნელი თავშესაფარი? რომელი უფრო კარგი ინსტრუქტორია: მეტოქე თუ მეგობარი?

მეტოქეები ცხოვრებისეულ ფაქტს წარმოადგენენ. მე ვიცი ეს. უკაცრავად! ეს არც მე არ მომწონს, მაგრამ ასეა. თუმცა მეტოქეების არსებობას თავისი მიზანი აქვს. მეტოქის გარეშე ცხოვრება არ ნიშნავს მეტოქეების არარსებობას თქვენს ცხოვრებაში. ეს უფრო იმის გაგებას წარმოადგენს, რომ ჭეშმარიტად ყველაფერი სასიკეთოდ ეწევა მათ, ვინც უზენაესის მიზნით არის მოწოდებული. ჩვენ შეგვიძლია იმისთვის გამოვიყენოთ მეტოქეების დინამიკა, რომ ხელი შევუწყოთ უფრო მეტ ზრდასა და გაგებას.

თუ სწორად შევხედავთ, მეტოქეები შეიძლება იქცნენ იმ კატალიზატორებად, რომელთაც ჩვენი სისუსტეები სააშკარაოზე გამოაქვთ და გამოწვევის წინაშე გვაყენებენ, რომ განვავითაროთ ჩვენი ძალები. ისინი გვაიძულებენ ჩვენს ფარგლებს გარეთ გამოვიდეთ და ზეცისკენ ავიხედოთ, როდესაც მარტოდ ვგრძნობთ თავს.

შესაძლოა, თქვენ ფიქრობთ: მოიცადეთ, თქვენ ხომ ახლახანს მითხარით, რომ მე ვარ ღვთის ასული მეტოქის გარემე, შეუდარებელი აღთქმის მემკვიდრე, შექმნილი უფლის სადიდებლად, რომელსაც მეტოქე არ ჰყავს.

კი, ეს ყველაფერი ჭეშმარიტებას წარმოადგენს. თქვენ უკონკურენტო ქალიშვილი ხართ შემოქმედის თვალში. სწორედ ასე უნდა ხედავდეთ საკუთარ თავს თქვენს შემოქმედთან დამოკიდებულებაში, და ეს განაპირობებს თქვენს თვალსაზრისს, თუ როგორ მოეპყრათ სხვა ადამიანებს. მაგრამ მეტად გულუბრყვილონი ვიქენებოდით, რომ თავი მოგვეჩვენებინა, თითქოს მეტოქეობა არ არსებობს და რომ აღთქმები ბრძოლის გარეშე დავიმკვიდრეთ. განცხადება „თქვენ ხართ ქვეყნიერების ნათელი“ (მათე 5:14) არ უარყოფს სიბნელის არსებობას. თქმა იმისა, რომ თქვენ ხართ ღვთის ასული კონკურენტის გარეშე არ გულისხმობს იმას, რომ თქვენ მეტოქე არ შეგხვდებათ ცხოვრების გზაზე, ისევე, როგორც თქმა იმისა, რომ თქვენ ხართ ნათელი არ გულისხმობს იმას, რომ სიბნელეს არასდროს შეეჯახებით.

სიტყვა „მეტოქე“ სამი სხვადასხვა გზით გამოხატავს საკუთარ თავს: როგორც არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნა.

გრამატიკა გვასწავლის, რომ მეტოქე შეიძლება იყოს პიროვნება, ადგილი ან საგანი;

მეტოქეები რეალურები არიან, დიდი ალბათობა არსებობს, რომ ახლაც კი, ვიღაც მეტოქედ აღგვიქვამს, თქვენ კი არ იცით ამის შესახებ. ზოგიერთი ადამიანი არც ეჯიბრება სხვას, თუკი ისინი არ ეჯიბრებიან ერთმანეთს სპორტში, თეატრალურ დადგმებში, კონკურსებში, მეცნიერულ გამოფენებსა და არჩევნებში. თქვენ არ მიდიხართ სამსახურში იმის მოლოდინით, რომ იქ მეტოქეს გადაეყრებით, და რაღა თქმა უნდა, თქვენ არანაირად არ მოელით მათ შეხვედრას ეკლესიაში! თუმცა მეტოქეები ცხოვრების თითოეულ სფეროში იჩენენ ხოლმე თავს, და თქვენ ვერ გააკონტრილებთ იმას, თუ სხვები როგორ აღგიძვამენ თქვენ. კარგი ამბავი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ, თუ როგორ აღიქვამთ სხვებს.

1. თქვენ ვერ გააკონტროლებთ და არც ხართ პასუხისმგებელი იმაზე, რასაც სხვები ამბობენ, ფიქრობენ, აკეთებენ, ან გრძნობენ;
2. თქვენ შეგიძლიათ აკონტროლოთ და პასუხისმგებელნი ხართ იმაზე, რასაც ამბობთ, ფიქრობთ, აკეთებთ ან გრძნობთ.

## კონცურენციის გარეშე

ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მეტოქებს ჩვენთვის, მაგრამ ამ სექციაში, მინდა განვავრცო ის, თუ სინამდვილეში რისი გაკეთება შეუძლიათ ჩვენთვის ჩვენს მეტოქებს.

## მატობები ღვთის ქალას გამოავლენა

დაბადებისას დამალულ, მეფის ოჯახის მიერ გადარჩენილ, ფარაონის სახლში აღზრდილ, მოსეს ინტრიგებით აღსავსე ცხოვრება ჰქონდა დასაწყისიდანვე. ღმერთმა ეს ფაქტორები მოსეს ცხოვრების გადასარჩენად გამოიყენა. მაგრამ, ჩვენს მსგავსად, მოსემაც ისწავლა, რომ ჩვენი დანიშნულება კონფრონტაციის პერიოდებში ვლინდება, და არა კომფორტის პერიოდებში.

მოსეს რთული გზით მოუწია ამის სწავლა, როდესაც იგი ცდილობდა საკუთარ ხელში აეღო საქმე, მხოლოდ იმიტომ, რომ განდევნილი ყოფილიყო თავისი ხალხისგან და ყველაფრისგან, რაც მისთვის ნაცნობი იყო. ნარმომიდგენია, რომ მისი ყოფნა უდაბნოში, დიდი ხნის მომთაბარეობა ტამბაუტს ჰგავდა. შემდეგ უცრად ღმერთმა გამოაჩინა მოსე, როდესაც იგი ლტოლვილივით ცხოვრობდა უდაბნოში. ეს გაკვეთილია ჩვენთვის. მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ რაღაცას ვერ გაუმკლავდით წარსულში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენს მომავალშიც იგივე განმეორდება.

მოსემ იცოდა, თუ რატომ იხსნა ღმერთმა მისი სიცოცხლე, იცოდა, თუ რისთვის მოუწოდა ყოვლადძლიერმა მას,

  
**ჩვენი  
დანიშნულება  
კონფრონტაციის  
პერიოდებში  
ვლინდება, და  
არა კომფორტის  
პერიოდებში.**

მაგრამ მას გამომხსნელის ხასიათი არ ჰქონდა. ღმერთს მოსეს შინაგანი კაცის სრულყოფა სჭირდებოდა, რაც მისი სასახლეში ცხოვრებისას შეუძლებელი იქნებოდა. ღმერთი საიდუმლოდ გვამზადებს იმისთვის, რასაც ერთ დღეს ცხადად შევეჯახებით. დადგა დღე, როდესაც განსხვავებული მოსე გამოეცხადა თავის და-ქმას, აარონს და მირიამს და მთელ ისრაელს. დროის სისრულე რომ დადგა, ღმერთმა სცხო მას, როგორც მხსნელსა და ელჩს, რათა იგი ფარაონს შეხვედროდა.

ღმერთი ეს-ეს იყო, აპირებდა მოსეს მსოფლიო მნიშვნელობის ადგილზე დაყენებას, აიძულა რა, მისი მონინააღმდეგის,

ფარაონის წინაშე დამდგარიყო. მაშინაც კი, როდესაც ლმერთი ფარაონთან აგზავნის მოსეს, იგი გასაგებად უხსნის, რომ ფარაონი არ მოუსმენს მას:

„შენ ეტყვი ყოველივეს, რასაც მე გიბრძანებ; ხოლო აპარონი, შენი ძმა, ილაპარაკებს ფარაონთან, რათა გაუშვას ისრაელის ძენი თავისი ქვეყნიდან. გავასასტიკებ ფარაონის გულს და გავამრავლებ ჩემს ნიშნებსა და სასწაულებს ეგვიპტის ქვეყანაში. არ მოგისმენთ ფარაონი, მაშინ ხელს გავიწვდი ეგვიპტეზე და გამოვიყვან ჩემს ლაშქარს, ჩემს ხალხს, ისრაელის ძეებს, ეგვიპტის ქვეყნიდან დიდი სასჯელებით. და შეიტყობენ ეგვიპტელნი, რომ მე ვარ უფალი, როდესაც გავიწვდი ხელს ეგვიპტეზე და გამოვიყვან მათგან ისრაელის შვილებს“. (გამოსვლა 7:2-5)

ლმერთს მიზანი ჰქონდა ამ თითქოსდა მარცხისთვის განწირული მისისისთვის. მიზეზი იმისა, თუ რატომ იყავებდა ფარაონი მაღალ ადგილს, მდგომარეობდა იმაში, რომ ლმერთი განდიდებულიყო დედამიწაზე მცხოვრები ხალხის თვალში.

„ახლავე გავიწვდიდი ხელს და უსათუოდ მოგსრავდით შავი ჭირით შენ და შენს ხალხს და მოისპობოდით დედამიწიდან. მაგრამ, იმისათვის გტოვებ, რომ გაჩვენო ჩემი ძალა, რათა ეუწყოს მთელ დედამიწას ჩემი სახელი“. (გამოსვლა 9:15-16)

მეტოქეები ღვთის ძალას წარმოაჩენენ. ეგვიპტესთან კონფლიქტი ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ უფალს აემაღლებინა და გამოერჩია დაჩაგრული ხალხის ჯგუფი, რომელიც ფორმის არ მქონე და უსახელო ლმერთს სცემდა თაყვანს ამ კერპების თაყვანისმცემელთა ქვეყანაში. რა კონფლიქტს შეიძლება იყენებდეს უზენაესი დღეს, რათა წარმოაჩინოს თავისი ხელი თქვენს ცხოვრებაში და გაგათავისუფლოთ თქვენ და სხვები ჩაგვრისაგან? ყურადღებით დააკვირდით, რაც თქვენი დანიშნულების წინააღმდეგ იბრძვის და აღმოაჩენთ, რომ თქვენი კონკურენტები საჩუქარს წარმოადგენენ თქვენთვის.

ვინ გახადა დავით მეფე ცნობილი? წინასწარმეტყველმა, მამამისმა თუ მეგობარმა? არა, ეს მისი მეტოქე იყო: გოლიათი.

ამ დაპირისპირების გარეშე ფილისტიმელ მეტოქესთან, დავითი ალბათ ვერ გახდებოდა ცნობილი. ბოლოს და ბოლოს, ის ყველაზე უმცროსი იყო რვა ძმას შორის. მიუხედავად იმისა,

## კონცურენციის გარეშე

რომ წინასწარმეტყველმა სამუელმა მეფედ სცხო დავითი, კვლავ რჩებოდნენ მეტოქეები, რომელთა წინააღმდეგობის გადალახვაც მოუწევდა, ვიდრე მეფე გახდებოდა. ცხებულება განზე გაყენებს, ხოლო გოლიათთან კონფრონტაცია კი აგამაღლებს.

როდესაც გოლიათი პრძოლის ველზე წარდგა, როგორც ჩანს, ის ამით საულის ბრძოლაში ჩართვას ცდილობდა. საული ისრაელის ჩემპიონი გახლდათ, თუმცა იგი გოლიათის სიმაღლის არ იყო. ბიბლიიდან ვგებულობთ, რომ საული სხვა ისრაელიანებზე ერთი თავით მაღალი იყო. სწავლულები ვარაუდობენ, რომ იგი 182,88 – 198,12 სანტიმეტრი სიმაღლის იყო. გოლიათის სიმაღლე კი 2,74 სანტიმეტრს შეადგენდა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მეომარი გოლიათი მეფე საულზე მაღალი იყო. და მეფე საული კი, თავის მხრივ, მნეუმს დავითზე მაღალი. მაგრამ დავითმა ისეთი რამ გააკეთა, რამაც მისი სიმაღლის უქონლობის კომპენსირება მოახდინა. დავითს ჰქონდა ხასიათის სიმტკიცე. თუ რომელიმე ადამიანი ხასიათის სიმტკიცით გამოირჩევა, ეს ნიშნავს იმას, რომ მას აქვს გამბედაობა, სიმამაცე, სიმტკიცე და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ ეს ელემენტი, რომელსაც „ხასიათის სიმტკიცე“ ჰქვია, ყველაზე საუკეთესო განსაზღვრებას წარმოადგენს, რომლითაც კადეტები West Point-ის სამხედრო აკადემიას ამთავრებენ, ვიდრე SAT-ის (ამერიკის კოლეჯებში მისაღები სტანდარტიზებული ტესტი) ქულები ან აკადემიური რეიტინგი. კვლევა მოიცავდა თვითშეფასებას, რომლის მიხედვითაც ხასიათის სიმტკიცე 1-დან 5 ქულამდე ფასდებოდა.

სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ დავითის იგი 5+ით ჰქონდა. ლომს ან დათვს ვერ შეეპრძოლები, თუ ხასიათის სიმტკიცე არ გაგაჩინია. მას მეტისმეტად დიდი სიმტკიცე ჰქონდა იმისთვის, რომ ეჭვი არ შეპარვოდა, რომ გოლიათს დაამარცხებდა. საული დავითზე მაღალი იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ხასიათის სიმტკიცით მას დავითი სჯობდა. ხასიათის სიმტკიცის გარეშე არავინ ხდება ლეგენდა. არაფერია ეპიკური იმაში, როდესაც თანაბარ პრძოლას იგებ. საჭიროა, რომ მეპრძოლებს შორის იყოს შეუსაბამობა, რათა მოულიდნელად წაადგე თავს მოწინააღმდეგებს. ყველას, ვინც აკვირდებოდა პრძოლას, უნდა ეთქვა: „ამას არ მოველოდი, მაგრამ გასაოცარი იყო“. დავითს კოლოსალური მოწინააღმდეგე სჭირდებოდა იმისთვის, რომ ცნობილი გამზდარიყო. ცნობილი, მაგრამ მერყევი მეპრძოლი საულის დიდებამ და ფილისტიმელთა ჩემპიონის შიშმა, დავითი იმ პიზიციაში ჩააყენა, რომ იგი უკონკურენტო მეომარი გამხდარიყო.

წიგნის „დავითიდა გოლიათი“ ავტორი მალკოლმ გლადუელი კარგად აღნიშნავს:

„იმის დიდი ნაწილი, რასაც ჩვენ ფასეულად მივიჩნევთ ჩვენს სამყაროში, ამ ცალმხრივი კონფლიქტებიდან წამოიჭრება, რამეთუ დაუძლეველ უთანხმოებასთან დაპირისპირების აქტი, დიდებასა და სილამაზეს წარმოშობს...“

დამარცხებულად ყოფნამ, შეიძლება ადამიანი იმდენად შეცვალოს, რომ ჩვენ ვერ შევაფასოთ: მან შეიძლება კარი გაუხსნას მას და შესაძლებლობა მისცეს, და განავითაროს იგი და გაანათლოს, რაც შესაძლებელს გახდის მისთვის იმას, რაც სხვა დროს დაუჯერებელი ჩანდა“.

როდესაც პირისპირ წარმოუდგენელი მოწინააღმდეგის წინაშე იმყოფებით, ორი არჩევნი გაქვთ: დათმოთ და დანებდეთ მას, ან მთელი სიმაღლით წამოიმართოთ და მოუხმოთ ხასიათის სიმტკიცეს თქვენში.

დავითმა უკუაგდო მეფე საულის ჯავშანი და თავისი ლვთის სახელს მოუხმო:

„მიუგო დავითმა ფილისტიმელს: „შენ მახვილით, შუბითა და ფარით გამოდიხარ ჩემთან, მე კი ცაბაოთ უფლის, ისრაელის მხედრობის ლვთის სახელით მოვდივარ შენთან, რომელიც შენ შეურაცხყავი. დღეს ჩამაგდებინებს შენს თავს ხელში უფალი, განგვმირავ და თავს მოგაცლი, დღესვე ცის ფრინველებსა და მიწის მხეცებს მივუყრი ფილისტიმელთა ლაშქრის მძორებს და შეიტყობს მთელი ქვეყნიერება, რომ ლმერთია ისრაელში!“ (1სამუელი 17:45-46)

გოლიათზე გამარჯვებამ არა მხოლოდ დავითის ბედი განაპირობა, არამედ ფილისტიმელზე მოპოვებულმა ამ გამარჯვებამ მთელს ქვეყნიერებას შეატყობინა, რომ უზენაესის ხელი იყო ისრაელზე. ვიცი, რომ დავითის მსგავსად თქვენც გწყურიათ, რომ ლმერთი ყველასთვის ცნობილი გახადოთ. ჩვენს სამყაროში ჯერ კიდევ არიან გოლიათები. ისინი გამოწვევების წინაშე გვაყენებენ და ეჭვქვეშ აყენებენ უფლის არსებობას. ეს გოლიათები სკოლის ხულიგნების, სამსახურისა და სახალხო აზრის უკან იმაღლებიან. დროა, რომ შევწყვიტოთ ქვების უკან დამალვა და წინ წავიდეთ და ვიქადაგოთ ლვთის სიტყვა.

თქვენში იგივე სულია, რომელმაც ქრისტე აღადგინა მკვდრეთით. თქვენი მეტოქების სურვილია, რომ მათი

## კონცურენციის გარეშე

პირობებით იბრძოლოთ და ეს თქვენი ძალებით გააკეთოთ. მაგრამ, თქვენ ასე არ უნდა მოიქცეთ. თქვენ ამაზე მაღლა უნდა დადგეთ. როგორც ლვთის შვილები, რომელთაც კონკურენტი არ ჰყავთ, ჩვენ ბოროტის წილ კეთილს მივაგებთ. საბოლოო ჯამში, ეს ჩვენს სადიდებლად არ არის; მთელი დიდება ღმერთს ეკუთვნის.

გოლიათმა დავითი ცნობილ პიროვნებად აქცია. სოციალურ მედიას შეუძლია პიროვნება ცნობილი გახადოს. მაგრამ სახელგანთქმულობას არ შეუძლია, მეფედ გაქციოს. თუ ბოროტად იქნება გამოყენებული დიდება ეგოისტური დიქტატორების ჩამოყალიბებას უფრო ემსახურება, ვიდრე მსახურებისას. ღმერთს აღარ სურდა კიდევ ერთი არამდგრადი ლიდერი, რომელიც საულის მსგავსად იმეფებდა. მას სჭირდებოდა ვიღაც, ვინც მის სახელს განადიდებდა და მთელ მის ძალას წარმოაჩენდა. ჩვენ დავალებული გვაქვს ვიყოთ მეფები და მღვდლები ჩვენი უფლისთვის. ჩვენ ჩვენი ღვთის ერთგულები უნდა ვიყოთ და არ ვეძებდეთ პოპულარულობას ადამიანების თვალში.

როდესაც პოპულარული ხარ, შენ თაყვანისმცემლები გყავს... და არა მოწაფეები და მიმდევრები. თაყვანისმცემლები არ გამოიჩინან სტაბილურობით. მათ ერთ წუთს უყვარხართ, ხოლო მორე წუთს სძულხართ. მეფე დავითს არ სჭირდებოდა თაყვანისმცემლები. მას სჭირდებოდა ისეთი კაცები და ქალები, რომლებიც საკუთარ სიცოცხლეს არ დაიშურებდნენ მისთვის. ღვთისმოსავ მეფეებს ბრძენი მრჩევლები, ერთგული ჯარი და ერთგული მსახურები სჭირდებათ. ასეთი მიმდევრების შესაძენად დავითს გარკვეული განწმედა დასჭირდებოდა. ღმერთს სხვა მეტოქე ჰყავდა არჩეული დავითისთვის, რათა იგი მეფობისთვის მოემზადებინა.

## მეოთოქაბი თქვენს დაიიგნოლებას ნარმოაჩენენ

თქვენს მოწინააღმდეგეს გააჩნია ძალა გამოგიყვანოთ შეუმჩნეველი ადგილიდან და გამოსაჩენ ადგილზე მოგათავსოთ. კარგი ამბავი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ ირჩევთ იმას, თუ რას წარმოაჩენენ ისინი თქვენს ცხოვრებაში. იქნება თუ არა თქვენი მოწინააღმდეგე თქვენზე უკეთესი... თუ წარმოაჩენს იმას, რაც საუკეთესოა თქვენში? სწორედ ამ მიზეზის გამო, თქვენს მოწინააღმდეგეს ასევე თქვენი ბედის წარმოაჩენაც შეუძლია.

დავითი იცნობდა ღმერთს ძისა  
და მწყემსის თვალთახედვიდან  
გამომდინარე. ცხვრებით გარემოცული,  
იგი ადიდებდა ღმერთს შუა  
აღმოსავლეთის ვარსკვლავების კაშკაშა  
სინათლით განათებული ცის ქვეშ.  
როდესაც იგი ცხვარს მწყემსავდა  
უდაბნოში, მამის მიერ მობარებულ  
ფარას ლომებისგან და დათვებისგან  
იცავდა. ახლა დავითს მოუწევდა იმის  
გაგება, თუ როგორია, როდესაც თავს  
გესხმიან და მიგათრევენ ველური  
ცხოველის მსგავსად.

მეფე საული თითქოს შესანიშნავად იყო დაპროგრამებული  
იმაზე, რომ ხასიათის სიმტკიცის მქონე დავითი, ხალხის  
თანდასწრებიდან ღვთის თანდასწრებაში გადაეყანა;  
სწორედ აქ მიიღებდა დავითი თავის ცხებულებას და სადაც  
გამოვლინდებოდა მისი, როგორც მეფის დანიშნულება.

ურთიერთობა საულსა და დავითს შორის ისე არ დაწყებულა,  
როგორც დასრულდა. თავიდან, საულს უყვარდა დავითი და  
აღიარებდა, რომ ღვთის ხელი იყო მის ცხოვრებაზე. როდესაც  
საული დაუცველად გრძნობდა თავს და იტანჯებოდა, იგი  
დავითს უხმობდა თავისთან და სამეფოს საქმეებსაც ანდობდა  
მას. აი, რას ვკითხულობთ სამუელის 18:5-ში:

„რასაც საული ავალებდა დავითს, იგი აკეთებდა  
ყველაფერს და კარგად აკეთებდა. იმდენად კარგად  
აკეთებდა, რომ საულმა იგი თავისი საბრძოლო  
ოპერაციების სათავეში დააყენა. ყველა, უბრალო  
ხალხიც და საულის მსახურებიც იწონებდნენ და  
აღფრთოვანებულნი იყვნენ დავითის ლიდერობით“. (Message)

საული უკეთეს გენერალს ვერც ინატრებდა. და, როდესაც  
ბოროტი სული აწვალებდა საულს, დავითი არფაზე უკრავდა  
და მღეროდა მისი სულის დასამშვიდებლად. ყველაფერი  
კარგად მიდიოდა, ვიდრე საულმა სხვა სიმღერა არ მოისმინა.  
თქვენთვის ალბათ ცნობილია ეს ისტორია:

„და როცა ისინი და დავითი ფილისტიმელის დამარცხების  
შემდეგ ბრუნდებოდნენ, საულ მეფესთან შესახვედრად  
ისრაელის ყველა ქალაქიდან გამოვიდნენ გახარებული

იქნება თუ არა  
თქვენი  
მოწინააღმდეგე  
თქვენზე  
უკეთესი... თუ  
ნარმოაჩენს იმას,  
რაც საუკეთესოა  
თქვენში?

## კონცურენციის გარეშე

ქალები, სიმღერით, ცეკვით, დაფდაფებითა და სიმებიანი საკრავებით. უკრავდნენ ქალები, მღეროდნენ და გაიძახოდნენ: „შემუსრა საულმა ათასები, ხოლო დავითმა ათი ათასები“.

„დიდად განაწყენდა საული, მან ეს პირად შეურაცხყოფად მიიღო. მან თქვა: „დავითს ათი ათასს აძლევენ, მე კი ათასს. სამეფოდა აკლია!“ ამ დღის შემდეგ შურის თვალით უყურებდა საული დავითს“. (1სამუელი 18:6-9)  
Message

იმ შემთხვევაშიც კი, ამ ადამიანთაგან არც ერთი რომ არ ყოფილიყო სინამდვილეში მოკლული, საული შედარებამ გაანაწყენა. თითოქოს ქალების სიმღერამ თვალები აუხილა საულს, ხოლო შემდეგ კი მან თავისი ბაგე გახსნა და თავისი მეფობის სხვისთვის გადაცემა იწინასწარმეტყველა. ქალები ხუმრობით მღეროდნენ ამ სიმღერას, მაგრამ ეს საერთოდ არ იყო სასაცილო საულისთვის. მას გულში მოხვდა ეს სიტყვები. წლები იყო გასული მას შემდეგ, რაც ნინასწარმეტყველმა უთხრა საულს, რომ დაუმორჩილებლობის გამო მას მეფობა ჩამოერთმეოდა. სამუელმა უთხრა საულს, რომ უფალი სამეფოს გამოგლეჯდა მას და მასზე უკეთესს მისცემდა (1 სამუელი 15:28). ამ სიმღერასთან ერთად საულის სიცოცხლის ქსოვილმა დახევა იწყო. წამის მეასედში იგი ნინათგრძნობამ შეიძყრო და მიხვდა, რომ დავითი მისი შემცვლელი გახდებოდა. საული არ ფიქრობდა თავისი მეფობის მშვიდობაზად დათმობას.

როდესაც დაუცველობის გრძნობას განიცდით, თქვენთვის არახელსაყრელმა შედარებამ, შესაძლოა, თვალის დახამხამებაში მეგობარი მეტოქედ გიციოთ. საული ალარ ხედავდა დავითში აქტივს, იგი დავითს საფრთხედ განიხილავდა და ერთ ლამეში ყველაფერი შეიცვალა.

„მეორე დღეს ღვთისგან დაშვებულმა ბოროტმა სულმა შეიძყრო საული და მისანივით იქცეოდა თავის სახლში. ჩვეულებისამებრ ქნარზე უკრავდა დავითი“. (1სამუელი 18:10)

ეს ნინააღმდეგობაში მოდის ჩვენს თეოლოგიასთან და შეხსენებასავით არის თითოეული ჩვენგანისთვის... ღმერთს ნებისმიერი რამის გამოყენება შეუძლია თავისი მიზნის აღსრულებისთვის. ამ შემთხვევაში, ეს ტანჯვის აგენტის გამოგზავნას გულისხმობდა, რომელსაც შურიანი მეფე ზღვარს უნდა გადაეყვანა.

ამ დღეს, დავითი ჩვეულებისამებრ აკეთებდა იმას, რასაც ყოველთვის აკეთებდა, არფაზე უკრავდა, მაგრამ ახლა საულს განსხვავებული რაღაც ეჭირა ხელში, რამეთუ მის გულში რაღაც შეიცვალა.

„საულს კი შუბი ეპყრა ხელთ. ისროლა საულმა შუბი, იფიქრა: „კედელს მივაჭედავო დავითს!“ მაგრამ ორჯერ გაერიდა დავითი“. (მუხლები 10-11)

წარმოიდგინეთ ეს კონტრასტი. საული იარაღით გაექანა დავითისკენ, მაშინ როდესაც დავითი მშვიდად უკრავდა თაყვანისცემის ინსტრუმენტზე. შეიძლება ამაზე უფრო დიდი კონტრასტის წარმოდგენა? ვინ დარბის საკუთარ სახლში შუბით? საული გამოქვაბულში მცხოვრებ ადამიანს დაემსგავსა.

იმის გამო, რომ ხმლების თემაზე დავწერე წიგნი, რამდენიმე ხმალი მიდევს სახლის სხვადასხვა ადგილას, მაგრამ ძალიან იშვიათად ვიღებ მათ ხელში. ისეთ დღეებშიც კი ვერ ვპედავ მათ აღებას, როდესაც ჰორმონების გამო თვითკონტროლს ვკარგავ. რამეთუ, როდესაც ზენოლის ქვეშ იმყოფები, ცდუნების ქვეშ ხარ, რომ ძირს დააგდო ის, რაც ხელში გიჭირავს (ამას გამოცდილება მაღაპარაკებს). დავითი იძულებული გახდა, თავი აერიდებინა საულისთვის, რათა გარიდებოდა იმ ადამიანს, რომელიც გუშინ მის გვერდი-გვერდ იბრძოდა. დავითის უკეთესმა საულის უარესი გამოაპკარავა და გულის გამაწვრილებელი ცუდი წინათგრძნობა შიშის სულში გადაიზარდა.

„ეშინოდა საულს დავითისა. რადგან აშკარა იყო, უფალი იყო დავითთან, საულს კი განეშორა. განიშორა საულმა დავითი და დანიშნა იგი ათასისთავად. დავითი ხშირად იყო ბრძოლის ველზე. ყველაფერში ხელი ემართებოდა დავითს. დიახ, უფალი იყო მასთან. დაინახა საულმა, რომ დიდ წარმატებებს აღწევდა დავითი და შეეშინდა მისი“. (1სამუელი 18:12-15 Message)

დავითის საბრძოლო წარმატება მეფე საულის გამარჯვებად უნდა ჩათვლილიყო. მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ ეს გმირობები დავითის მიერ სამეფოს განმტკიცებად ჩაეთვალა საულის ლიდერობის ქვეშ, საული თითოეულ ბრძოლას თავისი ავტორიტეტის ძირის გამოთხრად მიიჩნევდა. საულს აღარ მიაჩნდა დავითი საკუთარ შვილად და აღარც მასთან ყოფნა აწყნარებდა. მას სურდა, რომ დავითი თვალში აღარ

## კონცურენციის გარეშე

მოხვედროდა. მაგრამ იგი ამითაც აღარ კმაყოფილდებოდა. ამ შემთხვევაში არ მუშაობდა გამოთქმა: თვალი შორს და გულიც შორსო. მეფე საულმა დავითი იმ იმედით გაუშვა ბრძოლის ველზე, რომ ეგონა მოკვდებოდა. მაგრამ ამან კვლავაც დავითის წარმატებას შეუწყო ხელი. დავითი სულ მაღლა და მაღლა მიდიოდა მაშინ, როდესაც საული მის დაღუპვას ცდილობდა:

„და როცა მიხვდა საული, რომ უფალი იყო დავითთან და უყვარდა იგი მიქალს, მის ასულსა და მთელს ისრაელს, კიდევ უფრო შეეშინდა დავითისა და მტრობდა გამუდმებით“. (1სამუელი 18:28-29)

ძალიან მოკლე დროში, საულის მიერ დავითის აღქმა, ეჭვიდან შიშში, ხოლო შიშიდან სიძულვილში გადაიზარდა. წავიდა ის დავითი, რომელიც საყვარელ ძედ, ომის გმირად და მოკავშირედ მიიჩნეოდა. დავითი ახლა კანონგარეშე პიროვნებად ითვლებოდა. დასრულდა საულის კარზე მის მიმართ კეთილგანწყობილების ხანმოკლე სეზონი. ამ ცვლილებით შემფორთებული, რომელიც არანაირად არ იყო მისი მხრიდან პროვოცირებული, დავითი გაიქცა, რათა სიცოცხლე გადაერჩინა.

მეფის სასახლიდან წასვლის შემდეგ დავითის ცხოვრებაში სრულიად ახალი სეზონი დაიწყო. სტატუსისა და ჯილდოს ნაცვლად ახლა მას გამუდმებული უარყოფა, მკაცრი მოჰყობა და უკიდურესი საფრთხე ელოდა უდაბნოში. ზოგიერთი სწავლულის აზრით, ეს პერიოდი დაახლოებით რვა წელი გაგრძელდა. სწორედ გადასახლებაში, უნაყოფო კლდეებში ხეტიალის დროს შეისწავლა დავითმა ის გაკვეთილები, რომლებმაც მოამზადეს იგი იმისთვის, რომ ლვთის გულის სანდომი მეფე გამხდარიყო.

დავითზე მშიერი მგელი ნადირობდა, რომლის გამოც ის იძულებული იყო ერთი გამოქვაბულიდან მეორეში გადასულიყო. იგი გლოვობდა, როდესაც შეიტყო, რომ საულმა მღვდლები და მათი ოჯახები დაახოცინა, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მას დაეხმარნენ ისე, რომ არც იცოდნენ ვინ იყო. მრავალი წლის ტანჯვის შემდეგ საულის მეტოქეობამ დაანახა დავითს, რომ საადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, სასახლესა თუ გამოქვაბულში, ყველაფერი ეს მასში ლვთისმოსაობის განვითარებას ემსახურებოდა. დავითი თავის მეორე გოლიათის წინაშე იდგა.

ნება მომეცით, აგიხსნათ!

არა მგონია, რომ გავაზვიადებ, თუკი ვიტყვი, რომ დავითს მამასთან ჰქონდა პრობლემა. ყოველთვის, როდესაც დავითი

მეფე საულს ესაუბრებოდა უდაპნოში, იგი ტიროდა და საულს „მამას“ უწოდებდა. პირველი სამუელი 24:11 გვიჩვენებს მის ტანჯვას:

„შეხედე, მამაჩემო; დააკვირდი შენი მოსასხამის კიდეს, ხელში რომ მიჭირავ! მოსასხამის კიდის მოჭრისას რომ არ მოგყალი, ამით მიხვდი, რომ არ ვარ ბოროტი და მეამბოხე; არც ბოროტება განმიზრახავს, არაფერი შემიცოდავს შენს წინაშე; შენ კი მოსაკლავად მდევნი“.

არავითარი მიზეზი არ არსებობს იმისა, რომ ვიფიქროთ, თითქოს დავითსა და მამამისს შორის ღვარძლი არსებობდა, მაგრამ რაკი მერვე შვილი იყო, შესაძლოა დავითი მას მხედველობიდან გამორჩენოდა. თითქოსდა, დავითი თავისი შვიდი ძმის ჩრდილში დაიკარგა. როგორც ყველა ვაჟს, დავითსაც თავისი მამისგან მოწონებისა და აღიარების მიღება სჭირდებოდა, მაგრამ მამამისმა არ გაგზავნა დავითის დასაძახებლად, როდესაც სამუელ წინასწარმეტყველი მოვიდა იესეს ძებისთვის ზეთის საცხებლად.

„შვიდი ძე ჩამოატარა იესემ სამუელის წინ. უთხრა სამუელმა იესეს: „ამათგან არც ერთი არ აურჩევია უფალს“. ჰყითხა სამუელმა იესეს: „მხოლოდ ესენი არიან შენი ძენი?“ უპასუხა: „კიდევ დარჩა უმცროსი, ცხვარს მწყემსავს ახლა“. უთხრა სამუელმა იესეს: „გაგზავნე ვინმე და მოაყვანინე, რადგან არ დავსხდებით, ვიდრე აქ არ მოვა იგი“. (1 სამუელი 16:10-11)

რატომ უნდა ეკითხა სამუელს იესესთვის, ჰყავდა თუ არა მას კიდევ სხვა ძე? ალბათ ფიქრობთ, რომ იესეს სამუელის მოსვლისთანავე უნდა გაეგზავნა დავითის დასაძახებლად. ალბათ, იესე არ მოიაზრებდა დავითს რჩეულთა შორის. სამუელ წინასწარმეტყველი რომ მოსულიყო ჩვენს სახლში, ყველაფერს ვიღონებდი, რათა მთელი ჩემი ოჯახი მწყობრში ყოფილიყო. მე მათ Skype-ის, Facebook-ის მეშვეობით შევატყობინებდი, ან დავურეკავდი, რათა, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი მოსვლას ვერ მოახერხებდა, სცოდნოდათ მაინც ამის შესახებ.

დავითს შვიდი მეტოქე ჰყავდა მამის ყურადღების მოპოვების საქმეში, ეს მისი ძმები იყენენ. ის ურთიერთობა, რომელიც წმიდა წერილშია მოყვანილი დავითსა და მის ძმებს შორის, არ გვიჩვენებს სითბოსა და მხარდაჭერის სურათს. ფაქტობრივად, მისმა უფროსმა ძმამ იგი სიამაყეში დაადანაშაულა, დაამცირა

## კონცურენციის გარეშე

მისი როლი მამის სახლში და მის გულს თვითდაჯერებული და ბოროტი უწოდა (1 სამუელი 17:28).

ალბათ, სწორედ ამიტომაა, რომ როდესაც დავითის ფსალმუნებს ვკითხულობ, სიტყვები არ მესმის... მე მისი გულის ხმა მესმის. მე ვხედავ ამ სტროფებში ჩაქსოვილ ტანჯვას, რომელიც მარტოობასა და დაძაბუნებულობაში გატარებული წლების შედეგი იყო. დავითმა არა ერთხელ დაუმტკიცა საულს თავისი უდანაშაულობა, მაგრამ ბრძოლა მაინც მძვინვარებდა.

რაღაც მომენტში, დავითი მიხვდა, რომ მისი უდანაშაულობა ვერასდროს ვერ იქნებოდა დამტკიცებული ადამიანთა სასამართლოზე. საული არასდროს აპატიებდა დავითს. ამას მხოლოდ ღმერთი გააკეთებდა. საულისგან გაქცევასა და დამალვაში, დავითმა ღმერთთან მირბენა და ღმერთში დამალვა ისწავლა. მრავალ ადამიანს სურს ცხებულების მიღება, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ცხებულება მოდის იმ მიზანთან ერთად, რომლის გამომუშავებაც მათი მტრების თანდასწრებისას ხდება.

მოგვიანებით, როდესაც დავითი აბესალომს გაურბოდა, მან იყვირა:

„უფალო, როგორ მომრავლდნენ ჩემი მტრები!

მრავალი აღდგა ჩემს წინააღმდეგ.

ბევრი ამბობს ჩემზე, ღვთისმიერი

შემწეობა არ არისო მისთვის.

მაგრამ შენ ხარ ჩემი ფარი, უფალო,

ჩემი დიდება და ჩემი თავის

ამამალლებელი! ჩემი ხმით მოვუხმობდი

უფალს და მიპასუხა თავისი წმიდა მთიდან.

ვწვებოდი, ვიძინებდი და ვიღვიძებდი, რადგან

უფალი იყო ჩემი შემწე. ვერ შემაშინებს ხალხის

სიმრავლე, გარს რომ მერტყმის

ყოველი მხრიდან. აღსდექ, უფალო, მიხსენი,

ჩემო ღმერთო, რადგან შენ ულენავ ყბებს

ყველა ჩემს მტერს და

კბილებს უმუსრავ ბოროტეულთ. უფლისგან

არის ხსნა და შენი კურთხევა შენს ერზე“.

(ფსალმუნი 3:1-6)

როგორ მომრავლდნენ მისი მტრები? კარგი კითხვაა. უბრალოდ რატომ არ შეაჩერა ისინი ღმერთმა? ან რატომ არ ჩაფლა ისინი უდაბნოს ქვიშის შტორმში?

## როდესაც მეტოძედ აღიძვამინ

დავითს არ უთხოვია, რომ წინასწარმეტყველ სამუელს იგი მეფედ ეცხო. მტკიცე ხასიათის მქონე დავითი, არ შეიძლებოდა მამაცი არ ყოფილიყო თავისი უფლისთვის. რაკი დავითი მამამისის ერთგული ძე იყო იმაში, რაც მას ჩაბარებული ჰქონდა, ასეთივე ერთგული მეომარი იყო იგი თავისი მეფისაც. იონათანი მასზე ერთგულ მეგობარს ვერც კი ინატრებდა. რაც შეეხება მის მოქმედებებს, დავითი უმწივლო იყო. თუმცა, მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში, მისი პრობლემები ზრდას განაგრძობდა. რატომ?

ჩვენ გვინდა, რომ ამ ყველაფერს მიზეზი ჰქონდეს, რამეთუ თუკი იგი არსებობს, მაშინ შეგვიძლია, მოვუძებნოთ ახსნა მთელ ამ არეულობას. მაგრამ, ჩანს ისე, თითქოს ამ ყველაფერს აზრი არ აქვს. ეს სიტყვები ცოცხალი იყო და დავითის მიერ იქნა ნაწინასწარმეტყველები – და მისი ბრძოლა სხვა პიროვნების ბრძოლის იდენტიფიცირებას ახდენდა: ამ სიტყვებმა მომავალს მიაღწის და გაამჟღავნეს ის, რაც იესოს უნდა შემთხვეოდა. რატომ გვიკვირს, როდესაც მოწინააღმდეგენი წამოიმართებიან ჩვენს ცხოვრებაში? 1პეტრეს 4:12-13 შეგვახსენებს:

„საყვარელო, ნუ გაგაოცებთ თქვენზე მოვლენილი ცეცხლოვანი განსაცდელი, თითქოს უცხო რამ მოგსვლოდეთ! არამედ გიხარიდეთ როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარებს, რათა მისი დიდების გამოცხადებაშიც იხაროთ და იმხიარულოთ“.

გარეგანი ზეწოლა შინაგან ტრანსფორმაციას ახდენს. მეტოქები გამოაშკარავებენ იმ დანიშნულებასა და ბედს, რომელიც ღმერთმა მოამზადა ჩვენთვის. ჩვენ ვმცირდებით, რათა ღვთის დიდება გაიზარდოს ჩვენს ცხოვრებაში. საჩუქარი მოწინააღმდეგის სახით, სწავლების, დახვეწისა და წვრთნის ნაწილს წარმოადგენს. ეს ადამიანის ბუნებაა, რომელიც სირთულეებისთვის თავის არიდებას ცდილობს. მაგრამ, როდესაც ვიტანჯებით, არა მხოლოდ იესოს ტკივილის მოზიარენი, არამედ მისი დიდების მოწინილენიც ვხდებით, როდესაც იგი ჩვენს ბედს გვიმუშლავნებს.

## მეტოძეო გაიძულებენ დაიცვათ თქვენ გული

როდესაც თქვენი ქვის გული იმსხვრევა, მას ხორცის გული ცვლის. როდესაც უაზრო მეტოქეობაში აღმოაჩენთ საკუთარ თავს, თქვენი გული კუთხეში მომწყვდეულად გრძნობს თავს.

## კონცურენციის გარეშე

თქვენ უამრავი კითხვა გებადებათ, რომლებიც გაიძულებენ გადახედოთ თქვენს თავს და თქვენს მოტივებს. თქვენ ფიქრობთ, რა მტკრს? ღმერთო, სად ხარ? როგორ მოხდა ეს? რატომ ხდება ასე?

ხშირად, ერთადერთი პასუხი, რომელსაც ამ კითხვებზე ვლებულობთ, არის სიჩუმე. ამის გამო ეჭვებში ვვარდებით, გვისძენს თუ არა ღმერთი სინამდვილეში. პირადად მე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ღმერთი ჩუმად არის მაშინ, როდესაც შესვენების დროა. სცენა უნდა შეიცვალოს და პერსონაული საკუთარ ადგილებს ექცენტ გადასაღებ მოედნებზე. გამხნევდით. თქვენი წარუმატებლობის პერიოდი მაღლე გაივლის. წაცვლად იმისა, რომ იმსჯელოთ საკუთარ თავზე იმის მიხედვით, თუ სად იმყოფებით, გაიხსენეთ, რომ მან უკვე გამოგიყვანათ სირთულეებიდან!

როდესაც სიწყნარეში ვუსმენთ მის ხმას, მზად ვართ გადასვლისთვის. მოვუსმენთ იმას, რასაც ღმერთი ამბობს, თუ იმას, რასაც ჩვენი მოწინააღმდეგი ბრალმდებლები ამბობენ? იგივე ღმერთი, რომელმაც დაიწყო ეს კეთილი საქმე ჩვენში, ერთგული იქნება, რომ დაასრულოს იგი. მივცემთ წინააღმდეგობებს ჩვენი გულების გაუხეშების უფლებას, თუ ღმერთს მივცემთ სამუალება განკურნოს იგი? მოვახდენთ ჩვენი ყურადღების ფოკუსირებას მტრის სიტყვებზე, თუ ჩვენი შემოქმედის სიტყვებზე?

მივცემთ  
თავდასხმებს  
ჩვენი გულების  
გაუხეშების  
უფლებას, თუ  
ღმერთს  
მივცემთ  
უფლებას  
განკურნოს იგი?

ძვირფასო მეგობარო, მოუსმინე ჩემს სიტყვებს; მოაქციე შენი ყურები ჩემი ხმის მოსასმენად! „ჩემი სიტყვა ყოველთვის თვალწინ გქონდეს. კონცენტრირება მოახდინე მასზე! დაიზეპირე იგი! ისინი, რომელიც აღმოაჩინენ ამ სიტყვებს, ცოცხლობენ, ნამდვილად ცოცხლობენ; მათი სხეული და სული ჯანმრთელობისგან ყვავის. ყველაფერზე მეტად დაიცავი შენი გული, რადგან აქედან იწყება სიცოცხლე“. (იგავები 4:20-23 Message)

ნუ უყურებ იმას, რასაც ისინი აკეთებენ! ნუ უსმენ იმას, რასაც ისინი ამბობენ! ნუ შეადარებ შენს ამჟამინდელ მდგომარეობას! დაიცავი შენი გული და

## როდესაც მეტოქედ აღიძვამინ

ყოველი დაპირება, რომელიც სულის სილრმეში ჩაგრურჩულეს! ნუ იქნები უძრავი, განავითარე შენი უნარი ჰარმონიაში მოხვიდე ლვთის ხმასთან! იგი არ გაგამხნევებდა ამის გასაკეთებლად, შენთან საუბრის დიდი სურვილი რომ არ ჰქონდეს. მისი ხმა სწრაფად განამტკიცებს შენს გულს.

ამ ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ არის უძრავ მდგომარეობაში. ცოცხალი, შეუდარებელი ცხოვრება ღმერთში, რომელზეც თქვენ ოცნებობთ, შემთხვევით არ მიიღწევა. იგი კონცენტრაციას მოითხოვს ამ სამყაროში, რომელიც სავსეა ხელისშემშლელი ფაქტორებით. თუ მთელი გულისყურით არ მოეკიდებით ამ საქმეს, მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორი გამოჩინდება თქვენს გზაზე, რომელიც თქვენი ყურადღების მიპყრობას ეცდება.

ქრისტეს უწყება ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს. ჩვენი შემოქმედის სიტყვებს გააჩნია ძალა, სისრულეში მოყვანის ის, რაც მას ჩვენს ცხოვრებასთან დაკავშირებით აქვს დაგეგმილი. თავად სიცოცხლის წყაროს ეს განზრახ თანხვედრა აპალანსებს სხეულსა და სულს და ჩვენს ცხოვრებას ჯანმრთელობას, მიზანსა და ძალას ანიჭებს. როდესაც მის სიტყვაზე ვართ კონცენტრირებულნი, ნაცვლად ჩვენი მეტოქებისა, ჩვენ შევდივართ სიცოცხლეში, რომლის აღქმაც მათ არ ძალუდთ.

ჩვენ არა მხოლოდ უფლის სიტყვაზე უნდა მოვახდინოთ კონცენტრირება, რომელიც თესლის მსგავსია, არამედ ასევე ბალიც უნდა დავიცვათ, რომელიც ჩვენი გულია.

დიდი განსხვავებაა გულის დაცვასა და დატყვევებულ გულს შორის. ერთი ფხიზლობს უდიდესი ფასეულობის მქონე საგანზე; მეორე შეიძლება შედარებულ იქნას გულთან, რომელიც დაბლოკილია.

მრავალი ადამიანი ირჩეს, გაიქვაოს გული იმ იმედით, რომ ეს დაიცავს მათ გულებს მანამდე, ვიდრე ისინი არ იგრძნობენ, რომ მათი განკურნება შესაძლებელია. მოზარდობის პერიოდში ხშირად ვირჩევდი ამ ტაქტიკას. თავდაპირველად უდიდეს შეგებას ვგრძნობდი. როდესაც ადამიანები ტკივილს მაყენებდნენ, მე ვიშორებდი მათ. იმდენად ხშირად ვაჯახუნებდი ჩემი გულის კარს, რომ საკუთარ თავს უსაფრთხოდ ჩაკეტილად ვგრძნობდი. გულის გამუდმებით გაქვავების შედეგად, იგი საკუთარ პატიმრად ვაქციე. საკუთარი თავი ტკივილგაუმტარად მიმაჩნდა, ვიდრე მეტისმეტად გვიან არ მივხვდი, რომ ამის შედეგად, სიხარულგაუმტარიც გავხდი.

საკუთარი გულის დაცვა, მის დაცვას გულისხმობს და არა დატყვევებას. თუ გული დაბლოკილი გაქვთ, ლოცვას დაუთმეთ დრო. სთხოვეთ ღმერთს, რომ მან გაათავისუფლოს თქვენი

## კონცურენციის გარეშე

გული მისი ქვის ციხიდან და შეცვალოს იგი ისეთი გულით, რომელიც სიხარულსაც გრძნობს და ტკივილსაც.

ვიცი, რომ ეს მტკივნეულია, მაგრამ ნუ შეიკავებთ ცრემლებს! ნება მიეცით მათ დაარწყულონ თქვენი გული და სინაზე შეუნარჩუნონ მას. ნუ ჩაძირავთ თქვენს ტკივილს ნარკოტიკებსა და ალკოჰოლში, რაც ამახინჯებს გრძნობებს და დაცემას იწვევს! ნუ დაიბნელებთ გონებას შურისძიების აზრებით, რაც თქვენს სულს ამძიმებს! შეწყვიტეთ ამის გადაფასება! დაჯექით და იტირეთ იმდენად ხშირად, რამდენადაც ეს დაგჭირდებათ! განმარტოვდით, ნება მიეცით ტკივილს, სრული ძალით მოგაყენოთ დარტყმა! როდესაც სიმშვიდე დაემვება, ზეცისკენ აღმართეთ სახე და აღიმაღლეთ ხმა ღვთის წინაშე. მიბაძეთ დავითის მაგალითს და ყოველ დღე მიანდეთ თქვენი სული, თქვენი საქმეები და თქვენი მოწინააღმდეგენი ღმერთს. ფსალმუნი 51:8-12 მოიცავს ამ ყველაფერს:

„ლხინისა და სიხარულის ხმა გამაგონე,  
გაახარე ჩემი ძვლები, შენ  
რომ შემუსრე.

სახე აარიდე ჩემს შეცდომებს  
და ყველა ჩემი ბრალი წაშალე!  
სუფთა გული შექმენი ჩემმი,  
ღმერთო და წრფელი სული განმიახლე!  
ნუ უკუმაგდებ შენგან და შენს  
წმიდა სულს ნუ წამართმევ!  
შენი ხსნის სიხარული დამიბრუნე  
და შენი დიდებული სულით  
გამამაგრე!“

გაქვავებული, დატყვევებული გული ყრუ ხდება და შეპოჭილი ძვლები კი – ურეაქციო. ისინი, ვინც სხვებს ასამართლებენ, გამუდმებით საკუთარი ცოდვების ტვირთქვეშ ცხოვრობენ. მხოლოდ ღმერთს შეუძლია იმის განწმედა, რაც აბინძურებს ჩვენს გულებს და იმის გასწორება, რაც არასწორი იყო, რათა კვლავ წამოვდგეთ ფეხზე მის თანდასწრებაში.

გაქვავებული გულები არ დგანან უფლის თანდასწრებაში. ისინი საკუთარ თავს იზოლირებაში აქცევენ ან დამცინავთა საზოგადოებას ირჩევენ, რომელნიც დასცინიან მათ, ვინც განკურნების გზა არჩია.

კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, მრავალი ამ მიღვომას მხოლოდ იმიტომ ირჩევს, რომ მეტისმეტად დაგვიანებით აღმოაჩინოს, რომ მისი გული დაცული კი არ იყო, არამედ

დატყვევებულია. თანაგრძნობა ტოვებს ასეთ გულს და მის ადგილს სისასტიკე და პათია იკავებს. ძალიან დიდი განსხვავებაა იმას შორის, რომ იცავდე საკუთარ გულს და ბლოკავდე მას.

როდესაც ჩვენი გულები ცარიელი და უნაყოფოა, ეს სწორედ ის დროა, რომ საგალობლით ავასორთ ჩვენი ბაგები. საული მეტისმეტად იტანჯებოდა, რომ თავად ეგალობა, ასე რომ დავითი გალობდა მისთვის, რათა დაეცხო მისი ტანჯვა. საგალობლები, რომლებიც ჩვენს ირგვლივ უძერს, დისტანციაზე აკავებს ჩვენგან რაღაც ცუდს, მაგრამ, რაღაც მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც საგალობელი ალიმართება ჩვენს გულში. როდესაც ჩვენ ვგალობთ, და არა მხოლოდ ვუსმენთ საგალობელს, ჩვენს გულებს ბლოკი ეხსნება და კავშირი მყარდება ჩვენს შემოქმედთან.

მეფე საულს ახასიათებდა, როგორც დაუფიქრებელი საუბარი, აგრეთვე დაუფიქრებელი მოქმედებაც. მისი გულის ტურბულენტობა მის მოქმედებებში ვლინდებოდა. ისევე როგორც, დავითმა ისწავლა თავისი გულის დაწყნარება, ჩვენც ასევე უნდა ვისწავლოთ ეს:

„მე გონივრულად ვმსჯელობდი, გულს ვიწყნარებდი. ჩემი სული ისეთივე კმაყოფილია, როგორც ჩვილი ბავშვია კმაყოფილი, როდესაც დედის მკლავებშია“. (ფსალმუნი 131:2 Message)

შეიძლება, რომ უხერხული რამ გაგიზიაროთ? ნაცვლად იმისა, ჩვილი ბავშვივით დავიმშვიდო სული, ტენდენციური ვარ ჩვილი ბავშვივით მოვიქცე. რამდენიმე ათწლეულის წინ, თაყვანისცემის მსახურებებს დროს, ჩვენი ეკლესია მე-3 ფსალმუნის სიტყვებს გალობდა. ჩემი რეაქცია შემდეგი იყო: ჩვილი ბავშვივით ვტიროდი. ყველამ იცოდა, რომ სახლში მე ვცეკვავდი ამ საგალობელზე. მე ჩემს გლოვას ვადარებდი იმას, რასაც დავითი ამ ფსალმუნის დაწერისას გრძნობდა. ერთადერთი პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ მე უფრო მცირე დარღვევების გამო ვტიროდი. დიახ. ისინი ძალიან მნიშვნელოვანი ჩანდა იმ დროს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მათ ისე ღრმად განმგმირეს, რომ გაგლიჯეს ჩემი სული.

ამ გადასახედიდან, ყველაფერს უკვე სხვანაირად ვუყურებ. დარღვევები წვრილმანი და უმნიშვნელო იყო. ცოტა აქ, ცოტა იქ, ცუდი სიტყვები, შესაძლოა, ბრძოლა ჩემს მეუღლესთან. ძალიან ბევრი ადამიანი შემხვედრია, ვინც ყველაფერს

## კონცურენციის გარეშე

გაიღებდა, ოლონდ კი მხოლოდ ასეთი სახის დარღვევები ჰქონდათ. საზღვარგარეთ, მე შევხვედრივარ მამაც ქალებს, რომლებიც საკუთარი რწმენის გამო, ყოველ დღე სიკვდილის შიში ცხოვრობენ. ყველგან, საითაც არ უნდა მივბრუნდე, ვევდები ძლიერ, მარტოხელა დედებს, რომლებიც დაუღალავად შრომობენ, რათა თავიანთი შვილების ცხოვრება უზრუნველყონ. რომ აღარაფერი ვთქვათ მათზე, ვინც სცემეს, გააუპატიურეს, ვინც ოჯახის წევრების მიერ იქნა გაყიდული და ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა.

მე არ ვამცირებ თქვენს ტკივილს. ვიცი, რომ ის რეალურია. მაგრამ, როდესაც ჭეშმარიტ გამოცხადებას ვღებულობთ, თუ როგორ აქცევს ჩვენი ღმერთი ყველაზე უარეს სიტუაციასაც კი თავის სასარგებლოდ, დადგება დღე, როდესაც იოსების მსგავსად ჩვენც შეგვეძლება თქმა:

„ბოროტება კი განიზრახეთ ჩემს წინააღმდეგ, მაგრამ ღმერთმა სიკეთედ მოაქცია იგი, რათა ექმნა ის, რაც დღეს ხდება: ეხსნა მრავალი ხალხის სიცოცხლე“. (დაბადება 5:20)

თუ თქვენ შეცვლით თქვენს დამოკიდებულებას თქვენს ტექურებთან დაკავშირებით, ღმერთი გამოისყიდის თქვენს ტკივილს. დრამატურგმა ედმონდ ბერკმა შემდეგნაირად აღიქვა ეს დინამიკა: „ის, ვინც გვებრძვის ჩვენ, აძლიერებს ჩვენს ნერვებს და აძლიერებს ჩვენს უნარებს. ჩვენი შეურიგებელი მოწინააღმდეგე ჩვენი დამხმარე“.

აღმოვაჩინე, რომ სხვებისთვის კარის ჩაკეტვით საკუთარ მომავალს ვუკეტავთ კარს. ყოველთვის, როდესაც სხვების იზოლირებას ვცდილობთ, საკუთარი თავის ამოშლის რისკის ქვეშ ვიმყოფებით. გახსნილი გულები გახსნიან კარებებს და გაშლილი მკლავებით შეეგებებიან სხვებს. ღმერთმა იესო იმ იმედით გამოგზავნა, რომ არავინ დარჩებოდა გარეთ. ბევრი იშრომეთ საკუთარ გულებზე, კარგად დაიცავით ისინი, ნაცვლად იმისა, რომ იცავდეთ იმას, რაც თქვენი აზრით თქვენს პოზიციას წარმოადგენს.

მრავალ ადამიანს სურს იყოს ლიდერი, მაგრამ გავლენის საზომის არსებობა ორლესული მახვილია, რომელიც ორივე მხრიდან ჭრის. ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომელთაც უყვარხართ, მაგრამ არ გიცნობენ. აგრეთვე, იქნებიან ისეთებიც, ვისაც სძულხართ, მაგრამ არ გიცნობენ. ისინი მაყურებლები არიან. ისინი არ არიან თქვენი მოწინააღმდეგენი, მაგრამ ისინი გაცვლას აკვირდებიან. მოსე ფარაონთან გაიზარდა. დავითი

შვილივით ჰყავდა საულს (გოლიათი უბრალოდ ერთ-ერთი იყო ცხოვრების გოლიათაგან). ბევრ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე არის ვილაც, ვინც ადრე კარგად გიცნობდათ. დავითი ასე აღწერს მოწინააღმდეგეს:

„ვინაიდან მტერი კი არ მლანძლავს, თორემ ავიტანდი; ჩემი მოძულე კი არ განდიდებულა ჩემზე – მას დავემალებოდი; არამედ შენ, ჩემი სწორი, მეგობარი და ახლობელი ჩემი, ერთად რომ ვსაუბრობდით ტკბილად და ლვთის სახლში დავდიოდით ხალხთან ერთად“. (ფსალმუნი 55:12-14)

დღეს შეგვიძლია მას „მეგობარ-მტერი“ ვუწოდოთ, რომელსაც ლექსიკონი ასე აღწერს: „მეგობრად გადაცმული მტერი“. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოწინააღმდეგე. ეს ნიჭია, ვარჩევდეთ, თუ ვინ არის ჩვენი ნამდვილი მეგობარი, თუმცა, ამავდროულად, სწორედ ჩვენი მოწინააღმდეგენი გვაქცევენ ჩვენ ჭეშმარიტ მორწმუნებად, საბოლოო ჯამში. ჩვენ შეგვიძლია გავაპროტესტოთ ჩვენი საქმე, ან შეგვიძლია ლვთის წინაშე დავდოთ. შეგვიძლია მადლობა გადავუხადოთ ღმერთს იმისთვის, რომ იგი ჩვენს მოწინააღმდეგეს იყენებს იმისათვის, რომ დაგვხვეწოს ან უფრო მაღალ პოზიციაზე დაგვაყენოს, ან შეგვიძლია, ვიწუნუნოთ. შეგვიძლია ბედს დავტიროთ, ან შეგვიძლია ვილოცოთ და ვიმღეროთ. არჩევანი ჩვენზეა, და ვერც ერთი მოწინააღმდეგე ვერ წაგვართმევს ამას.

## სადისპუსიო კითხვები:

1. ჩამოთვალეთ, თუ რამდენჯერ ქცეულა თქვენი მეტოქე თქვენს მასწავლებლად;
2. რაში უმხელიხართ თქვენს მეტოქეს?
3. ცხოვრების რომელ სფეროებში იჩენთ ხასიათის სიმტკიცეს?
4. რომელია ისეთი სფეროები, რომელშიც მაინცდამაინც ვერ იჩენთ ხასიათის სიმტკიცეს და ისინი გაძლიერებას საჭიროებენ?
5. დაასახელეთ თაყვანისმცემლებსა და მიმდევრებს შორის არსებული სამი განსხვავება.
6. გირბენიათ თქვენს სახლში შუბით ხელში?
7. როგორ შეგვიძლიათ დაიცვათ თქვენი გული ისე, რომ არ დაატყვევოთ იგი?



# 6

## სქესი გეზობის გარეშე

„ვერ შევეწინაალმდეგები რასიზმს, რომელშიც ადამიანები დისკრიმინაციის მსხვერპლი ხდებიან, რაღაცის გამო, რისი შეცვლაც მათ არ შეუძლიათ – მათი კანის ფერის – და შემდეგ სიმშვიდით მივიღო დიდი უსაბართლობა სხვების დაჯარიმებისა კვლავ იმის გამო, რისი შეცვლაც მათ არ ძალუდთ – მათი სქესის“.

არქიეპისკოპოსი დესმონდ ტუტუ

ე მაქვს პირადი ლოცვები, რომელი ლოცვებითაც მაშინ ვლოცულობ, როდესაც მარტო ვარ. ყველაზე უფრო ხშირად, ეს ხდება სასტუმროში ან ჩემს ავტომობილში. მე ხშირად ვლოცულობ უჩვეულო ლოცვებით ჩემი ავტომანქანის საჭესთან. არაფერია იმაზე უკეთესი, როდესაც თაყვანისცემის მუსიკა ხმამაღლაა ჩართული, მე კი ამ დროს მანქანას ვატარებ. რამდენიმე წლის წინ ჩემი ცხოვრება სწრაფი ციკლით მიედინებოდა. ზოგჯერ, ხდებოდა ისე, რომ არ ვიცოდი, სახლში ვბრუნდებოდი, თუ მივემგზავრებოდი. ჩემი წიგნი „ძუ ლომის გამოღვიძება“ შემოდგომით, ჩემი იორდანიაში ყოფნის დროს გამოიცა. წლის ბოლო იყო და მადლიერების დღე ახლოვდებოდა. იმ დროს, ჩემი პირადი ლოცვა დაახლოებით ასე ჟღერდა:

„ზეციერო მამავ, დარწმუნებული ვარ შენ იცი, რომ ჩემი წიგნი გამოიცა სახელწოდებით „ძუ ლომის გამოღვიძება“. იგი უკვე სუთ ენაზე გამოიცა, მაგრამ ძალიან მინდა ვიცოდე, შენი ნება იყო თუ არა ეს. ვიცი, რომ ამას პოსტფაქტუმ გეკითხები, მაგრამ აგრეთვე ვიცი ისიც, რომ შენ არ ხარ დროზე

## კონცურენციის გარეშე

დამოკიდებული, ამიტომ გთხოვ დამიდასტურო, რომ ეს შენგან იყო წინასწარგანსაზღვრული. იქსოს სახელით, ამინ!“. დაახ, ეს გარკვეულილად უზერხულია, მაგრამ სიმართლეა. ვიცოდი, რომ ეს გულიდან უნდა ამომეგდო და მის ხელში გადამეცა.

მოთხოვნილის დადასტურებას დიდი დრო არ დასჭირვებია. იმ ლამით, დაახლოებით რვა საათზე, მოულოდნელად, ჩემი უმცროსი ვაჟის სკოლის პროექტზე მომინია მუშაობა. მე დავანანევრე მისი უმცროსი ძმის სასკოლო პროექტი, რათა ხელახლა გამოვეყინებინა, რამეთუ მან მითხრა, რომ ამ პროექტის დასრულებისთვის გარკვეული ტიპის პლაკატი სჭირდებოდა. ქარბუქის მიუხედავად ასეთი პოსტერის საყიდლად წავედი, მაგრამ მანამდე მის უფროს ძმებს გარკვეული თანხა გადავუხადე, რათა ძმას პროექტის დასრულებაში დახმარებოდნენ. სახლში რომ დავბრუნდი, ქაოსი დამხვდა – უურნალების ნარჩენები, მარკერები და გამოჭრილი ასოები, ეს ყველაფერი მოფენილი იყო ჩვენს სასადილო მაგიდაზე. ერთი ძმა ტექსტს კრეფდა კომპიუტერზე არდენის კარნახით, მეორე ძმა კი სურათების ამოჭრილი იყო დაკავებული, რომლებიც პლაკატზე უნდა მიგვენებებინა. პლაკატი რომ დავდე, რომელიც ყველა ნაწილს გააერთიანებდა, ტელეფონმა დარეკა. ეს ჯონი იყო.

ის აღფრთოვანებული ჩანდა. მე კი ძალიან გადაღლილი ვიყავი.

მან ამიხსნა, რომ ახლა ვიღაც გაიცნო, ვისაც აუცილებლად უნდა გავსაუბრებოდი. ჩემს მეულლეს ასეთი ჩვევა ახასიათებს, ის ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანებს ანვდის ტელეფონის ყურმილს, რათა მათთან გამასაუბროს. არ ვარ დარწმუნებული, თუ როგორ ხდება ეს, მაგრამ ეს ხდება... თან ძალიან ხშირად. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ალბათ მაინცდამაინც არ აინტერესებთ ჩემთან გასაუბრება, მაგრამ, ჯონს რატომლაც ჰქონია ხოლმე, რომ მე მათ უნდა გავესაუბრო.

თავდაპირველად, ვებრძოდი ასეთ შესავლებს, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ მათთვის თავის დაღწევა შეუძლებელია. ბრძენი ადამიანისთვის ეს გასაგებია: თუ თქვენს მეულლეს ათი წლის განმავლობაში აქვს გამაღიზიანებელი ჩვევა, ეს ჩვევა საყვარელ ჩვევად უნდა ჩათვალოთ. ამგვარად, ჩემს მეულლეს აქვს საყვარელი ჩვევა, უცხო ადამიანებთან დამაკავშიროს ტელეფონით. მაგრამ იმ ღამით მე შევენინააღმდეგე მას.

„ჯონ, მე არ მაქეს უცხო ადამიანებთან საუბრის დრო. მე არდენის სკოლის პროექტზე მუშაობის პროცესში ვიმყოფები“.

„არა უშავს, ახლა არ მოგიინევს მასთან საუბარი. ის სამხედრო ოფიცერია – ახლა დაკავებულია, ამიტომ შენი ტელეფონის

ნომერი მივეცი. აუცილებლად უპასუხე, როდესაც დაგირეკავს ამ საღამოს, მოგვიანებით. უნდა წავიდე, მიყვარხარ!“ და ვიდრე გავაგრძელებდი შეკამათებას, მან ყურმილი დაკიდა.

პროექტზე მუშაობა უფრო ინტენსიური ხდებოდა. ერთი საათის შემდეგ, ტელეფონმა დარეკა. გადავწყვიტე ძალიან გადალლილი ხმით მეპასუხა.

„გამარჯობათ“, – ამოვილუდლულე.

პიროვნებამ, რომელიც მირეკავდა, მერყევად მკითხა.

„ეს ლიზა ბევირია?“

„დიახ...“

„ლიზა, დღეს, შეკრებაზე, თქვენმა მეუღლემ თქვენი ახალი წიგნი გაგვაცნო „ძუ ლომის გამოღვიძება“. მან გვითხრა ჩვენ, რომ ლომები საუკეთესო მკვლელები არიან, მაგრამ ძუ ლომები საუკეთესო მონადირები არიან.“

მე ვიფიქრე, რა თქმა უნდა, იგი ამას იტყოდა. ეს ყველაფერია, რაც მან იცის, რადგან მე ვუთხარი... მას ჯერ არ წაუკითხავს წიგნი, დარწმუნებული ვარ! კაცმა განაგრძო: „ჯონი მართალია. ეს მართლაც ასეა, ძუ ლომები მართლაც საუკეთესო მონადირები არიან“.

ვერ ვხვდებოდი, თუ საით მიჰყავდა მას საუბარი. რატომ მირეკავდა ეს კაცი? იმის სათქმელად, რაც უკვე ვიცოდი? ეს ხომ მე დავწერე?

„ლიზა, იცით, რომ ჩვენ ვაგებთ ომს ავღანეთში?“

რაღაც წავილუდლულე დასტურის ნიშნად. კოლორადო სპრინგში ცხოვრება, გულისხმობდა მრავალ სამხედრო მოსამსახურესთან ერთად ფრენას, რომლებიც აქტიური სამსახურიდან ბრუნდებოდნენ.

გინდათ გაიგოთ ერთი-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ ვიგებთ ომს?“

„რა თქმა უნდა“, – ვუთხარი მე.

„ჩვენ ვერ ვესაუბრებით მათ ქალებს“ – განაგრძო მან განმარტება, – „თუ არ შეგიძლია ქალებთან საუბარი, არ შეგიძლია მათი კულტურის შეცვლაც, და თუ არ შეგიძლია კულტურის შეცვლა, ომს ვერ მოიგებ“.

ახლა მან უკვე მიიქცია ჩემი ყურადღება.

„ნება მომეცით აგიხსნათ, თუ რას ვაკეთებ აქ, ამ ბაზაზე. მე სპეციალურ თანამშრომლებთან ვმუშაობ. იქ არსებული საფრთხის გამო, ჩვენ სპეციალური დანიშნულების მამაკაცთა გუნდებს ვაგზავნიდით, მაგრამ ახლა, ჩვენ ქალთა გუნდებსაც ვამზადებთ. ისინი ეტყვიან ავღანელ ქალებს, რომ მათ აქვთ ხმის ამოღების უფლება და რომ ფასეულნი არიან. ისინი აუხსნიან მათ, თუ რა კარგ სამსახურს გაუწევს დემოკრატია

## პონტურენციის გარეშე

მათ ვაჟებსა და ქალიშვილებს. ეს გუნდი იზრუნებს ამ ქალების მცირე სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და მშობიარობაში დაეხმარება მათ. იცით რა სახელწოდება აქვს ამ ქალთა სპეც ოპერაციის ჯგუფს?“

მე ვუთხარი მას, რომ არ ვიცოდი.

მან თქვა: „მათ ძუ ლომთა გუნდი ენოდებათ, და უკვე დაგეგმილია მათი გადაგზავნა. შეგიძლიათ, თითოეულ მათგანს თქვენი წიგნი რომ გადასცეთ?“

რა თქმა უნდა, ჩვენ გავუგზავნეთ მათ წიგნები!

ეს ქალები იმსახურებენ მხარდაჭერას, რამეთუ ხმას აწვდენენ ქალებს და ბადებენ მათში იმედს, რომ მათ შეუძლიათ ჰქონდეთ რაღაც იმაზე მეტი თავიანთი შვილებისთვის, ვიდრე ომი და შიმშილია. ამ ძუ ლომებს უნდა სცოდნოდათ, რომ ისინი არა მხოლოდ სამხედრო ბრძანებებს ასრულებენ, არამედ რაღაც უფრო მარადიულის ნაწილს წარმოადგენენ, მანდატის ნაწილს, რომ მიუტანონ განკურნება და სიცოცხლე თავიანთ დებს, რომლებიც იზოლირებულნი და ხშირად მოძულებულნი არიან მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი სქესის გამო. ჯარისკაც მამაკაცებს აკრძალული ჰქონდათ ავღანელ ქალებთან საუბარი, მაგრამ ჯარისკაც ქალებს პირიქით, ევალებოდათ.

როდესაც საუბარი დავასრულეთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მრავალი ბრძოლა არსებობს, რომელთა მოგებაც შეუძლებელია ქალების მონაწილეობის გარეშე.

თუ შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები აცნობიერებენ, რომ ქალების გარეშე ქვეყანას შეუძლია იბრძოლოს, მაგრამ ვერ გაიმარჯვებს, განა არ მოვიდა იმის დრო, რომ ეკლესიამაც მიანიჭოს უფლება თავის ასულებს, რომ მამაკაცების გვერდით დადგნენ ბრძოლის ველზე, რათა უბრალოდ კი არ იბრძოლონ, არამედ მოიგონ კიდეც?

სქესობრივი კონკურენცია ორივე მიმართულებით არის ცნობილი, მაგრამ უფრო ხშირად, ქალები ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი. სამი ათწლეულის მანძილზე, ჩემს გულში ვატარებდი ქალებს, რომელნიც სქესის მეტოქეობის შედეგად იქნენ დაჭრილნი. ვერ დავწერ წიგნს ისე, რომ რაღაც დონეზე არ შევეხო ამ საკითხს.

მიუხედავად იმისა, რომ დიდ წარმატებებს მივალნიეთ მრავალ ფრონტზე, ყოველ კვირა მესმის ამბები ქალების შესახებ, რომლებიც იტანჯვებიან

მრავალი ბრძოლა  
არსებობს,  
რომელთა  
მოგებაც  
შეუძლებელია  
ქალების  
მონაწილეობის  
გარეშე.

ქორნინებაში, ოჯახში, სამუშაო ადგილზე და თაყვანისცემის ადგილას. რეგულარულად ვკითხულობ ქალებისადმი მიმართულ ზიზღით ალსავსე კომენტარებს სოციალური მედიის მეშვეობით. რომ აღარაფერი ვთქვათ, სექს ტრეფიკინგის, გენდერციდისა და პორნოგრაფიის პრობლემებზე.

სამწუხაროდ, გენდერული ცრურწმენა კვლავ ხელს უშლის სახარების გავრცელებას; როგორც ჩანს, ჩვენ მას მამაკაცების სრული თავისუფლებისთვის ვიყენებთ, მაშინ როდესაც, ქალებს ძალიან მცირე პორციებით ვუზომავთ მას.

## მუქარა რელიგიური ლიდერებისგან

მსურს, რომ გენდერული ცრურწმენის ეს თემა დავიწყო ძველ დროში გადანაცვლებით, როდესაც ეკლესია ახალშობილი და ცოცხალი იყო და იზრდებოდა ქრისტეს აღდგომის შემდეგ, და ლვთის სულის გადმოლვრა ხდებოდა როგორც ლვთის ძებზე, ასევე მის ასულებზეც. სახარება იქადაგებოდა როგორც სიტყვით, აგრეთვე საქმითაც, ხმამაღლა ცხადდებოდა რა იესოს აღდგომის შესახებ. პანიკაში მყოფმა ტაძრის ლიდერებმა, პეტრე და ოიანე დააპატიმრეს, როდესაც მათ განკურნეს კაცი, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში კოჭლი იყო.

„დაუძახეს მათ და უბრძანეს, ამიერიდან აღარ ელაპარაკათ და აღარ ესწავლებინათ იესოს სახელით“. (საქმე მოციქულთა 4:18)

აქ რელიგიურ ლიდერებზეა საუბარი, მათ გააფრთხილეს მკაცრად პეტრე და ოიანე. ამ სასწაულმა, რომელიც იესოს სახელით მოხდა, კაცის განკურნებამ, ფართოდ გაუხსნა კარი ქრისტეს, მკვდრეთით აღმდგარი უფლის ქადაგებას. რელიგიურმა ლიდერებმა, საკუთარი თავი მომწყვდეულებივთ იგრძნეს, რამეთუ შეუძლებელი იყო მის უარყოფა, რომ ეს კაცი ნამდვილად განიკურნა. მათ ერთმანეთში იმსჯელეს:

„მთელი იერუსალიმისთვის არის ცნობილი სასწაული, და ის რომ ისინი დგანან მის უკან. არ ძალგვიძს უარყოფა. მაგრამ უფრო მეტად რომ არ გახმაურდეს ეს, მოდი, მუქარით გავაჩუმოთ ისინი, რათა აღარ გაბედონ ვინმესთან ლაპარაკი იესოს სახელით“. (საქმე მოციქულთა 4:16-17 Message)

## კონცურენციის გარეშე

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ამ ორი მოწაფის შეშინებამ, არ გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, მათ ტაქტიკას სრულიად საწინააღმდეგო ეფექტი ჰქონდა და უფრო გააძლიერა მოწაფეების გაბედულება.

„მაგრამ მიუგეს პეტრემ და იოანემ და უთხრეს მათ: „თვითონ განსაჯეთ, განა მართებული იქნება ლვის წინაშე, თქვენ უფრო მოგისმინოთ, ვიდრე ლმერთს? ვინაიდან არ შეგვიძლია, არ ვილაპარაკოთ ის, რაც გვიხილავს და მოგვისმენია“. (საქმე მოციქულთა 4:18-20 Message)

რაკი პეტრე და იოანე მტკიცედ იდგნენ თავისაზე, რელიგიურ ლიდერებს შეეძლოთ, გაეგრძელებინათ ერთმანეთში კამათი, რამდენიც სურდათ, მაგრამ ისინი ვერ შეჩერებდნენ მათ. მათ გააცნობიერეს, რომ ამ ლიდერების შეჩერების მცდელობა ამაო იყო. ამ მოწაფეებს სხვა არჩევანი არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ გაეგრძელებინათ იმის კეთება, რაც მათ იცოდნენ, რომ ჭეშმარიტება იყო. ამ მამაკაცებმა გააცნობიერეს, რომ არის მომენტები, როდესაც გაჩუმება დაუმორჩილებლობის ტოლფასია.

ეს მუქარა, დღესაც კი ესმის ჩვენს ყურებს. თუმცა, დღეს ამ მუქარის მიმღებები შეიცვალნენ. ეს უკვე აღარ არის ცალკეული დირექტივა, რომელსაც რელიგიურები აძლევენ გაუნათლებელ მეთევზებს გალილეიდან. იგი კულტურულ ძვრად გადაიქცა მთელ მსოფლიოში. იგი განსხვავებულად უდერს დღეს, თუმცა მისი მიზანი იგივეა. ჩვენი სეკულარული სამყარო უფლებას მოგცემთ ილაპარაკოთ ლმერთზე და იყოთ ისეთი სულიერები, როგორებიც გასურთ რომ იყოთ, მაგრამ, ეს მხოლოდ მანამდე, სანამ თქვენ სახელ იესოს არ ახსენებთ.

და, თუმცა ჩვენ არ უნდა გვიკვიდდეს, როდესაც საერო არენები ბლოკავენ იესოს სახელით სწავლებასა და ქადაგებას, როდესაც ეკლესია ხელს უშლის თავის წევრებს და აიძულებს მათ გაჩუმდნენ... კარგით, ეს უკვე სულ სხვა თემაა.

ორი ათას წელზე მეტია, რაც რელიგიური ლიდერები ზღუდავენ და ზოგჯერ კი უკრძალავენ ეკლესის ათასობით დას ქადაგებასა და სწავლებას ეკლესის ფარგლებში მათი ხელმძღვანელობის ქვეშ. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ საქმე მოციქულთა 4:18:

„დაუძახეს მათ და უბრძანეს, ამიერიდან აღარ ელაპარაკათ და აღარ ესწავლებინათ იესოს სახელით“.

როდესაც ამ მუხლზე ვფიქრობდი, გავიგონე სულინმიდის ჩურჩული, ძალიანბევრი ჩემიასული, რომელთაც მემოვუწოდე და ჩემი სულის ნიჭი მივეცი მსახურებისთვის, ეკლესიამ უკან დახია და უარყო მათი მოწოდება.

თქვენ ალბათ გსმენით, თუ როგორ უთქვამთ რელიგიურ ლიდერებს: „ქალმა შეიძლება რომ სხვა ქალებს ასწავლოს, მაგრამ არა მამაკაცებს“ ან „ქალებს შეუძლიათ დამოწმება, მაგრამ არავითარი ქადაგება“ და „ქალი შეიძლება იყოს ლიდერი, მაგრამ არა ეკლესიაში“. ეს დაფარული მუქარა თითქოს უფრო გონივრული ჩანს, თუმცა შედეგი ერთი აქვს: სახარებას ხელი ეშლება. ქალებს, რომლებიც გაბედულნი არიან რწმენაში, ძალიან სწრაფად მიაწერებენ ხოლმე აგრესიულის იარღიყს. თუმცა, ჩვენს წინაშე წამოჭრილი კითხვა, იგივეა, რომელიც პეტრემ და ოიანემ დასვეს. განა სწორი იქნება დვთის თვალში ადამიანებს უფრო მოვუსმინოთ, ვიდრე ლმერთს? და რისი გაკეთება დაავალა ლმერთმა თავის ძეებსა და ასულებს? პასუხს ვპოულობთ იესოს სიტყვებში, რომლებიც მან თავის ამაღლებამდე თქვა:

„წადით მთელ ქვეყნიერებაზე და ყველა ქმნილებას უქადაგეთ სახარება. ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება; ხოლო, ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრდადებული იქნება. მორწმუნებებს კი თან ახლდებათ ასეთი წიმნები: ჩემი სახელით ეშმაკებს განდევნიან და ახალი ენებით ილაპარაკებენ. გველებს აიყვანენ, და თუნდაც რაიმე სასიკვდილო შესვან, არ ავნებთ; ავადმყოფებს ხელებს დაასხამენ და განიკურნებიან“. ასე, მათთან საუბრის შემდეგ, უფალი იესო ამაღლდა ზეცად და დაჯდა ლმერთის მარჯვნივ“. (მარკოზი 16:15-19)

ეს დირექტივა მიეცა ყველა მის მორწმუნეს. დიადი დავალება ნებართვას წარმოადგენს, მას არ სჭირდება შენობა ან ორგანიზაცია და ეს მანდატი ორივე სქესს მოიცავს. ქრისტეში, ჩვენ ყველანი მოწოდებული ვართ და თავისუფლება გვაქვს ვაუნყოთ დვთის კეთილ უწყება. შევიცანით რა უფლის თავისუფლება და ჭეშმარიტება, აღარასოდეს უნდა დავუმვათ, რომ ადამიანების მხრიდან მომავალმა საფრთხემ გაგვაჩუმოს.

## დაემორჩილე შეს მეზეს!

ლმერთი ჩვენი უმაღლესი და წმიდა მეფეა. ჩვენმა მეფემ დავალებაც მოგვცა და ძალაც მისი შესრულებისთვის. მან

## კონცურენციის გარეშე

გთხოვათ, რომ მის ხალხს ელაპარაკოთ მის ნაცვლად. ამ ჭეშმარიტების გათვალისწინებით, როგორ მიეცით უფლება მეფის მტრებს, რომ შეგაჩერონ? თითოეული ჩვენგანი უნდა იყოს მათეს 4:10-ის ცოცხალი დეკლარაცია.

„იქსომ კი უპასუხა: „განვედ, სატანავ, რადგან დაწერილია: უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე!“

თუ მეფის ქვეშვევრდომებისადმი მორჩილება მეფისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს, მაშინ მეფესთან თქვენ რეალური პრობლემა გაქვთ. ამის მაგალითს ჩვენ ესთერის წიგნში ვპოულობთ. სპარსეთის მეფეს არავინ გაუგზავნია ესთერის მოსახმობად და მისი სამეფო კარის სტატუსი უკრძალავდა მას მეფის წინაშე მოხმობის გარეშე წარდგომას. მაგრამ ესთერი მიხვდა, რომ მეფის პარამეტრებისადმი მორჩილება ღვთის დაუმორჩილებლობას ნიშნავდა. ესთერს უზენაესის უფრო ეშინოდა, ვიდრე ადამიანების უკმაყოფილების, ამიტომ იგი წავიდა. ესთერი მეფეს სტრატეგიულად მიუდგა, მაგრამ მან ჩუმად ყოფნა ვერ გაბედა, მაშინ როდესაც ამდენი ხალხის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მე მაინტერესებს, რამდენად განსხვავდება ამისგან ჩვენი დღევანდელი სამყარო. ღვთის მრავალი ქალიშვილი ახლა სტრატეგიულ ადგილებსა და გარემოებებშია დამალული. ზოგიერთი ამ წუთშიც მარხულობს და ლოცულობს თავის დებთან ერთად, აკვირდება და ელოდება შესაბამის მომენტს, რათა ჩაერიოს და იშუამდგომლოს.

ამის თქმით, მე არ ვგულისხმობ იმას, რომ თქვენს ქმარს ან ეკლესიის ლიდერებს უნდა აუჯანყდეთ. ვიმედოვნებ განვამტკიცო თქვენში იმის ცნობიერება, რომ არსებობს ძალიან რეალური მტერი, რომელიც არ დაკმაყოფილდება თქვენი მხოლოდ გაჩუმებით. იგი თქვენი და თქვენი შვილების სიცოცხლის მტერია.

ჭეშმარიტების მომენტი. თქვენმა მეუღლემ სახარების ქადაგება რომ აგიკრძალოთ, დაემორჩილებით მას?

მე არ ვგულისხმობ კათედრასთან ქადაგებას უფროსი პასტორის რანგში, ან საჯაროდ სიტყვით გამოსვლას. მე გეკითხებით, გულწრფელად თავისუფალი ხართ თუ არა და მზად ხართ იყოთ მონძე? მზად ხართ, რომ პასუხი გასცეთ, ილოცოთ, ან დაიმონაფოთ თქვენზე ახალგაზრდა ქალბატონი?

ამას წინათ, მე და ჯონი ამ თემის ირგვლივ ვსაუბრობდით. მან მკითხა, რატომ ხდება, რომ ამდენი ქალი ცდილობს თავი აარიდოს იქსოს ელჩობას? მე ვუთხარი მას, რომ ეს

იმის გამო ხდება, რომ მათ უარყოფითი რეაქციის ეშინიათ. სწორედ იმ კვირას იყო, რომ თვითმფრინავში ერთი კაცის გვერდით ვიჯექი, რომელმაც გამიზიარა, რომ ზურგს უკან დამამცირებელი ტერმინით მომიხსენიეს. მე ვუპასუხე მას: „არა მხოლოდ ზურგს უკან, არამედ სახეშიც!“

ახლა არ არის გულის წასვლის ან დასუსტების დრო. ახლა ტოტალური ომი მიმდინარეობს ღვთის ხატების მქონე, როგორც მამრობითი, აგრეთვე მდედრობითი სქესის ადამიანების წინააღმდეგ. უკანასკნელი რამ, რაზეც უნდა ვიყოთ წასწრებული, ეს არის ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა! ამას რომ ვამბობ, ვფიქრობ რომ ზოგიერთმა ქალმა უნდა გაუძლოს ამ საუბრის მოსმენას. შესაძლოა, მათ ასწავლეს, რომ მორჩილება სიჩუმით გამოიხატება და მათ არ იციან, რომ ღმერთმა მათ სახელები შეუცვალა. რის გაკეთებას გიბიძებთ ღმერთი? არის თქვენს გვერდით ახალგაზრდა დედა, რომელსაც თქვენგან დამონაფება სჭირდება? ან იქნებ, ბიბლიის შესწავლის ჯგუფს ან ლოცვის ჯგუფს უნდა უმასპინძლოთ თქვენს სახლში? როდესაც ღმერთს ვემორჩილებით, ამით ჩვენს ქმრებსაც პატივს მივაგებთ.

სხვა ქალებს თავიანთი ძლიერი მხარების ეშინიათ, რამეთუ არავის უსწავლებია მათვის, თუ როგორ მართონ ისინი. ჩვენ ყველას გვინახავს ქალი, რომელიც არასწორად იქცევა, ან თავად ვყოფილვართ ასეთ მდგომარეობაში (ვიცი, რომ ვერ გავუმკლავდი რაღაც-რაღაცებს). ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ მსურდა რთული ვყოფილიყავი, არამედ იმის გამო მოხდა, რომ არ ვიკოდი როგორ გამომტეხატა საკუთარი თავი. სწავლის გზა ციცაბოა, რამეთუ აქამდე მსოფლიოში ცოტა აქტიური ქალი იყო.

პასუხი არ მდგომარეობს ქალთა ხმის აღმოფხვრაში; იგი მათვის განათლების მიცემაშია. თუ მე არ მომცეს ზრდის საშუალება, ვერ გავიზრდები. თუ არ გავიზარდე, სხვისთვის ვერ გავათავისუფლებ ადგილს.

ვაბირებთ უფლება მივცეთ საკუთარ თავებს, რომ ბრაზიანი ქალების იარლიყი მოგვაწებონ? თუ სიბრძნეს შევიძენთ, რათა ღვთის ქალიშვილებს მათი მამის სიტყვა ჰქონდეთ ბაგზე? განა შეიძლება მათი დადუმება, ვისაც პასუხის ნაწილი აქვს? ღმერთმა ნუ ქნას! ჩვენ აქტიურად უნდა გავწვრთნათ ჩვენი ქალიშვილები ღვთისმოსაობასა და მორჩილებაში. და მათ, ვინც კითხვას სვამს, თუ როგორ შეესაბამება ეს 1პეტრეს 3-ს, სადაც ხაზგასმულია, რომ ქალები უნდა იყვნენ თვინიერი და სულით მშვიდი - მე აბსოლუტურად ვეთანხმები! და მე მაქვს თვინიერობის მაგალითები იესოსა და მოსეს ცხოვრებაში.

## კონცურენციის გარეშე

„ყველაზე თავმდაბალი კაცი იყო მოსე დედამიწის ზურგზე“. (რიცხვი 12:3)

და,

„იტვირთეთ ჩემი ულელი და ისნავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი და გულით თავმდაბალი [თვინიერი] ვარ, და ჰპოვებთ თქვენი სულის სიმშვიდეს!“ (მათე 11:29)

იესომაც და მოსემაც თავმდაბლობა მისაბაძ მაგალითად დაგვიტოვეს.

ზოგიერთი პრობლემა სქესთან დაკავშირებით, უბრალოდ სასაცილოა. მე არ ვეკითხები ჯონს, შემიძლია თუ არა, მყავდეს მეგობრები და ჯონიც ჩემგან არ იღებს ნებართვას, ითამაშოს გოლფი. მე არ ვეკითხები ჯონს, შემიძლია თუ არა, იესოს შესახებ ვახარო სხვა ადამიანებს სავაჭრო ცენტრში, ან ახალგაზრდებს ვუქადაგო ჩვენს საოჯახო ეკლესიაში. ჩვენ ერთმანეთთან გავდივართ კონსულტაციებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვენ და ჩვენს ოჯახს შეეხება, მაგრამ არა იმის ირგვლივ, თუ როგორ წარვმართავთ ჩვენს დღეს. თითოეულ წვრილმანზე ერთმანეთს რომ ვაწუხებდეთ, ეს ძალიან დამდლელი იქნებოდა – და ის მენდობა მე, ხოლო მე ვენდობი მას! მე ცოლი ვარ და არა ბავშვი.

ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომელშიც უამრავი ადამიანი შიშის ტყვეობაში ცხოვრობს. მათ ის იმედი და დიდება სჭირდებათ, რომელსაც თქვენ თქვენი გულით დაატარებთ.

საბოლოო ჯამში, ჩვენ ვართ დამნაშავენი ქრისტეს დიადი დავალების დაუმორჩილებლობაში. დიახ, სხვებს შეუძლიათ, გვაიძულონ ფეხი წაგვიცდეს და შევცოდოთ (მათე 18:6; მარკოზი 9:42; ლუკა 17:2), მაგრამ ჩვენი მეფისადმი მორჩილება საბოლოოდ მაინც ჩვენი გადასაწყვეტია. ჩვენი ძმების, პეტრესა და იოანეს მსგავსად ჩვენც, დები, ქრისტეს სასწაულის სისრულეში უნდა დავდიოდეთ, და ეს იმას გულისხმობს, რომ მათ მსგავსად, არც ჩვენ არ შეგვიძლია გაჩუმება იმასთან დაკავშირებით, რაც ვნახეთ და მოვისმინეთ.

## სიტყვიერი შემოტევები

ჩვენს დროში, ქალები, რომელთაც ეს კურსი აირჩიეს, შეიძლება პეტრესა და იოანეს მსგავსად, არ სცემონ და ციხეში არ ჩასვან, მაგრამ ისინი მზად უნდა იყვნენ უარყოფისთვის

და წინააღმდეგობისთვის. ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენ რისკის ქვეშ იქნებით არასწორად იქნეთ გაგებული და ძალიან ხშირად გახდებით სიტყვიერი შემოტევებისა და იზოლაციის მსხვერპლი.

ჯონს და მე განსხვავებული შეხედულება გვაქვს ამ დინამიკაზე. მან დამარწმუნა, რომ ეკლესიათა უმრავლესობაში, რომელთაც იგი სტუმრობს, ქალი მქადაგებლები მიღებულნი არიან კათედრასთან. მან სამი მსახური ქალი ჩამომითვალა, რომელნიც ძალიან ცნობილი არიან და რომელნიც ძალიან უყვარს ხალხს როგორც ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთაც. ისინი ხელმძღვანელობენ, ასწავლიან და ქადაგებენ. მე დავეთანხმე ჯონს, რომ თეორიულად ეს ასე იყო, მაგრამ არა პრაქტიკაში. როდესაც მე ვთხოვე ჯონს ჩამოეთვალა ეკლესიები, რომლებიც რეგულარულად ეპატიულებიან ქალ მქადაგებლებს თავიანთ კათედრასთან, და თუ ეს წელინადში ერთხელ ხდება, დედის დღეზე, ეს არ ითვლება, მან ათი ეკლესიაც კი ვერ დამისახელა.

ჩვენი დისკუსია გაგრძელდა, ჯონი მარწმუნებდა, რომ მე, როგორც ქალი, ვერაფერს ვიტყვი ისეთს, რაც შეცვლის იმ თეოლოგთა აზრს, რომლებიც ენინააღმდეგებიან ეკლესიაში ქალის ლიდერობასა და სწავლებას. მან მირჩია ქალებს ვასწავლო და ვუთხრა, რომ მათ შეუძლიათ იყვნენ მქადაგებლები. მაგრამ, რა არგუმენტიც არ უნდა შემეთავაზებინა ლიდერებისთვის, ამაო იქნებოდა.

მე დავეთანხმე მას; ლიდერები არ მყავს ყურადღების ცენტრში. მე შიშითა და თრთოლვით ვწერ ჩემს დებს, დედებსა და ქალიშვილებს, რომელთაც ჯერ კიდევ დარწმუნება სჭირდებათ. ჯონს განვუმარტე, რომ არ შემიძლია ვასწავლო ქალებს ქადაგება მამინ, როდესაც ისინი ჯერ კიდევ არ არიან დარწმუნებული იმაში, არის თუ არა მართებული მათვის ეკლესიაში სწავლება და სიტყვით გამოსვლა. რჯულმა განგმირა მათი გულები. ლვთის წრფელ ასულებს არ სურთ ლვთის მამის ნების დარღვევა ან შებდალვა. ისინი არ ისწავლიან იმას, რის უფლებასაც მათ ლიდერები არ მისცემენ. თუკი ვიღაც, ვინც ავტორიტეტული ფიგურაა და ლვთის წარმომადგენლად ითვლება, მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე ჩაგრიჩინებთ, რომ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ხართ, თქვენ დაიჯერებთ ამას. ამ სიცრუის დაჯერება უფრო ადვილია იმ შემთხვევაში, თუ არც თუ ისე ნათელი წარსული გქონდათ.

მე ვიცი ეს, რამეთუ თავად ვიყავი ასეთი.

როდესაც დარწმუნებული არ ხარ, ყოველთვის გააკრიტიკებ საკუთარ თავს და საკუთარ წვლილს ამა თუ იმ საქმეში. მე

## კონცურენციის გარეშე

მსურს ამოვილო საცობი თქვენი ყურებიდან, მოგაშოროთ სიბრძავე თვალებიდან და მოგაცილოთ ლეგალიზმის ეკალი თქვენი ნაზი გულებიდან. ამის შედეგად, თქვენ განიკურნებით და უნარი გექნებათ მოუსმინოთ საკუთარ თავს. სულინმიდას შეუძლია მოგინოდოთ, იყოთ ელჩი სამართლის, მედიცინის, ბიზნესის, სახელმწიფოებრივ ან სახლში მჯდომი დედის სფეროში. ეს პრაქტიკა წმიდად აქცევს სეკულარულს. მაგრამ, არასწორია უთხრა ვინმეს, რომ სულინმიდა არ მოუწოდებს მას, თუკი იგი მოწოდებულია: ასწავლოს, იქადაგოს ან იმსახუროს ნებისმიერი უნარით და ლიდერი იყოს ეკლესიაში.

როდესაც ადამიანს ლიდერობის უნარი გააჩნია, აქ მცირე როლს თამაშობს სქესი. ის ფაქტი, რომ მარგარეტ ტეჩერი ქალი იყო, არ გახლდათ იმის განმსაზღვრელი, რომ იგი გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთი უდიდესი ლიდერი იყო. სინამდვილეში, სქესი არ წარმოადგენს პრობლემას; ჩვენი გამოწვევაა სამაყის პოზა და სხვების გასამართლებისა და მათზე წინასწარშექმნილი აზრის ქონის ტენდენცია. ეს ყველაფერი დააბრმავებს ნებისმიერ ლიდერს, რომელიც მათ გარეშე, კარგი ლიდერია. თავმდაბლობა, გამოცდილება, ერთგულება, განათლება, და სათნობა, მხოლოდ რამდენიმეა იმ თვისებათაგან, რომლებიც ლიდერს ახასიათებს, მაგრამ, როგორც ასეთი, სქესი, არ წარმოადგენს ლიდერად ყოფნის გარანტიას. ქრისტეს გარეშე, ჩვენ არც ერთი არ ვართ სარგებლის მომტანი. 2კორინთელთა 3:4-6-ში, ჩვენ ვკითხულობთ:

„აი, ასეთი გულდაჯერება გვაქვს ქრისტეს მეშვეობით ღვთის მიმართ; არა იმიტომ, რომ საკუთარ თავებს ვთვლით რამის შემძლებად, არამედ იმიტომ, რომ ღვთის მიერ არის ჩვენი შემძლეობა; მან მოგვცა შეძლება, ვყოფილიყავით მსახურნი ახალი აღთქმისა, არა ასოებისა, არამედ სულისა; ვინაიდან ასო კლავს, სული კი აცოცხლებს“.

და მაინც, აი როგორ განმარტა ერთმა გავლენიანმა ლიდერმა 1 ტიმოთეს 2: „პავლე უბრალოდ ამბობს, რომ როდესაც საქმე შეეხება ეკლესის ხელმძღვანელობას, ქალები ნაკლებად შეესაბამებიან ამ თანამდებობას, რამეთუ უფრო მიმნდობები არიან და უფრო ადვილად ტყუვდებიან, ვიდრე მამაკაცები“. ჩვენ ახლავე დავუბრუნდებით ტიმოთეს მიმართ წერილს. მაგრამ, მანამდე მსურს ვიცოდე: რა გრძნობა დაგეუფლათ ამ ციტატის წაკითხვისას? სირცხვილის, დანაშაულის, ფეხქვეშ

გათელვის? განთავისუფლებისა და პატიების?

ეს ნამდვილად არ გვაგრძნობინენს თავს არც ერთ ჩვენგანს უფლებამოსილებით აღჭურვილად და ჩართულად. ეს ლიდერი აგრძელებდა: „მაშინ როდესაც მრავალი განრისხებული ქალი არ ეთანხმება მის [პავლეს] შეფასებას მრავალი წლის განმავლობაში, აქედან გამომდინარე, ქალები, რომლებიც არ ენდობიან მის ინსტრუქციას, მაგრამ მისდევენ მის სწავლებას, ძალიან ჰგვანან თავიან დედას, ევას, რომელსაც კარგი განზრახვა ამოძრავებდა, მაგრამ ცუდად ინფორმირებული იყო“.

უნდა ვიყოთ თუ არა ერთდროულად განრისხებულიც და განსხვავებული აზრის მქონეც? მე ჩემს მეუღლეს ზოგჯერ არ ვეთანხმები, მაგრამ, როგორც წესი, განრისხებული არ ვარ ამ დროს. მე და ჩემს თანამშრომლებს ზოგჯერ განსხვავებული აზრი გვაქვს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ განრისხების გარეშე, იგივე ხდება ჩემსა და ჩემს მეგობრებს შორისაც.

იგულისხმება, რომ თუ ჩვენ არ ვეთანხმებით 1ტიმოთეს 2-ს, გამოდის, რომ განრისხებული და ცუდად ინფორმირებული ქალები ვართ. არც კი დაიშვება, რომ ჩვენ შეიძლება ვიყოთ ღვთისმოსავი, მოაზროვნე, ცნობისმოყვარე ქალები, რომლებიც გენდერულ სფეროში ორიენტირებას ცდილობენ, მაგრამ ამავე დროს ღმერთს ემორჩილებიან. არც კი განიხილება შესაძლებლობა იმისა, რომ პავლე გულისხმობდა რალაცას, რაც მათ კულტურაში არსებობდა, ხოლო ჩვენს კულტურაში არ არსებობს.

ეს განმარტება, აგრეთვე იდენტურობის არასწორ წყაროს წარმოადგენს. ევა არ არის დედაჩვენი. რაკი ზეციდან ვიმვით, ჩვენ აღარ ვართ ჩვენი ცოდვით დაცემული მშობლების, ადამია და ევას შვილები. ჩვენ ღვთის შვილები გავხდით.

ამ ავტორის სიტყვებში, მე ვხედავ ქალების დადუმებისა და შერცხვენის სურვილს. მის ხმაში მესმის სექსისტური დაშინება და ქალთმოძულეობა. რასაც ვერ ვხედავ, ეს არის სულინმიდა. როდესაც იესო ასწავლიდა და არიგებდა ადამიანებს, იგი ამას სიყვარულით აკეთებდა. მან საკუთარი ეკლესია საპატარძლოს შეადარა. ამ ავტორის სიტყვები გველის ქალისადმი მტრობას უფრო ჰგავს.

1ტიმოთეს მიმართ წავლეს მიერ დაიწერა და იმ პრობლემების გადაჭრას ეხება, რომელთაც ტიმოთე ბერძნულ კულტურაში ეკლესიის ხელმძღვანელობისას წააწყდა. განა ის, რაც მათ ეხებოდა, ჩვენც გვეხება დღეს, სადაც აღარაფერია იგივე არც ჩვენი თაყვანისცემის მსახურებაში და არც

## კონცურენციის გარეშე

კულტურაში. შესაძლოა, ჯერ კიდევ არ ხართ დარწმუნებული. ალბათ, იმის გამო, რომ გსურთ ღმერთს პატივი მიაგოთ და არასდროს არ დააყენოთ კითხვის ნიშნის ქვეშ ლიდერობა, თქვენ ეს აღნიშვნა საკუთარ წილად მიიღეთ ცხოვრებაში.

მოდი, ცოტა უფრო ღრმად გამოვიყვლით ეს საკითხი. უფლებას მისცემდით ვინმეს, რომ ასეთი სიტყვებით ელაპარაკა თქვენს ქალიშვილზე? გვერდზე გადგებოდით და ჩუმად დაეთანხმებოდით ვინმეს რომ მისთვის გამოუსადეგარი, მიმნდობი, ადვილად მოსატყუებელი და ცუდად ინფორმირებული ეწოდებინა? იქნებოდა ეს მართებული, სულით მართული მეთოდი რომელიმე პიროვნების გამოსასწორებლად, ქალი იქნებოდა ეს თუ კაცი? ოდესმე წარმოგედგინათ, რომ მამა ღმერთი თქვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს უყურებს და გამუდმებით ამ უარყოფითი სიტყვებით მოგმართავთ?

მესმის, რომ შესაძლოა თქვენ თავად ამბობდით საკუთარ თავზე ამ სიტყვებს. თუ თქვენ უკვე გარკვეული დროის მანძილზე ხართ ქრისტიანი, შესაძლოა იყო დრო, როდესაც მასწავლებელმა ან ლიდერმა თქვენს ეკლესიაში სწორედ იგივე იდეები გააუღერა ქალებთან დაკავშირებით. სულ ახლახან, ქალმა, რომელიც უკვე მრავალი წლის მსახური იყო, ჩვენს ეკლესიაში დარეკა და კითხვა დასვა, შეესაბამებოდა თუ არა ის, რასაც იგი აკეთებდა, წმიდა წერილს, რამეთუ იგი დევნილი იყო ამის გამო.

ერთ რამეს შემიძლია დაგპირდე, ჩემო ქალიშვილი, ჩემო დავ, ჩემო მეგობარო: ჩვენს ნეფესა და უფალს, იესოს, არასოდეს უთქვამს ეს დამამცირებელი სიტყვები შენს შესახებ. მას არასოდეს უთქვამს ჩემთვის, რომ რაკი ვიქადაგე, ამით მისი სახელი შევურაცხვყავი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე არ შემიძლია ქადაგების გაუმჯობესება ყოველი მსახურების შემდეგ, მე საკუთარი თავის შეფასებას ვახდენ. დამიჯერეთ, მე მგრძნობიარე ვარ სულინმიდის შენიშვნების მიმართ ჩემი ცხოვრების თითოეულ სფეროში. მაგრამ, როდესაც საქმე ეხება იმის კეთებას, რისთვისაც მან მომიწოდა და იმას, თუ როგორს მხედავს იგი, ამ დროს გამამხნევებელი სიტყვების გამუდმებული ჩურჩული ისმის. მოუსმინე, თუ რას ამბობს იგი შენსა და ჩემს შესახებ: იგი გინოდებთ საყვარელს, ვარგისს და უნარიანს. მან ახალი გული მოგცათ და სიცოცხლის სული, რომელიც სიბრძნესა და ჭეშმარიტებას განიჭებთ. მან სულინმიდით აგავსოთ და ლვთის სიტყვა მოგაბარათ, რათა ნაცვლად იმისა, რომ მოტყუებული ქალიშვილი იყოთ, თქვენი გონების თვალები გამჭრიახობით განათდეს (ფსალმუნი 45:11; ეზეკიელი 36:26; 2 კორინთელთა 3:6; ეფესელთა 1:8).

მისი საპატარძლო როგორც მარობითი, ასევე მდედრობითი სქესისაგან შედგება. მან თითოეული ჩვენგანი თავისი სიტყვის წყლით გაგვპანა სიბილნისაგან და ამ პროცესში ორივე სქესი თავისი სისხლით გამოვისყიდა. მაგრამ, მაინც, როდესაც 1ტიმოთეს 2 თავის ის გარკვეული განმარტება წავუკითხე ქალებს, რომლებიც რეგულარულად იკრიბებოდნენ ჩემს სახლში ბიბლიის შესასწავლად, მათ სახეებზე მორჩილება წავიკითხე, შეკთან და შეძრნუნებასთან ერთად. იყვნენ ისეთებიც, ვინც ფიქრობდა, რომ ჭეშმარიტების ელემენტი არსებობდა მის ნათქვამში; შესაძლოა, ისინი მართლაც ადვილად მიმნდობები და გამოუსადეგარნი იყვნენ წარსულში. სხვები კი ფიქრობდნენ, რომ ამის ინტერპრეტირება სხვადასხვაგვარად იყო შესაძლებელი.

როდესაც თქვენი ქალიშვილების შესახებ გვითხეთ, რაღაც შეიძრა თქვენში? ვიმედოვნებ, რომ თქვენში მრისხანებამ და დედობრივმა გრძნობამ წამოჰყო თავი. ხოლო, რაც შეგეხებათ თქვენ? რომელს უფრო ეთანხმებით, იმ საზღვრებს, რომლებიც სხვებმა დაგიყენეს, თუ თავისუფლებას, რომელიც ქრისტემ მოიპოვა თქვენთვის? თუკი ეს თქვენი ქალიშვილების შემთხვევაში არ მოგწონთ, არც თქვენს შემთხვევაში უნდა იყოს მისაღები. ეფესელთა მიმართ წერილის 2:10-ში ნათქვამია: „ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი, კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებში ვიაროთ“.

იმედი მაქვს და ვლოცულობ ამაზე, რომ არასოდეს შეეგუოთ ნათქვამს, რომ თქვენ შეუფერებელნი, მიმნდობნი და ადვილად მოსატყუუბელი ხართ. თუ ცუდად ინფორმირებულნი ვართ, შეგვიძლია ეს შეუცვალოთ იმით, რომ განათლება მივიღოთ და კარგად ინფორმირებულები გავხდეთ. მე გადავწყვიტე, რომ ეს გამოწვევად მივიღო საკუთარი თავისითვის, და რესურსების მოძიებით დავკავდე ჩემზე უფრო ჭკვიანი ხალხისგან. პირველ რიგში, მოდი, პავლეს მითითებებს გადავხედოთ ერთმანეთის სინათლეზე. 1კორინთელთა 14:34-35-ში ვკითხულობთ:

„ცოლებმა არ უნდა შეუშალონ ხელი ღვთისმსახურებას და არ უნდა ამოიღონ ხმა მაშინ, როდესაც მოსმენის დრო იქნება, არ უნდა დასვან კითხვები, რომელთა დასმაც უფრო მართებული იქნება ქმრებისთვის სახლში. ღმერთის რჯულის წიგნი ხელმძღვანელობს ჩვენს ქცევის წესებსა და ჩვეულებებს. ცოლებს არ აქვთ უფლება გამოიყენონ თაყვანისცემის დრო უსაფუძვლო საუბრისთვის“. (Message)

## პონტურიცის გარეშე

და შემდეგ, 1 ტიმოთეს 2:11-15:

„მე არ ვაძლევ უფლებას ქალებს იბატონონ მამაკაცებზე და მიუთითონ მათ, თუ როგორ მოიქცნენ. მათ უნდა ისწავლონ იყვნენ ჩუმად და მორჩილად ყველა სხვასთან ერთად. ჯერ ადამი შეიქმნა, შემდეგ კი ევა: პირველი ქალი იქნა მოტყუებული – ჩვენი პიონერი ცოდვაში! შემდეგ კი ადამი მიჰყვა მას ფეხდაფეს. მეორეს მხრივ, შვილების გაჩენამ მას გადარჩენა მოუტანა და მთლიანად შეცვალა ევა. მაგრამ, ეს ხსნა მოდის მხოლოდ მათზე, ვინც აგრძელებს სიარულს რწმენაში, სიყვარულსა და სიწმიდეში და ამ ყველაფრით სისრულეს აღწევს. თქვენ შეგიძლიათ ამის იმედი გქონდეთ“. (Message)

ბერძნების მთელი კრებული ერთად იკრიბებოდა ქრისტიანობის შესახებ მოსასმენად (ქალებიც და მამაკაცებიც). ქალებს აღარ უნდა აეღოთ საკუთარ თავზე ის პოზიცია, რომელიც წარმართებს შორის პერიოდათ: ორაკულის პოზიცია, რომელსაც დიანას ტაძრის თაყვანისცემა აძლევდა მათ. როდესაც ვკითხულობთ პავლეს მითითებებს ტიმოთეს მიმართ ეკლესიის წესრიგის შესახებ, ვხედავთ, რომ იგი არ ახდენდა რჯულის ციტირებას. იგი არ ციტირებდა იესოს. იგი ტიმოთეს სთავაზობდა რჩევებს, თუ როგორ შეეკრიბა მორჩმუნები წესისამებრ ბერძნულ კულტურაში. იმ დროს, მათ კულტურაში, ქალები ავტორიტეტებად ითვლებოდნენ სულიერ საკითხებში.

ზოგიერთ თარგმანში, რომელიც არამეულიდან არის ნათარგმნი, პავლეს სიტყვები 1 ტიმოთეს 2:11-12-ში ასე ულერს:

„ახალმოქცეული ქალები მზად უნდა იყვნენ ისწავლონ თავიანთი ლიდერებისადმი ყოველგვარი მორჩილებით და არ ილაპარაკონ უადგილოდ. არ ვარ იმის მომხრე, რომ ახალმოქცეული ქალები იყვნენ მასწავლებლები ეკლესიაში, ან ძალაუფლება პერიოდეთ მამაკაცებზე, არამედ მშვიდად იყვნენ. რამეთუ ღმერთმა ჯერ ადამი შექმნა, შემდეგ ევა. ადამმა კი არ შეიყვანა შეცდომაში ევა, არამედ ევამ შეიყვანა იგი შეცდომაში და დაარღვია ღვთის მცნება. თუმცა, ქალი იცოცხებს აღდგენილ ღირსებაში შვილების მეშვეობით, მიიღებს რა კურთხევას აღზრდის რა მათ რწმენაში, სიყვარულსა და სიბრძნეში“.

იმისთვის, რომ გამეგო, თუ როგორ ითარგმნება ეს დღევანდელ პრაქტიკაში, მე მივმართე თეოლოგსა და

ეკლესიის ლიდერს, რომელიც პრაქტიკულად მუშაობდა ქალთა ქადაგებისა და ლიდერობის დინამიკასთან დიდი წარმატების მქონე ადგილობრივ ეკლესიაში. დოქტორ გილბერტ ბილეზიკიანმა, ვიტონის კოლეჯის პროფესორმა და უილოუ კრიკის ეკლესიის უხუცესმა, ანარმოა თვრამეტოვანი კვლევა ეკლესიის ხელმძღვანელ ქალთა პრობლემებთან დაკავშირებულ თემაზე. გთავაზობთ მის მიერ გაკეთებული დასკვნის ნაწილს, რომლებიც პირველად მის წიგნში *Beyond Sex Roles* იქნა მოყვანილი.

„ამგვარად, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ დაცემამდე, მამაკაცები და ქალები დაკავშირებულნი იყვნენ ერთმანეთთან როგორც თანამმართველნი, ორივე ლვთის ხატების მატარებელი იყო და მოწოდებულნი იყვნენ ერთმანეთს დახმარებოდნენ ლვთის მიერ შექმნილ სამყაროზე ზრუნვაში. მამაკაცებიც და ქალებიც პასუხისმგებელნი არიან აღასრულონ თავიანთი მსახურება ლვთის სადიდებლად იმ ნიჭით, რომელიც ლმერთმა მისცა მათ და რწმენის იმ საზომით, რომელიც მიეცათ. ტრაგიკულია, მაგრამ, დაცემის შედეგად, ამ ერთობლივმა კოლაბორაციამ ღრმა ჭრილობა მიიღო. ჩვენ გვჯერა, რომ ლვთისმიერი გამოსყიდვის მწყალობელი გეგმა მდგომარეობს იმაში, რომ ყველაფერი, რაც ცოდვის შედეგად იქნა დაცემული – მათ შორის მამაკაცებსა და ქალებს შორის ურთიერთობა – შესაძლებელია, ალდეგენილ იქნას სილამაზის იმ დონეზე, რომელიც ქმნილების პირველ დღეებში არსებობდა. მრავალი ლვთისმოსავი, ინტელიგენტი ქრისტიანი არ ეთანხმება ჩვენს დასკვნებს. მოვა დღე, როდესაც ყველანი გავიგებთ, თუ რამდენი გრადუსით გადავუხვიეთ ლვთის სიბრძნეს ამ საკითხში და კიდევ მრავალ სხვა საკითხშიც. მანამდე კი, მე ამ პოზიციას ჩავეჭიდები, თავმდაბლურად, მაგრამ მტკიცედ. მინდა გავრისკო და გავამხნევო ქალები გააკეთონ ის, რისიც მჯერა, რომ წმიდა წერილი ითხოვს მათგან: საკუთარი თავი სრულად ხელმისაწვდომი გახადონ სულიერი ნიჭების მთელი სპექტრისთვის.

თუ ქალი გრძნობს, რომ იგი მოწოდებულია იქადაგოს, ასწავლოს და უხელმძღვანელოს, და იგი ცხოვრობს ცხოვრებით, რომელიც წმიდა წერილის თანახმად ცხოვრობს, ამ შემთხვევაში, მიეცით მას განათლება და საშუალება, გაიაროს ტრენინგი, რათა შეძლოს ქადაგება, სწავლება და ლიდერობა იმ უნარით, რომელსაც ლმერთი უბოძებს მას.

## კონცურენციის გარეშე

დოქტორ ბილეზიკიანთან ერთად, მეც ამ პოზიციას ვიზიარებ, თავმდაბლობით, მაგრამ მტკიცედ.

## რაპიდის თვალსაზრისი ევასთან დაკავშირებით:

„არც თუ ისე დიდი ხნის წინ წილად მხვდა პრივილეგია დაწვრილებით გავსაუბრებოდი ბრწყინვალე მესიანელ რაბინს, ბრაიან ბილეზის. მე გავუზიარე მას ჩემი გულის წუხილი, რომ ღვთის ძალიან ბევრ ასულს წარმოდგენაც კი არ აქვს



**მამაკაცი და  
დედაკაცი,  
განსხვავებულები  
უნდა  
ყოფილიყვნენ,  
მაგრამ არა  
სხვადასხვა  
მიზნის მქონენი.**

საკუთარ თავზე, თუ ვინ არის იგი. სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ ღვთის ქალიშვილების იდენტურობა და მათი ლირსება ქვეყნიერების სულისაგან სასტიკ შეტევას განიცდის, და ძალიან ბევრმა ეკლესიმ არ იცის, თუ როგორ გააღვივოს ის ნიჭები, რომლებიც ღმერთმა ქალებს არგუნა.

მსურდა ამ ებრაული სწავლულისაგან გამეგო, თუ რა აზრის იყო ღმერთი თავის ქალიშვილებზე. მე ვთხოვე მას დაეწყო ევადან, სარათი გაეგრძელებინა და ქრისტეს საპატარძლომდე, ეკლესიამდე მისულიყო. რაბინმა მრავალი რამ

მითხრა, და აქ რამდენიმე თვითონაბადი მინდა გაგიზიაროთ, რამეთუ ისინი დიდ დახმარებას გაგიწევენ თქვენი იდენტურობის განმტკიცებაში.

ღმერთს არ ჰყავარებია ადამი ევაზე უფრო მეტად. დასაბამიდანვე, ევა ყოველთვის ადამის შიგნით იმყოფებოდა. თუმცა, ადამმა დაარქვა მას სახელი და სჭირდებოდა კიდეც იგი, ევა ყოველთვის ღვთის იდეაში იყო. შემოქმედმა მისცა ევას უნიკალური ქალური პერსპექტივა და გამოხატულება. ქალი ყოველთვის მამაკაცში იმყოფებოდა, სწორედ ამიტომაა, რომ მამაკაცი მასთან ერთად უფრო მეტ წარმატებას აღწევს, ვიდრე მის გარეშე (დაბადება 2:18). როდესაც ღმერთმა ევა წარუდგინა ადამს, მისი „არ არის კარგი“, შეიცვალა სიტყვებით „ძალიან კარგია“.

წმიდა წერილიდან ვიცით, რომ ადამს ღმერთმა ღრმა ძილი მოჰყვარა, ნეკნი ამოუღლო და ევა შექმნა მისგან (დაბადება 2:21). მამაკაცი და დედაკაცი უნიკალურად იქნა ერთმანეთისგან გაყიდვილი, მაგრამ თითოეული მათგანი ცალკეულ წახევარს არ წარმოადგენდა. ისინი ერთ სრულ მთელს წარმოადგენენ.

მამაკაცი და დედაკაცი, განსხვავებულები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ არა სხვადასხვა მიზნის მქონენი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაცემამდე არ არსებობდა როლთა დაყოფა. ამიტომ, შესაძლებელი იყო, რომ ორს ერთი მიზანი ჰქონიდა, ერთი გული და ერთი ყოფილიყვნენ ფიზიკურად.

ერთ ტრაგიკულ დღეს, ევა მოტყუებულ იქნა და ადამი ღმერთს აუმხედრდა. ძალიან ხშირად მესმის მცდელობა ადამის ცოდვა ევას ცოდვაზე ნაკლებ ცოდვად წარმოაჩინონ. მსმენია, რომ მას „უმოქმედებობის ცოდვას“ უწოდებენ. რაბინი არ დამეთანხმა, მან თქვა, რომ წერილი გვასწავლის:

„ვინაიდან, როგორც ერთი კაცის ურჩობით ბევრი გახდა ცოდვილი, ასევე ერთის მორჩილებით ბევრი გახდება მართალი“. (რომაელთა 5:19)

ადამის ცოდვა დაუდევრობა არ იყო. საუკეთესო შემთხვევაში, იგი შეიძლება „წინასწარგანზრახულ დაუმორჩილებლობად“ წოდებულიყო, მაგრამ ზოგიერთი სწავლული, მას მუხანათურ ამბოხებას დაარქმევდა.

ასეთი კითხვა უნდა დავსვა: ადამმა და ევამ პიროვნულობის ქურდობა ხომ არ მოახდინეს: მათ ხომ, ბოლოს და ბოლოს, ღმერთობა მოინდომეს!

ჩვენს ოჯახში, როდესაც ჩვენი შვილები განგებ ახდენენ მშობლების დარიგებების უუჯდებას და მეგობრების, ან სხვების ხმას უფრო უკერებენ, ჩვენ უმოქმედობას არ ვუწოდებთ მათ ქმედებებს. ჩვენ მათ არჩევანს დაუმორჩილებლობას ვუწოდებთ. სამხედრო გეგმის შესრულების დროს, თუ გუნდი არ დაემორჩილება ბრძანებას, მას დაუმორჩილებლობას უწოდებენ, და არა უმოქმედობას. ახლა კი, წაიკითხეთ ადამის მიერ კანონდარღვევის ლვთისეული აღწერა:

„უთხრა ადამს: „რადგან ისმინე შენი ცოლის ხმა და ჭამე ხის ნაყოფი, რომელზეც გითხარი რომ არ გეჭამა, წყეულიმც იყოს მინა შენ გამო! ტანჯვით ჭამდე მის ნაყოფს მთელი შენი სიცოცხლე!“

რაღაც მიზეზის გამო შეიქმნა ტენდენცია, რომელიც ადამის როლს ამცირებს (დარწმუნებული არ ვარ, რატომ გრძნობს ვინმე აუცილებლობას დაიცვას ადამის არჩევანი ან მოქმედება, მაშინ როდესაც თითოეული ჩვენგანი გამოსყიდული ვართ ქრისტეში). ამის მომხრეები მოუწოდებენ მამაკაცებს, რომ ფეხზე წამოდგნენ და კარგი ლიდერები იყვნენ, და მეც

## პონტურენციის გარეშე

ვეთანხმები ამას და ვამბობ „დიახ“ და „ამინ“. ვეთანხმები იმას, რომ ისეთი პიროვნებების ძალიან დიდი საჭიროება არსებობს, რომლებიც მაგალითი გახდებიან მამაკაცებისთვის. ჩემს შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, თუ რა სახით გამოდიან ზოგიერთები ამ პროცესის მხარდასაჭერად. მათ სჯერათ, რომ მამაკაცები უფრო კარგი ლიდერები იქნებიან, თუ ქალთა ხმას დაადუმებენ და ამისთვის დაცემის ამბავს გაიხსენებენ.

ასეთ მსჯელობასა და მიდგომაში ძალიან ბევრ ხარვეზს ვპოულობ. ძალიან მცირე ეჭვი არსებობს იმისა, რომ მრავალი ზიანის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი, ადამის სიმართლე რომ ეთქვა. ადამს ხმა უნდა ამოედო და გველი გაეჩუმებინა; ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ არ ვიბრძვით. მსგავსად ამისა, მამაკაცებმა ახლაც ხმა უნდა ამოიღონ იმისთვის, რომ ბოროტი გააჩუმონ – და არა ქალი, რომელიც ღმერთმა თავის ხატად შექმნა და კარგი უწოდა.

საუკეთესო გზა ადამიანის მომავალი შეცდომებისგან დასაცავად, არის ლია ინსტრუქციის მიცემა და არა აკრძალვა. ის ფაქტი, რომ ევამ წარსულში სერიოზული შეცდომა დაუშვა, არ უნდა იქნეს გამოყენებული მისი ქალიშვილების დასადუმებლად მომავალში, სწორედ ისევე, როგორც ადამის ცოდვამ არ უნდა შეკრას მისი ვაჟები! ოც საუკუნეზე მეტია, რაც მამაკაცები და ქალები გვერდიგვერდ სწავლობენ ეკლესიაში. დროა გავაცნობიეროთ, თუ ვინ ვართ ქრისტეში და ერთმანეთის გვერდიგვერდ ვითანამშრომლოთ, როგორც დასაბამიდანვე ვიყავით ღვთისგან განწესებულნი ბაღში ფუნქციონირებისთვის. მამაკაცები, როგორც მამაკაცი ხელმძღვანელები და ქალები, როგორც ქალი ხელმძღვანელები.

ახლა ჩვენ იესოს მაგალითი გვაქვს, რომელმაც სატანასთან ურთიერთობის სწორი ნიმუში გვიჩვენა:

„იესომ კი უპასუხა: „განვედ, სატანავ, რადგან დაწერილია: უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე“.

ჩვენ უფლის სიტყვებს უნდა ვიმეორებდეთ, ნაცვლად იმისა, რომ მსჯელობის შეჯიბრში ჩავეფლოთ. მოდი, ღმერთს ვემსახუროთ იმდენად გასაოცრად, რომ რწმენით ცხოვრების ცოცხალ მაგალითებს წარმოვადგენდეთ. და ჩვენი უმაღლესი მაგალითი იესოა. ჩვენ მის მსგავსად უნდა ვიაროთ. ჩვენ მას უფრო მეტად უნდა გავყვეთ, ვიდრე სხვა ნებისმიერ მორწმუნეს, მათ შორის პავლესაც. პავლე თავად მოუწოდებდა ტიმოთეს

გაჰყოლოდა მას მხოლოდ იმ გზებით და იმ ნიმუშებით, რომელთა მიხედვითაც იგი ქრისტეს ბაძავდა. „მომბაძეთ მე, როგორც მე – ქრისტეს“. (1კორინთელთა 11:1)

## სატანის ტყუილები; ღვთის გაცურვება

სატანა ქურდავს მამაკაცებსაც და ქალებსაც, როდესაც ჩვენ ვუსმენთ მის დელიკატურ რჩევას და ერთ სქესს უფრო მეტ ძალას ვანიჭებთ, ვაკლებთ რა მას მეორე სქესს. დრო თვალსა და ხელს შუა ქრება. დროა მივყვეთ იესოს მანდატს და განვაგრძოთ იმის ძებნა, რაც დაკარგულ იქნა (ლუკა 19:10). დიდი ხანია დროა, რომ ეკლესია იყოს მაგალითი ამ განადგურებული, დაყოფილი ქვეყნიერებისთვის ცხოვრების ისეთი წესით, რომელიც მრავალრასობრივი, მრავალთაობათაშორისია, და სქესებს ერთი მიზნისთვის აერთიანებს. არ ვაქცევთ რა ყურადღებას სქესის პრობლემებს, ამით ჩვენ ორივე სქესს დაყოფილსა და დაჭრილს ვტოვებთ. როდესაც ჩვენი უფლისი იდენტურობას აღვადგენთ, დაინყება სქესის განკურნებაც.

ზოგჯერ დაბნეულობა იმდენად დიდია, რომ ქალები ეჭვებეშ აყენებენ საკუთარ გენდერულ იდენტურობას, გრძნობენ რა, რომ მამაკაცებად უნდა დაბადებულიყვნენ. მრავალი სქესის შეცვლითა და ანდროგენით ცდილობს საკუთარი თავის განკურნებას. წაიკითხეთ ლვთის სიტყვები, რომლებიც მან ესაიას მეშვეობით წარმოთქვა:

„თქვენ გააუკულმართეთ ყველაფერი! განა მექოთნე თიხის თანასწორად ჩაითვლება? ნუთუ ნივთი თავის გამკეთებელზე იტყვის, მას არ გავუკეთებივარო? ქმნილება თუ იტყვის თავის შემქმნელზე: მას რა გაეგებაო?“ (ესაია 29:16)

კითხვა კვლავ აქტუალური რჩება, ვენდობით ღმერთს? გვჯერა, რომ იგი კეთილი და ბრძნია და შეცდომა არ დაუშვია, როდესაც დედის მუცელში გამოგვსახა ქალიშვილებად? განა მას ჩვენი იმედის გაცრუება სურდა?

დამიჯერეთ, ჩემთვის გასაგებია ეს იარა. გასაგებია ისიც, რომ მრავალი ადამიანისთვის ტკივილი ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ჩემთვის იყო... და მაინც, ღმერთს მაინც შეუძლია მისწვდეს ამ ტკივილს და განკურნოს იგი ისე, როგორც ამას ვერასდროს ვერ შეძლებს ადამიანის ხელი. მკაფიოდ მასსოვს, თუ როგორ მწყინდა ის ფაქტი, რომ ქალი ვიყავი. არ ვიცი,

## პონტურენციის გარეშე

იყო ეს გამოწვეული იმით, რომ დედაჩემთან ცვალებადი ურთიერთობა მქონდა, თუ მტრის წინასწარ დასახული გეგმის გამო იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ძირი გამოეთხარა ღვთის გეგმის ალსრულებისთვის ჩემს ცხობრებაში. არ ვიცი, ეს დაკავშირებული იყო თუ არა ჩემს ცხოვრებაში არსებულ ინციდენტებთან, ქალებთან ურთიერთობებთან, თუ ეკლესიაში არსებულ დაპირისპირებებთან, ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობდა, რომ არ მომწონდა ქალის ცხოვრებისთვის დამხასიათებელი მოწყვლადობა. მოზარდობის ასაკში მე ქალაბიჭა ვიყავი და მამრობითი სქესის მეგობრები უფრო მეტი მყავდა, ვიდრე მდედრობითი. ბიჭები უფრო მომწონდა. როდესაც უეცრად, სქესობრივი მოწიფულობის ასაკში აღმოვჩნდი, უცხოპლანეტელივით ვიგრძენი თავი, რომელიც იძულებით მოათავსეს ვარდისფერ და ლამაზ სამყაროში. გოგონები მინიშნებებითა და ჩურჩულით საუბრობდნენ, რაც ჩემთვის გაუგებარი იყო, და ისეთი გრაციითა და სილამაზით მოძრაობდნენ, რაც ამ ტლანჯ გოგოს არ გააჩნდა. უფროს კლასებში სწავლის მთელი პერიოდის მანძილზე, ძირითადად ჯინსები და კომბინეზონები მეცვა, რათა დამეფარა ქალური ფორმების არარსებობა და დამემალა ჩემი მტკიცნეული თვითცნობიერება.

როდესაც მე და ჯონი დავინიშნეთ, შევეცადე ფრთხილად ამეხსნა მისთვის, რომ მე ქალის ტანი მქონდა, მაგრამ ტვინი კაცის მქონდა (ჯონმა მაშინვე მითხრა, რომ ეს შეუძლებელი იყო!). ამის პოზიტიური მხარე კი ის არის, რომ მე ნამდვილად მჯერა, ღმერთი ოთხი ვაჟისთვის მამზადებდა! ღმერთმა განკურნების მოგზაურობაში წამიყვანა. მან ჩემი ქალურობის ინტიმური ღირებულება ჩამჩრებულა. მის თანდასწრებაში, მთელი ის სირცეებილი, რომელიც რელიგიამ მოახვია თავს ქალს, მან დიდების სამოსლით შეცვალა. იგი ღრმად ჩაწვდა ჩემს სულს და სიმამაცე და ძალა მომცა შიშისა და მსხვერპლის მენტალიტეტის ნაცვლად, რომელიც დედაჩემმა გაუცნობიერებლად მიამაგრა ჩემს ქალურობას. მე ვისწავლე, მყვარებოდა ჩემი სხეული არა მხოლოდ იმის გამო, თუ როგორ გამოიყურებოდა იგი, არამედ იმის გამოც, თუ რისი გაკეთება შეეძლო მას. ეს იყო პროცესი და მოგზაურობა, რომლის გაზიარებაც შევძელი, რათა სხვებსაც ეპოვათ განკურნება.

მაგრამ, რა მოხდება, თუკი საკუთარ თავს ქალურობასთან ბრძოლაში აღმოვაჩენ, დღევანდელ დღეს, ამ საუკუნეში, როდესაც სქესის შეცვლას აპლოდისმენტებს უძღვნიან? ჩვენი კულტურა მეტყოდა, რომ საკუთარ ხელში ამელო ეს საქმე და კაცი გავმხდარიყავი! მაგრამ, ამის გაკეთებით, მე ხელს

შევუშლიდი ლვთისეული განკურნების პროცესს და წყალში ჩავყრიდი ყველა გაკვეთილს, რაც ამ გზაზე შევისწავლე. როდესაც ვწყვეტ საკუთარი თავის სხვასთან შედარებას, ამ შემთხვევაში, მზად ვართ მივიღოთ საკუთარი თავი მთელი ჩვენი ნაკლოვანებებით.

ამგვარად, რა ნაბიჯები უნდა გადადგათ, რათა განკურნების პროცესი დაიწყოს?

1. ილოცეთ! სთხოვეთ სულინმიდას, მოგცეთ განუყოფელი გული და გამოავლინოს ნებისმიერი არასწორი აზროვნება ან დაუმორჩილებლობის სფეროები! შეიძლება, გენდერული ცრურნებენა და გულისწყრომა შემოიპაროს და გააფუჭოს ჩვენი პერსპექტივა საკუთარ თავთან და ერთმანეთთან მიმართებაში. ილოცეთ, რომ იყოთ შერიგების მსახური და არა გაყიფის!
2. დაუმორჩილეთ თქვენი ნება ღმერთს. შესაძლოა, თქვენ უკან იხევდით ან ადამიანთა წესების უკან იმალებოდით, ნაცვლად იმისა, რომ დამორჩილებოდით იმას, რაც იცოდით, რაც წმიდა წერილებში გინახავთ, და რაც ლოცვებში გაგიცხადათ ღმერთმა. შესაძლოა, თქვენ საშუალება მიეცით ადამიანთა წინაშე არსებულ შიშს (ან შიშს, ყოფილიყავით ქალი) უკან დაეწიეთ ლვთის ნების აღსრულების საქმეში. ჰკითხეთ ღმერთს, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს დიადი დავალება თქვენს ცხოვრებაში ამ სეზონზე, აცნობიერებთ რა, რომ შემდეგ სეზონზე ის შესაძლოა სხვაგვარი იყოს.
3. იცნობდეთ თქვენს მტერს. ჩვენ არ ვიბრძვით სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ. და, როდესაც გაორებული აზროვნება გვაქს, ორმაგი აგენტებივით ვიქცევით. იაკობი გვეუბნება, რომ დავემორჩილეთ რა ღმერთს, წინ უნდა აღვუდგეთ ეშმაკს და ის გაიქცევა.
4. გამოიკვლიეთ თქვენი ცხოვრება და საუბრები. რას ამბობთ და აკეთებთ ისეთს, რაც შეიძლება გენდერულ ცრურნებას კვებავდეს? თუ სულინმიდამ გამოამუდავნა თქვენი ცხოვრების ის სფეროები, სადაც კომპრომისზე წახვედით, ამ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ მან ის ცრურნება და გულისწყრომაც გიჩვენათ, რომელიც ამ ყველაფრის შედეგს წარმოადგენს.
5. დაიკავეთ მტკიცე პოზიცია. ადამიანებმა, რომლებიც საკუთარ პოზიციებს არ იცავენ, შესაძლოა ყველაფერში წარუმატებლობა განიცადონ. ისინი, ვინც ეწინააღმდეგებიან ქალებისა და მამაკაცების ერთად

## პონტურენციის გარეშე

შრომას, გაუცნობიერებლად, წინააღმდეგობაში მოდიან ლვთის თავდაპირველ მანდატთან.

6. იბრძოლეთ ერთობისთვის ქრისტეს სხეულში. მამაკაცები და ქალები ერთმანეთის მეტოქეები არ არიან. ჩვენ ძმები და დები ვართ, მეურვეები და ახლო მოკავშირეები. ჩვენ ერთად უნდა გვქონდეს მოზიარეობა, ერთმანეთის მიმართ ურთიერთპატივისცემასა და და-ძმურ სიყვარულს უნდა ვიჩენდეთ. და ჩვენ ერთმანეთის ნიჭებს უნდა ვალვივებდეთ. ღმერთი არ მისცემდა ხმას ქალებს, მათი ჩუმად ყოფნა რომ სდომებოდა. ღმერთმა იცოდა, რომ ადამს და ჩვენს სამყაროს დასჭირდებოდა ქალის ხმა და გავლენა.

## დაგატებითი და ურთიერთდამოკიდებული

ჩემი სურვილია, რომ ჩემი შვილიშვილები უფლებამოსილნი იყვნენ: იაზროვნონ, ისნავლონ და კითხვები დასვან, რათა ნამდვილად შეძლონ სწავლა, და ამ სწავლის მეშვეობით რწმენით იცხოვრონ. ჩვენ ვამბობთ, რომ ქალები შეიძლება ხელახლა იშვან, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს დოგმები და დოქტრინები, რომლებიც უარყოფენ იმას, რომ ისინი ნამდვილად სრულად იქნენ განთავისუფლებულნი. უფრო ზუსტი იქნებოდა იმის თქმა, რომ ქალთა უმრავლესობა თავისუფლად მოქმედებს უფრო ეკლესიის ფარგლებს შიგნით, ვიდრე ქრისტეს დავალების ფარგლებში.

უგუნური მამაკაცები და ქალები ერთმანეთს, ჯერ კიდევ ედემის ბალიდან ადანაშაულებენ არასწორი არჩევანის გაკეთებაში. დადანაშაულება და შერცხვენა ჯერ კიდევ არავის დახმარებია წინსვლაში. დადანაშაულება და შერცხვენა წყალს ამღვრევენ და ჩრდილს აყენებს ლვთის ვაჟებისა და ასულების იმიჯს. ეს ჭუჭყი აბინძურებს იმას, რაც ღმერთმა განწმიდა ქრისტეში, რათა ის კვლავ ბინძური და უხამსი გახდეს.

სქესი ლვთიური სილამაზის გამოხატვის მიზნით შეიქმნა. სამწუხაროდ, მცდელობაში ერთმანეთისგან მიგვეღო ის მოწონება და იდენტურობა, რომლის მოცემაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია, ჩვენ წავართვით ერთმანეთს ეს ლვთიური ღირსება და ძალა. შემოქმედმა შეგვემნა იმისთვის, რათა ერთმანეთის განსხვავებულობით დავმტკარიყავით, და არა იმისთვის, რომ დაგვემცირებინა იგი.

და ახლა, ქრისტეში, ჩვენი სიშიშვლე სიწმიდით არის შემოსილი. ქრისტეში, მამაკაცებს და ქალებს ახსოვთ, რომ

ისინი მოკავშირეები არიან და არა მტრები. პავლეს სიტყვები 1კორინთელთა 11:10-12-ში უფრო კარგად გვაჩვენებს, თუ რა შეგვიძლია და რა უნდა ვიყოთ ჩვენ ერთმანეთისთვის. მოდი, ეს მონაკვეთი დაწვრილებით განვიხილოთ! პერიფრაზირებულ მე-10 მუხლში ვკითხულობთ:

„სხვათა შორის, მეტისმეტად ბევრს ნუ წაიკითხავთ აქ მამაკაცთა და ქალთა შორის არსებული განსხვავებების შესახებ. არც მამაკაცს და არც ქალს არ შეუძლიათ მარტო მოქმედება ან პრიორიტეტის ქონის მოთხოვნის წაყენება“.

ქრისტეში მამაკაცები და ქალები უფრო ურთიერთდამოკიდებულები არიან, ვიდრე დამოუკიდებელნი. ჩვენი წყარო საბოლოო ჯამში, ღმერთია, მაგრამ ეს მუხლები მიმართულია ძველი მეტოქეობის მიმართ, რომელიც ცნობილია, როგორც ბრძოლა სქესთა შორის.

ჩვენი განსხვავებები ერთმანეთის შესავსებად იყო გათვლილი. სადაც ერთმანეთზე დამოკიდებულებასა და ჩართულობას აქვს ადგილი, იქ უპირატესობა და იერარქია გამორიცხულია. Message-ის თარგმანის პოეტური სიტყვები ამგვარად წარმოაჩენს მეტოქეობას:

„ჯერ მამაკაცი შეიქმნა, როგორც ღვთის მშვენიერი ნათელი ხატება – ეს მართალია. მაგრამ, თავი, რომელიც ქალის სხეულზეა განთავსებული, აშკრად ჩრდილავს მისი „თავის“თავს, მის ქმარს“. (მუხლი 11)

აქ, პავლე მამაკაციდან, ქალზე გადაერთვება, უფრო ზუსტად კი მამაკაცსა და მის ცოლზე. მომწონს ის ღირებულება, რომელსაც ეს ორივე სქესს ანიჭებს. ჩემი ქმარი ქმნის ჩემთვის პირობას რომ კარგად გამოვიყურებოდე და ამას აკეთებს იმით, რომ უყვარს ღმერთი, ვუყვარვარ მე და უყვარს ჩვენი შეიძლები, ისევე როგორც მეც მსურს, რომ იგი კარგად გამოიყურებოდეს იმის მეშვეობით, რომ მიყვარს ღმერთი, ჩვენი ოჯახი და თავად ჩემი ქმარი. შემდეგ, პავლე უფრო სქესის საერთო თემას უბრუნდება, ქორწინების დინამიკის ნაცვლად.

„პირველი ქალი, კაციდან გამოვიდა, მართალია – მაგრამ მას შემდეგ, ყოველი კაცი, ქალიდან გამოდის!“ (მუხლი 12)

## კონცურენციის გარეშე

ქალის დასაბამი კაცის ნეკნიდან იყო, ახლა კი, კაცი, ქალის საშვილოსნოში იმყოფება. ქალი პირველი იშვა კაცისაგან, ადამისაგან, და შემდეგ ჩვენ ყველანი ვიშვით მეორე ადამისგან, იესოსაგან. პავლე აგრძელებს.

„და, რაკი ყველაფერი, მაინც ღმერთისგან მოდის ვირტუალურად, მოდი შევწყვიტოთ ეს „ვინ იყო პირველის“ პროცედურების გავლა“. (მუხლი 12)

მეტოქეობა იმაში, თუ ვინ არის პირველი და ვინ არის საუკეთესო, უნდა შეჩერებულ იქნას გამოცხადების მეშვეობით, თუ ვინ არის ღმერთი. ჩვენ უნდა აღვადგინოთ ჩვენი ღვთაებრივი პერსექტივა იმისა, რომ მხოლოდ ღმერთია წმიდა. ის არის პირველი და უკანასკნელი, დასაწყისი და დასასრული, ჩვენი ალფა და ომეგა. არავინ გვიხელმძღვანელებს და შეგვიყვარებს ისე, როგორც ჩვენი მამა.

ეს ნიშნავს იმას, რომ მას არ უყვარს ვაჟები ქალიშვილებზე მეტად. და არც ერთნაირად არ უყვარს ორივე სქესი. მას უნიკალურად უყვარს მამაკაცი და უნიკალურად უყვარს დედაკაცი. როდესაც ჩვენ ერთს მეორეზე მაღლა ვაყენებთ, ჩვენ მისი ხატებისგან გვერდზე ვიხრებთ, რამეთუ ღმერთმა სქესი თავის გამოხატულების მიზნით აირჩია.

## მამაკაცები და ქალები აღრეულ ეკლესიაში

ჩვენი ისტორიის ჯანსაღი გაგების გარეშე, ჩვენ ხშირად ვამცირებთ ჩვენს ბედს, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ სულიერიდა ხეს იმ ფარდას, რომელიც მტერმა ჩვენს გაგებას ჩამოაფარა. როდესაც გადავხედავთ წმიდა წერილებს, ვერსად გავურბივართ ფაქტს, რომ ადრეული ეკლესია ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა. როდესაც მათი კულტურა ცდილობდა შეემცირებინა მათი მოძრაობა, ამით იგი მხოლოდ მათ ზრდას და მათ მიერ ახალი ტერიტორიების დაპყრობას უწყობდა ხელს. ისინი შეისაგან არ იკუნტებოდნენ ქვეყნიერი მეფეების ბრძანებების გამო, რამეთუ მათ უკვე მოიდრიკეს მუხლი უზენაესი ღმერთის წინაშე. ისინი ყოველ დღე ნიშნებითა და სასწაულებით დადიოდნენ. ისინი ცხოვრობდნენ იმის გაცნობიერებით, რომ მათი უმაღლესი ავტორიტეტი უხილავ სფეროში იმყოფებოდა.

ისინი ღვთის სულით იყვნენ დანიშნულნი და გამოყოფილნი გმირული საქმეებისთვის. ნუ გვონიათ, რომ მამაკაცები ერთ

მხარეს იყვნენ, ხოლო ქალები მეორე მხარეს ეკლესიებში; ხშირად ისინი იკრიბებოდნენ სახლებში, ბაზარში, საიდუმლო ადგილებში, კატაკომბებში, და გემებსა და ციხეებშიც კი. ეს მორნმუნები სხვადასხვა ტომების, ენებისა და ჩვეულებების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ერთი და იგივე სულინმიდის მიერ იყვნენ გაერთიანებული; ორივე სქესის წარმომადგენლები ერთად იყვნენ, ერთ სხეულად, ქრისტეს საპატარარქოდ. როდესაც ერთი ვართ, მხოლოდ ერთი მხარე არსებობს – ღვთის. ისინი კარდაკარ დადიოდნენ და სახარებას უქადაგებდნენ ადამიანებს. საქმე მოციქულთა 2:42-44-ში, ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გაიზარდა ეს სხეული ორგანულად:

„და გამუდმებით მოციქულთა მოძღვრებაში, მოზიარეობა-ში, პურის გატეხვასა და ლოცვაში მკვიდრობდნენ ისინი. ყოველი სული შიშმა მოიცვა, რამეთუ მრავალი სასწაული და ნიშანი ხდებოდა მოციქულთა მიერ. ყველა მორნმუნე ერთად იყო და ყველაფერი საერთო ჰქონდათ“.

ეს ფრაზა „ყველაფერი საერთო“ არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ მათი საჭიროებები; იგი მოიცავდა მათ თაყვანისცემას, მოწინებას, მოზიარეობას, საკვებს, ლოცვებსა და მათ ქონებას. საერთო ნიშნავს ერთობლივს, ფართოდ გავრცელებულს, ყოველდღიურსა და საზიაროს.

მამაკაცები და ქალები საქმაოდ ახლოს იყვნენ იმისთვის, რომ ერთმანეთის ერთგული ყოფილიყვნენ როგორც მოზიარეობის, აგრეთვე სწავლების საქმეში. სწავლება მოზიარეობის გარეშე არ ქმნის საზოგადოებას, რომელიც ერთმანეთის საჭიროებებზე ზრუნავს. ყოველ შემთხვევაში, სწავლება, მაგიდასთან დისკუსიის გარეშე, იგი ელიტარულ მენტალიტეტს გამოკვებავს ან ჭეშმარიტებას დაამახინჯებს. ის, რასაც ჩვენ ვსწავლობთ, იცდება იმით, ვცხოვრობთ თუ არა ჭეშმარიტებით და არა იმით, თუ რა ვიცით ჭეშმარიტების შესახებ. მეტისმეტად ბევრი ადამიანი იმყოფება ტყვეობაში იმ კონფლიქტის შედეგად, რომ არ ცხოვრობენ იმის მიხედვით, რაც თავის თავში იციან. ჩვენი მიზნისთვის და ჭეშმარიტების ცხოვრებაში გატარებისთვის ჩვენ ოჯახიც გვჭირდება და მეგობრებიც.

ამ ადრეულ ეკლესიაში, ქალებს ჰქონდათ ხმის ამოღების უფლება. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ანანიას და საფირას ინციდენტი სხვაგვარად წარიმართებოდა. საქმე მოციქულთა 5:1-11-ში, ჩვენ ვკითხულობთ ამბავს ქმარზე, რომელიც თავისი ცოლის იქ არ ყოფნის დროს ატყუებს პეტრეს და მკვდარი ეცემა

## კონცურენციის გარეშე

ძირს. სამი საათის შემდეგ, მისი ცოლი მოდის. მან არაფერი იცის თავისი ქმრის სიკვდილის შესახებ, მაგრამ იცის, თუ რა პასუხი უნდა გასცეს პეტრეს. როდესაც პეტრე ჰქითხავს მას, იგი იმეორებს იმ ტყუილს, რომელზეც ის და მისი ქმარი შეთანხმდნენ, და მის მსგავსად ისიც მკვდარი ეცემა ძირს. როდესაც საფირამ ტყუილის თქმა არჩია, ნაცვლად იმისა, რომ სიმართლე ეთქვა, სასჯელად მან სიცოცხლე დაკარგა. მან არასწორად გამოიყენა თავისი ხმა. მას სიმართლე რომ ეთქვა პეტრესთვის, იცოცხლებდა.

როდესაც ადგილი აქვს წყალობისა და მადლის უსაზღვრო გამოცხადებას, არავინ რჩება ყურადღების გარეშე. ქალებსაც და მამაკაცებსაც, თანაბარი წვლილი შეჰქონდათ. მრავალი მათგანი ცხოვრებაში პირველად განიცდიდა ამ დინამიკას. ღმერთმა სცხო ისინი, რომ აღედგინათ ის, რაც დაცემის შედეგად დაკარგეს. მამაკაცები და ქალები გვერდიგვერდ შრომობდნენ „მათი ქალაქების მინდვრებში და დედამიწის შორეულ კუთხეებში“ მადლითა და ძალით. საქმე მოციქულთა 2:46-47 ამგვარად აღწერს ადრეული ეკლესის რიტმს:

„ყოველდღე ერთსულოვნად იყვნენ ტაძარში, სახლებში პურს ტეხნენ და მხიარულებითა და გულუბრალოებით ღებულობდნენ საზრდოს. აქებდნენ ღმერთს და მთელი ხალხის წინაშე იხვეჭდნენ კეთილგანწყობას, ხოლო უფალი ყოველდღე მატებდა ეკლესისა გადარჩენილებს“.

ეს მუხლები აღწერენ ყოველდღიურ რიტმს, რომელიც ადრეულ ეკლესისა ამშვენებდა. ებრაელი მორწმუნეები ერთად დადიოდნენ ტაძრებში, იკრიბენოდნენ მოზიარეობით სავსე სახლებში და მაგიდების გარშემო სხდებოდნენ მადლიერებითა და კეთილშობილებით აღსავსე გულებით. მათი ცხოვრება მათი ღვთის ქებით იყო აღსავსე და ისინი მადლს პოულობდნენ ადამიანთა თვალში.

რატომ ვიფიქრეთ, რომ იესოს საპატარძლო, მისი ეკლესია ოდესმე გამორიცხავდა, შეამცირებდა, დაამცირებდა ან დააკირინებდა ქალებს? რატომ მივიღეთ ის ტყუილი, რომ ჩვენ მათი მსგავსი გმირები არ ვართ?

ძალიან დიდი ხნის მანძილზე, მამაკაცებისა და ქალების თანამოქმედების იდეა, დაფარული იყო. ეგოიზმითა და წინასწარ შექმნილი ცუდი აზრით ცხოვრების ნალექმა, ორივე სქესი დაჭრილ მდგომარეობაში დატოვა.

მაგრამ ეს არ არის ჩვენი ამბის დასასრული ან საბოლოო სიტყვა. ზეციურ დიზაინში სქესი არც დაჭრის პრობლემას

და არც მეტოქების ბრძოლის ველს არ წარმოადგენს. ჩვენ ჩვენი განსახვავებულობით ვართ გაერთიანებული და უფრო მეტად ძლიერი ვართ ერთად, ვიდრე ცალ-ცალკე ვყოფილვართ ოდესმე. ღვთის ძებისა და ასულების, როგორც ერთ პიროვნებად ცხოვრების დიდებულება, ჯერ კიდევ უნდა გამომჟღავნდეს ამ ქვეყანაზე. და ჩვენი ერთობის მეშვეობით, ფარდა ჩამოქსნება შემოქმედის ხატებას და უზენაესის დიდება, როგორც იქნება, მთელი თავისი თვალისმომჭრელი სიკაშვაშით გამოანათებს.

## სადისაუსიო სიტყვები

1. რომელია ის ბრძოლები, რომელთა წარმართვაც მამაკაცებს მარტოებს უწევთ?
2. როგორც ქალს, ოდესმე თუ განგიცდიათ ღვთის მოწოდებასა და მამაკაცთა ტრადიციების საზღვრებს შორის არსებული დაძაბულობა?
3. როგორ გამოიყურება თქვენს ცხოვრებაში დიადი დავალება?
4. როგორ გრძნობთ თავს პირადად თქვენ შემდეგი დახასიათებების მოსმენისას: „შეუსაბამო“, „მიამიტი“, და „ადვილად მოსატყუებელი“?
5. როგორ შეგიძლიათ განავრცოთ თქვენი უნარი სახარების ქადაგების საქმეში?
6. რომელია ის სფეროები, რომელშიც ხაფანგში აღმოჩნდით დამნაშავის პოვნის პროცესში?



# შიგისა და სიყვარულის მეტოქეობა

„სიყვარული სულის სილამაზეა“.

ნეტარი ავგუსტინე

**ქ**ხლახან მე და ჯონმა ერთობლივი კითხვა-პასუხის სესია მოვაწყეთ ქორწინებასთან დაკავშირებით ჩვენს საყვარელ ეკლესიაში. ეს სალამოს შეკრება ისეთ ეკლესიაში მოეწყო, რომელიც ერთ ოჯახად გრძნობს თავს. როდესაც სესია დასრულდა, ერთი დიდი შეკითხვა გაჩნდა. „ქორწინებაში ოცდაათ წელზე მეტი ხნის ყოფნის შემდეგ არის ისეთი რამ, რასაც ამ გადასახედიდან სხვანაირად გააკეთებდით?“ ამ კითხვაზე მე მომიწია პასუხის გაცემა. რაკი ცოტა დრო მქონდა, მინდოდა, რომ ჩემი პასუხი მოკლეც ყოფილიყო და ჭეშმარიტიც. ღრმად ამოვისუნთქე და ვაღიარე: „ჯონს უფრო მეტი შეცდომის დაშვების წებას მივცემდი და უფრო უშიშრად შევიყვარებდი მას“.

თითქოს ტალღამ გადაუარა მთელს დარბაზს. სადაც ვიჯექი, იქიდან ვხედავდი, თუ როგორ იწმედდნენ სწრაფად ცრემლებს ქალებიც და მამაკაცებიც; ბევრი ღრმა ოხვრა ისმოდა. შიში სიყვარულის ყველაზე დიდ მეტოქეს წარმოადგენს.

მრავალი რამ, რისიც მემინოდა ჩვენს ქორწინებაში, ახლოსაც კი არ ყოფილა ასრულებასთან. იმ წუხილმა, რაც ღამით მტანჯავდა, მხოლოდ ჩემს სახეზე დატოვა კვალი. ისინი სხვა არაფერი იყო, თუ არა ფუნჯის მოსმა ჩემი ცხოვრების ტილოზე. ეს არ იყო შედეგი იმისა, რომ მე კარგად ვხატავდი; ეს ღვთის განსაცვიფრებელი ერთგულების შედეგს წარმოადგენდა.

## კონცურენციის გარეშე

მე სხვა ადამიანებზე მეტად არ მიყვარს შეცდომების დაშვება. მაგრამ ამ გადასახედიდან, მე უფრო მეტ რისკზე წავიდოდი. აქ, დედამიწაზე ყოფნისას, ვერასდროს შევიტყობ, თუ რამდენად გაგვაძარცვა მეც და ჩემი მეუღლეც ჩემმა შიშმა. მაგრამ ვიცი ერთი რამ – შიში საშინელი მრჩეველია ქორწინებაში. იგი პარალიზებას ახდენს და ატყვევებს იმას, რისი ამოძრავებაც სიყვარულს სურს. რამეთუ, ვაცნობიერებთ თუ არა ამას, სიყვარული და რისკი მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან.

მე გავიზარდე ისეთ ოჯახში, სადაც შიში სულევდა და არა სიყვარული. შიშს გამუდმებით ეძლეოდა ხმა ჩემი მშობლების ქორწინებაში. იგი მათ მეგობრობაში შეიპარა სწორედ მაშინ, როდესაც ოჯახს ფინანსები გამოელია. ოჯახში არასდროს იყო საკმარისი ფული, საკმარისი სიყვარული და საკმარისად სანდო ადამიანი. მამაჩემი მშენებელი იყო, მაგრამ შიშმა იმდენი ქნა, რომ ჩვენ ყოველთვის ისეთ სახლებში ვცხოვრობდით, რომლებიც სახლებს არც ჰგავდა. უთვალავი ღამეების განმავლობაში, მე და ჩემი ქმარების საწოლებში ვიწერით და დაძინებას ვცდილობდით, მაშინ როდესაც ჩვენი მშობლები ჩხუბობდნენ გვიან ღამით. ხელის ელექტროფარნის შუქზე ჩემს დღიურში ჩანაწერებს ვაკეთებდი და სიბნელეში ფიცს ვდებდი. ვფიქრობდი, რომ ეს მგზებარე ჩანაწერები დამიცავდნენ. ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ არასოდეს ვიქნებოდი მოწყვლადი. ჩემი მშობლები საბოლოოდ დაშორდნენ — ორჯერ — და ბოლოს, მტრულად დაშორდნენ და არა მეგობრულად.

როდესაც ქრისტიანი გავხდი, ჩემმა გულმა სახლი იპოვა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მე ვიცოდი, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი მასში. ჩვენი ქორწინების პირველ ათწლეულში ძალიან ბევრ ცრუ უსაფრთხოების ბადესთან მომიწია შეჯახება, რომლებიც ბავშვობაში ავაგე. მოწყვლადობაზე უარის თქმა ნიშნავდა იმას, რომ არ ვიცოდი, თუ როგორ მიმეტევებინა და როგორ მიმეღო პატიება. ამ ბადეების თოკები შემომხევივნენ მე და თითქმის მოახრჩეს ჩვენი ქორწინება. ჩემი მეუღლე არ ჰგავდა მამაჩემს, და მეც დედაჩემი არ ვიყავი, მაგრამ ჩვენს შორის იყო უთანხმოების ისეთი მომენტები, როდესაც იმ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ვიმეორებდი, რომლებიც მაშინ ვისწავლე, როდესაც ჩემს მშობლებს ეგონათ, რომ მეძინა.

ჩემი მშობლების შიშის მემკვიდრეობა ჩემს მომავალში გადმოვიტანე, და საჭირო იყო ამის შეჩერება, სანამ იგი ჩვენს ოჯახშიც მოიკიდებდა ფეხს. ჯონის ნაკლოვანებები ჩემს ნაკლოვანებებს უფრო დიდი მასშტაბით წარმოაჩენდა, ვიდრე წარმომედგინა. ნაცვლად იმის, რომ გამეკეთებინა ის, რაც

## შიშისა და სიჟვარულის მეტოქობა

ვიცოდი რომ სწორი იყო, იმ სცენარით ვიქცეოდი, რომელიც ბავშვობაში ვისწავლე.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვპატიებდი, ძუნნად ვიჩენდი წყალობას ჯონის მიმართ. ჩვენი ქორწინების აღთქმა სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა კონტრაქტს და ჩვენი სიყვარული მცირდებოდა ამ პროცესში.

უარს ვამბობდი მყვარებოდა ჯონი უშიშრად, რამეთუ მეშინოდა.

ჩვენი ქორწინების პირველ წლებში აღმოვაჩინე, რომ ჯონმა პორნოგრაფია და მასტურბაცია შემოიტანა ჩვენს ურთიერთობებში. (ჯონი და მე ძალიან გახსნილები ვიყავით ამ საკითხში). დავივიწყე რა, თუ რამდენად მოწყალე იყო ჯონი ჩემი წარსულის მიმართ, მე გავუცხოვდი მის მიმართ. როგორლაც, იესოს შეგონება: მივუტევოთ ერთმანეთს, ისევე როგორც ჩვენ გვეპატია, გაქრა ჯონის ცოდვის აღიარებასთან ერთად. მე შეშში ვცხოვრობდი და შეურაცხყოფას ვაყენებდი მას, როდესაც იგი ამ ცოდვისგან განთავისუფლებისთვის იპრძოდა ჩემი მცირე მხარდაჭერით, ზოგჯერ კი ჩემი მხარდაჭერის გარეშე. მე ამ გამოწვევას ჩვენად არ ვუყურებდი... ეს მისი გამოწვევა იყო. მიზეზი იმისა, რომ მე მას არ ვეხმარებოდი, ნაწილობრივ მდგომარეობდა იმაში, რომ ვგრძნობდი, თუ როგორ ტვირთად მედებოდა ჩემი საკუთარი წარსულის სიმძიმე, და შესაბამისად მჯეროდა, რომ არ ვიმსახურებდი ამაზე უკეთეს ბედს, რომელშიც ახლა ვიმყოფებოდი.

ჩვენ განუწყვეტლივ ვჩეუბობდით. მე ემოციონალურად გვერდზე გავდექიდა შორიდან ვუთვალთვალებდი მის ბრძოლას. რაღაც დონეზე მისი გასამართლება თავს უსაფრთხოდ მაგრძნობინებდა. თუ არ შეიცვლებოდა, არ მომინევდა მისი პატიება. ამან დაძაბულობა შემოიტანა ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროებშიც. ეჭვი არ მეპარება, რომ ამის შედეგად, ჩვენი ერთობლივი ცხოვრების პირველი რამდენიმე წელი უფრო რთული გახადა, ვიდრე სინამდვილეში უნდა ყოფილიყო.

ერთ ღამეს, მთელი ჩემი რისხვითა და უსუსურობით შევძახე ღმერთს: „მე მას მაშინ მივუტევებ, როდესაც ის შეიცვლება“.

რაკი განაწყენებული ვიყავი, ჩემსა და ჯონს შორის ნდობა დაირღვა და არ მინდოდა კვლავ იმედგაცრუებული დავრჩენილიყავი. ღმერთმა ჩემს განცხადებას კითხვით უპასუხა: „მენდობი, ლიზა?“

„დიახ“

„კარგია, მინდა, რომ აპატიო ჯონს, რათა ის შეიცვალოს!“

მან სიტყვებიც კი მომცა, რაც ჯონისთვის უნდა მეთქვა: „მჯერა, რომ შენ გინდა შეიცვალო და მე გპატიებ შენ“.

## კონცურენციის გარეშე

ეს მკვეთრად განსხვავდებოდა ჩემი ჩვეული სცენარისგან, რომელიც შემდეგნაირად უძღვდა: „მაშინ დავიჯერებ, რომ მართლაც ნანობ შენს საქციელს, როდესაც შეიცვლები“.

ამგვარი აზროვნება იმდენად შორს იდგა ყველაფრისგან, რაც ჩემთვის იყო ცნობილი, რომ დავიჯერე, ნამდვილად ღმერთი მხელმძღვანელობდა. როდესაც ეს უპირობო წყალობა ჯონს გავუნიდე, ჩვენთვის ორივესთვის განკურნების პროცესი დაიწყო. მან სირცხვილის სიბნელიდან სინათლეზე გამოსვლა შეძლო, სადაც თავისუფლება ჰპოვა. ეს ცვლილება გადამწყვეტ მომენტად იქცა. მე შევძელი, მივნდობოდი უცვლელ ღმერთს.

## უპირატესობა სიყვარული

უშიშარი სიყვარული დაფუძნებულია არა ადამიანის ძალისახმევაზე, არამედ ღვთის სიყვარულით აღსავსე ერთგულებაზე. როდესაც მე ვალიარებ ჩემს ცოდვებს და მიღრეკილებებს მამის წინაშე იესოს სახელით, არასდროს არ ვარ შერცხვენილი. მას სჯერა, რომ ჩემი მომავალი უკეთესი იქნება.

ეს არ არის უჩვეულო, რომ როდესაც ადამიანები იმედებს გვიცრუებენ, ჩვენ სიყვარულის გაცემას მათ მიმართ მცირე დოზით ვიწყებთ მათი დანაშაულის პროპორციულად, რათა მომავალში რისკი თავიდან ავიცილოთ. თავის წიგნში „ოთხი სიყვარული“, კ.ს. ლუისმა ბრძნელად ახსნა ამგვარი მიღვომის სიმცდარე:

„გიყვარდეს, ნიშნავს იყო მოწყვლადი. შეიყვარეთ რამე და თქვენი გული იქნება გატანჯული და შესაძლოა, გატეხილიც. თუ გსურთ დარწმუნდეთ მის სიმთელეში, არავის არ უნდა მისცეთ იგი, ცხოველსაც კი. ჩაკეტეთ იგი უსაფრთხო ზარდახშაში, ან თქვენი ეგოიზმის კუბოში. მაგრამ, იმ ზარდახშაში, რომელიც უსაფრთხო, ბნელი, უმოძრაო და უპაროა, იგი შეიცვლება. იგი არ გატყდება, არამედ გაუტეხავი, შეუდნევადი, გამოუსწორებელი გახდება. გიყვარდეს – ნიშნავს იყო მოწყვლადი“.

სწორედაც რომ ასეა. გიყვარდეს, ნიშნავს იყო მოწყვლადი. შესაძლოა, ჩვენ არ მოგვწონდეს ეს დაწყვილება, მაგრამ ალმოვაჩინე, რომ უბრალოდ არ არსებობს ამის თავიდან არიდების შესაძლებლობა (და დამიჯერეთ, მე ვცადე ეს). მაგრამ ნუ ფიქრობთ, რომ მოწყვლადობა ნიშნავს იმას, რომ თქვენ ძალადობის მსხვერპლი გახდებით.

## შიშისა და სიყვარულის მეტოქეობა

მოდი, უფრო ჩავუღრმავდეთ მოწყვლადობის რისკს! მოწყვლადობის ერთ-ერთი განსაზღვრებაა „დაუცველი“. მოწყვლადი ადვილად შეიძლება იყოს გათანაბრებული შიშველთან. სიშიშვლე სარისკოა, რამეთუ არაფერი რჩება დაფარული და დაცული. სიყვარული – უსაფრთხოების იდეალური ადგილია, სადაც შიშველი ხართ და არ გრცხვენიათ.

ჩვენი კულტურა მეტისმეტად სწრაფ ნახტომს აკეთებს სიშიშვლედან სექსუალურობამდე. ჩვენ უძლიერეს პოზიციაზე ვართ, როდესაც გახსნილად ვდგავართ ჩვენი უფლის წინაშე. ეს პარადოქსულარად ჩანს, მაგრამ ჯობია შიშველი იყო უზენაესის წინაშე, ვიდრე ამაოდ ვეცადოთ ჩვენი კაცობრიობა შევმოსოთ სირცხვილის საფარი ან თვითსამართლიანობის სამოსლით.

იესო ჩვენს გამო გახდა მოწყვლადი, როდესაც გაიძრო ღვთის ბუნება და ჩვენი მსგავსი გახდა, რათა ჩვენ მისი მსგავსი გავმხდარიყავით. იესო გახდა მოწყვლადი, რათა შემოქმედის ჩვენდამი სიყვარული ეჩვენებინა ჩვენთვის. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც შეგვიძლია: უშიშრად გვიყვარდეს... ძლიერი რწმენით გვწამდეს ... და დიდი იმედი გვქონდეს.

რწმენა, იმედი და სიყვარული: ეს სამი რჩება. ისინი ჰარმონიულად არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რათა მოგვცენ ძალა, რომ გავუძლოთ. ამ სამ ძალას შორის, უდიდესი არის სიყვარული. სიყვარულის გარეშე არ არსებობს რწმენის ჭეშმარიტი მოქმედება და სიყვარულის გარეშე არ არსებობს იმედი.

ღმერთი სიყვარულია. სიყვარული მუდმივია. სიყვარული არასოდეს მარცხდება, არაფერია დაკარგული, რაც მასზეა მინდობილი და არაფერი, რაც სიყვარულისგან იბადება, არ კვდება. მაგრამ არის ისეთი ადგილები, სადაც სიყვარული ვერ იზრდება; სიყვარული ვერ ყვავის თავისი მეტოქის, შიშის გვერდით. სინამდვილეში, შიშს აქვს დასასრული, შიში – ეს არის ჩიხი. შიში, ეს არის უწმიდური სული, რომელიც ტანჯვას იწვევს. შიშს ეჭვის ჩრდილიდან გამოაქვს თავისი რჩევა, მაშინ როდესაც სიყვარულს რწმენის სინათლიდან გამოაქვს სიბრძნე. თუ მეტისმეტად დიდხანს, ან მეტისმეტად კარგად უსმენთ შიშის რჩევას... მარცხს განიცდით.

მრავალი წლის წინ, როდესაც ჩემს პირველ წიგნს ვწერდი, გამოცხადება მივიღე, რომ შიშის საპირისპირო არა რწმენა ან სიმამაცეა... არამედ

შიშის  
საპირისპირო არა  
რწმენა ან  
სიმამაცეა...  
არამედ  
სიყვარული.

## კონცურენციის გარეშე

სიყვარული. უნდა გამხსენებოდა ბავშვობის გაკვეთილები, რომ სწორედ სიყვარულმა აქცია მშიშარა ლომი „ოზის საოცარ ჯადოქარში“ მამაცად. ეს იდეა ნამდვილად განივრცო, როდესაც 1 კორინთელთა 13-ში სიყვარულის ნაცვლად, შიშის ატრიბუტები შევიტანე.

„შიში მოუთმენელი და ბოროტია, როდესაც მას შურს და ყოყოჩობს; იგი ამპარტავნი და უწესოა. შიში ცდილობს თავისი გაიტანოს, იგი გაღიზიანებული და ნაწყენია; ხარობს უმართლობით, და არა ჭეშმარიტებით; შიში არაფერს იტანს, არაფრის სწამს, არაფრის იმედი აქვს და არაფერს ითმენს. შიშს დასასრული აქვს“.<sup>1</sup>

შიშის ნაყოფები და მოტივები, ენინააღმდეგებიან სიყვარულის გზებს. ყველაფერი კარგი, რაც კი ოდესმე გამიკეთებია, ნებისმიერი ცხოვრებისეული გაკვეთილი, რაც კი ოდესმე მის-ნავლია, განხორციელებულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავი დავალნიე შიშის საფარს.

არსებობენ მძაფრი შეგრძნებების მოყვარულები, რომელ-თაც უყვართ შიშის ალტკინება. ისინი მამაცები არიან, მაგრამ მხოლოდ ისინი არიან უშიშრები, ვისაც უყვარს.

ღმერთი სიყვარულია. სიყვარული უშიშრია. ღმერთი უში-შარია. ჩვენ უფალს ვეკუთვნით. ჩვენ შეგვიძლია გვიყვარდეს უშიშრად. როდესაც ჩვენ ღვთის უშიშრ სიყვარულს ვლებუ-ლობთ, ჩვენ უნარიანები ვხდებით: გვიყვარდეს უშიშრად... ვიცხოვროთ უშიშრად.

შესაძლოა, ეს პროგრესი ცხადი ჩანს, მაგრამ, მაინც მრავალი ადამიანი ისე იქცევა, თითქოს ღმერთი მოულოდნელად წაადგა მათ თავს. ჩვენ გვაშინებს და გვაპრაზებს ის, რასაც ვისმენთ და ვხედავთ, და წარმოვიდგენთ, რომ მისი პასუხი სისასტიკეზე, ბოროტებასა და უბედურებაზე, ჩვენი პასუხის მსგავსი იქნება, მაგრამ ეს ასე არ არის.

## სრულყოფილი სიყვარული

სიყვარულის მოტივის გარეშე მამაცი ადამიანები, მხოლოდ საკუთარ ყოყოჩობას წარმოაჩენენ. მათი ქმედებები უფრო მეტად მოტივირებულია სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენაზე, ვიდრე სიყვარულის გამოვლენაზე. მხოლოდ ჩანდე გაბედული, არ არის საკმარისი, რამეთუ ყველაზე მამაცური რამ, რაც შეიძლება ადამიანმა გააკეთოს, არის ის, რომ საკუთარ თავს

## შიშისა და სიყვარულის მეთოქობა

ავნოს სხვების საკეთილდღეოდ. ეს ნიშნავს იმას, რომ არის დრო, როდესაც ჩვენ საკუთარ სიცოცხლეს ვწირავთ, ნაცვლად იმისა, რომ პრძოლაში ჩავერთოთ.

„იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავს დადებს თავისი მეგობრისთვის“. (იოანე 15:13)

Message-ის თარგმანი ამბობს:

„ეს სიყვარულის საუკეთესო გზაა. თქვენი ცხოვრება რისკის ქვეშ დააყენეთ თქვენი მეგობრების გამო“.

ეს მოქმედება საჩვენებლად არ არის... იგი მეგობრებისთვის არის. 1კორინთელთა 13:3 შემდეგნაირად აფასებს სიმამაცესა და თავგანწირვას სიყვარულის გარეშე:

„მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფერი სარგებელი მაქვს“.

სიღარიბეში ცხოვრების აღთქმა ან მოწამეობრიობის აქტი სიყვარულის გარეშე, სხვა არაფერია, თუ არა რელიგიური შესაწირი.

იესო დიდი სიყვარულით შეიყვარა მამამ, და მან ჩვენც ისევე შეგვიყვარა, როგორც მამამ შეიყვარა იგი. სიყვარულმა მისცა მას ძალა, აღესრულებინა რწმენა, და ჩვენ მისი იმედის ხედვას წარმოვადგენთ.

მიუხედავად ჩემი წარსულისა, იესოს ვუყვარდი. მას არ შეშინებია იმის, რომ მე შეცდომას დავუშვებდი მომავალში. მან იცოდა, რომ ასეც იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველანი ჩავდივართ შეცდომებს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ შეცდომა ხართ. თუ ფიქრობთ, რომ შეცდომა ხართ... ცდებით.

მიუხედავად იმისა, რომ ვცოდვავ, მე ცოდვა არა ვარ. მიუხედავად იმისა, თუ რას ვგრძნობ ამასთან დაკავშირებით, იესომ გამართლა. ყველაზე უშიშარი, სიყვარულით აღსავსე გამოხმაურება მის იმედებზე ჩემი მხრიდან იქნება ის, თუ მის რწმენას მისადმი მორჩილი ცხობრებით მივაგებ პატივს.

„ვინც ცოდვა არ იცოდა, ის გახადა ცოდვად ჩვენ გამო, რათა ჩვენ გავხდეთ ღვთის სიმართლე მასში“. (2კორინთელთა 5:21)

## პონტურენციის გარეშე

იესო დაგვპირდა, რომ ის იქნებოდა პასუხი, რომელიც გადაწონის ჩვენს ნებისმიერ პრობლემას. თქვენ შეგიძლიათ, მთელი თქვენი დრო და ენერგია დაუთმოთ თქვენს ცოდვაზე კონცენტრირებას და დიდი დრო არ იქნება გასული, რომ მის გარდა ველარაფერს დაინახავთ. თქვენ გაოგნებული დარჩებით თქვენი ცოდვილობით და როდესაც ეს უკვე მეტისმეტი იქნება, შემდეგ სხვების ცოდვებს დაუწყებთ ყურებას. არასოდეს გამკვირვებია, როდესაც შემიტყვია, რომ ლიდერი, რომელიც მკაცრია სხვა ადამიანების მიმართ, საკუთარი თავის მიმართ უფრო მკაცრია. როდესაც საკუთარ თავს ვუყურებ, ნაკლოვანებებს ვხედავ; როდესაც ქრისტეს ვუყურებ, ჩემი ნაკლოვანებები იკარგება მის სინათლეზე. მის მიერ მოცემული შეხედულება ბევრად უფრო მეტად მომწონს.

„უმზირეთ მას და გაბრწყინდით, არასოდეს შერცხვება თქვენი სახეები!“ (ფსალმუნი 34:5)

იესო არ აძლევს უფლებას ჩვენს ცოდვებსა და ჩრდილებს დაბურონ მისი სიყვარული. როდესაც ჩვენ მოწყვლადად ვგრძნობთ თავს, ეს საუკეთესო დროა, რომ თვალები აღვაპყროთ იმედით, და არა სირცხვილისგან ავარიდოთ ისინი. მისი სრულყოფილი სიყვარული წინააღმდეგობაში მოდის ყველა ჩვენს შიშთან. რატომ უნდა მივცე უფლება ჩემს ნაკლოვან შიშს წინ აღუდგეს მის სრულყოფილ სიყვარულს? რომც არ მესმოდეს სიტყვა „რატომ“, ამ გამოთქმაში ვისნავლე, რომ შემიძლია ვენდო „ვის?“, რომელიც მასშია. რამეთუ უფლის სიყვარულს მეტოქე არ გააჩნია. მან შემიყვარა მე; ამიტომ მე ვარჩიე იმედი მასზე დამედო. ნება მომეცით, გარკვეული ცვლილებები შევიტანო 91-ე ფსალმუნში, რათა დავინახოთ ლვთის გზავნილი მისი ასულებისთვის.

„რადგან მტკიცედ დგას ჩემს სიყვარულზე, მეც გადავარჩენ, დავიცავ, რადგან იცის ჩემი სახელი“. (მუხლი 14)

როდესაც მართლაც დაფიქრდებით ამაზე: როგორ შეუძლია სიყვარულს, რომ რისკის ქვეშ დაგვაყენოს? როდესაც შეუძლებელია, რომ სიყვარულმა მარცხი განიცადოს? სიყვარულს გააჩნია ძალა, განკურნოს ის, რასაც ცხოვრება ჭრილობას აყენებს.

უშიშრად სიყვარულის მრავალი გზა არსებობს.

გაბედულად გიყვარდეს შენი მეუღლე, ეს მხოლოდ ერთი

## შიშისა და სიყვარულის მეთოებობა

სფეროა. შვილები და მშობლები უშიშრად უნდა გვიყვარდეს. ჩვენი მეგობრობა სიყვარულით უნდა იყოს და არა შურით, მესაკუთრეობითა და შიშით. შეგიძლიათ გიყვარდეთ ის, რასაც აკეთებთ და სადაც მუშაობთ. შეგიძლიათ გიყვარდეთ ის ორგანიზაცია, ან ეკლესია, რომლის წევრიც ბრძანდებით. შეგიძლიათ გიყვარდეთ კითხვა და სიცილი. მიუხედავად იმისა, თუ რა გიყვართ, ადრე თუ გვიან აღმოაჩენთ მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და იმედგაცრუებასაც კი.

რასაც შემდეგ ნაბიჯამდე მივყავართ: გიყვარდეთ თქვენი მტრები! რატომ შემოგვთავაზა იესომ ასეთი რამ?

რამეთუ სწორედ ასეთი სიყვარული გამოარჩევს ცხვრებს თხებისგან. ჩვენ გამოვირჩევით იმით, რომ გვიყვარს, ვისაც ზიანის მოყენება სურს ჩვენთვის. როდესაც შენ არჩევ გიყვარდეს ისინი, რომლებსაც, რომ შეეძლოთ გაგთოვაზვდნენ და ჭრილობებს მოგაყენებდნენ... რაღაც იცვლება. შენი გარემოებები რომც არ შეიცვალოს, შენ უკვე აღარ ხარ დატყვევებული; შენ თავისუფალი ხარ.

მასხსოვს, ერთი ისტორია წავიკითხე მონის შესახებ, რომელმაც სამოქალაქო ომის დროს არჩევანი გააკეთა, მედიკოსებთან მიეყვანა თავისი დაჭრილი კონფერატი ბატონი, ნაცვლად იმისა, რომ მიეტოვებინა იგი ბრძოლის ველზე. ეს არ იყო იოლად მისაღები გადაწყვეტილება, მაგრამ მან გამოავლინა, რომ ეს მონა უკვე ჭეშმარიტად თავისუფალი იყო. ამ აქტმა ბევრად უფრო ადრე გაათავისუფლა ეს ადამიანი, ვიდრე მოკავშირეთა არმია ამბოხებულებს დაამარცხებდა.

შესაძლოა, ვიღაცამ თავისუფლება გამოაცხადოს თქვენზე მთელი თქვენი ცხოვრების მანილზე, მაგრამ თქვენ მონობაში დარჩენა გადაწყვიტოთ, ან შეგიძლიათ თავისუფლებაში სიარული აირჩიოთ მაშინ, როდესაც ადამიანებს უგუნურად მიაჩინიათ, რომ თქვენ მათ ეკუთვნით. მესმის, რომ ტექნიკური მონობა, შესაძლოა, არასოდეს იქცეს თქვენი ცხოვრების რეალობად, თუმცა, როდესაც ადამიანებს მიაჩინიათ, რომ თქვენ დავალებული ხართ მათგან, ეს დავალიანების გარკვეულ ფორმას წარმოადგენს. არიან ადამიანები, რომელიც თავისუფლად გამოიყურებიან, თუმცა მონობაში ცხოვრობენ. თქვენ ვერ გააკონტროლებთ იმას, თუ რას ამბობენ ადამიანები თქვენს შესახებ, ან როგორ აღიქვამენ თქვენ, მაგრამ ძალგიძთ, რომ აირჩიოთ, თუ რა პასუხს გასცემთ მათ.

სიყვარული ირჩევს. შიში რეაგირებას ახდენს.

სიყვარული თავისუფლებაა. შიში ტყვეობაა.

სრულყოფილი სიყვარული დევნის შიშს.

კონცურენციის გარეშე

## მიუხედავად ყველაფრისა, გიყვარდეთ!

კენტ ბ. კეითის შემდეგ ციტატას ხშირად მიაწერენ დედა ტერეზას, რამეთუ მას იგი ყოველთვის თვალწინ ჰქონდა, როგორც, მუდმივი შეხსენება. დარწმუნებული ვარ, თქვენ მოგისმენიათ მისი ნაწყვეტები, მაგრამ მე აქ მას სრულად გთავაზობთ.

### პარადოქსული მცენებები

ადამიანები ალოგიკურები, უგუნურები და ეგოისტები არიან. მიუხედავად ამისა, გიყვარდეთ ისინი!

თუკი სიკეთეს სჩადით, ადამიანები თქვენი ქმედებების მიღმა ყოველთვის ეგოისტურ მოტივებსა და ქვენა გრძნობებს დაინახავენ. მიუხედავად ამისა, აკეთეთ სიკეთე!

თუკი წარმატებული იქნებით, ყალბ მეგობრებსა და ჭეშმარიტ მტრებს შეიძენთ. მიუხედავად ამისა, მიაღწიეთ წარმატებას!

თქვენ მიერ გაკეთებული კეთილი საქმეები, წვალ დაავინაყდებათ. მიუხედავად ამისა, აკეთეთ კეთილი საქმეები!

პატიოსნება და გულწრფელობა ადვილად მოწყვლადს გაგხდით. მიუხედავად ამისა, იყავით პატიოსანი და გულწრფელი!

დიადი ადამიანები დიადი იდეებით შეიძლება დამხობილ იქნენ პატარა ადამიანების პატარა გონებით. მიუხედავად ამისა, იფიქრეთ დიადზე!

ადამიანები კეთილგანწყობილნი არიან გაჭირვებულების მიმართ, მაგრამ მხარს უჭერენ წარმატებულებს. მიუხედავად ამისა, იბრძოლეთ რამდენიმე გაჭირვებულისთვის!

რასაც თქვენ წლები აშენებდით, ერთ დღეში შეიძლება დაინგრეს, მიუხედავად ამისა, აშენეთ!

## შიშისა და სიყვარულის მეტოქეობა

ადამიანებს მართლა სჭირდებათ დახმარება, მაგრამ აუცილებლად დაგესამიან თავს, თუ დაეხმარებით. მიუხედავად ამისა, დაეხმარეთ მათ!

მიეცით სამყაროს ყველაფერი, რისი მიცემაც შეგიძლიათ და აუცილებლად ჩაგდემენ ზურგში ლახვარს. მიუხედავად ამისა, მიეცით სამყაროს ყველაფერი, რისი მიცემაც შეგიძლიათ!<sup>2</sup>

ადამიანები იმედს გაგიცრუებენ... მაგრამ მაინც გიყვარდეთ ისინი. კენტ მ. კეითის სიტყვებში, საკუთარ თავს ვხედავ სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში. ოდესმე თუ გაგიცრუებიათ იმედი ვინმესთვის? მე – კი. ალბათ, მათ თავი გაუქნევიათ და წასულან ჩემგან ბუტბუტით: „ის ისეთი გამანბილებელია!“. მტრები და მეგობრებიც კი გულს დაგიჭრიან და გილალატებენ. თქვენ იცით, რა უნდა გააკეთოთ... მაინც გიყვარდეთ ისინი. თუ აპირებთ იცხოვროთ უკონეურენციო ცხოვრებით, ამ შემთხვევაში უნდა იცხოვროთ ცხოვრებით, რომელიც თქვენი ადამიანური აზროვნებისა და შესაძლებლობების მიღმაა.

ვიცი, რომ ეს თავიდან შესაძლოა უაზრობად მოგეჩვენოთ, მაგრამ, როდესაც ნებას მისცემთ ადამიანებს საკუთარ შეცდომებზე ისწავლონ, თქვენ მათ ამით ძალას შეჰმატებთ, რომ უფრო უკეთესნი იყვნენ მომავალში.

სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ აქ სამართლებრივი პასუხისმგებლის შეზღუდვის განაცხადი უნდა შემოვიტანო. შეცდომები, რომელთა შესახებაც მე ვსაუბრობ, არ მოიცავენ შემდეგს: ბოროტად მოპყრობას, გაცემას, ან არალეგალურ ქმედებებს. შეცდომები ხვდება გაუგებრობებისა და არასწორად განსჯის კატეგორიაში. ეს არ არის ის ქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია გარყვნილების, სისასტიკისა და დანაშაულებრივი ქმედებების ბინძურ განზრახვებთან. მე ვგულისხმობ დაცემებს, რომელთაც თითოეული ჩვენგანი განიცდის მაშინ, როდესაც სწორი მიმართულება გვაქვს არჩევლი.

წმიდანიც და ბოროტიც – ორივე მიდის გზაზე, ორივე მერყეობს და ეცემა. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ სიყვარული კვლავ წამოდგომას აიძულებს წმიდანებს. ბოროტნი კი, დაცემულნი რჩებიან და ხშირად ცდილობენ სხვებიც ძირს დასცენ, თავის გვერდით, მაგრამ წმიდანი დგებიან, სხვებსაც აყენებენ და წინ მიიწევენ (იგავნი 24:16). სიყვარული ყოველთვის კვლავ ფეხზე ადგომას ირჩევს.

## კონცურენციის გარეშე

„არამედ ჭეშმარიტების სიყვარულით მთქმელნი ყველაფერში ვიზრდებოდეთ მის მიმართ, ვინც არის თავი, ქრისტე. ვის მიერაც მთელი სხეული, ერთად შერწყმული და შეერთებული ყოველგვარი სახსრით, რომლითაც არის აღჭურვილი, სხეულის თითოეული ასოს სათანადო მოქმედებით ახორციელებს სხეულის ზრდას თავისი თავის სიყვარულში აღსაშენებლად“. (ეფესელთა 4:15-16)

ჭეშმარიტების სიტყვების სიყვარულით თქმა აშენებს სხეულს. სიყვარული ზრდას იწვევს ცხოვრების თითოეულ სფეროში. სიძულვილის სიტყვები იწვევენ ნგრევას და ანელებენ ზრდის პროცესს. და მაინც, სიყვარული სიძულვილსა და შიშჩე ძლიერია.

## იმედგაცრუებასთან გააბლავება

იმედგაცრუება იბადება მაშინ, როდესაც მოლოდინი არ მართლდება. სიყვარულს უკეთესის სჯერა, რაც დიდად განსხვავდება იმისგან, რომ იგი ითხოვს საუკეთესოს. მოლოდინი შესაძლოა, მალე გადაიზარდოს მოთხოვნაში, ისევე როგორც სიყვარული გაიზრდება და იმედში გადაიზრდება.

მე ვენდობი ჩემს მეუღლეს, მაგრამ ჩემი საბოლოო იმედი ღმერთია. ჩემს ქმარს და მე გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ გაგვიცრუებია იმედი ერთმანეთისთვის. ნაცვლად იმისა, რომ იმედგაცრუებაში გვეცხოვრა, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, დაგვეტოვებინა მისი სევდიანი საზღვრები. ჩვენ მადლობას ვუხდით ინციდენტს მისი წვლილისთვის, ვდგებით, ვსწავლობთ ჩვენს შეცდომებზე და ვაგრძელებთ გზას. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ასეთი მიდგომა უკეთესია, ვიდრე ჩვენი იმედგაცრუებების ირგვლივ ტრიალი, რამეთუ, ასეთი სახით ჩვენ სხვების შეცდომებს სხვა კუთხიდან ვხედავთ და მივუთითებთ მათ.

დამიჯერეთ, იყო დრო, როდესაც ჩვენ (შესაძლოა, ეს მხოლოდ მე ვიყავი!) ვფიქრობდით, რომ ეს კარგი იდეა იყო. ვფიქრობდი, რომ თუ შეცდომის თითოეულ ასპექტს განვიხილავდი და მის თითოეულ ნახნაგს საკმარისი სირცხვილით დავფარავდი, იგი აღარასოდეს განმეორდებოდა(ეს შეუბრალებელი პროცესი ჯონის და ჩემი შეცდომების მიმართ ჩავატარე).

ამ მიდგომამ არ იმუშავა, რამეთუ ჩემი ლოგიკა მცდარი იყო. ნაცვლად ამისა, აი, რა მოხდა. ჩვენ იმდენად ჩაჭიდებულები ვიყავით ამ შაბლონს, რომ მხოლოდ

## შიშისა და სიყვარულის მეთოების

ერთმანეთის ნაკლოვანებების დანახვა შეგვეძლო, რომელთაც ესოდენ ბეჯითად ვეძებდით ერთმანეთში. ნაცვლად იმისა, რომ საუკეთესო მხარეები გვეძებნა ერთმანეთში, ჩვენ ერთმანეთისგან ცუდს მოველოდით. ჩვენ ერთმანეთში სწორედ ის აღმოვაჩინეთ, რასაც ველოდით.

მე ყველა ჩემი შვილი მიყვარს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ურთიერთობებში არ ყოფილა იმედგაცრუება. თუმცა ეს იმვიათად ხდებოდა და უფრო ხშირად მე ვუცრუვებდი მათ იმედებს – ეს ჯერ ისევ ჩვენი ურთიერთობების ნაწილს წარმოადგენს. მე აგრეთვე მყავს მეგობრებიც, რომელთაც იმედი გავუცრუე.

იმედგაცრუება არ ნიშნავს იმას, რომ სიყვარული დასრულდა; ეს ნიშნავს იმას, რომ დადგა სულიწმიდასთან შეხვედრისა და მისგან რჩევის მიღების დრო. სიყვარული მოითხოვს ჩართულობას და რეალური ჩართულობა კითხვებსა და მოწყვლადობას.

საბოლოო ჯამში, მე ვერ მექნება მოლოდინი იმისა, რომ ჩემი მეუღლე, შვილები ან მეგობრები გახდნენ ჩემთვის ის, რაც მხოლოდ იესოს შეუძლია, რომ იყოს. თუ მე დაუუშვებ ამ შეცდომას და მათ მხსნელის პოზიციაზე დავაყენებ, ისინი აუცილებლად გამიცრუებენ იმედს, რამეთუ მე თავად წარუმატებლობის პოზიციაში ვარ.

საბოლოო ჯამში, შეცდომა მათი ნაკლოვანებებით კი არ არის გამოწვეული, არამედ ჩემი მცდარი მოლოდინით.

როდესაც თქვენ უკეთესს ელოდებით და ისინი ნაკლებს აკეთებენ... იმედგაცრუებული რჩებით. როდესაც თქვენ უკეთესის გწამთ, მაგრამ ისინი ნაკლებს აკეთებენ, თქვენ ხვდებით, რომ მათი ისტორია ჯერ არ დასრულებულა.

როდესაც თქვენ გრძნობთ ზეწოლას, განსაჯორ და ჩამოიშოროთ ის ადამიანები, რომელთა ასაშენებლადაც ღმერთმა მოგიწოდათ, ეს თავდაცვის მექანიზმს წარმოადგენს. დიახ, არიან ადამიანები, რომელთაც თქვენ გაურბიხართ, რამეთუ საერთო ენას ვერ პოულობთ. ამ შემთხვევაში, არიან ისეთებიც, ვინც თქვენ გაგირბით. მაგრამ უფრო ხშირად ადამიანები გაურბიან სხვებს იმის გამო, რომ მას შემდეგ, რაც იწვნიეს, არ სურთ კვლავ მოწყვლადები გახდნენ.

ღმერთს ყოველთვის უკეთესის სჯერა ჩემთან დაკავშირებით, ვიდრე მე. იგი არ მაგუებს მე ჩემს წარსულს, რამეთუ მას უპყრია ხელთ ჩემი მომავალი. მას გამოვყავარ ჩემი სიმხდალიდან და შიშისაგან, რათა საუკეთესო გამოამჟღავნოს ჩემში. პავლეს მსგავსი მოლოდინი ჰქონდა კორინთოს ეკლესისაგან:

## კონცურენციის გარეშე

„ვალიარებ, რომ ვშიშობ, როცა მოვალ, თქვენ გამანბი-ლებთ მე და მე გაგანბილებთ თქვენ, და ამ იმედგაც-რუების შედეგად, ყველაფერი ნაწილებად დაიშლება: შუღლი, შური, მძვინვარება, დავიდარაბა, ცილისწამება, ენატანიობა, სიამაყე და არეულობა“. (2 კორინთელთა 12:20 Message)

მოდი, ნუ გვექნება იმედგაცრუების მოლოდინი, რამეთუ, როგორც წესი, მოდის ის, რასაც ვეპატიუებით. უფრო მეტის მოთხოვნა და მოწონების არ გამოხატვა, ვიდრე ეს არ მოხდება, იზოლირებულსა და გაბრაზებულს გვხდის, ისევე როგორც ოცნების უარყოფა, უიმედოდ გვტოვებს. მოდი, გვჯეროდეს სხვების შესახებ ის, რისიც გვსურს, რომ მათ სჯეროდეთ ჩვენს შესახებ... რომ ჩვენ საუკეთესო ჯერ წინ გველოდება. მოდი, გვჯეროდეს რომ მათი შეცდომები მხოლოდ და მხოლოდ ჩავარდნებს წარმოადგენენ. თქვენს შეცდომებს არ აქვთ უფლება განსაზღვრონ თქვენი მომავალი.

თქვენ შეგიძლიათ, გამოეხმაუროთ იესოს ან შეგიძლიათ ბრაზობდეთ თქვენს წარსულზე. მხოლოდ თქვენს ხელთაა ეს ძალაუფლება.

ჩვენ სხვებს მოწყალების გარეშე გამოვრიცხავთ ჩვენი ცხოვრებიდან მაშინ, როდესაც თავად არ განგვიცდია წყალობა ჩვენს მიმართ.

## შიში გზა

შიში ძვირი დაგიჯდებათ. იგი მთლიანად გაგდარცვავთ. შიში მოიპარავს თქვენს ძალას, თქვენს ოცნებებს, ურთიერთობებს, ფინანსებს, რწმენასა, და იმედს. შიშს სურს გაგიფუჭოთ ან წაგართვათ ყველაფერი ის, რასაც სიყვარული უსასყიდლოდ მოგცემდათ. შიში შემთხვევით არ ჩნდება სცენაზე; მისი შეტევა ისეთივე უწყვეტია, როგორც მისი დროის შერჩევაა უზადო.

შიში არაფრად დაგიდებთ თქვენი დასვენების მომენტებს... იგი თქვენს ძილში შემოიჭრება და თქვენს ოცნებებს დაამახინჯებს.

შიში – ეს არის ძალა, იგი სულიწმიდის ძალის, სიყვარულისა და კეთილგონიერების სულიერ საპირისპირ ძალას წარმოადგენს. შიში მოდის, რათა მოახდინოს თქვენი პარალიზება, სწორედ ისევე, როგორც ღვთის სული მოდის თქვენს გასათავისუფლებლად.

შიში, არა მხოლოდ ზრდის მრავალი პერსპექტივისაგან

გაგძარცვავთ, არამედ მას სურს თქვენი მომავლის პერსპექტივაც მოგპაროთ. ორივეს – სიყვარულსაც და შიშისაც გეგმა გააჩნია თქვენს ცხოვრებაზე, ერთს – სასიკეთოდ, ხოლო მეორეს – საზიანოდ.

## სიყვარულის გზა

სიყვარული, პირიქით, უაღრესად გულუხვია. მას სურს, აღადგინოს: თქვენი ურთიერთობა, თქვენი ოცნებები და თქვენი იმედი. თითოეულ ჩვენგანს მიუწვდება ხელი ღვთის მიერ აღთქმულ ამ სიყვარულზე. მაგრამ შეცდომაა, წარმოვიდგინოთ, რომ სიყვარულის ახალი აღთქმები შიშის ძველ ქსოვილს მიეკერება. უფალს დიდი სურვილი აქვს, რომ ახალი განახლებულს შეუერთოს.

„არც ახალ ღვინოს ასხამენ ძველ ტიკებში, რათა ტიკები არ დასკდეს; ღვინოც დაიღვრება და ტიკებიც გაფუჭდება. ახალ ღვინოს ახალ ტიკებში ასხამენ და ორივე ინახება“. (მათე 9:17)

თქვენს შიგნით არის რაღაც ახალი, რისი შეკავებაც სურს შიშს. ნუ მისცემთ მას ამის უფლებას. უშიშარი სიყვარული სრულიად ახალ პაკეტს მოითხოვს. ერთხელ გასინჯავთ რა, სიყვარულის ახალ ღვინოს, თქვენ სხვაგვარად დაინახავთ ყველაფერს. ის, რასაც ადრე რუტინულ საქმედ თვლიდით, დღეს მსახურების შესაძლებლობად მოგეჩვენებათ. თქვენ ნამდვილად დაინტერესოთ გზების მოძებნას, თუ როგორ გახდეთ უფრო გულუხვი, ნაცვლად იმისა, რომ სიმდიდრის დაგროვებას ცდილობდეთ. სიყვარული შიშის მოცილებას ლამობს.

## უშიშარი ეალი

გასულ წელს ჩემმა ახლო მეგობარმა დაბადების დღის ღია ბარათი გამომიგზავნა, რომელიც ისე ძალიან მომენტია, რომ ჩემს სარკეზე მივამაგრე. მის წინა მხარეს გამოსახულია ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც ქსოვილის ნარჩენებისგან შეკერილი შარვალი აცვია, და წარწერა აქვს „ეს არ არის უბრალოდ ტანსაცმელი, ეს დამოკიდებულება“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა გაცვია, მთავარია როგორ გაცვია ის. სიყვარულის ტარება გაბედულად ჯობია.

## კონცურენციის გარეშე

სიყვარული არის ის, რაზეც თქვენ შრომა გიწევთ.

მე თქვენ ნამდვილ ჭეშმარიტებას გეტყვით: არაფერია უშიშარ ქალზე მიმზიდველი.

საუბარია არა უდარდელ ქალზე, არამედ უშიშარზე. ღვთის უშიშარი ასულები მის დაპირებებს ატარებენ რწმენით. ადამიანის ბუნება მხოლოდ უყურებს საკუთარ თავს, ხოლო ჩვენ გვევალება, რომ საკუთარი თავი ღვთის სიტყვის სინათლეზე გამოვიკვლიოთ. მაგრამ ჩვენ კეთილგანწყობილნი არ ვართ ჩვენი თავების მიმართ, როდესაც ვუყურებთ საკუთარ თავს.

შიში ჩვენი უუნარობის მიხედვით გვაფასებს; სიყვარული უშიშრად ტკბება

ღვთის უნარით.

შიში უკუაგდებს, სიყვარული იზიდავს.

რას ნიშნავს, იყო მიმზიდველი?!?

დამიჯერეთ, სინამდვილეში ეს უფრო მეტია, ვიდრე ჩანს. მანქანის ნამსხვრევები დიდ ყურადღებას იპყრობს. უფრო უკეთესად რომ გავიგოთ, მოდი ჩავუღრმავდეთ სიტყვას „მიმზიდველობა“, რაც ნიშნავს: „რაც მიახლოების სურვილს ბადებს“. იგი აგრეთვე ნიშნავს „მიზიდვას, ან შენკენ მიზიდვას ანდამატივით“. ის აგრეთვე ნიშნავს „ინტერესისა და გრძნობის ალტრას“.

თქვენი ცხოვრება არის ანდამატი: ან წყევლის, ან კურთხევების. ამიტომ ჰკითხეთ საკუთარ თავს:

რისი გეშინიათ?

რა გამოწვევების წინაშე დგახართ?

ვის არ პატივებთ მანამ, სანამ ის არ შეიცვლება?

სად არის თქვენი სიყვარული უხვად გადმოღვრილი და სად მცირე დოზებით?

მოქსოვეთ ჩახლართული ბადე შიშის დეკლარაციებთან?

დადგა რევანშის ალების დრო. ამ პროცესის დაწყება ისეთივე იოლია, როგორც ზეცის დეკლარაციების ექმ თქვენი ცხოვრების შეუდარებელი საოცრებების შესახებ. ამიტომ ამის დასაწყებად ტიმოთეს მიმართ ნათქვამი პავლეს სიტყვებისგან მე თქვენთვის ლოცვა შევქმნი.

„ჩემო საყვარელო ასულო, ვლოცულობ, რომ უხვად გადმოიღვაროს შენზე მადლი, წყალობა და მშვიდობა ჩვენი მამა ღმრთისა და ჩვენი უფლის ქრისტე იესოსგან!

## შიშისა და სიყვარულის მეთოების

ამ მიზეზით შეგახსენებ, გააღვივო ღვთის ნიჭი, რომელიც ჩემი ხელდასხმით არის შენში; რადგან არ მოგვცა ჩვენ ღმერთმა სიმძლალის სული, არამედ ძალის, სიყვარულისა და თავშეკავების.

მაშ, ნუ შეგრცხვება ჩვენი უფლის მოწმობისა... არამედ სძლიერ ყოველგვარ ბოროტს ღვთის ძალის გამოცხადებით. მან ჩვენ მკვდრეთით აღმდგარი სიცოცხლე მოგვცა და თავისკენ მიგვიზიდა თავისი წმიდა მოწოდებით ჩვენს ცხოვრებაში. და, ეს არ მომხდარა ჩვენ მიერ ჩადენილი კეთილი საქმეების გამო, არამედ მისი ღვთაებრივი სიამოვნებისა და საოცარი მადლის წყალობით, რამაც დაამტკიცა ჩვენი კავშირი ცხებულ იესოსთან, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ დრო დაიწყებოდა“. (2ტიმოთე 1:2, 6-9, ადაპტირებული)

მოაგვარეთ ეს. განამტკიცეთ ეს სიტყვები, როგორც ღვთის ნება თქვენს ცხოვრებაში. ილოცებთ ჩემთან ერთად?

ზეციერო მამა,

მე ვდებულობ შენი მადლის, სიყვარულისა და კეთილდღეობის გამოთავისუფლებას ჩემს ცხოვრებაში. მე ვაღვივებ იმ სულიერ ნიჭს, რომელიც მომეცა. ღმერთო, ვიცი, რომ შენ არ მოგიცია ჩემთვის შიშის სული, ამიტომ მე უარს ვამბობ შიშის რჩევის მოსმენაზე! მამაო, გმადლობ, რომ აღმიდგინე ყველაფერი, რაც ამ ქურდმა მომხარა!

შენ სულიშმიდა მომეცი მე, რომელიც იძლევა ძალას, ავტორიტეტს, სიყვარულსა და საღ აზრს, რომელიც სწორად განსჯის. დღეს, მე ვირჩევ სიყვარულს. მე არ მრცხვენია სახარების, მე უკან არ დავიხევ შიშით და შევიყვარებ უშიშრად.

### საღისაუსიო კითხვები

1. რა გზით შეგიძლიათ, რომ უფრო უშიშრად გიყვარდეთ?
2. არის ისეთი პრობლემა თქვენს ქორწინებაში, რომელსაც თქვენ თქვენი მეუღლის პრობლემა დაარქვით და არა „ჩვენი“ პრობლემა?
3. არის ისეთი სფეროები თქვენს ცხოვრებაში, სადაც მოწყვლადობის უკმარისობა, სიყვარულის უქონლობით აიხსნება? რა ნაბიჯების გადადგმა შეგიძლიათ ამის შესაცვლელად?

## პონტურენციის გარეშე

4. რომელია ცხოვრების ის სფეროები, სადაც შეცდომის დაშვებას ხსნიდით იმით, რომ თქვენ თვითონაც შეცდომა ხართ?
5. არის ისეთი ადგილი, სადაც წაიქეცით, მაგრამ გეშინოდათ კვლავ ფეხზე წამოდგომის? გაუზიარეთ ეს თქვენს მეგობარს ან თქვენს საყვარელ ადამიანს.
6. ხაზი გაუსვით უშიშარ ქალსა და უდარდელ ქალს შორის არსებულ განსხვავებას.

# 8

## ლრმა ჟაპურლილები და სურვილის ჟაპურლილები

„განსაცდელები გვაჩვენებენ ჩვენს რაობას; ისინი თხრიან ნიადაგს და საშუალებას გვაძლევენ დავინახოთ, თუ რისგან ვართ შექმნილი“.

ჩარლზ სპერშენი

**3** აპირებ ვივარაუდო, რომ თქვენ გსურთ, იყოთ ლოთის სიღრმის მქონე ქალბატონი. თუ სიღრმის მიღწევა გსურთ, თხრა მოგიწევთ.

მე ვეთანხმები ჩარლზ სპერჯენს: განსაცდელები ნამდვილად გამოცხადებას წარმოადგენენ. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა. მათ ჩვენი მასწავლებლის ფუნქცია აკისრიათ, მაგრამ დღის ბოლოს, ჩვენი გადასაწყვეტია, თუ როგორი მოსწავლეები ვიქენებით. არის დღეები, როდესაც გაკვეთილს სამიანზე ვაბარებ, ეს სუსტი ნიმანია, თუმცა გამსვლელი. როდესაც ეს ხდება, მე, როგორც წესი, გადაბარებაზე მივდივარ. სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ თუმცა სრულყოფილი ცხოვრებით არ ვცხოვრობ, მინდა რომ კარგი ცხოვრებით მაინც ვიცხოვრო. მე მაქვს უფლება ავირჩიო, განსაცდელები და გამოცდები ხელს შეუწყობენ ჩემს გარდაქმნას, თუ ისევ ისეთს დამტოვებენ, როგორიც ვიყავი.

ჩვენ ნაკლებად ვაკონტროლებთ იმას, თუ რა ხდება ჩვენს თავს, ან სხვები რას ამბობენ ჩვენს შესახებ, მაგრამ უსუსურნი არ ვართ, როდესაც საქმე ჩვენს ქმედებებს ეხება. ჩვენ გვაქვს არჩევანის გაკეთების უფლება, რაც ჩვენი პასუხის სრული კონტროლის საშუალებას გვაძლევს. და, იმ დროს, როდესაც სპერჯენის ციტირებას ვახდენთ, მოდი, წინ წავიდეთ და უფრო

## კონცურენციის გარეშე

ლრმად ჩავიხედოთ იმაში, რაც მან განსაცდელებზე ჩვენს პასუხად შემოვგვთავაზა!

„მე ვისწავლე იმ ტალღის კოცნა, რომელმაც კლდეზე მიმაგდო“.

ეს არის არატრადიციული, მოულოდნელი პასუხი იმაზე, რასაც ვერ ვაცნობიერებთ. ახლახან, ჩემს შვილიშვილს, სოფიას ვუყურებდი, რომელიც ტალღებს ეთამაშებოდა. იგი ყოველი ტალღის თავით დახვედრის სასწაულით ტკბებოდა. მას არ აწუხებდა ის, თუ რამდენჯერ ნააქციეს იგი ტალღებმა წყალში... ეს ხომ თამაში იყო. იგი სიცილით დგებოდა ფეხზე, იწმენდდა თვალებს და შემდეგი ტალღის მისალებად ემზადებოდა.

სპერსუნი ოკეანის ნაპირზე მდებარე კლდე კი არ გულისხმობდა, არამედ ქრისტეს, რომელიც არის კლდეს. ყოველი დღე – ეს არის ახალი შესაძლებლობა იმის განსასაზღვრად, თუ როგორ გამოვეხმაურებით ცხოვრებისეულ ტალღებს. თუ თავდაცვით პოზიციას დავიკავებთ, ამ შემთხვევაში, ნებისმიერი პრობლემა, რომელიც ცხადი გახდება, კვლავ პრობლემად დარჩება. თუ ჩვენ თავს დავიმდაბლებთ, ეს განსაცდელი საშუალებას მისცემს სულინმიდას, გაზარდოს ჩვენი სილრმე და შესაბამისად, ჩვენი ღვთისმოსაობის უნარიც. ცხოვრებისეული გამოწვევები გვიჩვენებს, თუ რისგან ვართ შექმნილნი, და არ ამცირებს იმას, თუ ვინ ვართ ჩვენ. ჩვენი იდენტურობა „ქრისტეშია“ გამყარებული, იმაზე დაფუძნებით, რაც მან გააკეთა, და არა იმაზე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ან რაც გაგვიკეთებია. განსაცდელები გვაყენებენ ისეთ პოზიციაში, რომ უფრო და უფრო დავემსგავსოთ ქრისტეს და შესაბამისად, უდრეუნი გავხდეთ. ქრისტე არის ყველასთვის ცნობილი კლდე, რომელიც ყველაზე მაღლა დგას. ის არის ჩვენი არსი, კლდე, რომელზეც ყოველ ღამე ვისვენებთ და შემდეგ, ყოველ დილით მასთან ერთად ვიღვიძებთ. მხოლოდ იქსოა ჩვენი კონსტანტა და ცენტრი.

## ნიადაგის მოზადება

მოდი, ზღვიდან მყარ ნიადაგზე გადავინაცვლოთ! მე ვცხოვრობ ულამაზეს, ზოგჯერ მწვანე, მაგრამ უფრო ხშირად გვალვიან ლანდშაფტის მქონე კოლორადოში, ამიტომ, ჩემს ცხოვრებაზე ფიქრისას, ადვილად მახსენდება ნიადაგი. ჩვენი ნიადაგი მყარია, რამეთუ ეს ექსტრემალური პირობებით არის განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ეზოში არსებული ნიადაგი უხეშია, ჩემი სურვილია, რომ ჩემი გული იყოს ნაზი.

## ლრმა ჰუბურლილები და სურვილის ჰუბურლილები

როდესაც უაღრესად დამწუხრებული ვარ განაწყენებით, მცირე იქნება იგი, თუ დიდი, ვერსად გავურბივარ შეგრძნებას, რომ ჩემი ნიადაგი დარღვეულ იქნა. ამოთხრილ მიწაში, მე ვხედავ გამანადგურებელ მატლებს, რომლებიც კვლავ მიწაში ჩაძვრომას ლამობენ. მე ვხედავ მიწის ქვეშ მათი საქმიანობის ნიმუშს. ალვნინავ, რომ ვიდრე ეს ჩემთვის ცნობილი გახდებოდა, ისინი ღრღნიდნენ ჩემი ქორწინების ფესვებს და ამცირებდნენ ჩემი მეგობრობის ყვავილების ზრდის პროცესს. როდესაც ეს ხდება (და ეს უფრო ხშირად ხდება, ვიდრე მე ვისურვებდი), ჩემი საუბარი ჩემს ზეციერ მამასთან, დაახლოებით ასე უნდა ჟღერდეს:

„ოჳ, არა, ეს საშინელებაა! როგორ მოხდა ეს? ზეციერო მამავ, ხედავ ამას? გაიგონე, თუ რა ვთქვი ახლა, ან გავიფიქრე?“

იგი მპასუხობს: „ლიზა, ეს გამოცხადება იყო შენთვის, მაგრამ არა ჩემთვის. უკვე დიდი ხანია, რაც ეს მატლები შენს ნიადაგში არიან. კითხვა შემდეგში მდგომარეობს, გსურს კვლავ დაიტოვო ისინი შენს ნიადაგში და რისკის ქვეშ დაყენო შენი მომავალი მოსავალი?“

უფრო ახლო დაკვირვების შემდეგ შეუძლებელია, არ შევამჩნიო თესლი, რომელიც ჯერ არ გაღვივებულა. ეს ის თესლია, რომელსაც დრო სჭირდება. ეს ღვთის ის დაპირებებია, რომლებიც ჯერ არ განხორციელებულა ჩემს ცხოვრებასა და ოჯახში. მე კითხვა მებადება, გაიზრდებიან თუ არა ისინი ოდესმე. ზეციერი მამა მოთმინებით მიხსნის:

„ეს ეპიდემია სწრაფად ვრცელდება. არჩევანი ყოველთვის თქვენზეა; თქვენ შეგიძლიათ, გაავრცელოთ თვალი აარიდოთ მათ მოქმედებას. მაგრამ, ისინი დარჩებიან. თუ გსურთ ამ ჭირისგან განთავისუფლება, თქვენ უარი უნდა თქვათ მათზე სიტყვითა და საქმით და უფლება უნდა მომცეთ მოგაშოროთ ისინი“.

დავინახე რა ისინი დღის შუქზე, მე უარს ვამბობ და ვალიარებ შურის, ეჭვისა და ადამიანთა ნინაშე შიშის ჭუჭყიანი მატლების არსებობას ჩემს ცხოვრებაში.

## კონცურენციის გარეშე

„კარგია – და რაკი აქ ვართ, ხედავ იმ სარეველა ბალახებს? მოდი, ისინიც ამოვძირკვოთ! თუ ნიადაგი თავისუფალი იქნება, უფრო გაგიადვილდება – და მოდი, ჩემი სიტყვის თესლი დავთესოთ მათ ნაცვლად!“

ერთი წუთით მოიცადეთ!... ახლა პრძოლა რეალურია. უხილავი მატლები ერთია, მაგრამ სულ სხვაა ყოველგვარი ხილული სიმწვანის მცირე რაოდენობის მოშორებაც კი აღთქმის მოლოდინის პროცესში. ვჩერდები, და სულელურად ვფიქრობ, ცოტა ხნით ხომ არ დავტოვო რამდენიმე სარეველა. იქნებ მანამდე დამეტოვებინა, ვიდრე სხვა მცენარე არ გამოჩნდება? მათ გარეშე ხომ ჭუჭყიანი ცარიელი სივრცე ვიქნები. მე ნინაალმდეგობას ვუწევ უფალს:

„მაგრამ, უფალო, ამ შემთხვევაში, ჩემი ნიადაგი შიშველი და უნაყოფო გამოჩნდება!“  
„ლიზა, ნაყოფიერი გინდა იყო, თუ ნაყოფიერად გამოიყურებოდე?“

და ეს კითხვა, ამ თაობისთვის არის. განა ის, თუ როგორ გამოვიყურებით უფრო მნიშვნელოვანია იმაზე, თუ ვინ ვართ? მზადყოფნამ იმისთვის, რომ მხოლოდ გამოვიყურებოდეთ ნაყოფიერად, შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ზრდის შემდგომი ეტაპები. ის, რაც საიდუმლოდ დაითესა, ერთ დღეს გამოააშკარავდება. მე ამოვიოხერე.

„კარგი, ამოძირკვე ისინი!“  
„მზად არის“. „

და აი, დავრჩი მე შიშველი ნიადაგით, მაგრამ შეურცხვენელი, რამეთუ მე ვიცი, რომ ახლა აღარაფერი შეუშლის ხელს მისი აღთქმების აღსრულებას ჩემში. განსაცდელები და მწუხარებები, ასუთავებენ ნიადაგს და აშორებენ იმას, რაც ხელს უშლის მომავალ ზრდას. ეს ყველაფერი, ემსახურება ჩვენს დახვენას და მომავალი პოტენციალისთვის მომზადებას. არსებობს სხვა სიტყვებიც, რომელთა მეშვეობითაც ადვილად შესაძლებელია სიტყვა „განსაცდელების“ ჩანაცვლება. ნუ მოგერიდებათ ჩაანაცვლოთ იგი სიტყვებით: მოსმენები, სირთულეები, შეფასება, ტკივილი და ტანჯვა, ექსპერიმენტები, გამოცდები, ან უბრალოდ ტესტები.

ჩვენი ძალა და სისუსტეები ამ გამოცდილებების დისკომფორტშიცვლინდება. კოლექტიურადდაინდივიდუალურად

## ლრმა ჰუბურილები და სურვილის ჰუბურილები

ეს განსაცდელები ხელს უწყობენ ჩვენი სულების მშრალი და უნაყოფო ადგილების განადგურებას, რათა ცხოვრების ახალი ეტაპისთვის მოგვამზადონ. ამ საფუძვლის გარეშე, ჩვენი ცხოვრება ვერ შეინოვს ღვთის სიტყვის დიდ ნაწილს. ჩვენი გულები დაემსგავსება უწყლოობის გამო გამხმარ ნიადაგს, რომელიც ვერ ღებულობს წყალს. თუ გამხმარი ნიადაგი არ მომზადდა, წვიმის წყლები გვერდს აუქცევენ მას და ჩვენ გვალვას განვიცდით სიუხვის შუაგულში.

განსაცდელები აგრეთვე გვასწავლიან, თუ ვინ არის ღმერთი.

იყო დრო, როდესაც შეგეკამათებოდით განსაცდელების მიზნობრიობასთან დაკავშირებით. მე გეტყოდით, რომ თუ თქვენ სიტყვის თანახმად ცხოვრობდით, არაფერი ცუდი არ შეგემთხვეოდათ. ახალგაზრდა და სულელი ვიყავი და ისეთ დოქტრინას ვიყავი ჩაჭიდებული, რომელიც ვერ გაუძლებდა დროის გამოცდას. მეგონა, რომ ეს სწავლება ლრმა იყო, მაშინ როდესაც იგი მხოლოდ ზედაპირული ცხოვრებისთვის მამზადებდა.

ყველაფერი, რაც სიცოცხლესა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება, მართლაც ღვთის სიტყვაშია, მაგრამ სწორედ ცხოვრებისეული განსაცდელები გვაიძულებენ მუხლებზე დადგომას, რათა ამ ჭეშმარიტებამ ჩვენს ცხოვრებაშიც იმუშაოს. ამ პოზიციაზე ყოფნისას უფლის სიტყვა აღარ იყითხება, როგორც წინადადებები ცხოვრების საუკეთესო პრაქტიკისთვის, არამედ როგორც თავად სიცოცხლის სიტყვები.

## ამოთხარე ჩემი ცხოვრება

ეს მოკლე და დამაბნეველი სეზონი იყო ჩემს ცხოვრებაში, ძირითადად იმის გამო, რომ მერჩივნა თავი მომეკატუნებინა და დამემარხა რაღაც-რაღაცები. ახალგაზრდა ვიყავი, ახალი მორწმუნე და ახალდაქორწინებული, და ჩემი ნიადაგის ამობრუნება ჯერ ახლა იწყებოდა. ჯერ მხოლოდ რამდენიმე ნაკანრი იყო გაკეთებული ზედაპირზე. მახსოვს, თუ როგორ შეიცვალა ყველაფერი. მე ლრმად ჩავერთე უფლის თაყვანისცემასა და ლოცვაში. უგუნურივით ვფიქრობდი, რომ რაკი ეკლესის წინა რიგში ვიჯექი, ახლადგამომცხვარი პასტორის ცოლის რანგში, მხოლოდ რამდენიმე რამ იყო ჩემს ცხივრებაში, რასაც გამოსწორება სჭირდებოდა. ამაში სრულიად დარწმუნებულმა ღმერთი მოვიპატიუე, რათა მას ამოეთხარა ჩემი ცხოვრება. ოცდაოთხი საათიც არ იყო ჯერ გასული, რომ ძალიან ვინანე ჩემი სიტყვები.

## პონტურენციის გარეშე

ძვირფასო ზეციერო მამავ,  
ამოთხრა ვახსენე? შეიძლება უკან წავილო ჩემი  
სიტყვები? ეს სიცხარეში ვთქვი. მე მინდოდა მეთქვა  
შეცვალე ჩემი ცხოვრების პეიზაჟი და მოაწყე იგი.

მან არ მომცა უკან დახევის ნება. ამოთხრა სულით ნათქვამი სიტყვა იყო. მრავალი ქრისტიანის მსგავსად მე ვცხოვრობდი ღრმა სევდითა და ზედაპირული ლოცვებით. თაყვანისცემის ამ სახიფათო მომენტამდე, როგორც წესი, ლოცვის შემდეგ სიცარიელეს ვგრძნობდი. სიტყვები, რომელთაც მე ვჩურჩულებდი, არ იყო ჩემი ცხოვრების კატალიზატორი, რამეთუ მე მოვალეობის მოხდის მიზნით ვლოცულობდი და არა ერთგულების შედეგად. ვლოცულობდი ისე, როგორც სხვები ლოცულობდნენ. დიახ, მოსმენილი მქონდა, რომ ლოცვა, ლმერთთან საუბარს წარმოადგენდა, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი, რომ არ წარმომედგინა საკუთარი თავი ანგელოზებით სავსე, ლვთის სატახტო ოთახში, რომლებიც ისმენდნენ ჩემს ლოცვას და სისუსტის გამო სასაცილოდ მიაჩინდათ იგი.

ასეთი აზროვნების გამო არ ვიცოდი, თუ რა სიტყვებით მელოცა, რათა დამეცხრო ის სასონარკუვეთილების ქარიშხალი, რომელიც ჩემს შიგნით ბობოქრობდა. არც ის ვიცოდი, თუ როგორ გავმკლავებოდი ჩემში რაღაც უფრო დიდის წყურვილს. მას შემდეგ ვისწავლე, რომ უფალი განსაცდელებს ჩემი ლოცვების გასაღრმავებლად გამოიყენებს. ვიდრე ლმერთს უფლებას მივცემდი, გაეთხარა ჩემი ცხოვრება, არ ვიცოდი, თუ როგორ მიმეცა მისთვის საშუალება, უფრო ღრმად ემოქმედა ჩემს შიგნით. ნებისმიერ სირთულეს ან განსაცდელს დაუყოვნებლივ ვდევნიდი ჩემგან იქსოს სახელით! ნაცვლად იმისა, რომ ენერგიულად შემეტია განსაცდელისთვის, მე ჩემს ძველ ჩვევებს ვიყავი მიჯაჭვული. თუ ისინი მაინც მიტევდნენ, მე გავრბოდი. თუ გაქცევა არ მშველოდა, ვიმალებოდი იმ იმედით, რომ ყველაფერი თავის თავად მოგვარდებოდა.

ცხოვრებისეულმა სირთულებმა შეშინებულ და გაპრა-ზებულ პიროვნებად მაქცია. მე მკაცრად ვეპყრობოდი სხვებს და უფრო მკაცრად საკუთარ თავს. საყვარელო, თუ შენც ასე იქცევი, მისმინე, ეს ცხოვრება მეტისმეტად რთულია იმისთვის, რომ მკაცრად მოეპყრათ საკუთარ თავს. რამდენიმე ათწლეულის მანძილზე აღმოვაჩინე, რომ სპერჯვენი მართალი იყო. თვალსაზრისით, რომელიც დრომ შეარბილა, ვხედავ, რომ ლვთის სიტყვა გვეუბნება, თუ ვის ვეკუთვნით და ჩვენი პასუხი განსაცდელებისადმი საბოლოოდ გვიჩვენებს, თუ

## ლრმა ჟაბურლილები და სურვილის ჟაბურლილები

რისგან შევდგებით. განსაცდელებს აქვთ ძალა გარდაგვსახონ იმ პიროვნებებიდან, ვინც ვართ, პიროვნებებად, როგორებიც გვსურს რომ გავხდეთ. მაგრამ ამ გზაზე სიარულის პროცესში, ჩვენ დავიჯერეთ სიცრუე, რომ ბრძოლაში ჩართვის გარეშეც შეგვიძლია ვიქცეთ გმირებად.

## ლრმა ჟაბურლილები

მიყვარს, როდესაც პიროვნებას, რომელიც უნდა გავიცნო, ლრმა ჭაბურლილს ადარებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ მათ შიგნით ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ეს ზედაპირზე ჩანს. ლრმა ჭაბურლილები იდუმალები არიან და მათ მრავალი ამბავი აქვთ, რისი გაზიარებაც შეუძლიათ, მე კი მიყვარს ამბების მოსმენა. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც ისეთ ნივთიერებასთან ჰქონდათ შეხება, რომელმაც სხვა ჭაბურლილები დააბინძურა, მაგრამ ამათი წყალი ხელუხლებელი დარჩა. ლრმა ჭაბურლილები შადრევნებად იქცევიან, რამეთუ მათ სხვებისთვის მოაქვთ სიცოცხლე. ლრმა ჭაბურლილი ნიშნავს იმას, რომ მათ არეკვლის დიდი უნარი აქვთ. როდესაც ლრმა ჭაბურლილს ესაუბრები, დიდი ალბათობაა უფრო მეტი შეიტყო საკუთარი თავის შესახებ, ვიდრე მის შესახებ.

მე ვიცნობ რამდენიმე ქალს, რომლებიც ლრმა ჭები არიან. ეს ის ქალები გახლავთ, რომელთა გაცმობაც ყოველთვის უფრო ახლოს მინდება. როდესაც მათ გვერდით ვარ, გარკვეულწილად მორცხვად ვგრძნობ თავს, რამეთუ კვლავ უამრავი კითხვა მაქვს. როდესაც ლრმა ჭაბურლილის გვერდით ვიმყოფები, ლაპარაკის ნაცვლად, ვარჩევ მას მოვუსმინო. მოსასმენი ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე სინამდვილეში ამბობენ. ჩემი სურვილია ვიყო ლრმა ჭაბურლილი, თუმცა, კვლავ ბევრი რჩება ისეთი სფერო ჩემს ცხოვრებაში, სადაც გუბეს უფრო ვგავარ.

ზოგჯერ ლრმა ჭაბურლილის გაცნობა, ჩემი მხრიდან საკუთარ გულზე შრომას მოითხოვს. მათ მაინცდამაინც არ აინტერესებთ, თუ რა წიგნები დავწერე, ან რომელ კონფერენციებზე გამოვედი სიტყვით. მრავალი მათგანი ყოფილა იქ და გაუკეთებია ეს ყველაფერი. ისინი უფრო შორს მიდიან. მათ არ სურთ იმის მოსმენა, თუ როგორ ვიღვრები; მათ იმის ცოდნა სურთ, თუ რითი ვავსებ საკუთარ თავს. ისინი ჩემი ქმრის, შვილების, შვილიშვილებისა და ჩემი გულის შესახებ მეკითხებიან. მათ იციან, თუ როგორ მომიდგნენ ტაქტიკურად. ვიდრე გავაცნობიერებ, თუ რა ჩავიდინე, მე საკუთარი უსაფრთხოების ყველა საზღვარს ვარღვევ და ყველაფერს ვუყვები

## პონტურენციის გარეშე

მათ (ეს არის პრაქტიკა, რომელიც ჩემს მეუღლეს არ უყვარს).

მე არ ვუყვარი მათ ყველაფერს ტკივილის საფრთხის გამო; მე ამას მათი კეთილი მოპყრობის გამო ვაკეთებ.

შევხვდი რა ამ ლრმა ჭაბურღილებს, მე რამდენიმე რამ აღმოვაჩინე. ლრმა ჭაბურღილად გახდომა ჯანსაღ დამოკიდებულებას მოითხოვს ცხოვრებისადმი. სილრმის ყიდვა შეუძლებელია, საჭიროა მისი შეძენა. იგი მოდის მაშინ, როდესაც საკმარისად მამაცნი ვართ იმისთვის, რომ წრფელი ვიყოთ. ამ თვალსაზრისით, სილრმე კუნთივით არის, რომელიც მუდმივად გამოყენების შედეგად ვითარდება.

## სურვილის ჟაგურღილები

ახლახან მე და ჯონს კასტინგის სააგენტო დაგვიკავშირდა. გართობის კონგლომერატი სატელევიზიო შოუს გაღრმავების პროცესში იმყოფებოდა, რათა უფრო მეტი სულიერი პერსპექტივა შეეტანათ მასში და ეჩვენებინათ დღევანდელ მსოფლიოში არსებული ლრმა პრობლემები. ამ საკითხთან დაკავშირდით ჩვენთვის არა ერთხელ მოუმართავთ. რეალიტი შოუს აგენტების მხრიდან რამდენიმე შემოთავაზების შემდეგ ვიცოდი, რომ არ მქონდა სურვილი მონაწილეობა მიმეღო ამ სპექტაკლში. ჩემი გუნდის წევრებს ვუთხარი, რომ არ ვფიქრობდი, რომ ეს მართებული იყო. მაგრამ ამ აგენტმა დაარწმუნა ჩემი გუნდის წევრები, რომ ამჯერად შოუ განსხვავებული იქნებოდა. შოუს პროდიუსერებს სჭირდებოდათ პიროვნება, რომელიც გაახსენებდა მათ აუდიტორიას იმ დღეებს, როდესაც ადამიანები ადგილობრივ ეკლესიებში მიდიოდნენ ცხოვრებისულ გამოწვევებზე პასუხების მისაღებად. ჩვენ მათ უხალისოდ შევპირდით, რომ განვიხილავდით ამ იდეას.

ჯონი ერთ ქალაქში იმყოფებოდა, ხოლო მე სხვაში, მაგრამ ჩვენ სატელევიზიო კონფერენციას დავთანხმდით. მათ რამდენიმე კითხვა დაგვისვეს, რომლებზეც ჩვენ პირდაპირი და წრფელი პასუხი გავეცით. პირადად მე არ ველოდებოდი, რომ კიდევ დამირეკავდნენ, მაგრამ მათ დამირეკეს. თქვეს, რომ მოეწონათ ჩვენი ენერგია და ინტერვიუს პროცესის შემდეგ დონეზე გადაყვანა სურდათ. იგი თავის თავში მოიცავდა ერთსათათან ზარს Skype-ში. მათ კითხვების სია გამოგვიგზავნეს, რომელზეც პასუხის მიღების იმედი ჰქონდათ ინტერვიუს განმავლობაში. პირველი კითხვა დაახლოებით ასე ჟღერდა:

## ღრმა ჰუბურლილები და სურვილის ჰუბურლილები

„ჩემს თექვსმეტი წლის გოგონას სექსი აქვს თავისიზე უფროს ზრდასრულ და სექსუალურად უფრო გამოცდილ მეგობარ ბიჭთან. ის მისთვის პირველია. როგორც დედამ, უნდა ჩავუტარო თუ არა მას ორსულობის ტესტი, თუ უბრალოდ ვაკონტროლო, დებულობს თუ არა იგი ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს? როგორ უნდა მოვიქცე?“

ჩემთვის ეს ელემენტარული იყო. გოგონა იყო არასრულნლოვანი, რომელიც თავისი მშობლების სახლში ცხოვრობდა. დარწმუნებული ვიყავი ჩემს პასუხში.

მე ავუხსენი მას, რომ ბიბლია ამბობს გავექცეთ სიძვას და არა ხელი შევუწყოთ მას. მე ოჯახს ვურჩიე დამსხდარივყნენ და აეხსნათ ამ გოგონასთვის, თუ რატომ ვეღარ შეხვდებოდნენ იგი და მისი მეგობარი ერთმანეთს...

ვიდრე კონცეფციის ახსნას შევუდგებოდი, კასტინგის აგენტმა შემაწყვეტინა და ამხსნა, რომ ა) მათ არ სურდათ სექსის შეწყვეტა; და ბ) არ სურდათ ბიბლიიდან ციტატების მოსმენა. მათ უბრალოდ სულიერი მრჩეველი სჭირდებოდათ. შემდეგ მან ამიხსნა, რომ სააგენტოს კითხვები დაებადა და რომ ეს შეკითხვა მისგან იყო. ეს მისი და იყო, ვისაც სექსი ჰქონდა და დედამისს სურდა გაეგო, თუ როგორ მოქცეულიყო. ამ მომენტში ჩვენ მივხვდით, რომ ეს ინტერვიუ აღარ უნდა გაგრძელებულიყო.

სააგენტომ იცოდა, რომ ჩვენ ბიბლიის მასწავლებლები ვიყავით, მაგრამ არ სურდათ, რომ ჩვენ გვეთქვა მათთვის, თუ რას ამბობდა ბიბლია. მათ სურდათ შევხებოდით ღრმა და სულიერ საკითხებს, მაგრამ არა ბიბლიას. განა შესაძლებელია ასეთი რამ? განა არსებობს ჭეშმარიტი სიბრძნე ღვთის რჩევის გარეშე? ამაზე დავყიქრდი, ჩვენი დღონის გურუს ციტირება რომ მომეხდინა, იქნებოდა თუ არა ეს მათთვის მისაღები? მათ ჩვენგან ზედაპირული პასუხების მოსმენა სურდათ, რომლებიც ღრმა გამოჩნდებოდა — სურვილის ჭა.

მათ კონფლიქტის თავიდან არიდება სურდათ. არ სურდათ, რომ ჩვენ შეურაცხყოფა მიგვეყნებინა ვინმესთვის იმის თქმით, რასაც ისინი აკეთებდნენ, შეიძლებოდა არასწორი ყოფილიყო. მათ სურდათ, რომ ჩვენ გვეკურთხებინა არასწორი და გვეთქვა, რომ მათი ბოროტება კარგი იყო. მათი აზროვნება ასეთი იყო „რაც არის, არის“. მათ არ სურდათ, რომ ჩვენ ქრისტიანულ რწმენაზე ღიად გვესაუბრა; მათ სურდათ, რომ ჩვენ ფარულად ვყოფილიყავით ქრისტიანები. მათთვის ეს შემდეგს ნიშნავდა: „ღმერთი დიდებულია, მაგრამ მოდი, ნუ ვილაპარაკებთ იქსოსა და ბიბლიაზე!“

## კონცურენციის გარეშე

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დარწმუნებული ვარ, რომ მათ მოეწონებოდათ რომ მეთქვა: „დიახ, იყავით მოსიყვარულე დედა და დაუყოვნებლივ ჩაუტარეთ თქვენს გოგონას ტესტი სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე. მაგრამ, რაკი მაინც მანდ იქნებით, აიყვანეთ იგი შობადობის გრძელვადიან კონტროლზე, რათა დაიცვათ იგი დაორსულებისგან. შემდეგ ჯერზე, როდესაც ნახავთ მის მეგობარ მამაკაცს, უთხარით მას, თუ როგორ აფასებთ თქვენს ქალიშვილს. უთხარით მას, რომ თქვენ პატივს სცემთ იმ ფაქტს, რომ ის თქვენს ქალიშვილზე უფროსია და სექსში უფრო გამოცდილია. ჰკითხეთ მას, ხომ არ გამოიჩენს თავაზიანობას და მიიღებს პრეზერვატივების შეფუთვას, როგორც საჩუქარს ოჯახისაგან. ამგვარად, თქვენ ყველაფერს გააკეთებთ იმისთვის, რომ დარწმუნდეთ, რომ იგი არ გადასდებს სექსობრივი გზით გადამდებ რომელიმე დაავადებას თქვენს ქალიშვილს.

ხედავთ, რამდენად სასაცილოა ეს? მაგრამ მივხვდი. იმ პროდუსერებს არ სურდათ ბიბლიური ჭეშმარიტების მოსმენა; მათ უნდოდათ სურვილის ქაბურლილი. ფაქტობრივად, ისინი გვეუბნებოდნენ შემდეგას: „ჩვენ კაპიკებს გადმოგიგდებთ, თქვენ კი ამის სანაცვლოდ სურვილებს შეუსრულებთ ადამიანებს. აკურთხეთ მათი ცოდვა და კარგად აგრძნობინეთ თავი“.

ვშიშობ, ძალიან ბევრი ქრისტიანი დათანხმდა იმას, რომ კარგად იგრძნოს თავი, ნაცვლად იმისა, რომ მოისმინონ ის სიტყვა, რომელიც ღრმა ქაბურლილის განვითარებისთვის არის საჭირო. ძალიან ბევრი ქალია, რომელთაც ღრმა წყურვილი აქვთ, მაგრამ ზედაპირული ცხოვრებით ცხოვრობენ. მათ იციან, რომ ის ქვეყნიური რჩევა, რომელსაც ისინი მისდევენ, სხვა არაფერია, თუ არა მათი საკუთარი ხმის ექო, მაგრამ ისინი თავებს იტყუებენ, რომ მხოლოდ ეს არის, რაც არის... ამიტომ ისინი ცარიელი სურვილებით კმაყოფილდებიან. როდესაც ისინი საკუთარ ცხოვრებაზე ფიქრობენ...

მათ სურთ, არასდროს ეთქვათ ეს;

მათ სურთ, არ გაეკეთებინათ ეს;

მათ სურთ, ცოლად არ გაპყოლოდნენ ამა თუ იმ პიროვნებას;

მათ სურთ, ცოლად გაპყოლოდნენ ამა თუ იმ პიროვნებას;

მათ სურთ, ევლოთ სკოლაში;

მათ სურთ, უფრო მეტი მეგობარი ჰყოლოდათ;

მათ სურთ, ჰგავდნენ ამა თუ იმ პიროვნებას;

მათ სურთ, არ ეყიდათ ეს;

მათ სურთ, ეყიდათ ის;

მათ სურთ, მეტი ელოცათ;

## ლრმა ჰაბურღილები და სურვილის ჰაბურღილები

მათ სურთ, უფრო მეტი ეკითხათ ბიბლია;

მათ სურთ, უფრო დისციპლინირებულნი ყოფილიყვნენ;

მათ სურთ, უფრო მომთმენი ყოფილიყვნენ.

მხოლოდ სურვილი რომ იყოს საკმარისი, თითოეული ჩვენგანი შესანიშნავი, ლამაზი, ძლიერი და მამაცი იქნებოდა. უოლთ დისნეიმ თქვა: „ოცნება, ეს არის სურვილი, რომელზეც თქვენი გული ფიქრობს ღრმა ძილის დროს“. მჯერა, რომ ეს სიმართლეა, მაგრამ ოცნებაც და სურვილიც, რეალობად იქცევა მაშინ, როდესაც ფხიზლობთ. სურვილი ამოძრავებს ოცნებას და ჩვენ ვამოძრავებთ მოქმედებას. არ არის საკმარისი ვისურვოთ, რომ ყველაფერი კარგად იყოს... თქვენ უნდა აკეთოთ ყველაფერი კარგად. სწორედ აქ ვითარდება სილრმე.

## სიცრუის საფრთხე

„თავსნურავინმოიტყუებს. თუვინმეს თავისი თავი ბრძენი ჰვონია ამ საუკუნეში, და გაუგუნურდეს, რომ ბრძენი გახდეს. ვინაიდან ამ წუთის სოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე, როგორც სწერია: მათ ცბიერებაში შეიცყრობს ბრძენთ. და კიდევ: „იცის უფალმა ბრძენთა ზრახვანი, რომ ამაოა ისინი“. (1კორინთელთა 3:18-20)

ვიცი, რომ აქ ნათქვამია: თავს ნურავინ მოიტყუებს, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ქალს ადვილად შეუძლია თავისი მოტყუება. მაგრამ რატომ უნდა შეიყაროს თვალებში ნაცარი ვინმემ, ქალი იქნება ეს თუ კაცი, და მოატყუოს საკუთარი თავი? პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ არავის არ სურს იყოს მოტყუებული. როგორც ჩემი მეულლე ამბობს ხშირად, ტყუილის პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ის ატყუებს.

ტყუილი იწვევს იმას, რომ საგნები, ადამიანები, გარემოებები და რჩევები ჩანდნენ ისეთები, როგორებიც სინამდვილები არ არიან. ტყუილმა შესაძლოა ისე წარმოაჩინოს ღვთისადმი მორჩილება, როგორც კანონიერი მონობა. ტყუილმა შესაძლოა, შენი სულის მტერი შენს მეგობრად წარმოაჩინოს. ტყუილი შესაძლოა, ისე შორს წავიდეს, რომ ბოროტება სიკეთედ წარმოაჩინოს და სიკეთე კი ბოროტებად. სიცრუის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ამღერევს წყალს, სანამ ყველაფერი ისეთი ბუნდოვანი არ გახდება, რომ თქვენ გაგიჭირდებათ, რათა გაარჩიოთ, თუ რა ირწმუნოთ. ღმერთმა იცოდა, რომ ჩვენ ამ პოზიციაზე აღმოვჩინდებოდით,

## პონტურენციის გარეშე

ამიტომ მოგვცა სტანდარტი, რომელიც არ შეიცვლებოდა არც დროთა განმავლობაში და არც ადამიანური კულტურისა და ხასიათის ზემოქმედებით. ჩვენი სტანდარტია ღვთის სიტყვა და ღვთისმოსავნი არიან ამ სტანდარტის მატარებელნი.

არჩევანი ჩვენზეა: ამქვეყნიურ სიბრძნეს ავირჩევთ, თუ სამუდამო სიბრძნეს? როდესაც ქმნილება საკუთარ თავს შემოქმედზე ჭკვიანად მიიჩნევს, იგი ამით საკუთარ თავს ატყუებს. მხოლოდ ღვთის სიტყვას გააჩნია ძალა, მოგვცეს გარჩევის უნარი მაშინ, როდესაც გარემოებებმა წყალი აამდერიეს. წმიდა წერილის რჩევის გარეშე თქვენ შეცდომით მიიჩნევთ უგუნურებას სიბრძნედ.

როდესაც ეს ხდება, თქვენ ცრუ რწმენის საფრთხე გელით. გახსოვდეთ, გველის სიბრძნე ოსტატურად და მოხერხებულად არის შეფუთული! ოსტატურობა არწმუნებს თავის მიმდევრებს აქცენტის ერთი ასპექტზე გადატანით, მაშინ როდესაც, სინამდვილეში, სულ სხვა რაღაცის მიღწევას ცდილობს. გველი ადამთან და ევასთან მოკავშირის სახით მივიდა და თითქოსდა შიდა ინფორმაცია გადასცა მათ. მოკატუნა რა თავი გულახდილ, მზრუნველ მეგობრად, მან მიანიშნა მათ, რომ თუ ადამი და ევა კეთილისა და ბოროტის შეცნობას ისწავლიან, უფრო დაემსგავსებიან ღმერთს.

იგი დაპირდა მათ, რომ ისინი უზენაესის ნების მორჩილების გარეშე შეძლებდნენ, მიეღწიათ ამ დონისთვის. ადამია და ევას არ სურდათ, მოტყუებული ყოფილიყვნენ; მათ უნდოდათ ის, რასაც გველი შეპირდა. მათ არჩეს, დაეჯერებინათ ის, რომ ღმერთმა იცრუა, ნაცვლად იმისა, რომ ელიარებინათ, რომ ის, რაც გველმა თქვა, ჭეშმარიტებას არ შეესაბამებოდა. გველი დაპირდა მათ, რომ ისინი ღმერთებივით გახდებოდნენ, სინამდვილეში კი ისინი ულმერთოები უფრო გახდნენ. წმიდა წერილი გვაფრთხილებს:

ამქვეყნიურ  
სიბრძნეს  
ავირჩევთ,  
თუ სამუდამო  
სიბრძნეს?

„ღმერთია ჭეშმარიტი და ყოველი ადამიანი – ცრუ“. (რომაელთა 3:4)

ტყუილიდან გამოსავალს მონანიება წარმოადგენს; ეს მაშინ ხდება, როდესაც ჩვენ უგუნურებად მივიჩნევთ საკუთარ სიბრძნეს და ქედს ვიხრით უკუნისამდე ბრძენის წინაშე. მონანიებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ზურგს ვაქცევთ სიცრუეს, რათა ჭეშმარიტებას ჩავეჭიდოთ.

## ლრმა ჰაბურღილები და სურვილის ჰაბურღილები

სატანის ოსტატური დაპირებები დღესაც ისმის მთელს ქვეყნიერებაზე. მრავალი წლის წინ გველის წინადადებები ბევრად უფრო კეთილი, რბილი და ყოვლისმომცველი ჩანდა, ვიდრე ღვთის მცნება. ამ ყველაფრის შემდეგ თქვენთვის რომელი უღერს უფრო უკეთესად? ჭამთ და მოკვდებით, თუ ჭამთ და სიბრძნეს შეიძენ? გველი ჩვენს ადამიანურ ამპარტავნებასა და უგუნურებას ჩვენს წინააღმდეგვე იყენებს. ვის არ უნდა დაიჯეროს, რომ ჩვენ უფრო ბრძენები ვართ, ვიდრე სინამდვილეში ვართ? ამიტომ იგი მლიქენელობს. ჭეშმარიტება კი ისაა, რომ ქრისტეს გარეშე, არ არსებობს ჭეშმარიტი სიბრძნე. ყველაფერი, რასაც შეგვიძლია დავეყყრდნოთ, ეს არის ჩვენი მიწიერი, დროებითი პერსპექტივის შეზღუდული განჭვრეტა.

„ხოლო სული გარკვევით ამბობს, რომ უკანასკნელ დღეებში ზოგიერთები განდგებან რწმენისგან, დაუჯერებენ მაცდურ სულებს და ეშმაკთა მოძღვრებებს“. (1ტიმოთე 4:1)

სიცრუის სული ყოველთვის გეტყვით, რომ არსებობს სხვა ნათელიც უფლის სიტყვის გარდა. იგი ასევე გეტყვით, რომ ჩვენ ახლა ახალ ერაში ვიმყოფებით, და რომ ღმერთი აღარ გულისხმობს იმას, რაც მან ოდესლაც თქვა. ეს სულები გველის სიტყვებს იმეორებენ: ნუ მოუსმენთ ღმერთს; თქვენ იყავით საკუთარი თავის ღმერთები! მრავალ ადამიანს მხედველობიდან რჩება ეს, რამეთუ ისინი ფიქრობენ, რომ ტყუილი იზოლირებულია აშკარა ჯადოქრობისგან და სატანის თაყვანისცემისგან. თუმცა, უფრო ხშირად სიცრუის სულები და დემონები – ორივენი ერთ რამეზე მიანიშნებენ მაშინ, როდესაც სულ სხვა რამ აქვთ ჩაფიქრებული. თუ თქვენ ქრისტიანი ხართ, ისინი ვერ მიიღებენ თქვენს სულს, ამიტომ ყველანაირ ღონეს იხმარენ, რომ ხელიდან გამოგაცალონ თქვენი ძალაუფლება და დააბინძურონ თქვენი ჭაბურლილი. ძალიან ბევრი რამ, რაც უღვთობას წარმოადგენს ქვეყნიერებაზე, ძალიან გავრცელდა ჩვენს დროში. ჩვენ მკაცრად ვართ გაფრთხილებულნი:

„ოღონდ უღვთო და დედაბრულ ზღაპრებს მოერიდე და ღვთისმოსაობაში გაიწაფე; ვინაიდან ხორციელი წვრთნა ნაკლებად სასარგებლოა, ღვთისმოსაობა კი ყველაფერში გამოსადეგია, რადგან სიცოცხლეს აღგვითქვამს ანმყოშიც და მომავალშიც“. (1ტიმოთე 4:7-8)

## პონტურენციის გარეშე

ნუ დაუშვებთ შეცდომას იმის წარმოდგენით, რომ ეს დედაბრული ზღაპრები ბავშვური და უვნებელია, რადგან აღნერილია როგორც უადგილო და სულელური. ეს ასე არ არის. ეს არ არის ზღაპრები ან იგავები, რომლებიც ფანტაზიაშია ჩაქსოვილი, რათა ჭეშმარიტება გვასწავლონ მათი მეშვეობით; ესენი გახლავთ დემონების დოქტრინები, რომლებიც გამოგზავნილნი არიან რათა მოკლან, მოიპარონ და გაგვანადგურონ.

არ არსებობს ჭეშმარიტი სიბრძნე ღვთის რჩევის გარეშე.

იესო არასოდეს არ ჩერდება იქ, თუ რისი მოსმენა გვსურს ჩვენ, იგი უფრო შორს მიდის და გვეუბნება იმას, რისი მოსმენაც გვჭირდება.

## ცყლის ამოღვა ჩვენი ჰილა

თითოეული ჩვენგანის შიგნით ნამდვილი ჭაა. ეს არის ჩვენი სული, ადგილი, საიდანაც უნდა ამოვხაპოთ წყალი. იერემია მათ ჭებს უწოდებს:

„რადგან ორი ბოროტება ჩაიდინა ჩემმა ხალხმა: მე, ცოცხალი წყლების წყარო, მიმატოვეს და ამოკვეთეს თავიანთვის ჭები, დანგრეული ჭები, წყალს რომ ვერ იკავებენ“. (იერემია 2:13)

ჩვენი სული, ჭაბურლილები, შეიძლება მერყეობდეს მცირენ्वლიან ჭიდან ძალიან ღრმა ჭამდე; წყლის დონემ შეიძლება აიწიოს ან დაიკლოს ჩვენი უნარის მიხედვით. მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენად ღრმაა ჭა,... თუ იგი დანგრეულია, ვერ დაიკავებს წყალს. დროთა განმავლობაში, ჭა შეიძლება გალრმავებულ და გამაგრებულ იქნეს. ჭის მსგავსად, ჩვენი სულიც ჭურჭელს ან კონტეინერს წარმოადგენს. მასში ჩვენ ჩვენს ყველაზე ძლიერ სურვილებსა და შიშებს ვინახავთ.

ზოგჯერ ჩემი სულის ჭის წყალი უძრავად დგას. სხვა დროს მე ვგრძნობ, თუ როგორ მოედინება იგი, თუმცა წყალი ყოველთვის იქ არის, მიუხედავად იმისა, ჭა ცარიელია, ნახევრად სავსეა, თუ გადმოედინება. უძველეს დროში მტერი აბინძურებდა ჭებს, რამეთუ ისინი აცნობიერებდნენ, რომ წყალი სიცოცხლის წყაროს წარმოადგენდა. ცხოვრების უხეშ მონაკვეთებსაც შეუძლიათ ამის გაკეთება.

როდესაც ვგრძნობთ, რომ ჩვენი ჭა გადავსებულია, შეგვიძლია, გავხსნათ იგი და ხმის ამოლების საშუალება მივცეთ ჩვენს ღრმა მწუხარებასა და სურვილებს. როდესაც

## ლრმა ჰაბურლილები და სურვილის ჰაბურლილები

თავს ვგრძნობ მოღუშულად, გაბინძურებულად და შესაძლოა, გაბოროტებულადაც კი, ზოგჯერ მხოლოდ და მხოლოდ საგალობელია საჭირო ჩემი ჭის გადახდისა და სულის დარწყულებისთვის. სიცილი, ოჯახთან და ლვთისმოსავ მეგობრებთან გატარებული დრო აავსებს ჭას. წმიდა წერილის კითხვა, დღიურის წარმოება და ლოცვა ისევე მარწყულებს, როგორც წყლის დალევა ცივი ნაკადულიდან ცხელ დღეს.

### ნარსულის მპრე ქალები

ჩვენ ყველას გვაქვს წარსული. ზოგიერთი ჩვენგანის წარსული სკანდალურად მრავალფეროვანია, ვიდრე სხვების. ზოგიერთ ჩვენგანს კარგი წარსული აქვს, ზოგიერთს კი – საშინელი. სინამდვილეში მთავარი არ არის ის, სასტიკი იყო თქვენი წარსული თქვენს მიმართ, თუ კეთილი; უდიდესი საფრთხე იმალება მცდელობაში, იცხოვრო წარსულით. ჩვენ არ ვიყავით შექმნილნი იმისთვის, რომ დიდების ან სირცხვილის ჩრდილში გვეცხოვრა. ღმერთმა შეგვექმნა იმისთვის, რომ აწმყოს შუქზე ვიცხოვროთ, და თან მომავლის შუქს შეცყურებდეთ, რომელიც უფრო და უფრო კაშკაშა ხდება. ეს არის წმიდანთა გზა.

მსმენია, რომ ადამიანურ ბუნებას აქვს ტენდენცია უკან იყუროს და წარსულზე ილაპარაკოს, მაშინ როდესაც ღმერთი წინ იყურება და ჩვენს მომავალს აცხადებს. კარგია ადამიანთა ისტორიების მოსმენა, მაგრამ წინსვლისთვის უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩვენ ვიცოდეთ მათი ოცნებები.

რაკი ვმოგზაურობ და სიტყვით გამოვდივარ, წილად მხვდა პრივილეგია ათასობით ქალისთვის მეთქვა იმედის სიტყვები. ნეტავ განახათ, თუ როგორ გაანათა გაგების შუქმა მათი სახეები, როდესაც გაბედულად განვაცხადე:

„თქვენს ცხოვრებაზე განხორციელებული შემოტევებს საქმე აქვთ უფრო იმ პიროვნებასთან, რომელიც თქვენ მომავალში გახდებით და არა იმასთან, რომელიც წარსულში იყავით“.

უეცრად ისინი ხვდებიან, რომ მათი ამბავი ჯერ არ დასრულებულა. ისინი აცნობიერებენ, რომ მათ ცხოვრებაში სტრატეგიული ბრძოლა მიმდინარეობს და რომ მტერი მიზანმიმართულად და მეთოდურად ეპრძების მათ. იმ მომენტში ისინი აცნობიერებენ იმას, რაც მსურს, რომ თქვენც იცოდეთ. ეს არ არის კავშირში თქვენს წარსულთან. არამედ ეს

## კონცურენციის გარეშე

ყოველთვის თქვენს მომავალს ეხება. დიახ, ჩვენს არჩევანს შედეგები მოსდევს. ეს გასაგებია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ რა ჩაიდინეთ თქვენ, ღმერთი უკვე თქვენს წინ წავიდა და გზა გაიყვანა იქ, სადაც თითქოსდა არანაირი გზა არ ჩანდა.

თქვენ უკან იხედებით და წარმოიდგენთ, რომ თქვენმა მოქმედებამ დაკეტა ის ერთადერთი კარი, რომელიც გქონდათ. იცით? ეს ტყუილია. დიახ, კარი დაკეტილია, მაგრამ თუ შემობრუნდებით, დაინახავთ, რომ სხვა კარი გელოდებათ. შესაძლოა, იგი სხვანაირად გამოიყურებოდეს და უფრო რთულიც იყოს, მაგრამ თუ ღმერთთან ითანამშრომლებთ, იგი ყოველთვის მიგიყვანთ იქ, სადაც საჭიროა თქვენი ყოფნა. ღმერთი ყოველთვის მოგცემთ საჭირო ინსტრუმენტებს ღრმა და გამაგრებული ჭის შესაქმნელად, რათა ამ ჭიდან სვათ წყალი.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მრავალი ჩვენგანი ზის გაბზარულ და თითქმის უწყლო სურვილის ჭასთან და ტირის. ჩვენ ვამბობთ: „ნეტავ, არ გამეკეთებინა ეს! მე ყველაფერი გავაფუჭე!“

შეუძლებელია! შენ, ჩემო ლამაზო მეგობარო, ასეთი ძლიერი არ ხარ. თუ შენ წარსულის მქონე ქალი ხარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალი არ გექნება. იყო წარსულის მქონე ქალი, არ გულისხმობს იმას, რომ ადამიანებს აქვთ უფლება შენი მომავალი აკონტროლონ. შენი მომავალი ღვთის ხელშია, ის აკონტროლებს მას. ნეტარი ავგუსტინე კარგ რჩევას გვაძლევს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დავიწყოთ ჩვენი ჭების გაღრმავება:

„მაღლა ასვლა გსურთ? დაბლა ჩასვლით დაიწყეთ. გეგმავთ კოშეის აგებას, რომელიც ღრუბლებს განგმირავს? ჯერ საფუძველი ჩაუყარეთ თავმდაბლობას!“

იესოს სწყურია, შეგვხვდეს ჩვენ ჩვენს ყველაზე დაბალ დონეზე და არა ერთხელ, არამედ მრავალჯერ. ძალიან ხშირად ჩვენ ვგრძნობთ საჭიროებას შეგვხდეთ მას გადარჩენის საწყის მომენტში, მხოლოდ იმისთვის, რომ ვიფიქროთ, რომ მან მიგვატოვა, რათა აქედან ჩვენით განვაგრძოთ სვლა. არაფერია ამაზე უფრო შორს მყოფი სიმართლესთან. ჩვენ ვხვდებით მას პირველად, როგორც ხსნის უფალს, და შემდეგ კვლავ და კვლავ ვხვდებით თავმდაბლობით, როგორც მას, ვინც აღადგენს ჩვენს სულებს და შეაკეთებს ჩვენი გულების გაბზარულ ჭებს.

## ლრმა ჰუბურილები და სურვილის ჰუბურილები დაგალ ცყლებში დახრიობა

როდესაც წვრთნებს გავდიოდი, რათა მაშველი გავ-მხდარიყავი, გავიგე, რომ ყოველ წელს, მრავალი ადამიანი იხრჩობა წყლის თითქოსდა უსაფრთხო სილრმეზე. სამ ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფში შედაბან: ძალიან ახალგაზრდები (ხუთი წელი და ქვემოთ), ახალგაზრდა და წინდაუხედავი მამრობითი სქესის ნარმომადგენლები (ოცი წლიდან ოცდახუთ წლამდე), და ხანდაზმულები (სამოც წელზე ზემოთ). საინტერსოა, რომ წყალში დამხრჩვალ მსხვერპლთა დაახლოებით ნახევარი უსაფრთხო დონის მქონე (6 ფუტი სიმაღლის) წყალში იხრჩობა. მათ პანიკა იცყრობს და ვერ აცნობიერებენ, თუ როგორ გამოიყენონ მათ ირგვლივ არსებული გარემო. სწორედ ამის გამოა, რომ ადამიანთა დიდი პროცენტი სამი, ან უფრო დაბალი ფუტის სიმაღლის წყალში იხრჩობა. ამ დროს მათ აზროვნების უნარი რომ ჰქონდეთ, მიხვდებოდნენ, რომ შეუძლიათ ფეხზე წამოდგნენ და იდგნენ, ვიდრე ვინმე მათ დახმარებას შექლებს ან დასხდნენ წყალში, ან სულაც დადგნენ ფეხზე და უსაფრთხო ადგილზე გამოვიდნენ ფეხით. ყოველთვის სილრმე არ არის მკვლელი; უბედური შემთხვევა ხდება დაბალ წყლებში პანიკის დროს. წინდაუხედავი ახალგაზრდები სათანადოდ არ აფასებენ წყალს და საკუთარი თავი დაუმარცხებელი ჰგონიათ.

ამიტომ მოდი, ნუ მივეკუთვნებით დაბალ წყალში დამრხჩვალ ქალთა შთამომავლობას! მოდი, მივცეთ საშუალება სული-წმიდას, ღრმად ამოთხაროს!

### ცოცხალი ჭა

როდესაც დასრულდება ეს მიწიერი სიცოცხლე, ჩვენ ყველას გვინდა მოვისმინოთ „კარგი“. სიტყვა „კარგი“ აღწერს იმას, თუ როგორ გავაკეთეთ ის, რისთვისაც ვიყავით მოწოდებული. არ არსებობს ისეთი რამ, რაც სრულყოფილად იქნებოდა გაკეთებული ადამიანის ცხოვრების ან სიყვარულის სქემაში. არიან მხოლოდ არასრულყოფილი ადამიანები, რომლებიც კარგად აკეთებენ ამას. ეს სიტყვა „კარგი“ საჩუქარია თითოეული ჩვენგანისთვის. ეს არის სიტყვა, რომელიც ნიშნავს ჯანსაღს და გონივრულს. იგი აღწერს ადამიანებს, ვინც მარცხს განიცდის და ეცემა, მაგრამ ყოველთვის ფეხზე დგება. ჩვენ ყოველთვის ფეხზე უნდა ავდგეთ დაცემის შემდეგ.

ასეთი პოზიცია უნდა დავიკავოთ, თუ გვსურს განვავითაროთ ის სილრმე, რომელიც დაგვიცავს. მოისმინეთ, თუ როგორ თარგმნის Passion-ის თარგმაზე იგავების 24:16-ს:

## პონტურენციის გარეშე

„რამეთუ ლვთის მოყვარულები შესაძლოა, წინააღმდეგობას წააწყდნენ და შვიდჯერ დაეცნენ, მაგრამ ისინი არ შეწყვეტენ კვლავ და კვლავ წამოდგომას“.

წინააღმდეგობა ცხოვრების უნივერსიტეტს წარმოადგენს. თითოეული კლასის სწავლება, შესაძლოა შეფასდეს იმით, თუ თქვენ რად გიჯდებათ, კიდევ ერთხელ წამოდგეთ ფეხზე. წამოდგომა, სარკეში ჩახედვა და იმის აღიარება, რომ შეგეშალათ, შესაძლოა რთული იყოს, და ძვირადაც კი დაგიჯდეთ. მაგრამ უმართლოთათვის წაბორძიკება შესაძლოა, ფატალური აღმოჩნდეს.

„მაგრამ უმართლონი მხოლოდ  
ერთი უბედურებით იქნებიან დაცემულნი  
და ვერასოდეს წამოდგებიან ფეხზე“.

მახსოვს, როგორ ვაკვირდებოდი ორი შესანიშნავი და ნიჭიერი ლიდერის ცხოვრებას, რომლებიც ერთნაირად წაბორძიკედნენ და დაეცნენ, მაგრამ რომელთაც სხვადასხავგვარი რეაქცია ჰქონდათ აღდგენის პროცესზე.

ერთი პასტორი დაემორჩილა იმ გეგმას, რომელიც მისი გუნდის წევრებმა და აღდგენის გუნდმა წარუდგინეს მას. ეს გეგმა ბევრს მოითხოვდა ლიდერისგან, მისი მეუღლისგან და ოჯახისგან. მათ მიატოვეს ქალაქი, სადაც მეგობრების გარემოცვაში ცხოვრობდნენ ამდენი ხნის მანძილზე, დატოვეს მათ მიერ დაფუძნებული ეკლესია. ისინი ახალ ეკლესიას შეუერთდნენ, რომელიც მათ განკურნების პროცესში დაეხმარებოდა. მათ ყველაფერი მიატოვეს, რაც მათთვის ნაცნობი იყო, რამეთუ სჯეროდათ, რომ ასეთი მიღვიმა ყველასთვის საუკეთესო გზა იქნებოდა განკურნების მისაღებად.

დარწმუნებული ვარ, რომ დრო და დრო, ისინი იფიქრებენ, რომ მათ მეტისმეტად დიდი მსხვერპლის გაღება მოსთხოვეს და რომ უსამართლოდ მოექცნენ. ვიცი, რომ ისინი გულნატკენებიც იქნებოდნენ იმ ადამიანების მხრიდან ზიზღის გამოხატვით, რომელთაც მეგობრებად მიიჩნევდნენ. სადაც ადამიანები არიან ჩართულები, იქ ყოველთვის აქვს ადგილი შეცდომას. მაგრამ მათ თავიანთი გულები წყენისაგან დაიცვეს და არჩიეს ყოველი დღე კარგის მოლოდინში გაეტარებინათ და წარსული არ ეგლოვათ.

ჯონმა ამ ლიდერთან ერთად ისადილა მისი მშვიდი სეზონის დროს, როდესაც იგი ისვენებდა, კვლაც მსახურებას იწყებდა, სწავლობდა და განკურნების პროცესს გადიოდა. დრო გავიდა;

## ლრმა ჰაბურღილები და სურვილის ჰაბურღილები

ისინი წინსვლას განაგრძობდნენ. ახლა ეს ოჯახი ჯანსაღია, მათ ქორწინებას არაფერი ემუქრება და მათი შვილები წარმატებულები არიან. ისინი მჭიდრო კავშირში არიან ეკლესიების დამფუძნებელ ორგანიზაციასთან ამერიკაში. ეს კავშირი საშუალებას აძლევს მათ ლიად გაუზიარონ სხვებს საკუთარი ცხოვრებისეული გაკვეთილები, დაეხმარონ სხვა ლიდერებს განკურნების მიღებაში და არ დაუშვან სხვა ლიდერების დაცემა იქ, სადაც თვითონ დაეცნენ. მე მანამდეც მიყვარდა ეს ოჯახი, მაგრამ ახლა უფრო გაიზარდა ჩემი პატივისცემა მათ მიმართ. ძალიან მადლობელი ვარ, რომ ისინი არ დარჩნენ დაცემულ მდგომარეობაში. დაცემის შემდეგ, ისინი კვლავ და კვლავ დგებოდნენ ფეხზე. ეს რთული იყო, მაგრამ მათ ბოლომდე გაუძლეს.

მეორე ლიდერი და მისი ცოლი, სულ სხვანაირად მიუდგნენ ამას. მახსოვს, რომ ჯონმა ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა ამ ლიდერს. მასში ჯონმა გაამსნევა იგი და უთხრა, რომ მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, იგი არ უნდა დანებებოდა. ის დაეთანხმა. მაგრამ მათ წინააღმდეგობას ვერ გაუძლეს. მათ გადაწყვიტეს, გამოთიშოდნენ პროცესს. მათ იფიქრეს, რომ ის, რასაც ლიდერები ითხოვდნენ მათგან, გონიერასთან შორს იდგა და რომ ისინი უსამართლოდ ეპყრობოდნენ მათ. შესაძლოა, ეს რაღაც დონეზე სიმართლეც იყო. ეს მხოლოდ იესომ იცის.

ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ წყენამ ისინი კვლავ იმ ჭაობში ჩააგდო, რომლიდანაც ჯერ ახლახან ამოვიდნენ. ისინი ექსპერტები გახდნენ იმაში, თუ რაოდენ ცუდად მოექცნენ მათ. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვისარგებლეთ იმით, რაც მათი ცხოვრების გზაზე შეისწავლეს.

მეორე გზა, რომლის მეშვეობითაც დაცემას გზიდან გადაჰყავხარ, ეს არის, როდესაც საკუთარ წაბორძიკებას ცხოვრების სასჯელად აღიქვამ და არა ცხოვრების გაკვეთილად. ის ფაქტი, რომ დაეცი, არ გაქცევს შენ წარუმატებელ ადამიანად. თუ ცოცხალი ხარ, არასასურველ გარემოებებთან მოგინევს გამკლავება. ნუ ფიქრობ, რომ ზოგიერთი ადამიანი გამონაკლისს წარმოადგენს. უბრალოდ, ზოგიერთი ადამიანი უფრო მეტი სულგრძელობით იტანს სირთულეებს, ვიდრე სხვები. საკმაოდ ბევრი რამ მინახავს იმისთვის, რომ ვთქვა, შეუძლებელია სირთულეების თავიდან არიდება. ადამიანები გულს გატკენენ ან იმედს გაგიცრუებენ; ზოგიერთი ამას განგებ გააკეთებს, სხვები კი გაუცნობიერებლად. ცხოვრება ჭრილობებს მოგაყენებთ ან საუკეთესო შემთხვევაში, უსიამოვნებებს მოგიტანთ. უბედურება ყველა ადამიანს ხვდება გარკვეულ დროს და გარკვეულ დონეზე. ეს არის მშვენიერი

## კონცურენციის გარეშე

ჭეშმარიტება. მრავალი რამ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში იმდენად მტკიცნეული, რომ ვფიქრობდი, არასოდეს დამავიწყდებოდა. მაგრამ ახლა მათი უმრავლესობა თითქმის აღარც მახსოვს. რატომ? მე ავდექი და ისევ განვაგრძე გზა. რაკი გზა განვაგრძე, ახალ წინააღმდეგობებს წავანყდი. ჩემი ხიდის ქვეშ იმდენმა წყალმა ჩაიარა, რომ იმან, რაზეც მეგონა, რომ ვერასოდეს გადავლახავდი ოცდაათი წლის ასაკში, მაგისტრის წოდება მომანიჭა ორმოცდაათი წლის ასაკში.

თითოეული ჩვენი წაბორძიგება, რაღაცის სწავლის კიდევ ერთ შანსს წარმოადგენს. ჩვენ ვიწყებთ დაპრკოლებებისა და საფრთხეების გარჩევას. ვამონმებთ, შეკრული გვაქვს თუ არა თასმები. ჩვენ ღვთის სიტყვას ვკითხულობთ, რათა მან გზა გაგვინათოს. დაცემის შემდეგ, ყოველი წამოდგომის შემდეგ, ჩვენი უნარი იზრდება. ჩვენი ჭები უფრო ღრმა ხდება, და უფრო მეტი ადგილი ეთმობა სულინმიდის სიცოცხლის წყლებს.

## ერთგული დასასრული

მოდი, ახლა ჩვენ სიტყვის „ჭა“ მეორე მნიშვნელობას გადავხედოთ! ჭა, გულისხმობს წყლის წყაროს, როგორიცაა ნაკადული, ან შადრევანი. როდესაც სიცოცხლესა და ძალას ცოცხალი წყლის წყაროდან ვლებულობთ, ჩვენ დარწყულების წყაროდ ვიქცევით სხვებისთვის. ცოცხალი წყლის ღრმა ჭებმა იცია, რომ მათი წყარო ამოუწურავია. ამ შემთხვევაში, როდესაც ადამინები გვიყურებენ ჩვენ, ისინი ღვთის უსაზღვრო ერთგულებას ხედავენ.

კარგად გააკეთებული საქმე, სისრულესთან არის დაკავშირებული. ბიბლია სავსეა ამბებითა და იგავებით კარგად და ცუდად დასრულების შესახებ. აქ ვკითხულობთ ნოეს შესახებ, რომელმაც წლები მოანდომა დიდი კიდობნის მშენებლობას. აგრეთვე ვკითხულობთ სამსონის შესახებ, რომელმაც კოლოსალური შეცდომის მიუხედავად, ღვთაებრივი ძალის სანახაობრივი დემონსტრირებით დაასრულა სიცოცხლე. აქ არის პეტრე, რომლის მიერ ქრისტეს უარყოფამ და პავლე, რომლის მიერ ქრისტეს დევნამაც, საფუძველი ჩაუყარა მათ მსახურებას. მათ საპირისპიროდ აქ არის კაცი, რომელმაც მშენებლობა დაიწყო ისე, რომ წინასწარ არ დათვალა ხარჯები. მან კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ მას დასცინეს იმის გამო, რომ ვერ დაასრულა დაწყებული (ლუკა 14:27-29). აგრეთვე დაწერილია მსახურის შესახებ, რომელსაც ერთი ტალანტი მიანდეს, რომელიც მან მინაში ჩაფლა თავისი ბატონის

## ლრმა ჰუბურლილები და სურვილის ჰუბურლილები

მოსკლამდე. მონეტები არ მრავლდება მინაში, ამიტომ, როდესაც მან ის ამოთხარა, მხოლოდ ის მიიღო, რაც დასაწყისში ჰქონდა. რაკი მან იქ დაასრულა, სადაც დაიწყო, ამის გამო მას ბოროტი უწოდეს და გარეთ გააგდეს (მათე 25:14-30).

ის, რასაც ეს ამბები გვიამბობენ, ეს,  
საბოლოო ჯამში, არ ეხება იმას, თუ რა  
ტემპით მივდივართ, არამედ იმას, თუ  
როგორ ვასრულებთ ჩვენს სარბიელს.

გამუდმებული, ერთგული, უდრევი  
მორჩილება, ყოველთვის მოგებული  
დარჩება აქტივობისა და ენთუზიაზმის  
შემთხვევით, აფეთქებებთან შედარებით,  
და თუ წავპორდიკუდით გზაზე, ან  
წავიქეცით კიდეც, მაგრამ, თუ თავს  
მაღლა ავწევთ და სწორი მიმართულებით  
გავაგრძელებთ სვლას, ღმერთი სახლში  
მიგვიყვანს.

ამ ცხოვრების მოგზაურობის კარგად  
დასრულება ჩვენგან იმას მოითხოვს, რომ  
ღრმა ჭები ამოვთხაროთ, რაც მიძლვნას  
საჭიროებს, რომ ერთგულად დავასრულოთ ის, რაც დავიწყეთ.  
ყველას შეუძლია სურვილის ჭის ამოთხრა, მაგრამ ჩვენ გვინდა,  
ამოვთხაროთ ღრმა ჭები, ცხოვრების ცისტერნები, რომლებიც  
ღვთის სიტყვით არის გაღრმავებული და სულინმიდის  
განმახლებელი შაღრევნებით არის განახლებული. სწორედ  
აქ შეიძლება უფლის დიდი ჯილდოს — სიცოცხლისა და მისი  
უბადლო აღთქმის პოვნა.

ეს, საბოლოო  
ჯამში, არ ეხება  
იმას,  
თუ რა ტემპით  
მივდივართ,  
არამედ იმას,  
თუ როგორ  
ვასრულებთ ჩვენს  
სარბიელს.

## სადისაუსიო კითხვები

1. რომელია ის სფერო, რომელსაც ღმერთი „თხრის“ ახლა  
თქვენს ცხოვრებაში?
2. როგორ აღწერდით ქალს, რომელიც ღრმა ჭას  
წარმოადგენს?
3. შესაძლებელია იყო სულიერი პიროვნება ბიბლიის  
გარეშე?
4. რა ავსებს თქვენი სულის ჭას? რა აცარიელებს მას?
5. რა გზით არის შესაძლებელი, რომ თქვენ უფრო  
სერიოუზულად მიუდგეთ თქვენი ჭის მდგომარეობას?



# 9

## ქალიშვილი მათოქის გარეშე

„ტირანი კვდება და მისი მმართველობა სრულდება,  
ნამეპული კვდება და მისი მმართველობა იწყება“.

სიორქენ კიერკეგორი

**კ**ს ქალი არ შეუშინდა ყველაზე ძლევამოსილ და უზნეო მმართველს მსოფლიოში.

იგი სახარებას გაბედულად წარადგენდა, რაც შეუდარებელ ქადაგებად განიხილებოდა.

მას სცემდნენ, განსაცდელებს გადიოდა, ანამებდნენ ყველა არსებული გზით, მაგრამ იგი მაინც ერთგული დარჩა სახარების, მეგობრებისა და თავისი უფლის.

დატყვევებულ იქნა, თუმცა მისი დაკავება შეუძლებელი იყო.

მარტოხელა იყო, მაგრამ შორს იყო მარტოობისგან.

მოციქულებს შორის იყო შერაცხული და ადრეული ეკლესიის ისტორიკოსების თქმით მის მსახურებას თითქმის არ ჰქონდა ანალოგი სასწაულებისა და ნიშნების მხრივ.

ალბათ ფიქრობთ, თუ რატომ არ იცნობთ მას?!

მესმის თქვენი. მე სულ ახლახან გავიგე მის შესახებ. იგი ერთ-ერთია იმ მრავალ ქალთაგან, რომლებიც ეკლესიის დედებად მოიაზრებოდნენ და რომელთა სახელებიც დროის ქვიშამ ჩამარხა. მთელი ცხოვრების მანძილზე მესმოდა სმები მისი გმირობების შესახებ. მისი გაცნობა მსურდა. არ მაკმაყოფილებდა მხოლოდ მითქმა-მოთქმის მოსმენა მის შესახებ, ამიტომ ეკლესიის ისტორიის რესურსები მოვიძიე, რათა მეპოვა იგი. ამ ძიების პროცესში, დავურეკე ბიბლიის

## კონცურენციის გარეშე

მკვლევარებს, ვექებდი წყაროებს ინტერნეტით და შევიძინე წიგნები. აღმოვაჩინე რა მისი სახელი, უკვე შემეძლო საქმარისი ნაწილების ერთად შეერთება, რათა გამეცნო იგი. რაკი მეტი რამ შევიტყე მის შესახებ, მართებულად ჩავთვალე, რომ ოქვენც გაგაცნოთ იგი.

მისი სახელია ფოტინა, ზოგჯერ მას ფოტინისაც უწოდებდნენ. ეს ბერძნული სახელია და ნიშნავს „განათლებულს“. ეს სახელი მან ქრისტიანული რწმენით ნათლობის შემდეგ მიიღო. ისევე როგორც თითოეული ჩვენგანის შემთხვევაში, ქრისტემ მისი ცხოვრებაც გამოცხადების შუქით აავსო. როგორც ქრისტეს ერთგული მორწმუნე, ისიც მათ შორის იყო, რომელნიც ზედათვალში შეიკრიბნენ. როდესაც სულინმიდა მოვიდა, ისიც იქ იყო; ცეცხლის ენა მასზეც ენთო, და იგი სულით აივსო და უცხო ენაზე ალაპარაკდა. ორმოცდამეთე დღეს ფოტინამ დიადი დაგალება მიიღო, ექადაგა სახარება დედამინის კიდემდე.

ჩვენმა მამაცმა დამ, ყველაფერი უკან მოიტოვა, რაც კომფორტულ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული და აფრიკის შორეულ მიწაზე გაემგზავრა. იგი მარტო არ ნასულა – მან თავისი ოჯახის დიდი ნაწილი წაიყვანა თან. მისმა შეხვედრამ ქრისტესთან იმდენად დიდი ტრანსფორმაცია მოახდინა მასში, რომ მისმა ორივე ვაჟმაც და მისმა ხუთმა დამაც ირწმუნა. ფოტინა, მისი ვაჟი, ისის დები, მსოფლიოს კიდეში გაემგზავრნენ, ისე, როგორც იესომ ბრძანა საქმე მოციქულთა 1:8-ში.

აფრიკაში, ისინი ყველანი ერთგულად შრომობდნენ, ავრცელებდნენ რა ქრისტეს სახარებას კართაგენში, გასაოცარ შედეგს აღწევდნენ. როდესაც მათ ყურადღე მოაღწია ამბავმა, რომ ნერონი, ჭკუიდან შეშლილი იმპერატორი, ატყვევებდა და დევნიდა ქრისტიანებს თავისი მმართველობის ქვეშ მყოფ ქვეყნებში, ფოტინამ ლვთის სიბრძნის ძიება დაიწყო. მას იესო გამოეცხადა სიზმარში და დაავალა რომში წასულიყო და წინ აღდგომოდა იმპერატორს. ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ გასცლოდნენ ნერონს, ისინი პირდაპირ შტორმის ეპიცენტრში აღმოჩნდნენ. ფოტინა, მისი ვაჟი და მისი დები, დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ რომში კართაგენელ ქრისტიანთა დიდი კონტინგენტის თანხლებით.

ისინი გააფრთხილეს, რომ თუ გახსნილად იცხოვრებდნენ ქრისტიანული ცხოვრებით, ამას შედეგები მოჰყვებოდა და ურჩიეს, თაყვანისცემის პირადი ფორმისთვის მიემართათ. გთავაზობთ მისი ვაჟის, ვიქტორის, რომელიც რომაელ ოფიცრად მსახურობდა, და რომაელი ჩინოვნიკის, სახელად სებასტიანის საუბარს.

„ვიქტორ, ვიცი, რომ დედაშენი და შენი ძმა ქრისტეს მიმდევრები არიან. როგორც მეგობარს, გირჩევ, დაემორჩილოთ იმპერატორის ნებას! თუ თქვენ დაასმენთ ქრისტიანებს, მათ ქონებას მიიღებთ. მე მივწერ დედაშენს და შენს ძმას, და ვთხოვ, რომ არ იქადაგონ ქრისტეს შესახებ საჯაროდ. საიდუმლოდ შეინახონ საკუთარი რწმენა. ვიქტორმა უპასუხა: „დედაჩემის და ჩემი ძმის მსგავსად მეც მსურს ქრისტიანობის მქადაგებელი ვიყო“. სებასტიანმა უთხრა: „ო, ვიქტორ, ჩვენ ორივემ ვიცით, თუ რა უბედურება გელით შენ, დედამენს და შენს ძმას!“<sup>1</sup>

რამდენი ადამიანი აღიარებდა გაბედულად საკუთარი რწმენის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მისი ეს გადაწყვეტილება მწუხარებას მოუტანდა მას. მოგვიანებით, ვიქტორმაც, თავისი დედის, ძმისა და დეიდების ბედი გაიზიარა. გთავაზობთ ამონარიდს უკვე ციტირებული დოკუმენტიდან, რომელიც ნერონთან მის პირველ აუდიენციას გვიჩვენებს.

„ფოტინის [ფოტინას] ჩამოსვლამ და საქმიანობამ ცნობისმოყვარეობა გამოიწვია დედაქალაქში. „ვინ არის ეს ქალი?“ – კითხულობდა ყველა – „იგი მიმდევართა დიდ ბრძოსთან ერთად ჩამოვიდა და დიდი გაბედულებით ქადაგებს ქრისტეს“. ჯარისყაცებს მისი იმპერატორთან მიყვანა უბრძანეს, მაგრამ ფოტინი ელოდა მათ. ვიდრე ისინი მას დააპატიმრებდნენ, ფოტინი თავის შვილთან, იოსებთან და ქრისტიან მეგობრებთან ერთად ნერონთან მივიდა. როდესაც იმპერატორმა დაინახა ისინი ჰერითხა თუ რა იყო მათი მოსვლის მიზეზი. ფოტინიმ უპასუხა: „ჩვენ მოვედით, რომ ქრისტეს რწმენის შესახებ გაუწყოთ“. იგი არ შეუშინდა რომის იმპერიის ნახევრად შემლილ მმართველს. მას მისი უფლისკენ მოქცევა სურდა!“<sup>2</sup>

რა გასაკვირია, რომ ნერონმა არ მიიღო ისინი. მან ბრძანა, რომ ისინი რკინის წნელებით ეცემათ ხელებში. დაცვამ წაიყვანა ფოტინა და მასთან მყოფი, რათა თავხედობის გამო დაესაჯათ. მათ შემდგომი სამი საათის მანძილზე სასტიკად სცემდნენ ხელებში რკინის წნელებით, მაგრამ ქრისტიანები ტკივილს ვერ გრძნობდნენ. ჯალათები დაიქანცნენ მათ ცემაში, ისინი კი საგალობლებს გალობდნენ. ქრისტეს არც ერთ მიმდევარს ცემის კვალი არ შეტყობია ხელებზე.

როდესაც ნერონმა შეიტყო, რომ ცემამ შედეგი არ გამოიღო, მან გეგმა შეიძუშავა, ფოტინა და მისი დები დაერწმუნებინა

## კონცურენციის გარეშე

უარი ეთქვათ ქრისტეზე. ამჯერად მან სიკეთის გამოჩენით გადაწყვიტა მათი გადაბირება. მან ექვსი ტახტი შეუკვეთა და დიდ საბანკეზო დარბაზში დაადგმევინა. ამ ტახტების წინ ოქროს და ვერცხლის ძვირფასეულობა და ლამაზი ტანსაცმელი დააწყობინა. ეს სიმდიდრე და ლამაზი ცხოვრება მათი გახდებოდა, თუკი ისინი უარყოფდნენ ქრისტიანულ რწმენას და მსხვერპლს შეწირავდნენ რომაულ ღვთაებას. მათ დასარწმუნებლად მან თავის ქალიშვილს, დომნინას მისი აგენტის როლის შესრულება დაავალა.

როდესაც დომნინა ოთახში შემოვიდა, იგი თბილად მიესალმა ფოტინას და ამ მისალმებისას, ქრისტე ახსენა. ფოტინას იგი ქრისტიანი ეგონა, გადაეხვია და გახსნილად დაიწყო საუბარი ქრისტეს გარდამსახველ სიყვარულსა და სასწაულზე მასთან, ვინც თავის სულიერ დად მიიჩნია. დომნინას შეეხო ღვთის სიტყვა, და ნაცვლად იმისა, რომ გაებათილებინა ფოტინას რწმენა, თავად გახდა ქრისტიანი. მისი მსახური გოგონებიც ქრისტიანები გახდნენ, მოისმინეს რა დებისგან სახარება. შემდეგ ფოტინამ დაარიგა დომნინა და მისი მსახურები, რომ მთელი სიმდიდრე, რომელიც ოთახში იყო მოგროვილი, უსასყიდლოდ გაენანილებინათ რომის ქუჩებში მყოფი ღატაკებისთვის. დომნინა მოინათლა და ახალი სახელი მიიღო.

ნერონი განრისხდა. მან ბრძანა ფოტინა, მისი დები და ორივე ვაჟი ცეცხლის საშუალებით მოეკლათ. მან დიდი ღუმელის აშენება ბრძანა, მაგრამ, როდესაც ისინი ცეცხლში ჩაყარეს, ცეცხლი არ გაჰკარებია მათ. შემდეგ ნერონმა მათი მონამლვა ბრძანა. როდესაც შხამი მოიტანეს, ფოტინამ სურვილი გამოთქვა პირველს დაელია, მაგრამ შხამმა არანაირი ეფექტი არ იქნია არც მასზე და არც სხვა ქრისტიანებზე. შემდეგ, ის, ვინც ნერონმა მათ მოსაწამლად გაგზავნა, თავად მოექცა ქრისტესკენ. ისინი პატიმრობაში დატოვეს და შემდეგი სამი წლის მანძილზე სცემდნენ და წამების ყველა ფორმას იყენებდნენ მათ მიმართ, რასაც კი ჭკუიდან შეშლილი იმპერატორი მოიფიქრებდა.

მაგრამ, რაც უფრო მეტ ზეწოლას ახდენდა იგი მათზე, მით უფრო იზრდებოდა მათი დიდება. სიტყვა მათი რწმენისა და ძალაუფლების შესახებ იმპერის მთელ დედაქალაქში გავრცელდა, და მათი ტყვეობის მანძილზე ციხე თავად იქცა თაყვანისცემის ადგილად. ლოცვისთვის და სახარების მოსასმენად, რომის მოქალაქეები რეგულარულად მიღიოდნენ მორწმუნეთა საენებთან. სამი წლის მანძილზე, ქრისტეს უწყება აგრძელებდა რომში შეღწევას საპატიმროს საზღვრებიდან და მრავალმა ირწმუნა.

ნერონმა მასთან ერთი მსახურის მოყვანა ბრძანა, რომელიც მას დაპატიმრებული ჰყავდა და სწორედ მან უამბო ნერონს ის, რაც საპატიმროში ხდებოდა. ნერონმა დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება თავი მოეკვეთათ ყველა ქრისტიანისთვის, რომელიც მას დატყვევებული ჰყავდა. ერთადერთ გამონაკლისს ფოტინა წარმოადგენდა. ნერონს იმედი ჰქონდა, რომ მწუხარებისა და იზოლაციის შედეგად გატეხავდა ფოტინას სიმტკიცეს, მან ბრძანა: გამოეყვანათ იგი საპატიმროდან და ერთ ლრმა, ბნელ და მშრალ ჭაში ჩაესვათ. ზოგიერთ წყაროში ნათქვამია, რომ მანამდე მას სასტიკად სცემეს. ნერონმა იგი რამდენიმე კვირის მანძილზე დატოვა ჭაში, რომელიც ალბათ ლია ცის ქვეშ საფლავს ჰყავდა. იგი მარტოდ მარტო იყო იქ. ეს ბნელი დღეები იყო ფოტინასთვის, იგი ტიროდა, მაგრამ მას არ დაუკარგავს თავისი ახლობლები. მან იცოდა, რომ ისინი განთავისუფლდნენ მიწიერი პატიმრობის ყოველგვარი ფორმისაგან და უკვე მიიღეს ზეციური დახვედრა. იგი იმას გლოვობდა, რომ მას უარი ეთქვა პრივილეგიაზე წამებული ყოფილიყო თავის ვაჟებთან და დებთან ერთად და შესაბამისად, ვერ მიიღებდა წამებულის გვირგვინს. ჩემ მიერ წაკითხული ყველა მასალის მიხედვით, ჩანდა, რომ ეს პერიოდი ყველაზე რთული იყო მისთვის. თითოეული ისტორიული ანგარიში, რომელიც კი წავიკითხე, ახსენებს ჭაში გატარებულ მის ამ პერიოდს. ერთ-ერთი წყარო ამბობს, რომ იგი გარდაიცვალა იმ მშრალი ჭის სილრმეში, მაგრამ არა უიმედობის შედეგად, არამედ საკუთარი არჩევანით. სტეფანეს მსგავსად, მანაც ჩვენებაში იხილა თავისი მხსნელი და მას დაუმორჩილა თავისი სული. სხვა ჩანაწერებში ნათქვამია, რომ დროის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, მას მერე, რაც იხსო გამოეცხადა მას ჩვენებაში, იგი განთავისუფლებულ იქნა. ასე თუ ისე, ამ ქალის ცხოვრება იყო ლრმა ჭაბურლილის მსგავსი, რომელიც ცოცხალი წყლით იყო სავსე და მრავალს არწყულებდა.

## ჩვენი დროის მონაშევები

ფოტინა არ იძენდა თაყვანისმცემლებს; მისი ცხოვრება მოწმეებსა და მოწამეებს წარმოშობდა. ამ ქალს ჰქონდა ისეთი რამ, რაც მეც მსურს, რომ მქონდეს. მას ისეთი რაღაც გააჩნდა, რაც შესაძლოა, თითოეულ ჩვენგანს დასჭირდეს მომავალში – უდრევი სიმტკიცე. როდესაც სამყარო კეთილგანწყობილია ქრისტიანთა მიმართ, ეკლესიის მრევლი იზრდება. მაგრამ მიძღვნილი მოწაფეები სირთულეების დროს იპადებიან.

## პონტურენციის გარეშე

ცნობილი კათოლიკე ისტორიკოსი, ქრისტოფერ ჰენრი დოუსონი ხსნის:

„ეკლესია იზრდებოდა ჯალათების როზგებისა და ნაჯახების ჩრდილქვეშ და თითოეული ქრისტიანი ფიზიკური წამებისა და სიკვდილის საფრთხის ქვეშ ცხოვრობდა. მონამეობის შესახებ ფიქრმა, მთელი ადრეული ქრისტიანობის მსოფლმხედველობა შეაფერადა. მაგრამ, ეს არ ყოფილა მხოლოდ შიში, ეს ყო იდეალიც და იმედიც. რამეთუ, წამებული, სრულყოფილ ქრისტიანს წარმოადგენდა, ის იყო ახალი საზოგადოების ჩემპიონი და გმირი, და ის ქრისტიანებიც კი, რომელთაც წარუმატებლობა განიცადეს განსაცდელის მომენტში, ამ წამებულებს, უყურებდნენ როგორც საკუთარ დამხსნელებსა და დამცველებს“.<sup>3</sup>

ჩვენ ვცხოვრობთ დროში, რომელშიც საშინელი ბოროტება და ძალადობა ყვავის. ყოველთვის, როდესაც ვფიქრობ, რომ უარესი აღარაფერი მოხდება, ხდება. ქრისტიანებს დღესაც წამებით კლავენ. წაცვლად იმისა, რომ აღშფოთდეს, ჩვენი სამყარო გულგრილობას გამოხატავს ამასთან დაკავშირებით. მე გული მტკივა ამის გამო, თუმცა ეს სრულებითაც არ მიკვირს. ახლახან ამერიკის მიწაზე ქრისტიანი სტუდენტები მათი რწმენის გამო დახოცეს. შეიარაღებული პირი თანმიმდევრობით ესროდა თავში ტყვიას მათ, ვინც ქრისტიანად აღიარებდა თავს და ფეხში ესროდა მათ, ვინც არ აღიარებდა. წაცვლად იმისა, რომ ამ დანაშაულისთვის სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილის კატეგორია მიენიჭებინათ, ჩვენმა მასმედიამ იგი იარაღის კონტროლის პრობლემად გააშუქა.

თუ სწორად იქნა ბიბლია ინტერპრეტირებული, შეება და ხსნა მსოფლიოს არც ერთი ლიდერისგან არ მოვა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ფოტინაზე ნაკლებად უნდა გავჩუმდეთ სიბნელის წინაშე. ჩვენ 1იოანე 4:4-ის ცოცხალი გამოცხადება უნდა ვიყოთ:

„შვილებო, თქვენ ღვთისგან ხართ და სძლიერ მათ, ვინაიდან ის, ვინც თქვენშია, მეტია იმაზე, ვინც ქვეყნიერებაზეა!“

სხვა ქვეყნებში ქრისტიანებს თავებს ჰქვეთენ და ამ საშინელებების ვიდეოებს ავრცელებენ, როგორც გლობალურ გაფრთხილებას მათვის, ვინც გაბედავს და საკუთარ თავს

ჯვრის ადამიანს უწოდებს. ამის აღნიშვნით თან მსურს კითხვა დავსვა, ახსოვთ თუ არა ამ დამნაშავეებს, თუ ვინ ვართ ჩვენ და ჩვენ კი დაგვავიწყდა ეს?

ახლახან მუსულმანი სამხედროები კენის ერთ-ერთ კოლეჯში ქრისტიანთა შეკრებაზე შეიჭრნენ და ყველა დახოცეს, ვინც კი დილის ლოცვით შეხვედრაზე იყო შეკრებილი. შემდეგ, მუსულმანებმა სტუდენტური საცხოვრებლებიდან გამოიყვანეს სტუდენტები და იარაღის მუქარის ქვეშ მოსთხოვეს, მათ უარი ეთქვათ საკუთარ რწმენაზე. აქაც მათ დახოცეს ისინი, რომელთაც გამბედაობა ეყოთ საკუთარი თავი ქრისტიანად ელიარებინათ. თითქმის 150 კაცამდე იქნა მოკლული, და მრავალი დაიჭრა. ორგანიზაცია, რომელმაც განახორციელა ეს თავდასხმა, სოციალური ქსელების მეშვეობით იკვენიდა, რომ ეს მხოლოდ დასასწისი იყო და არწმუნებდა ჯვრის ადამიანებს, რომ მათ წინ უფრო მეტი ელოდათ.

დროა, რომ საკუთარი თავები ქრისტესთვის ტანჯვისთვის შევამზადოთ. უკეთესია, რომ ჩვენი გულები მომზადებული იყოს პასუხის გასაცემად და მზად ვიყოთ ტანჯვისთვის, ნაცვლად იმისა, რომ მოუმზადებელი ვიყოთ განსაცდელისთვის და უარვყოთ იგი. ჩვენ იგივე შეხედულება უნდა გვქონდეს, როგორიც მონაფეებს ჰქონდათ მოციქულთა საქმეების 5:41-42-ში:

„ისინი კი სინედრიონიდან გამოსულნი ხარობდნენ, რომ იესოს სახელისთვის შეურაცხყოფის ღირსნი გახდნენ. ყოველდღე დაუცხრომლად ასწავლიდნენ და ახარებდნენ ქრისტე იესოს, ტაძარსა და სახლებში“.

ოდესმე შეგხვედრიათ ვინმე, ვინც იცემა ქრისტეს რწმენის გამო? ოდესმე თუ გისაუბრიათ ვინმესთან, ვისაც უხაროდა, რომ იგი შეურაცხყვეს მისი სახელის გამო? მე შემხვედრია. ამ წმიდანებს ნათელი სიწმიდე აქვთ და არა იმის გამო, რომ ისინი სცემეს, არამედ იმის გამო, რომ ისინი იესოს შეხვდნენ მისი ტანჯვების მოზიარეობის შედეგად. ისინი მადლით არიან დაგვირგვინებულნი, რომელიც მე ჯერ არ განმიცდია. ისინი, ვისაც მე შევხვედრივარ, შრომობენ იმ საშრომში, სადაც ქრისტიანები საფრთხეში იგდებენ თავს. ისინი თითქმის ყოველ დღე სიკვდილს უყურებენ თვალებში. ხშირად ესენი არიან ჩვენი ძმები და დები, რომლებიც ჩვენი წიგნების თარგმნაზე მუშაობენ. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ რასაც მე უსაფრთხოებაში ყოფნის დროს ვწერ, იმას ისინი საფრთხეში ყოფნისას თარგმნიან. ხშირად, მე ჩემი თავი მათ გვერდით

## კონცურენციის გარეშე

შრომის ლირსადაც არ მიმაჩნია. მათი ცხოვრება მახსენებს პავლე მოციქულის სიტყვებს 1 კორინთელთა წერილიდან:

„და ჩვენც ყოველჲამს რატომ ვართ საფრთხეში? ვამოწმებ იმ სიქადულით, რომელიც მაქვს ჩვენს უფალ ქრისტე იესოში, რომ ყოველდღე ვკვდები, ძმებო!“ (15:30-31)

## დასავლური სისუსტე

შეიძლება წრფელი ვიყო? მე მაკანკალებს დასავლური ეკლესიების გამო. სამწუხაროდ ჩვენს დროში, ჩვენ უფრო ისეთ ადამიანებს ვხვდებით, ვინც შეარცხვინა მისი სახელი. დრო და დრო, გული მერვა ჩემს საკუთარ აპათიასა და ეგოზმზე.

ახლახან ჯონს და მე სადილი გვქონდა პასტორებთან, რომელთაც გაგვიზიარეს, თუ როგორ აფრთხილებენ ისინი გამუდმებით საკუთარ მრევლს – ადამიანებს, რომელიც აღიარებენ, რომ იესო ქრისტე საკუთარ მხსნელად მიიღეს – სექსუალური ამორალურობის ხაფანგების შესახებ. პასტუხად, ისინი ღებულობენ არაფრისმთემელ მზერას და სუსტ თავის მართლებას. წყვილები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ თავს იმართლებენ: „მომავალში ჩვენ დაქორწინებას ვგეგმავთ, რატომ არ შეიძლება ერთად რომ ვიცხოვოთ და სექსი გვქონდეს ახლა?“

სხვა მსახურმა გაგვიზიარა თავისი სულიერი ტკივილი იმის შესახებ, რომ ცნობილი ქრისტიანი ლიდერი ცოლთან განქორწინებას გეგმავდა, თუმცა ამისთვის მას არ ჰქონდა არანაირი ბიბლიური საფუძველი. მან აგვისნა, რომ ამ კაცმა იცოდა, რომ განქორწინება მას მხოლოდ ერთი წლით ჩამოაშორებდა მსახურებას, შემდეგ კი იგი კვლავ დუბრუნდებოდა თავის ადგილს. სამწუხაროდ, ის მართალია. ადამიანთა წინაშე შიში არ გვიცავს არც ერთ ჩვენგანს ცოდვის ჩადენისგან. მხოლოდ უფლის შიში გვაიძულებს, გავექცეთ ცოდვას.

განსაკუთრებული მსახურების შემდეგ, რომლის დროსაც სულიწმიდამ ასობით ქალს დაავალა საკუთარი ჯვრის აღება და იესოს გაყოლა, ლიდერი წამოდგა და მიმართა ყველა ქალს, რომ მათ არ ეგრძნოთ არანაირი ზენოლა – ლმერთი მათგან რაღაცის კეთებას არ მოითხოვდა; იგი მხოლოდ მათ ყოფნას მოითხოვდა. მართლა?

მე ძალიან მადლობელი ვარ, იესო არ დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ ღვთის ძე ყოფილიყო და რომ ინება

დროებით უარი ეთქვა ღვთის ბუნებასა და პრივილეგიებზე, რათა მსახურის საქმე შეესრულებინა ჩვენს ნაცვლად. ვუყურებ ეკლესიას და ვხედავ, რომ ის იმდენად ღრმად არის ჩაფლული ქვეყნიერებაში, რომ ეს მაშინებს მე.

## ნარსულის მპონი ქალი

მაგრამ ფოტინას შემთხვევაში ყველაფერი სულ სხვანაირად დაიწყო. იყო დრო, როდესაც ისიც იმდენად იყო ჩაფლული ცოდვილი ცხოვრების წესში, რომ მას არაფრად არ მიიჩნევდნენ. ის იყო ქალი ნარსულით, რომელიც კანონის იურისდიქციის ქვეშ ცხოვრობდა, რომელმაც იგი მომავლის იძელის გარეშე დატოვა.

წმიდა წერილი ამ ქალის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის. როდესაც ჩვენ პირველად ვხვდებით მას, ის უსახელო, ქმარს გაშორებული და დევნილია. მისი ცხოვრება იმდენად კონფლიქტური იყო მრავალ ასპექტში, რომ ვერავინ ნარმოიდგენდა, რომ იგი ოდესმე მსახურებას შეძლებდა. აცნობიერებდა რა ამას, მან თავდაპირველად, სახარება კითხვებად და წინადადებებად დაყო. შესაძლოა, ჩვენი მეგობრის მსგავსად, თქვენც იმდენად მძაფრად იგრძენით სხვების მიერ გასამართლება, რომ თქვენი განცხადებები გადაკრულ სიტყვებად და კითხვებად დარჩა.

მიუტევეთ მათ!

ადამიანებს, რომელიც თქვენ თქვენს ნარსულთან დაგაკავშირებენ, მოუწევთ, ჯერ განიცადონ გამოცხადება ღვთის წყალობის შესახებ და ხელახლად შობის ძალა.

შესაძლოა, ეს თავად თქვენ ხართ, ვინც ეჭვის ქვეშ აყენებს საკუთარ თავს. ჩემმა ნარსულმა მრავალი კითხვა წარმოშვა ჩემთვის. და მაინც, სწორედ ჩემი ცხოვრების ყველაზე ბეჭელი და ყველაზე ბინძური ადგილები გამოსყიდულ იქნა მოვაინებით, რათა ჩემს ყველაზე ღრმა ჭებად ქცეულიყვნენ. თუმცა ჭეშმარიტებას შეესაბამება ფაქტი, რომ ახლადმოქცეული მორნმუნების ლიდერებად დანიშვნა არ არის მიზანშეწონილი, თითოეული ქრისტიანის გამხნევებაა საჭირო, რათა იგი დამხსნელი ძალის მოწმე გახდეს. მაგრამ იქსოს ძვირფასი მადლი არასდროს არ უნდა იყოს ბოროტად, ან ცოდვის დასაფარად გამოყენებული, რომ ნავიდეთ და უფრო მეტი და მეტი შევცოდოთ (რომაელთა 6:1-2). ნაცვლად ამის, მისმა მადლმა ცვლილებისკენ უნდა გვიპიძეოს, რათა მზარდი სიწმიდის ტრანსფორმირებული ცხოვრებით ვიცხოვროთ და ახალი სახელები მივიღოთ.

## კონცურენციის გარეშე

ვიდრე იგი ამ ახალ სახელს დაირქემევდა „განათლებული“, ფოტინა მხოლოდ თავისი ეთნიკური დანიშნულებით იყო ჩვენთვის ცნობილი. ჩვენ ვხვდებით მას იესოსთან პირად საუბრის დროს. იგი ჩვენი მეგობარია, სამარიელი ქალი. რა გასაოცარია, რომ ქალი რომელსაც ადრე ხუთი ქმარი ჰყავდა, ერთ დღეს თავისი ხუთი დის გვერდით იშრომებს! მე მომწონს ეს, რამეთუ ბიბლიაში რიცხვი ხუთი მადლის სიმბოლოს წარმოადგენს. და მის შემთხვევაშიც მან მადლი მადლზე განიცადა!

მე ყოველთვის მიყენდა ეს ქალი. წლების მანძილზე, მე მას დიდი უნარის მქონე ქალად აღვიქვამდი. ის იყო ღრმა ჭა, მაგრამ ზედაპირული ცხოვრებით ცხოვრობდა. იმ სირთულეებმა, რომლებიც მან განიცადა და მისი არჩევანის რეალობამ ღრმა, მშრალი სიცარიელე წარმოქმნა მასში. მისი სულის მტერი ცდილობდა, რომ იგი მუდამ გატეხილი ყოფილიყო, რაც იზოლირებულს ხდიდა მას და მარხავდა მის ოცნებებს.

როდესაც იესოსი და ამ ქალის საუბარს ვკითხულობ იოანეს მე-4 თავში, მე ყოველთვის საკუთარ თავს ვრთავ ამ სცენაში. წარმოვიდგენ, რომ მონაფეები ფიქრობდნენ, რომ უსაფრთხო იქნებოდა დალლილი იესოს მარტო დატოვება ჭასთან. ჯერ დრო არ იყო, რომ მწყემსებს ცხვარი დასარწყულებლად მოეყვანათ და ამ არემარქს მცხოვრები ქალებიც დილით უკვე იყვნენ მოსულები წყლის წასაღებად. მომწონს, თუ როგორ თარგმნის Passion-ი ამ მონაკვეთს:

„გრძელი გზისაგან დაღლილი, იგი იაკობის ჭის წაპირზე ჩამოჯდა. მან თავისი მონაფეები სოფელში გაგზავნა საჭმლის საყიდლად, რადგან შუადღე უკვე გადასული იყო. სულ მალე, სამარიელი ქალი მოვიდა წყლის ამოსალებად. იესომ უთხრა მას: „დამალევინე წყალი!“ (იოანე 4:6-8)

იესო დაღლილია ხანგრძლივი სიარულის შედეგად და დაქანცულია ფარისევლების გამო. მე ვხედავ მას იაკობის უძველესი ჭის პირზე მჯდარს. შუალმოსავლეთის შეუბრალებელი მზე აცხუნებს და პირდაპირ ურტყამს მას, მაგრამ იგი გრძნობს გრილ ჰაერს, რომელიც ღრმა ჭიდან ამოდის. იესო იხედება მის სიღრმეში და მის ისტორიას იხსენებს, ამავდროულად იგი დღის მოვლენებზეც ფიქრობს. მათი გამოსვლა იუდეაში უეცრად დასრულდა და მათ დიდი და მტვრიანი გზა გამოიარეს. მან შეწყვიტა ხალხის მონათვლა, მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ რელიგიურმა ლიდერებმა ის

## ქალიშვილი მეტოქის გარეშე

გარკვეულ შეჯიბრებად აქციეს მის მოწაფეებსა და იოანეს მოწაფეებს შორის (იოანე 1).

რატომ ვერ მიხვდნენ ისინი, თუ რა იყო ეს? ისინი ხომ ერთად შრომობდნენ თანამშრომლების მსგავსად. დიახ, მასები მოვიდნენ. მათი წყურვილი ძალიან დიდი იყო ამდენი ხნის გვალვის შემდეგ. ახლა წინასწარმეტყველება და აღთქმა ამზადებდა ადამიანებს. ადამიანთა ცხოვრება ახლდებოდა მონანიებისა და ნათლობის წყლების დინების შედეგად.

ის ისეთი წმიდა და იმედის მომცემი იყო, ისინი კი შეეცადნენ ცირკის დონეზე დაეყვანათ იგი. ამგვარად, მან მიატოვა იორდანეს წყლები და ამ გვალვიან დაბლობზე მოვიდა.

იგი თვალებს ხუჭავს მტკრისა და თვალისმომჭრელი მზისგან დასაცავად. იგი ამ უძველეს ჭასთან დაისვენებს და მოწაფეების დაბრუნებას დაელოდება. იგი ღრმად სუნთქავს. უეცრად მოლოდინის გრძნობა ეუფლება მის გულს და გრძნობს, თუ როგორ ჩასჩურჩულებს სულინმიდა, მე გეგმა მაქვს აქ, ამ უნაყოფო სამარიის დაბლობზე. იესოს ესმის ერთი სიტყვა, მეკა. ის თვალს ახელს და ხედავს, თუ როგორ მოდის მარტოხელა სამარიელი ქალი ჭიდან წყლის ამოსალებად.

მას დიდი ჭურჭელი მოაქვს. ის იმ ჭურჭელს ჰგავს, როგორსაც სხვა ქალები იყენებენ წყლის ამოსალებად დღის გარიურაუზე. მისი ჭურჭელი ცარიელია, ცარიელია მისი გულიც. ეს ქალი იმდენად დაბლა დაეცა, რომ სხვა ქალებსაც კი გაურბის. ბიბლიის მკვლევარების აზრით, მან სპეციალურად შეარჩია ჭასთან დღის ყველაზე ცხელ დროს მოსვლა, რამეთუ იცოდა, რომ ასეთ დროს ჭასთან მყოფი ხალხის რაოდენობა მინიმუმადე იქნებოდა დაყვანილი.

იესო აკვირდება მას. იგი ამჩნევს მის მზერას და ამ დროს იესო სწრაფად არიდებს მას თვალს. მისი სამოსლის მიხედვით, ქალი ხვდება რომ ის იუდეველია. იუდაელები არ ურთიერთობენ სამარიელებთან; მათ სძულთ ისინი. ამ ქალს უკვე ჰქონია მათთან უსიამოვნება და ალარ სურს, რომ ეს განმეორდეს.

წინასწარ შემზადებული იგი უახლოვდება ჭის საპირისპირო მხარეს, ჭაში უშვებს თავის ჭურჭელს და წყლის ამოღებისთვის ემზადება. იესო მიმართავს მას. ძლიერ გაოცებული, იგი თავს მაღლა წევს და მოძრაობას წყვეტს. მისი ხმის ტემპრში არის რაღაც ისეთი, რაც ატყვევებს ქალს. მის მიერ წყლის მოთხოვნა, მიწვევას უფრო ჰგავს, ვიდრე თხოვნას. ქალი მერყევი ხმით ამბობს:

## პონტურენციის გარეშე

„სამარიელმა დედაკაცმა უთხრა: „შენ, იუდეველი, სამარიელ დედაკაცს როგორ მთხოვ, დამალევინეო? იუდევლები ხომ არც კი სვამენ იმ სასმისიდან, რომელსაც სამარიელები იყენებენ“. (იოანე 4:9 TPT)

წარმოიდგინეთ, თუ გნებავთ, იმდენად ღრმა ცრურნმენა, რომ იგივე ჭიქის გამოყენება გაუწმიდურებას გამოიწვევს. იგი არა მხოლოდ სამარიელია, არამედ ის აგრეთვე ქალია. მაგრამ, იესოს არ ეშინია მისი ჭურჭლის გამოყენების... იგი მზად არის დალიოს მისი რისხვის თასი, მის ნაცვლად. იესოს არც მისი გამოყენება არ სურს, მისი ნაცნობი მამაკაცების მსგავსად. იესოს სურს, რომ მის შესახებ შეიტყონ. იქნებ, იესოს ნუგეშისცემის მიღება სურს ამ საუბრიდან! შესაძლოა, იგი დაიღალა რელიგიური ლიდერების მიერ მის შესახებ დამახინჯებული წარმოდგენის შექმნით. იქნებ, მრავალი ჩვენგანის მსგავსად, მისთვისაც ნუგეშისცემას წარმოადგენს საკუთარი გულის უცხო ადამიანისთვის გადმოღვრა.

„უპასუხა იესომ: „შენ რომ იცოდე ის საჩუქარი, რომლის მოცემაც ღმერთს სურს შენთვის და ის, თუ ვინ ვარ მე, შენ თვითონ მთხოვდი წყალს და მე მოგცემდი ცოცხალ წყალს“. (მუხლე 10 TPT)

ქალი გაოცებულია. ვინ არის ეს კაცი, რომელიც ნიჭების მომცემ ღმერთზე საუბრობს? მან ჭას შემოუარა, რათა ენახა, თუ რა აქვს მას თან, რაც საშუალებას აძლევს, ასეთი აღმაშოთოთებული განცხადება გააკეთოს. შესაძლოა, მას ფეხებთან უდევს ჭურჭელი? ქალი ხედავს, რომ მას არაფერი გააჩნია, რაც მის მტკიცებას დაადასტურებს. ნუთუ ამ მამაკაცის დაპირებაც ცარიელია მისთვის ნაცნობი სხვა მამაკაცების დაპირებების მსგავსად? დაინტრიგებული ქალი ეჭვის ქვეშ აყენებს მის უნარს, მისცეს მას ცოცხალი წყალი.

„კი მაგრამ, ბატონო, შენ ჭურჭელიც არ გაქვს და ეს ჭა კი, ძალიან ღრმაა! საიდან უნდა მომცე ეს ‘ცოცხალი წყალი’?“ (მუხლი 11 TPT)

ქალი ფიქრობს, რომ ასეთი მაცოცხლებელი წყალი, ჭის ძალიან დიდ სიღრმეზე უნდა იმყოფებოდეს. იქნებ, ეს ებრაელი შეურაცხყოფას აყენებს იაკობის ჭას? ეს ჭა მდიდარია მემკვიდრეობით და სხვა ჭებთან შედარებით უფრო ღრმაა. იგი უფრო შორს მიდის და ეკითხება.

„შენ ნამდვილად ფიქრობ, რომ ჩვენს წინაპარ იაკობზე უფრო დიდი ხარ, რომელმაც ეს ჭა ამოთხარა და ამ ჭიდან სვამდნენ წყალს ისიც, მისი შვილებიც და მისი საქონელიც?“ (მუხლი 12 TPT)

საინტერესოა, რომ აქ, ამ დავის დროს ნახსენებ ჭას, იაკობის ჭა ეწოდება. სახელი იაკობი ნიშნავს „ის, ვინც გადააყენებს, ატყუებს და ხელს ჭიდებს ქუსლში“. როდესაც ღმერთმა მტრობა ინინასწარმეტყველა ქალის თესლსა და გველის თესლს შორის, მან თქვა, რომ გველი მისი თესლის ქუსლზე განახორციელებდა დარტყმას. მოგვიანებით, ღმერთმა შეცვალა იაკობი ისრაელით. შეუცვალა სახელი, რაც „ღვთის უფლისწულს“ ნიშნავს. რაოდენ დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ეს ქალი, რომელიც უამრავჯერ მოატყუეს, რამეთუ მას ეგონა, რომ ადამიანებს შეეძლოთ მისი წყურვილის დაკმაყოფილება, სწორედ იაკობის ჭასთან ესაუბრება ისრაელის მშვიდობის უფლისწულს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალი შეცდომაშია შეყვანილი, იესომ იცის, თუ რა ხდება სინამდვილეში.

ეს საუბარი, საბოლოო ჯამში, მის სასონარკვეთილ წყურვილს შეეხება და არა ჭის მდგომარეობას. იესო აკეთებს იმას, რასაც იგი საუკეთესოდ აკეთებს. იგი იგნორირებას უწევს კითხვებს და პირდაპირ მის ღრმა წყურვილზე საუბრობს.

„ყველას, ვინც ამ წყალს დალევს, კვლავ მოსწყურდება. ხოლო ვინც იმ წყალს დალევს, რომელსაც მე მივცემ, საუკუნოდ აღარ მოსწყურდება; რადგან წყალი, რომელსაც მე მივცემ, მასმი იქცევა წყლის წყაროდ, რომელიც საუკუნო სიცოცხლედ იდინებს“. (იოანე 4:13-14)

სიტყვაში ყველას, იესო გულისხმობს ყველას, ვისაც უფრო მეტის წყურვილი სტანჯავს, ვიდრე ამ ქვეყნიერებას შეუძლია, რომ დააკმაყოფილოს. იგი ერთად აქსოვს ორივეს: ებრაელსაც და სამარიელსაც და ყველას, ვინც კი ოდესმე ყოფილა ამ ჭასთან, წარსულსა თუ აწმყოში. ქვეყნიერებაზე არსებული ყველა ჭა, საბოლოო ჯამში, ჩვენ ადამიანურ სასონარკვეთილ წყურვილს უსვამს ხაზს. The Passion-ის თარგმანი შემდეგნაირად განავრცობს იოანეს 4:13-ს:

„თუ იაკობის ჭიდან შესვამ წყალს, ისევ და ისევ მოგწყურდება“.

## პონტურენციის გარეშე

ძველი ჭები ისევ და ისევ მოგაწყურებენ წყალს. საბოლოო ჯამში, მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩვენი ადამიანური წყურვილის დაკმაყოფილება. ეს ძველი ჭები მარცხისთვის იყვნენ განწირულნი, რამეთუ მათი წყარო მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნიურ პირობებთან. მტერს ნებისმიერ მომენტში შეეძლო ჭაში შხამის ჩასხმა, ან ჭუჭყით ამოვსება, ხანგრძლივ გვალვას კი მისი ამოშრობა შეეძლო.

### ქვეყნიერებაზე არსებული ყველა ჭა,

საბოლოო ჯამში,  
ჩვენ ადამიანურ  
სასოწარკვეთილ  
წყურვილს უსვამს  
ხაზს.

და პატრიარქების ეს ძველი ჭები მოგვეცა იმისთვის, რათა სულინებიდის ცოცხალი წყლის უაღრესად დიდი საჭიროება დაგვენახა. კანონი თაყვანისცემის ადგილს მოითხოვს. კანონი, ჩვენთვის მიუწვდომელ ადგილზე აყენებს ღმერთს. ღვთის თაყვანისცემა კანონის დაცვად რჩება და არა სიცოცხლის წყაროდ. კანონი შორიდან გაჩვენებს, მაგრამ ხელის შეხების საშუალებას არ გაძლევს. კანონი სინაის მთის დინამიკას ინარჩუნებს, სადაც შეგვიძლია ღმერთს ვუყუროთ, მაგრამ არ დავდოდეთ მისით.

როდესაც ჩვენი თაყვანისცემის სამსხვერპლო ჩვენს ირგვლივ არის, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს შიგნით იყოს, ჩვენ რისკის ქვეშ ვიმყოფებით, რომ თამაშებარე მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. იესოს შეხვედრამ ამ სამარიელ ქალთან, ძალიან ბევრი ლეგალური პარამეტრიც დაამსხვრია. ამ ქალმა კანონი დაარღვია და კაცთან ცხოვრობდა. დღევანდელი დღის უფრო ლიბერალურ ეკლესიაშიც კი, მას ეს „ცოდვაში ცხოვრებად“ ჩაეთვლებოდა. მაგრამ, იესო მის უპატიო გარეგნობას კი არ უყურებდა, არამედ პირდაპირ მის გატეხილ გულს ესაუბრებოდა.

კანონი ყოველთვის უფრო მეტს მოითხოვს თქვენგან, ვიდრე მას შეუძლია, რომ მოგცეთ. ცოცხალი წყლის დაკავება, ან აწონა შეუძლებელია, რამეთუ იგი თხევად სინათლეს წარმოადგენს.

იგივეს ვერ ვიტყვით მკვდარ წყალთან დაკავშირებით. თუ თქვენ იაკობის ჭიდან დალევაზე მეტი არ გსურთ, მაშინ ჭურჭელი დაგჭირდებათ. ის, რასაც თქვენ სახლში მიიტანთ, განსაზღვრული იქნება იმით, თუ რის წალებას შეძლებთ. მკვდარი წყალი სინათლეს არ წარმოადგენს; იგი მძიმეა.

იესო საუბრობს წყურვილზე, რომელიც გამუდმებითი და დაუოკებელია. როგორც შუა აღმოსავლეთში მცხოვრებ ქალს, რომელიც გვალვიან და უნაყოფო მინაზე გაიზარდა, ამ ქალმა იცის თავისი ცხოვრების წყურვილი. არ არსებობს საკმარისად ღრმა ჭა, ან საკმარისად ცივი წყალი, რომელიც დააკმაყოფილებს მის სასოწარკვეთილ წყურვილს, იყოს ვინმეს მიერ შეყვარებული. მისი სული უკიდურესად გაუწყლოებულია. იგი ისევ და ისევ ტყუვდებოდა იმით, რაც მისი აზრით მას წყურვილს მოუკლავდა. მისი სურვილები სამართლიანია, მაგრამ, როგორც მრავალი ჩვენგანი, ისიც არასწორ ადგილას ეძებდა იმას, რაც სწორია.

არ არის ცუდი, გქონდეს სურვილი, უყვარდე ვინმეს;

არ არის ცუდი, გქონდეს სურვილი, საკუთარი ცხოვრება საყვარელ ადამიანს დაუკავშირო;

არ არის ცუდი, ღირსეული ცხოვრებით ცხოვრება გსურდეს.

არ არის ცუდი, გსურდეს იცხოვრო მიზანდასახული ცხოვრებით;

არ არის ცუდი, გსურდეს მეგობრების ყოლა;

არ არის ცუდი, თაყვანისცემით აღსავსე ცხოვრების სურვილი გქონდეს.

იესო არ ახდენს მისი სურვილის მარგინალიზაციას და არც თქვენს სურვილს არ დასცინის. პირდება რა მისი წყურვილის დაკმაყოფილებას, ამით იგი აფასებს მას. იესო მას სამუდამო სიცოცხლეს პირდება და არა ჩიხებით აღსავსეს. იგი უახლოვდება იესოს და თავისი სულის სასოწარკვეთის სილრმიდან სთხოვს:

„ბატონო, მომეცი ის წყალი, რომ ალარ მომწყურდეს და ალარც წყლის ამოსალებად მოვიდე აქ!“ (იოანე 4:15)

მის თხოვნაში მე იმედის ნაპერწკალს ვხედავ. მის დიდ სურვილში ჩემს საკუთარ სურვილს ვხედავ. იესო, გთხოვ, ნულარ მომიყვან ამ ადგილზე, რომელიც გამუდმებით მახსენებს ჩემს წარუმატებლობას! მის მსგავსად მეც ვერ დავიცავი ჩემი ახალგაზრდობის კანონები. მან იცოდა, რომ არ

## კონცურენციის გარეშე

შეეძლო ამის დამსახურება, რომ არ იმსახურებდა ამას; ამის მიღება მას მხოლოდ საჩუქრის სახით შეეძლო. ნარკოტიკზე დამოკიდებული პიროვნების მსგავსად, მასაც აღარაფერი ჰქონდა დასახარჯი. მისმა წყურვილმა მონად აქცია იგი.

ვიდრე იესო მას ამ ცოცხალ წყალს მისცემდა, მას უნდა დაენახა, თუ იყო ეს ქალი მზად საკუთარი თავის დასაცარიელებლად. ნამდვილად მზად იყო თუ არა იგი ყველაფრის უკან ჩამოსატოვებლად? იესო მიუთითებს მას მის ჭაზე, რომელშიც მყრალი წყალია და რომლიდანაც ის დიდი ხნის მანძილზე სვამდა წყალს – კაცებზე.

„უთხრა იესომ: „წადი, შენს ქმარს დაუძახე და აქ მოდი!“  
(მუხლი 16)

ნუ იფიქრებთ, რომ ამ მითითებით იესო ექებდა ავტორიტეტულ სტრუქტურას, რომლის მეშვეობით ამ ქალთან საუბარს შეძლებდა, და შესაძლოა, მაინცდამაინც არც ცოდვაზე მიუთითებდა მას. მან უფრო იმის გამო ჰყითხა ქმრის შესახებ, რომ მისი ტკივილის ლოკაციაზე მიეთითებინა. ჩვენმა გაბედულმა დამ სიმართლე თქვა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, რომ შესაძლოა სიმართლის გამო მას ვერ მიეღო რაბინის ეს ცოცხალი წყალი.

„ქმარი არა მყავს“. (მუხლი 17)

შესაძლოა, ეს აღიარება მძიმე იყო მისთვის. ხუთი წარუმატებელი ქორწინება. მის ნათქვამში არ არის თავის მართლების მცდელობის ნატამალიც კი, არამედ მხოლოდ შეულამაზებელი სიმართლე – მე არ მყავს ქმარი.

„იესომ უთხრა: „მართალი თქვი, ქმარი არ მყავსო, რადგან ხუთი ქმარი გყავდა; ხოლო ის, ვინც ახლა გყავს, არც ის არის შენი ქმარი. ეს მართალი თქვი“. (მუხლები 17-18)

იესო მოქმედებს მაშინ, როდესაც მას სიმართლეს ეუბნებიან გაბედულად. ქალმა უთხრა მას არსებული რეალობის შესახებ, ხოლო იესომ დეტალებით შეავსო მისი წარსული. ხუთ კაცს ჰყავდა იგი ცოლად მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ უარი ეთქვათ მასზე. ზოგჯერ ვფიქრობ, რატომ არის ამ ქალზე გამახვილებული ესოდენი ყურადღება, როგორც ცოდვილზე? მე ვარ შვილიშვილი ქალისა, რომელიც ოთხჯერ იყო გათხოვილი სამ კაცზე. იგი არ იყო მსხვერპლი; ეს მისი

არჩევანი და მისი ნაკლი იყო. მაგრამ, შესაძლოა ამ ქალის ცხოვრებაში ეს ასე არ იყო. ჩვენ დაზუსტებით არ ვიცით, მის გამო ინგრეოდა თუ არა მისი ოჯახი. იგი კანონის ქვეშ ცხოვრობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კაცს შეეძლო ეთქვა, რომ მისი ქორწინება შეცდომა იყო და გაეშვა ცოლი მხოლოდ მოწმობის საფუძველზე, რამაც უფრო ხელი შეუწყო ამ ქალის იმედგაცრუებას. კანონის ქვეშ მისთვის შეუძლებელი იქნებოდა ქმრების გამოცვლა საკუთარი ინიციატივით. კვლავ დაქორწინება ამ განქორწინების სერთიფიკატს მოითხოვდა. წარმოგიდგენიათ!... ხუთი წარუმატებელი ქორწინება? ახლა ეს ქალი იმდენად განადგურებულია, რომ თანახმაა, იცხოვროს კაცთან, რომელთანაც საწოლს იზიარებს, მაგრამ არა გვარს. მისი ცხოვრება წალეკილია დაუკმაყოფილებელი სურვილებით. მისი გული გატეხილია, მაგრამ მაინც იმედი აქვს. იოანეს 4:19-ში ვკითხულობთ:

„დედაკაცმა უთხრა: „ბატონო, ვხედავ, რომ წინასწარ-მეტყველი ხარ!“

აქამდე, არ მესმოდა ამ ალიარების მნიშვნელობა. მან ყველაფერს გადააბიჯა, რაც კი აქამდე სჯეროდა, რამეთუ სამარიელებს სწამდათ, რომ მხოლოდ მოსე იყო წინასწარმეტყველი. მათე 10:41-ის თანახმად, იქსოს წინასწარმეტყველად მიღებით, მან წინასწარმეტყველის საზღაური მიიღო: „ვინც წინასწარმეტყველის სახელით ლებულობს წინასწარმეტყველს, წინასწარმეტყველის საზღაურს მიიღებს“.

რა არის ამ წინასწარმეტყველის საზღაური? მჯერა, რომ ამ საზღაურის გამოხატვა მრავალი სახით არის შესაძლებელი, მაგრამ არაფერია ცოცხალი ჭეშმარიტების გამოცხადებისა და რეალიზაციაზე უფრო ძვირფასი. წინასწარმეტყველებს ასევე წინასწარგანმჭვრეტელებსაც უწოდებენ. ყველგან, სადაც კი მიდიოდა იქსო, იგი ადამიანებს გულის თვალებს უხელდა. როდესაც ამ ქალმა იქსოს წინასწარმეტყველად მიღება აირჩია, მან თავის მომავალში ჩაიხედა და იქსოს ჰყითხა, თუ სად უნდა ეცა მას ღვთისთვის თაყვანი. წარმომიდგენია, თუ როგორი დალლილი იყო იგი თავისი ძველი ცხოვრებით. მან არ იცოდა, რომ მის ცხოვრებაში ახალი დრო დადგა, როდესაც იგი ადგილის ნაცვლად პიროვნებას სცემდა თაყვანს.

„იქსომ მიუგო: დედაკაცო, მერწმუნე, დგება ჟამი, როცა არც ამ მთაზე და არც იერუსალიმში აღარ სცემთ თაყვანს მამას!“ (მუხლი 21)

## პონტურენციის გარეშე

The Passion-ის თარგმანში, არამეული ენა, უფრო განავრცობს ამ მუხლს:

„დამიჯერე, ძვირფასო დედაკაცო, დადგა დრო, როდესაც თქვენ აღარ სცემთ თაყვანს მამას არც მთაზე, არც იერუსალიმში, არამედ თქვენს გულებში!“

ეს ქალი პატივს მიაგებს იესოს, როგორც წინასწარმეტყველს, რომელიც იგი სინამდვილეში არის და იესოც ისე მიმართავს მას, როგორიც ის სინამდვილეშია, ძვირფასო. ეს ტერმინი ნიშნავს „საყვარელს და ძვირფასს, ღირებულსა და ფასდაუდებელს“. მაინტერესებს, თუ ბოლოს როდის მიმართეს ამ ქალს ასეთი მოფერებითი ტერმინებით. იესო მის გატეხილ გულს და დაჭრილ სულს მისი ბედის აღმიშვნელი სიტყვებით აღადგენს.

დღესაც კი მესმის, თუ როგორ მოგვიწოდებს იესო თითოეულ ჩვენგანს, მის ქალიშვილებს. „მერწმუნე, ჩემი ძვირფასო საგანძურო და საყვარელო ქალიშვილო, მოვიდა შენი დრო...“. მოვიდა შენი დრო, რომ ირწმუნო. ერთი წუთით შეჩერდით! რა ჩაგჩურჩულათ მან სულში?

ღმერთი არ არის თქვენთან უფრო ახლოს მთაზე ყოფნისას, ქალაქში ან ეკლესიაშიც კი. არც ერთ პიროვნებას არ შეუძლია მის შენთან ყოფნას შეუშალოს ხელი. მადლობა ღმერთს, რომ არც ერთ შეცდომას არ ძალუს დაგვაშოროს ის, ვინც ჩვენში ცხოვრობს. იესო შენს თაყვანისცემას ელოდება შენი გულის ჭასთან. წმიდა წერილი შეგვახსენებს ჩვენ, რომ ჩვენი ღმერთი ჩვენთან იმდენად ახლოსაა, რომ შეუძლია გვიჩურჩულოს:

„მაგრამ რას ამბობს იგი? „ახლოა შენთან სიტყვა, შენს ბაგეში და შენს გულში“. (რომაელთა 10:8)

იესომ ეს რევოლუციური კონცეფცია ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფ ქალს გაუზიარა. ვის სმენია ოდესმე ღმერთზე საზღვრების გარეშე? ღმერთზე, რომელიც მზად იყო შეხვედროდა მას იქ, სადაც ის იქნებოდა? წარმოიდგინეთ, რა შესანიშნავი უნდა ყოფილიყო ეს ახალი ამბავი ამ ქალისთვის. იგი მოკვეთილი იყო ადამიანებისაგან და უცხო იყო იუდეველებისთვის, მაგრამ ღმერთმა მისი გულის საკურთხეველში დაიდო ბინა. ისევე როგორც, მან საკუთარი გული გადაუშალა იესოს და უთხრა, თუ ვინ იყო იგი, დვთის ძემაც საკუთარი თავი გამოუცხადა მას. ამ ქალის არჩევანმა იგი ცხოვრების საზღვრებს დააშორა, იესო კი ისევ უკან ეპატიურება მას. იესო უქსნის:

„თქვენ არ იცით, რას სცემთ თაყვანს; ჩვენ კი ვიცით, რას ვცემთ თაყვანს, რადგან ხსნა იუდეველთაგან არის. მაგრამ დგება უამი და დადგა კიდეც, როცა ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი სულითა და ჭეშმარიტებით სცემენ მამას თაყვანს, რადგან მამაც სწორედ ასეთ თაყვანისმცემლებს ეძებს თავისთვის. ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემლებიც სულითა და ჭეშმარიტებით უნდა სცემდნენ თაყვანს“. (იოანე 4:22-24)

იესო მის ტრადიციებს ჭეშმარიტების მეშვეობით ამსხვრევს. თუ რასაც ეს რაბინი ამბობს ჭეშმარიტებაა, გამოდის რომ იგი სწორედ ისეთი თაყვანისმცემელია, როგორებსაც მისი მამა ეძებს თავისთვის: სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისმცემლებს.

ჩვენ აქ ირონიას ვერ ვხედავთ, რამეთუ ვიცით და ვლებულობთ ყველაფერს, რასაც იესო მას უცხადებდა, როგორც ჭეშმარიტებას, მაგრამ იმ დროში, ეს კონცეფციები რადიკალური იყო. სავარაუდოა, რომ ამ ქალს არც კი სმენია ღმერთზე, როგორც მამაზე. სხვა თარგმანში იოანეს 4:22-23 შემდეგნაირად არის ნათარგმნი:

„ამიერიდან მამის თაყვანისცემა აღარ იქნება უკვე სწორი ადგილის საკითხი, არამედ სწორი გულის საკითხად იქცევა. რამეთუ ღმერთი არის სული და მას დიდი სურვილი აქვს, ჰყავდეს წრფელი თაყვანისმცემლები, რომლებიც მას თაყვანს სცემენ სულისა და ჭეშმარიტების სფეროში“.

ამ ქალს შეეძლო შეერთებოდა ღმერთს, რომელსაც ამის ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა. მჯერა, რომ ამ მომენტიდან, იგი შეეჯახა დიდებულ იმედს იმის საწინააღმდეგოდ, რასაც იგი რეპრესირებულ რელიგიად იცნობდა. მან აღარ იცის, თუ რა ირწმუნოს; მისი გული იმედისგან, დაბნეულობისგან და გაოცებისგან ძერს, მაგრამ ის უზიარებს იესოს იმას, რაც იცის.

„უთხრა დედაკაცმა: „ვიცი, რომ მოდის მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე. ის რომ მოვა, ყველაფერს გაგვიცხადებს“. (მუხლი 25).

მაინტერესებს, ჩათვალა თუ არა იესომ მისი ბავშვური რწმენა ძალიან ძლიერ რწმენად. მან ვეღარ შეიკავა თავი კეთილი უწყების გაზიარებისგან. წარმომიდგენია, თუ როგორი დაუინებული მზერით უყურებდა მას იესო, როდესაც

## კონცურენციის გარეშე

ჩასჩურჩულებდა:

„მე ვარ, ვინც გელაპარაკება“. (მუხლი 26)

იესო ზუსტად ისე მოიქცა, რასაც ეს ქალი ელოდა მისგან... მან ყველაფერი უთხრა მას. ზოგჯერ, სიტყვის თქმის გარეშეც კი, ღმერთი მოგვმართავს. დამშვიდდი, გულო ჩემო. ჩვენი ქრისტე, ცხებული, ხშირად იმით პასუხობს ჩვენს კითხვებს თაყვანისცემის შესახებ, რომ სიმართლეს გვეუბნება ჩვენი თავის შესახებ. ერთი ხელის მოქნევით, იგი ამხელს უგუნურ ტრადიციებს და თავისი სიმართლის ხმლით ჩეხავს ადამიანთა მსჯელობებს. ვინ არ დააგდებს თავისი წყლის დოქს და არ გაიქცევა ამის მოსმენისას? ასეთია ჩვენი იესო. იგი არ არცხვენს შერცხვენილებს არამედ იგი საიდუმლოებებს უცხადებს მათ.

მომენტი დასრულდა. მოწაფეები დაბრუნდნენ და შეწუხებულები არიან ალმოჩენით, რომ იესო ესაუბრებოდა ქალს, რომელიც მათი მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ სიძულვილს იმსახურებს. მაგრამ ამ ქალისთვის უკვე სულ ერთია მიიღებენ თუ არა ისინი მას. თუ ღმერთმა მიგილო... რა არის შენთვის ადამიანთა მიერ უარყოფა? საინტერესოა, ალინიშნოს, რომ არც ერთმა მოწაფემ არ მოიპატიჟა სამარიელები იესოს სანახავად. ეს არ წარმოადგენდა პრობლემას, რამეთუ იესომ უკვე წარგზავნა თავისი მაცნე. ეს იყო ის, ვისაც იგი ესაუბრებოდა.

„დედაკაცმა თავისი ჭურჭელი მიატოვა, ქალაქში დაბრუნდა და ხალხს უთხრა: „წადით, ნახეთ კაცი, რომელმაც ყველაფერი მითხრა, რაც კი რამ ჩამიდენია; ის ხომ არ არის ქრისტე?“ გამოვიდნენ ქალაქიდან და მივიდნენ მასთან“. (მუხლები 28-30)

უფრო ახლო განხილვის დროს, აღმოვაჩენთ, რომ მან განზრახ თქვა ასე. იგი არ უწოდებს მას წინასწარმეტყველს და არ ახსენებს, რომ იგი იუდეველია, იცის რა, რომ ამის გამო, შესაძლოა, ქალაქში მცხოვრებმა ხალხმა არ მიიღონ იგი. ეს ქალი საკუთარ მოწმობას იყენებს, რათა გზა გახსნას მათვის. მომწონს ის ფაქტი, რომ ჩვენი მეგობარი ეპატიჟება მათ, რომ მოვიდნენ და ნახონ, ნაცვლად იმისა, რომ უთხრას მოვიდნენ და მოისმინონ. ნახვა შეიძლება დაჯერებას ნიშნავდეს და როდესაც თვალები აგებილება, გსურს, რომ სხვებსაც აეხილოთ თვალი.

მომწონს, რომ იესომ ესოდენ უპირატესი, ძვირფასი და წმიდა რაღაცის გამოსაცხადებლად აირჩია ქალი, რომელსაც სხვები რეპუტაცია შებლალულ, მდაბიო და წაბილწულ ქალად მიიჩნევდნენ. ღვთის საიდუმლოებების ისეთი პიროვნებისთვის გამხელით, რომელსაც სხვები ყველაზე დაპალ საფეხურზე

მდგომად მიიჩნევდნენ, მან თითოეული ჩვენგანისთვის დატოვა კარი ლია. სწორებ ამ მიზეზის გამო, მე მისი ისტორია ჩემს რამდენიმე წიგნში ვახსენე. მათ საუბარს მე ყოველთვის სხვა და სხვა კუთხით ვხედავ, მაგრამ არასდროს გულგრილი გულით.

წლების მანძილზე მიყვარდა ეს შეხვედრა, რომელმაც სირცეხვილში მყოფი ქალი, მიძლვნილ პიროვნებად აქცია. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მომნონდა კიდეც ის ფაქტი, რომ მისი სახელი არ იყო ცნობილი; ასე მე ადვილად შემეძლო მისი სახელის ნაცვლად, ჩემი სახელი ჩამესვა მის ისტორიაში. ეს მანამდე იყო, ვიდრე შევიტყობდი, რომ მას ფოტინა ერქვა, განათლებული. მან იმავე დღეს დაიწყო სახარების ქადაგება სამარიაში, მაგრამ, როგორც ახლა უკვე იცით, იგი საკმაოდ შორის გასცდა რეგიონის საზღვრებს.

მისმა ისტორიამ თითოეული ჩვენგანი უნდა გაგვამხნევოს, ვინც ლრმა ჭები ვართ, მაგრამ ზედაპირული ცხოვრებით ვცხოვრობთ. სხვა რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ თვითნება ქალი წინასწარმეტყველს თაყვანისცემის თემაზე ესაუბრება? მისი ჭა, არა მხოლოდ ლრმა იყო... ის, აგრეთვე ამომმრალიც იყო. მას ხუთი ქმარი და ორი ვაჟი ჰყავდა, მაგრამ მაინც სიცარიელეს გრძნობდა სულში. ამ ქალმა, რომელსაც უდიდესი პოტენციალი გააჩნდა, მთლიანად დაღვარა თავისი თავი ვიდრე მისმა ტკივილმა ძვლებამდე არ მიაღწია.

უცრად, ყველაფერი შეიცვალა. მან საჩუქრის შესახებ შეიტყო. იესომ მას სიცოცხლის წყალი შესთავაზა და მანაც გაბედულად სთხოვა მას იგი. ეს შესანიშნავი მესია სრულყოფილად იცნობდა ქალს და უბირობოდ უყვარდა იგი. ამიტომ მისი მოწოდების შემდეგ ამ ქალიშვილმა მეტოქის გარეშე ბევრი შესვა ეს სიცოცხლის წყალი და იქცა ფოტინად, ევანგელისტად და მოციქულად, რომელიც საფრთხეს არ შეუშინდა და მედგრად შეხვდა მას.

წარსულის მქონე ქალბატონო, მიბაძავ მის მაგალითს?

## საღისაუსიო კითხვები

1. გწურიათ, რომ ღმერთი უფრო მეტი ძალით გამოვლინდეს თქვენს ცხოვრებაში?
2. რა გავლენა იქონია თქვენზე ფოტინას ამბავმა?
3. მოგეწონათ ის ფაქტი, რომ ეს ის ქალი აღმოჩნდა ჭასთან? რას გვპირდება ეს ფაქტი ჩვენ?
4. არის თქვენს ცხოვრებაში სფეროები, სადაც თქვენ ღრმა ჭას წარმოადგენთ, რომელიც ზედაპირული ცხოვრებით ცხოვრობს?



# 10

## შეუდარებელი ცხოვრება

„თქვენ არასდროს ხართ მეტისმეტად მოხუცი იმისთვის, რომ ახალი მიზანი დაისახოთ, ან ახალი ოცნება გქონდეთ“.

კ.ს.ლუისი

**ტ**ინდა სიმამაცისა და ღვთისმოსაობის კიდევ ერთი ისტორია გაგიზიაროთ. იყო ერთი ლამაზი ქალწული გოგონა, სახელად თეკლა. მან შემთხვევით მოისმინა პავლე მოციქულის ქადაგება, რომელიც მეზობელ სახლში ქადაგებდა. იგი ფანჯარასთან იჯდა, როდესაც პავლეს მოწოდება მოისმინა, რომელიც ახალგაზრდა კაცებსა და ქალებს მოუწოდებდა უმანკოებითა და ღვთისმოსაობით ეცათ ღვთისთვის თაყვანი. თეკლა დანიშნული იყო, მაგრამ როდესაც პავლეს სიტყვები მოისმინა, გადაწყვიტა გაეუქმებინა დანიშნული ქორწილი და ცხოვრების დარჩენილი დღეები უფლის დიდებისთვის მიეძღვნა. პავლე, ყურადღებას არ აქცევდა თავის გავლენას თეკლაზე, მაგრამ, მისი გადაწყვეტილება არ მიიღეს დედამისმა და მისმა საქმრომ, მათ საკუთარი გავლენა გამოიყენეს განრისხებული ხალხის პავლეს წინააღმდეგ ასამხედრებლად. სამოქალაქო არეულობის გამო, პავლე იკონის გუბერნატორთან მიიყვანეს, რომელმაც დაუყოვნებლივ დაპატიმრებინა იგი.

დამწუხრებულმა თეკლამ სამკაულები გამოიყენა, რათა ციხის მცველები მოექრთამა და ციხეში შესულიყო პავლეს სანახავად, რათა პირდაპირ მისგან მოესმინა იქსოს სახარება. როდესაც მისმა ოჯახმა საკუთარი დაკარგული ქალიშვილი პავლეს საკანში აღმოაჩინა, ორივე მათგანი გამგებლის წინაშე წარადგინა. პავლე როზგებით სცემეს და ქალაქიდან გამოაგდეს. თეკლა დედამ დაასმინა და ახალგაზრდა გოგონას სიკვდილი მიუსაჯეს. იგი კოცონზე უნდა დაწვათ, როგორც

## კონცურენციის გარეშე

მაგალითი სხვა ასულებისთვის, ვინც ესოდენ უგუნურ ამბოხს გაძედავდა.

როდესაც თეკლას სასიკვდილო განაჩენს აღასრულებდნენ, პავლე და სხვა ქრისტიანები კატაკომბებში იყვნენ შეკრებილნი და მხურვალედ ლოცულობდნენ. თეკლა ძელზე დააბეს, მაგრამ, როდესაც ცეცხლი აანთეს, იგი არ მოეკიდა მას. შემდეგ, ძალიან ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და კოკისპირულმა წვიმამ ჩააქრო ცეცხლი მის ფეხებთან. თეკლა სიკვდილს გადაურჩა. ქალაქის მთავრებს შეეშინდათ, მიიჩნიეს რა ეს ბერძნების ღმერთების რისხვად, მათ გაანთავისუფლეს თეკლა და ქალაქიდან გააძევეს. უარყოფილი თეკლა სხვა გაძევებულ ქრისტიანებს შეუერთდა, რომელთაც პავლესთან ერთად ანტიოქიაში გადაწყვიტეს წასვლა.

როგორც კი ქალაქში შევიდნენ, დიდი გავლენისა და ძალაუფლების მქონე კაცმა, ალექსანდრემ, თეკლას სილამაზით მოხიბლულმა, მისი პავლესგან ყიდვა სცადა. როდესაც პავლემ უარი განაცხადა, იგი ძალით შეეცადა მის წაყვანას. თეკლა მთელი ძალით შეეწინააღმდეგა მას და ამ პროცესში ალექსანდრეს დაფნის ფოთლებისგან შეკრული გვირგვინი მოგლივა თავიდან და საჯაროდ უარყო იგი, უბრძანა რა მას, არ შეხებოდა ღვთის მსახურს.

აღმფოთებულმა ალექსანდრემ ანტიოქიის გუბერნატორის წინაშე წარადგინა იგი. დავის დროს თეკლამ აღიარა, რომ მისგან თავის დაღწევის მცდელობის დროს მან ალექსანდრეს ტანსაცმელი შემოახია. მას ისევ სიკვდილი მიუსაჯეს. მისი სიკვდილით დასჯა მეორე დღეს უნდა აღესრულებინათ. ამჯერად იგი გარეული მხეცებისთვის უნდა მიეგდოთ შესაჭმელად.

ანტიოქიელი ქალები აღაშფოთა ამ ამბავმა. ისინი გრძნობდნენ, რომ თეკლას წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება უსამართლო იყო. ერთმა კეთილშობილური წარმომავლობის რომაელმა ქალმა მოითხოვა, რომ თეკლას ქალიშვილობის დასაცავად ჯობდა, რომ იგი ღამით მის სახლში დარჩენილიყო საპყრობილეს წაცვლად. ამ ერთი ღამის განმავლობაში ახალგაზრდა და მასზე უფროსი ქალი დამეგობრდნენ.

მეორე დილას ეს კეთილშობილი ქალბატონი მწარედ ტიროდა, როდესაც თეკლა ძუ ლომს მიაბეს და არენაზე გაიყვანეს. თეკლა რომ გამოჩნდა არენაზე, რომლიც გააშიშვლეს და ლომებითა და დათვებით სავსე სტადიონზე გამოაგდეს, ბრბო გუგუნებდა. პირველი ქმნილება, რომელიც მას მიუახლოვდა, იყო ლომი. ლომი სირბილით წამოვიდა თეკლასკენ, მაგრამ თავდასხმის ნაცვლად, იგი შებრუნდა და დაცვითი პოზიცია მიიღო თეკლას ფეხებთან.

დათვი მათკენ გამოემართა, მაგრამ ვიდრე იგი თეკლასთან მიაღწევდა, ძუ ლომმა მოკლა იგი. შემდეგ, ხვადი ლომი გადმოვიდა იერიშზე, მაგრამ, კვლავ ძუ ლომმა იბრძოლა მის წინააღმდეგ, თეკლას დასაცავად. ბრძოლა ორივე ლომის სიკვდილით დასრულდა, მათი სხეულები ბრძოლაში შეკრულნი დაეცნენ მის ფეხებთან. თამაშის წამყვანები დარჩენილ ცხოველებს მსხვერპლისკენ მოუწოდებდნენ. მაგრამ ცხოველები არ ინტენსურები მსხვერპლისკენ. ბრბო გაყუჩდა, რამეთუ ღვთის შიშმა მოიცვა ხმაურიანი არენა. თეკლამ ხმა აღიმაღლდა და გაბედულად დაიწყო ლოცვა.

განმგებელი ფეხზე წამოდგა და თამაში გააჩერა. მან იყითხა, თუ ვინ იყო ეს ქალი და რა იყო იმ ძალის წყარო, რომელსაც იგი ფლობდა. თეკლამ უპასუხა: „მე ცოცხალი ღვთის მსახური ვარ... მჯერა ძის, რომელშიც ღვთის სათნოებაა. რამეთუ, მხოლოდ ის არის გადარჩენის გზა და სამუდამო სიცოცხლის არსი... ყოველი, ვინც მას ირჩმუნებს, არ მოკვდება...“.

განმგებელმა ბრძანა ტანსაცმელი მოეტანათ მისთვის და გაეთავისუფლებინათ. იმ დღეს, ასობით თუ არა ათასობით ადამიანმა ირჩმუნა ქრისტე და ადრეული ეკლესის მატიანე იუნიება, რომ ანტიოქიელმა ქალებმა ერთხმად განადიდეს ღმერთი, ვიდრე ქალაქი არ შეიძრა მათი ხმისაგან.

თეკლამ ცხოვრება განაგრძო და ხანგრძლივი, სავსე ცხოვრებით იცხოვრა, სიცოცხლის ბოლომდე, ოთხმოცდათი წლის ასაკშიც კი ქადაგებდა სახარებას.

## შემართებული გამპედარბით ცხოვრება

რამ აქცია ეს გოგონა ესოდენ ძლიერ პიროვნებად? ის იყო შიშველი, მაგრამ არა შერცხვენილი, რამეთუ მან საკუთარი თავი იესოს გამოცხადებაში აღმოაჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ის ახალმოქცეული იყო, იგი მის შეუდარებელ დესპანად იქცა. როდესაც მან ლოცვაში ხმა აღიმაღლა, ამით მან სიმამაცე გამოიჩინა სიკვდილის საფრთხის წინაშე. მამაცმა გოგონამ, რომელსაც ჩაცმულსაც კი არ მისცემდნენ ქადაგების უფლებას მრავალი კათედრის წინ, მრავალი სული შესძინა ღმერთს შიშველმა და მხეცებით გარემოსილმა სასტიკ კოლიზეუმში. როდესაც ამის მსგავს ამბებს ვკითხულობ, მომწონს იმაზე ფიქრი, რომ ალბათ ევა იღიმის ამის შემყურე (დარწმუნებული ვარ, რომ სარაც იღიმის!). რამეთუ, ბრძოლა, რომელიც ევამ წააგო ბალის უსაფრთხოებასა და ზრუნვის ქვეშ ყოფნის დროს, მრავალჯერ იქნა მოგებული ხელახლად შობილი ქალიშვილების მიერ აშკარა მტრობის არენებზე.

## პონტურენციის გარეშე

ბრძოლი შეიკრიბა განაჩენის სისრულეში მოყვანის სანახავად, მაგრამ, ნაცვლად ამისა, მათ დაცემის საწინააღმდეგო რამ იხილეს. დაე, ჩვენმა ცხოვრებამ გააგრძელოს ეს მემკვიდრეობა. რაკი ჩვენ ყოველ დღე ვაცხადებთ, რომ ჩვენი ხსნა და არსი მხოლოდ ქრისტეშია, ჩვენ ვზრდით ჩვენს უნარს ავივსოთ მისით და დავაჩეაროთ მისი დაბრუნება.

დღეს ჩვენ უფრო მეტი ვიცით ბიბლიის შესახებ, ვიდრე სხვა ნებისმიერ დროს იყო ცნობილი კაცობრიობის ისტორიაში. და მაინც, სადამდე მივვიყვანა ამის ცოდნამ? ჩვენ უსაზღვრო ინფორმაციას ვფლობთ, მაგრამ ტრანსფორმირების აშკარა ნაკლებობას განვიცდით. ვშიშობ, რომ მრავალი სახით და მრავალ ასპექტში, ინტელექტმა და ნიჭმა, ჩაანაცვლა ღვთის სიტყვა და სულინმიდის მმართველობა.

მე უფრო მეტი მსურს. ის, რასაც ჩემს სულში ვგრძნობ, არის სულის ისეთი გადმოღვრა და მკა, როგორიც აქამდე არ ყოფილა.

ამ განადგურებულ სამყაროს ესაჭიროება ღვთის ძალის ხილვა. შესაძლოა, დადგა დრო, დავუბრუნდეთ ძველი ეკლესიის ლოცვებს.

„ახლა კი, უფალო, შეხედე მათ მუქარას, გვავნონ ჩვენ და მიეცი შენს მონებს ძალა, რომ თავისუფლად, მთელი გაბედულებით ილაპარაკონ შენი სიტყვა, გაინოდე შენი ძალის ხელი ჩვენი მეშვეობით განსაკურნებლად, ნიშნებისა და სასწაულების მოსახდენად შენი წმიდა მსახურის, იესოს სახელით“. (საქმე მოციქულთა 4:29-30 TPT)

და რა მოჰყავდათ მოძრაობაში ამ ლოცვებს?

„იმ დროს, მიწა შეიძრა მათ ქვეშ, და შეზანზარდა ის შენობა, სადაც ისინი შეკრებილიყვნენ, ყველანი სულინმი-დით აღივსნენ და გაბედულად ლაპარაკობდნენ ღვთის სიტყვას“. (საქმეები 4:31 TPT)

დადგა დრო, რომ შეუფერხებლად და შემართებული გამბედაობით ვიქადაგოთ ღვთის სიტყვა. მრავალი თვალსაზრისით, ის გამოწვევები, რომლებიც თეკლას წინაშე იდგა, არ განსხვავდება ჩვენს წინაშე მდგომი გამოწვევებისგან. მის მიერ არჩეულმა გზამ და გადაწყვეტილებამ, ეცხოვრა მიძღვნილი ცხოვრებით, აღშფოთება გამოიწვია. მისი ოჯახის წევრები მის შეჩერებას შეეცადნენ, მთავრობა მისი რწმენის დაკანონებას ცდილობდა, მამაკაცები ცდილობდნენ ძალით

დაუფლებოდნენ მას და ჩაეხშოთ ის, რაც მათ ამბოხებად მიაჩნდათ. მაგრამ ის მაინც ჭეშმარიტად თავისუფალი იყო. მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იცოცხლებდა ის, თუ მოკვდებოდა, იგი ცოცხალი ღვთის მსახური იყო.

## ცხოვრება მატოქეს გარეშე

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როდესაც ჩვენს ირგვლივ ქარიშხალი მძვინვარებს. თუ იცით, ვინ ხართ და ვის ეკუთვნით... გაუძლებთ. ჩვენ უკონკურენტო ცხოვრება ავირჩიეთ... ცხოვრება, რომლის დალაგებაც მხოლოდ სულინმიდას შეუძლია.

„რაკი ასეთი ცხოვრება ავირჩიეთ, სულით ცხოვრება, დავრწმუნდეთ, რომ არა მხოლოდ იდეის დონეზე ვინახავთ მას ჩვენს გონებაში, ან როგორც გრძნობას ჩვენს გულებში, არამედ, მის შედეგებს, ჩვენი ცხოვრების თითოეულ ასპექტში ვატარებთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ დავიწყებთ საკუთარი თავების ერთმანეთთან შედარებას, თითქოსდა ერთ-ერთი ჩვენგანი, მეორეზე უარესია. ჩვენ, ბევრად უფრო საინტერესო რამ შეგვიძლია ვაკეთოთ ცხოვრებაში. თითოეული ჩვენგანი უნიკალურია“. (გალატელთა 5:25-26 Message)

ამგვარად, ჩვენ იმით ვამთავრებთ, რითაც დავიწყეთ.

საკუთარი უნიკალურობის გაცნობიერება სულის მიხედვით ცხოვრებისკენ გიბიძგებთ. თქვენ არ ყოფილხართ შექმნილნი შედარებისთვის... თქვენ ღვთის ძისთვის იყავით შექმნილნი. თქვენმა ზეციერმა მამამ თქვენი ცხოვრების ინტიმური დეტალები თქვენს პირველ ამოსუნთქვამდე დიდი ხნით ადრე დაწერა თავის წიგნში. მან ცოცხალ წერილად დაწერა თქვენი ცხოვრება. სხვა არავის შეუძლია თქვენი ცხოვრებით ცხოვრება. დადგა დრო, რომ თქვენი წერილის ფურცლები გაცოცხლდეს. თუ სხვებისთვის დაწერილი ისტორიებით იცხოვრებთ, ეს გამოიწვევს იმას, რომ აუსრულებელი დარჩება ის, რაც სულმა დაწერა თქვენთვის. თითოეულ ჩვენგანს გარკვეული კურსი და დანიშნულება გააჩნია. სულინმიდის ხელმძღვანელობა არსებით როლს თამაშობს უკონკურენტო ცხოვრებით ცხოვრებისთვის. სულით მართული ცხოვრება არ წარმოადგენს უბრალოდ კონცეფციას, ან რომანტიკულ იდეას – ეს არის სულიერი დისციპლინის გამოხატულება და თაყვანისცემის

## კონცურენციის გარეშე

პერსონალური აქტი. ცხოვრება ღვთისმოსაობით და არა გართობით. მორჩილების თითოეული აქტისას, როგორც თქვენს პირად, ასევე საზოგადო ცხოვრებაში, ღმერთი მისი მიზნის დეტალებს გაგიმელთ თქვენი ცხოვრებისთვის და მისი ხმა უფრო მკაფიო გახდება.



**თქვენ არ  
ყოფილხართ  
შექმნილნი  
საკუთარი  
თავის სხვასთან  
შედარებისთვის...  
თქვენ ღვთის  
ძისთვის იყავით  
შექმნილნი.**

თქვენი ცხოვრებაც და მთელი მისი პოტენციალიც, უზენაესის მიერ გაქვთ მობარებული. სამწუხარო იქნებოდა, რომ ყველაფერი, რაც თქვენშია, ყველა საგანძური და ნიჭი, სხვების აზრისა და მოლოდინის ქვეშ დამარხოთ. თქვენ დედამიწაზე მაყურებლის რანგში არ იმყოფებით. თქვენ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო რაღაც გაქვთ გასაკეთებელი ცხოვრებაში. დროა, რომ შეიგნოთ ეს!

თქვენი მომავალი ახლაა.

ჩვენ დროის ამ მონაკვეთს ვფლობთ. არც ერთ ჩვენგანს არ აქვს უზრუნველყოფილი ხვალინდელი დღე, მაგრამ ვიცით, რომ ეს მომენტი ჩვენია.

და თქვენი არჩევანის ძალას, ყველა თქვენი მომენტების გამოსყიდვა შეუძლია.

თქვენი ცხოვრების წიგნი, შეიძლება დახურული დარჩეს, ან შეგიძლიათ გააგრძელოთ მისი გვერდების გადაფურცვლა. მოისმინეთ პავლეს უწყება გალატელთა მიმართ:

„კარგად გამოიძიეთ, თუ ვინ ხართ, და ის საქმე, რომელიც მოგეცათ, და შემდეგ შეუდექით მის შესრულებას. ნუ მოიხიბლებით საკუთარი თავით! ნუ შეადარებთ საკუთარ თავს სხვებს! თითოეულმა თქვენგანმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმაზე, რომ საუკეთესოდ აღასრულოს ის შემოქმედებითი სამუშაო, რაც მას მიეცა ცხოვრებაში“. (გალატელთა 6:4-5 Message)

ძალიან რთულია, გაიგო ვინ ხარ, თუკი მეტისმეტად დაკავებული ხარ იმით, რომ იკვლევ იმას, თუ ვინ არ ხარ და ვინ არის კველა დანარჩენი. თუ გსურთ, რომ იაროთ და არ დასუსტდეთ ამ მოგზაურობაში, რომელსაც ცხოვრება ეწოდება, აუცილებელია, რომ იცოდეთ, თუ ვინ ხართ.

„მაშ, ფრთხილად მოიქეცით – არა როგორც უგუნურნი, არამედ როგორც ბრძენნი. გამოისყიდეთ დრო, ვინაიდან ბოროტნი არიან დღენი“. (ეფესელთა 5:15-16)

თუ დროს გეგმიურად არ იყენებთ, დღეები გაგიფრინდებათ, რამეთუ ამას მრავალი სელისშემშლელი ფაქტორი განაპირობებს. როდესაც გვერდზე გადადებთ ამ წიგნს, აიღეთ სელში ქალალდი და კალამი. ჩამონერეთ ის, რაც გონივრულად გამოყენებულ დროს წარმოადგენს და პირიქით, რაც არ წარმოადგენს. ჩემი სურვილია, რომ თქვენ ისე გადაანაწილოთ დრო, რომ კვლავ დაგრჩეთ დრო ოცნებისთვის.

ფრთხილად დაუკავშირეთ თქვენი მიზნები თქვენს ოცნებებს. აბა, ქალიშვილო კონკურენტის გარეშე, რაზე ოცნებობთ? შეიძლება თქვენ ჩათვალოთ, რომ თქვენი ცხოვრება მოსაწყენი და რუტინულია. მე თქვენი სტატუსის შესახებ არ მიკითხავს. რა არის თქვენი დიდი სურვილი? თუ თქვენ დაკარგეთ იგი, დაბრუნდით ისევ ლვთის თანდასწრებამი, ვიდრე კვლავ არ იპოვით მას. გაისუფთავეთ გონება და გული. წადით და გაისეირნეთ, მოუსმინეთ თაყვანისცემის საგალობლებს და კვლავ შეუერთდით თქვენი სულის ჭას.

თქვენ არასდროს იქნებით მეტისმეტად ასაკოვანი, მეტისმეტად ღარიბი, მეტისმეტად მდიდარი, მეტისმეტად განათლებული და მეტისმეტად გაუნათლებელი იმისთვის, რომ მიზნები დაისახოთ, ან იოცნებოთ. თქვენ აგრეთვე არასოდეს იქნებით მეტისმეტად ახალგაზრდა ამისთვის.

არის მომენტები, როდესაც ვუყურებ ჩვენი დროის ქრისტიან ქალებს და ძალიან გაკვირვებული ვარ მრავალი მათგანით, რომლებიც ესოდენ კარგად ასრულებენ ცხოვრების ცეკვასაც და მსახურებასაც. იმდენი ლამაზი, მამაცი, ლვთისმოსავი ახალგაზრდა ქალი იმყოფება ფრონტის წინა ხაზზე ამჟამად, რომ გული იმედით მევსება.

„მალლა სვლას“ ჩემეული ტრაექტორია შესაძლოა, განსხვავებულად გამოიყურებოდეს, ვიდრე სინამდვილეშია, მაგრამ არასოდეს მომისმენია, რომ ღმერთს ეთქვას, თავი დაბლა დავხარო. იგი ამბობს, რომ მალლა ავნიოთ თავი. როდესაც მისი ქალიშვილები იკრიბებიან ერთად, მე მის დიდებას ვხედავ.

ასე რომ, ჩემო საყვარელო, მინდა ჩემი დიდი სურვილი გაგიზიარო. იგი თქვენ შეგეხებათ. ვლოცულობ, რომ ყოველთვის ვმრომობდე რათა ქრისტე, ცხებული, გამოისახოს თქვენში. დიდი სურვილი მაქვს კარგად აღჭურვილი და იესოში განმტკიცებული გიხილოთ, რათა აღმოაჩინოთ ის, რაც მან

## კონცურენციის გარეშე

თქვენ დასაბამიდან მოგანდოთ. მსურს, დაგეხმაროთ თქვენს უძვირფასეს სურვილში, შეიცნოთ იგი. ამ წიგნის დაწერის პროცესში გავაანალიზე, რომ ძალიან დიდ თემას შევეხე, რამეთუ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პერიოდში, რომელიც სავსეა მეტოქებით, რომელიც ჩვენი ყურადღებისთვის იბრძვიან. პავლე სხვა დროში ცხოვრობდა, მაგრამ ეკლესია, რომელიც მას უყვარდა იგივე ბრძოლას გადიოდა.

„ვინაიდან მოშურნე ვარ თქვენ მიმართ ლვთიური მოშურნეობით, რადგან დაგნიშნეთ ერთ კაცზე, რათა წმიდა ქალწულად წარგადგინოთ ქრისტეს წინაშე. მაგრამ ვშიშობ, რომ როგორც გველმა აცდუნა ევა თავისი მზაკვრობით, ასევე არ გაიხრწნას თქვენი გონება და არ გადაუხვიოთ უბრალოებასა და სიწმიდეს ქრისტეში. ვინაიდან სიხარულით იწყნარებთ მათ, რომელიც წმიდან და გიქადაგებენ სხვა იესოს, რომელიც ჩვენ არ გვიქადაგია; და ლებულობთ სხვა სულს და სხვა სახარებას, რომელიც ჩვენგან არ მიგიღიათ“. (2კორინთელთა 11:2-4)

ან, როგორც ბიბლიის სხვა თარგმანშია ეს ნაწყვეტი მოცემული:

„ის, რაც მე ასე მამწუხრებს, მდგომარეობს იმაში, რომ დიდად ვზრუნავ თქვენზე – ეს ლვთის ვნებაა, რომელიც ანთია ჩემში! მე ქრისტეს შევპირდი თქვენს ხელს ქორწინებაში, წარგადგინეთ მის წინაშე, როგორც წმიდა ქალწულს წარუდგენნ მის ქმარს. ახლა კი, ვშიშობ, რომ სწორედ ისე, როგორც გველმა შეაცდინა ევა, თქვენც არ შეგაცდინოთ და არ მოგწყვიტოთ თქვენს სუფთა სიყვარულს ქრისტესაგან. როგორც ჩანს, თუ ვინმე ქადაგებს სულ სხვა იესოს, ვიდრე ჩვენ გიქადაგებდით – სხვა სულს, სხვა უწყებას, თქვენ მას მშვიდად ლებულობთ“.

მომისმინეთ, როგორც დედას – არა, როგორც ბებიას: თქვენ არ იყავით შექმნილნი კომპრომისისთვის, ან საკუთარი თავის სხვასთან შედარებისთვის. შეხმოქმედმა თავისი ორიგინალური დნმ-ი ჩააქსოვა თქვენში. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ უნიკალურად გამოხატოთ მისი სიყვარული და დიდება, და ნაყოფი და ჯილდო იმისა, თუ როგორ გააკეთებთ ამას, მარადისობაში გაგყვებათ.

## მარადიული გვირგვინები

მე დავიწყე წიგნი იმის ახსნით, თუ ვინ ხართ თქვენ და ვინ არის ღმერთი, ახლა კი ვცდილობ დავასრულო იგი იმით, თუ რა მოგვეცა ჩვენ. გარდა იმისა, რომ გადაჭარბებით მოგვეცა დიადი და ძვირფასი დაპირებები, რაც საშუალებას გვაძლევს, ვიყოთ ღვთიური ბუნების ზიარნი, ძალაუფლების სამკაულები გველოდება.

მე მიყვარს სამკაულები, თუმცა, არა ნებისმიერი მათგანი. მე მიყვარს სამკაულები, რომლებიც რაღაც მოვლენას მახსენებს. ჩვენი საქორნინო ბეჭდები, ჩვენი ქორნინების ამბავს წარმოადგენს. მე მაქვს ბეჭდები, რომლებიც თითოეული ვაჟის დაბადების შემდეგ მომეცა. მაქვს მახვილის ფორმის ყელსაბამი, ისრის ფორმის სამაჯური, და კიდევ სხვა, რომელიც წარმოადგენს იმას, თუ რას ნიშნავს, იბრძოლო როგორც ქალმა. მაქვს საჩუქრები მეგობრებისაგან, ან საჩუქრები, რომლებიც ჩემი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებს და ცვლილებებს უკავშირდება. საჩუქრის უკანა მხარეს გაკეთებული წარნერის, ან თარიღის მიხედვით მე ვხვდები, ეს სამკაულია თუ აქსესუარი.

მიყვარს პანდა პარნარდის ისტორია *Hinds' Feet on High Places*. ის მაშინ გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში, როდესაც ოც წელზე ცოტა მეტის ვიყავი და მას შემდეგ ჩემთანაა. მე მას ჩემს ბავშვებს ვუკითხავდი, როდესაც ისინი პატარები იყვნენ, და მე თვითონაც ვკითხულობ, როდესაც ვგრძნობ ამის საჭიროებას. მასში მოთხრობილია ახალგაზრდა ქალის შესახებ, რომელიც შიშებით არის აღსავსე, იგი მოგზაურობს, რათა მივიდეს სრულყოფილ ადგილას, სადაც სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს. მას ამ გზაზე მრავალი მიხვეულ მოხვეული გზის და განსაცდელის გავლა უწევს. თითოეულ ადგილზე, წიგნის გმირი, რომელსაც სახელად ძალიან შეშინებული ჰქვია, სამსხვერპლოს აგებს და თითოეული ადგილიდან მიაქვს ქვა, რომელსაც ჩანთით ატარებს. რაღაც გარკვეულ მომენტში, იგი იმდენად თავგზააბნეულია და დაპირებული ადგილი იმდენად შორი ჩანს, რომ მას სურვილი უჩნდება მოისროლოს ეს მემორიალური ქვები, რომლებიც მას განცდილ იმედგაცრუებას ახსენებენ. მაგრამ, გარკვეული ფიქრების შემდეგ, იგი იტოვებს მათ, რაც კარგია, რამეთუ მოგვიანებით, თითოეული ქვა, სამკაულად იქცევა მის გვირგვინზე.

სწავლულებს მიაჩნიათ, რომ წმიდა წერილში ნახსენებია ხუთი სპეციფიკური გვირგვინი. აქ არის, სამართლიანობის გვირგვინი, რომელსაც ჩვენ ვლებულობთ მაშინ, როდესაც ჩვენს ცოდვას და სირცხვილს ქრისტეს სამართლიანობით ვცვლით

## კონცურენციის გარეშე

და იგი თავისი ხსნით გვამკობს ჩვენ. არსებობს სიხარულის გვირგვინი; იგი შენახულია მათვის, ვინც თაყვანს სცემს და აქებს ღმერთს მიუხედავად მათი გარემოებებისა. შემდეგია დიდების გვირგვინი მათვის, ვინც მოუთმენლად ელოდება იხსოს დიდებით გამოჩენას. წიგნის ამ დარჩენილ რამდენიმე გვერდზე, მსურს დარჩენილი ორი გვირგვინი განვიხილო.

## უხრენად გვირგვინზე, საუბარია 1კორინთელთა 9:24-27-ში:

„განა არ იცით, რომ ასპარეზზე ყველანი გარბიან, მაგრამ მხოლოდ ერთი იღებს ჯილდოს? მაში, ირბინეთ ისე, რომ ჯილდო მოიპოვოთ. ყველა, ვინც იღწვის, თავს იკავებს ყველაფრისგან; ისინი – ხრნნადი გვირგვინის მისალებად, ჩვენ კი – უხრენადისა. ამიტომ მეც გავრბივარ, მაგრამ არა უმიზნოდ, და არც ისე ვიქწევ მუშტებს, ვითომ ჰერს ვცემდე; არამედ ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რათა სხვებს რომ ვუქადაგებ, თვითონ ულირსი არ აღმოვჩინდე“.

ეს გვირგვინი რბოლის მეშვეობით მოიპოვება, და ის, თუ როგორ წვრთნას გავდივართ, გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ვირბენთ. წვრთნა, არ არის სასიამოვნო, მაგრამ არც დისკვალიფიკაცია და რბოლის წაგებაა სასიამოვნო. სულიწმიდა მრავალ საკითხში გვწვრთნის.

„ნუ დაანალელიანებთ ღმერთს! ნუ გაუტეხთ მას გულა! მისი სულიწმიდა, რომელიც თქვენში მოძრაობს და სუნთქავს, თქვენი ცხოვრების ყველაზე ახლო მეგობარს წარმოადგენს. ნუ მიიღებთ ასეთ საჩუქარს ისე, როგორც ჯეროვანს!“ (ეფესელთა 4:30)

ყველაფერი წებადართულია, მაგრამ ყველაფერი არ უწყობს ხელს ღვთისმოსაობას და სარბიელის კარგად გარბენას. ღმერთმა იცის, თუ რა მოხდება. მან იცის, თუ როდის უნდა მოვუმატოთ სიჩქარეს ან შევანელოთ იგი. მან იცის, თუ ვისთან ერთად უნდა ვიგარჯიშოთ და ვისგან უნდა დავიჭიროთ თავი შორს. როდესაც მის მითითებებს ვემორჩილებით, ამას ჩვენთვისვე მოაქვს სარგებელი. ჩვენ არ ვიბრძვით იმისთვის, რომ ხრნნადი გვირგვინი მივიღოთ; ჩვენ მუდმივობისკენ გვაქვს გეზი აღებული.

„ნუ დაიუნჯებთ დედამიწაზე, სადაც ჩრჩილი და უანგი სპობს და სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ. დაიუნჯეთ ზეცაში, სადაც არც ჩრჩილი და უანგი სპობს, და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ. რადგან სადაც შენი საუნჯეა, შენი გულიც იქვე იქნება“. (მათე 6:19-21)

როდესაც შენი გული ზეცაშია, შენ ზეცისკენ მიმავალ გზასაც იპოვი. როგორც უკვე განვიხილეთ, ამ საუნჯეს შენ გულით ატარებ და მისი დამცველი სიყვარულია. ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც ორსულადაა სიტყვებით, იდეებით, წიგნებით, სოციალური კავშირებით, კრეატიულობითა და სიბრძნით. მისი დიდი ნაწილი შესანიშნავია. მაგრამ ამ სამყაროს თან ახლავს სახიფათო დაძაბულობა, რომელიც შეეცდება, რომ თქვენ ვერ გაირბინოთ თქვენი სარბიელი. ჩვენ გაფრთხილებულნი ვართ:

„ნუ შეიყვარებთ წუთისოფელს, წურც იმას, რაც წუთისოფელშია. თუ ვინმეს წუთისოფელი უყვარს, მასში არ არის მამის სიყვარული. ვინაიდან ყოველივე, რაც წუთისოფელშია: ხორციელი გულისთქმა, თვალთა გულისთქმა და ამაო დიდება ცხოვრებისა – მამისგან კი არა, წუთისოფლისგან არის. წუთისოფელიც გადადის და მისი გულისთქმაც, ღვთის ნების აღმსრულებელი კი უკუნისამდე რჩება“. (1იოანე 2:15-17)

ეს არის ის, რაც გვკრავს ჩვენ და ქვეყნიერებაზე მიჯაჭვულს გვხდის.

ქვეყნიერების ვნებანი სამ კეტაგორიად იყოფა:

1. ხორციელი გულისთქმები, ან საკუთარი გზით სიარული;
2. თვალთა გულისთქმები, ან ყველაფრის სურვილი, რა-საც კი ხედავთ;
3. ცხოვრების სიამაყე, ან სურვილი გამოჩნდე მნიშვნე-ლოვანი.

თითოეული ჩვენგანი, ამ ჩამონათვალიდან, სულ მცირე, ერთ კონკურენტს მაინც ებრძვის, თუ არა სამივე მათგანს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებში. უამრავი გზა არსებობს იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოვლინდნენ ისინი თქვენს ცხოვრებაში, და თითოეული ეს სურვილი, შესაძლოა, სხვაგვარად გამოიყურებოდეს სხვადასხვა დროს. როდესაც ჩვენ ახალდაქორწინებულები ვიყავით და ჯერ ბავშვი არ

## კონცურენციის გარეშე

გვყავდა, მე ძალიან ეგოისტი ვიყავი. ვფიქრობ, სამართლიანი იქნება ითქვას, რომ ყველაფერი ჩემებურად მინდოდა რომ ყოფილიყო და მინდოდა ყველაფერი, რასაც კი დავინახავდი. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ არ გვქონდა ფული ჩემი ცუდი ქცევის მხარდასაჭერად, თუმცა, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მე არ ვხედავდი საგნებს და არ მინდოდა ისინი ყველაფრისდა მიუხედავად. შემდეგ, ხუთი წლის განმავლობაში, სამი შვილი შეგვეძინა, და ერთადერთი, რაც მინდოდა, იყო ძილი! რაც შეეხება, სურვილს გამოვჩნდე მნიშვნელოვანი, რაც უფრო მემატება ასაკი, ძალიან დიდი სურვილი მიჩნდება, რომ მნიშვნელოვანი ვიყო ჩემი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, და სულიერი ასულებისთვის, რომლებიც ჩემს გზაზე მხვდებიან.

ეს მამოძრავებელი ვნებები დაკავშირებულია სამყაროსთან, რომელიც უნდა დაიმსხვრეს მუდმივობის სიმძიმის ქვეშ. ყველაფერი: სოციალური მედიით დაწყებული, მუსიკით, რეკლამითა და გართობით დასრულებული – ამ ვნებების დაკავშირების ლამობს. კაცობრიობის ისტორიაში, არასდროს გვქონია ასეთი ინტიმური წვდომა ადამიანებთან, რომელთანაც არ გვაქვს ურთიერთობა. როდესაც ადამიანებს უჭირთ ადამიანებთან კავშირის დამყარება, რომელთაც ხედავენ (მათ მეგომრებსა და ოჯახებს), არ არის გასაკვირი, რომ დაკავშირება ლმერთან, რომელსაც ისინი ვერ ხედავენ, გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

„ლვთის ნების აღმსრულებელი კი უკუნისამდე რჩება“. (1იოანე 2:17)

ქვეყნიერებისგან განდგომის მიზნით, ჩვენ საკუთარ ნებას გვერდზე ვწევთ და ლვთის ნებას ვლებულობთ. მასში ჩვენ განკურნებას ვლებულობთ ამ სახითათო მიწებებისაგან.

„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი გონებით; და შეიყვარე მოყვასი შენი ისე, როგორც გიყვარს საკუთარი თავი!“ (ლუკა 10:27 TPT)

როდესაც ლვთის მიმართ სიყვარული უხვად არის შენს ცხოვრებაში, ქვეყნიერებისადმი ლტოლვა კლებულობს. როდესაც მე ღმერთზე ვფიქრობ და საშუალებას ვაძლევ მას, რომ ვუყვარდე, აღმოვაჩენ, რომ საკუთარ თავსაც იოლად ვუმკლავდები. როდესაც საკუთარ თავს ადვილად ვუმკლავდები, სხვების მიმართაც უფრო მოსიყვარულე

ვარ. როდესაც ღმერთზე ფოკუსირებული და მოსიყვარულე ვარ, ნაკლებად მივდევ ცარიელ საგნებს, რამეთუ ჩემი ურთიერთობები ავსებენ ნაპრალს.

„მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა?! ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღმერთის მტერი ხდება!“ (იაკობი 4:4)

ზოგჯერ ვფიქრობ, სერიოზულად ვუდგებით თუ არა წმიდა წერილის ამ მონაკვეთს, თუ ნარმოვიდგენთ, რომ იგი აღარ ახდენს გავლენას მადლის გადმოღვრაზე ჩვენზე. რთულია ნარმოიდგინო პიროვნება, რომელიც განზრას აყენებს საკუთარ თავს ოპოზიციაში თავის შემოქმედთან. პავლეს საქმე ჰქონდა მრუშ ადამიანებთან, რომელთაც სურდათ ეცხოვრათ კანონის ქვეშაც და მადლის ქვეშაც, და იაკობიც მიმართავს მათ, რომელთაც მარადიული მცნება გააჩნიათ, მაგრამ ლოტის ცოლის მსგავსად, ქვეყნიერებისადმი მიჯაჭვულობას ებრძვიან.

ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს უკუსვლა იწყება სურვილით, დაცუმეგობრდეთ ქვეყნიერებას. სახელდობრ, რას გულისხმობს აქ იაკობი? გყავდეს მეგობრები ქვეყნიერებაზე, ან ქვეყნიური მეგობრების ყოლა არ არის აქ ნაგულისხმევი. ჩვენ უნდა ვიყოთ მეგობრულები ქვეყნიერების მიმართ, მაგრამ არ უნდა ვმეგობრობდეთ ქვეყნიერებასთან. პირველი აღნერს იმას, თუ როგორ ვეპურობით ქვეყნიერებაზე მცხოვრებლებს; მეორე კი, ქვეყნიერების სისტემასთან მეგობრობას გულისხმობს. თქვენ ვერასოდეს გექნებათ ძალაუფლება იმაზე, რისი ზემოქმედების ქვეშაც იმყოფებით. ჩვენ უნდა თანავუგრძნობდეთ ჩვენს ქვეყნიერებას, ნაცვლად იმისა, რომ შევესაბამებოდეთ მას. ეს ნიშნავს შემდეგს:

ჩვენ ქვეყნიერების შიშვლებს ვმოსავთ, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნიერებასთან ერთად გავშიშვლდეთ.

ქვეყნიერების მშივრებს ვაპურებთ, ნაცვლად იმისა, რომ გვწყუროდეს ქვეყნიერება.

ჩვენ განკურნების აგენტები ვართ, რომლებსაც ამ დაჭრილი ქვეყნიერების სანოლთან მოუხმეს, და არა მის სანოლში.

კერძო პირებთან დამოკიდებულებაშიც, ჩვენ ისე ვიქცევით, როგორც სხვა სამეფოს ელჩები, სადაც ჩვენი მეფის მცნებებს პატივს მიაგებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ დადგება დღე, როდესაც ეს ურთიერთობა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდება.

ამ გვირგვინის მოსაპოვებლად, ჩვენ უნდა მივატოვოთ ჩვენი მეტოქეობა ჩვენს შიშებთან და გამოვეხმაუროთ ღვთის მოწოდებას გვიყვარდეს იგი, სხვები და საკუთარი თავი.

პონტურენციის გარეშე

## სიცოცხლის გვირგვინი

დარჩა უკანასკნელი გვირგვინი... სიცოცხლის გვირგვინი. საერთო აზრის თანახმად, მასაც შეიძლება წამებულის გვირგვინი ეწოდოს. ებრაელთა მიმართ წერილის „გმირების გალერეაში“ ჩამოთვლილ გმირთა უმრავლსობაში მოიპოვა ეს გვირგვინი, ისევე როგორც სტეფანემ, პეტრემ და ქრისტეს მრავალმა მიმდევარმა, რომელთა სახელებსაც ვერასდროს შევიტყობთ მუდმივობის ამ მხარეს. ეს ისინი არიან, ვინც ყველაფერი გაიღო. ეს გვირგვინი, მოიპოვება მეტოქის გარეშე ცხოვრების ფასად.

„სიკვდილამდე ერთგული იყავი და მოგცემ სიცოცხლის გვირგვინს! ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: გამარჯვებულს ვნება არ ექნება მეორე სიკვდილისგან!“ (გამოცხადება 2:10-11)

მომწონს, თუ როგორ არის ნათარგმნი მე-10 მუხლი ბიბლიის Message-ის თარგმანში: მე თქვენთვის სიცოცხლის გვირგვინები მაქვს გამზადებული, რომლებიც თქვენს ზომაზეა შექმნილი“.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როდესაც სულ უფრო და უფრო მეტი გულები განიცდიან წარუმატებლობას შიშის გამო. ძალადობა, ავადმყოფობები, შიმშილი და ომი – სიკვდილის შიშს ბადებს. ცილისწამება, ბრალდება და დევნა – ადამიანის წინაშე შიშს წარმომობს.

  
**გვირგვინის  
მოსაპოვებლად  
ჩვენ სილომე  
დაგვჭირდება.**  
სავსებით ცხადია, რომ სატანას სურს დაგვძლიოს უმოქმედობით, ან რეაგირებისკენ გვიბიძგოს. ნერონის მსგავსად, სატანასაც სურს, რომ ერთის მხრივ, თავზარი დაგვცეს სისასტიკითა და საშინელებით, ხოლო, სხვა მხრივ, შეგვაცდინოს სიმდიდრითა და ავხორცობით. ყველაფერზე უფრო მეტად, ჩვენი მტერი ისურვებდა, რომ ჩვენ ვიდგეთ სურვილების ჭებთან და გაღიზიანებულები მონეტებს ვყრიდეთ ჭაში. მაგრამ ამ გვირგვინის მოსაპოვებლად ჩვენ სილომე დაგვჭირდება.

ახლახან, ერთი დღის მანძილზე, სამი საშინელი ამბავი შევიტყვე. ორი მათგანი ჩემი ერთ-ერთი სულიერი ქალიშვილის ლინკების მეშვეობით შევიტყვე. ის და მისი ოჯახი, სათავეში უდგანან ორგანიზაციას, რომელიც სექს ტრეფიკინგს ებრძის ისრაელში. პირველ ლინკში, მე წავიკითხე 150

ახალგაზრდა ქალის თვითმკვლელობის შესახებ, რომლებიც „აისისი“-ს დაჯგუფებებმა ტყვედ აიყვანეს და სექს მონებად ჰყავდათ. თითოებისადა ეს შეურაცხყოფა არ იყო საკმარისი, მათმა დამტყვევებლებმა მათი გვამები ძალლებს დაუყარეს შესაჭმელად. ეს დაუჯერებლად მეჩვენებოდა და ამიტომ ეს ანგარიში მრავალჯერ წავიკითხე. განა შესაძლებელია, რომ ასეთი აშკარა ბოროტება სინამდვილეში არსებობდეს? ახლაც კი, ამ სიტყვების წერისას, თვალწინ წარმომიდგება ძალლები, რომლებიც წანილებად გლეჯენ ამ გოგონების სხეულებს. ამ საშინელებისგან მაურულებს და მახსენდება გამოცხადების 12:17-ში დაწერილი სიტყვები:

„განრისხდა დედაკაცზე გველეშაპი და წავიდა, დანარჩენებს რომ შეპრძოლებოდა მისი თესლიდან, რომლებიც ღვთის მცნებებს იცავენ და იესოს მოწმობა აქვთ“.

ასეთი რამ მეტისმეტად სასტიკია იმისთვის, რომ ადამიანებისგან იყოს – ეს გველეშაპის რისხვაა.

ეს მძვინვარება მიმართულია „დედაკაცზე და მის შვილებზე, რომლებიც იცავენ ღვთის მცნებებს და მტკიცედ დგანან იესოს მოწმობაზე“ (გამოცხადება 12:17). უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, მე ვხედავ, თუ როგორ გავრცელდა ეს ბოროტება და წარმოუდგენელ პროპორციებს მიაღწია.

შემდეგი ლინკი, რომელიც გავხსენი, შეეხებოდა იმ კაცების სექს მონებით დაჯილდოვებას, რომელთაც ზეპირად ისწავლეს ყურანი. აგრეთვე, იქ იყო ლინკიც ურჯულოთა გაუპატიურების, როგორც თაყვანისცემის აქტთან დაკავშირებით. სამწუხაროა, მაგრამ ვშიშობ, იმ მომენტისთვის, როდესაც ეს წიგნი გამოიცემა, მხეცობის უფრო საშინელი ტალლები ჩამარხავენ ამ ამბებს თავის გზაზე.

მესამე ისტორია, პირადად მე მომივიდა ჩვენი მსახურების ოფისის ელექტრონულ ფოსტაზე. ჩვენთან თანამშრომლობს საკვანძო პიროვნება, რომელიც უფასო რესურსების გავრცელებაში გვეხმარება ისეთ ქვეყნებში, სადაც დევნა ან სილატაკე ზღუდავს ადამიანების წვდომას ქრისტიანული რესურსების მიმართ. შუა აღმოსავლეთში, ჩვენი ერთ-ერთი ასეთი მამაცი მეგობარი სირიაში ქრისტიანების მიმართ მიზანმიმიმართული სროლის დროს იქნა მოკლული. ამ ადამიანის სიკვდილის გარემოებების განმარტებისას, ჩვენი წყარო წერდა: „ზოგიერთი მოწმდებულია იმისთვის, რომ ბევრი გაიღოს, ზოგიერთები კი ყველაფერს გასცემენ“.

## კონცურენციის გარეშე

განცვიფრებული ვიყავი. შეხვედრაზე მანქანით მივდიოდი და ამ დროს წერილის შინაარსზე ვფიქრობდი, რომელიც მისი მეულლისთვის უნდა მიმეწერა. ვიგრძენი, რომ ყველაფერი, რასაც მე მას ვეტყოდი, მისი ცხოვრებისა და გარემოებების შეურაცხყოფად ჩამოვლებოდა. „ვწუხვარ“ ზედაპირული ჩანდა, „მადლობა“ – არასწორი. მე ხომ მას ისეთი ოჯახიდან ვწერდი, რომელსაც არასოდეს განუცდია მოწამის სიკვდილი. მე უამრავი თაყვანისცემის მუსიკის დისკი, უამრავი წიგნი და ბიბლია მაქვს. ჩემი საკუჭნაო საჭმლით არის სავსე, ჩემი გარდერობი კი ტანსაცმლით, და ამ საღამოს, როდესაც ჩემს შეილიშვილებთან გავატარებ დროს, ისინი ითამაშებენ და გაერთობიან, და მათ არც კი ეცოდინებათ, რომ ასეთი სახის ტკივილი საერთოდ არსებობს ჩვენი ძმებისა და დების ცხოვრებაში.

თავი შერცხვენილად ვიგრძენი. უეცრად მომეჩვენა, თითქოს ჩემი ცხოვრება იზოლირებულ ცარიელ ნიუარად იქცა, და ყველაფერი, რაც ვიცოდი და რაც გამაჩნდა, ისეთივე მყიფე გახდა, როგორც ის ბუმტები, ჩემი შეილიშვილები რომ უშვებენ ჰაერში. სურვილი გამიჩნდა ვინძმესთვის დამერეკა. ქალისთვის, რომელიც ჩემზე უფროსი და ბრძენი იყო... რომელიც უბრალოდ მიხვდებოდა, თუ რა დღეში ვიყავი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვერ გასცემდა პასუხს ჩემს შიგნით მძვინვარე კითხვებს.

ძალიან ბევრი „რატომ“ დამიგროვდა. რატომ მაქვს მე ყველაფერი, როდესაც ოკეანის მიღმა მყოფი ქალები იმდენად სასონარკვეთილნი არიან, რომ მზად არიან საკუთარი სიცოცხლე გასწირონ, ნაცვლად იმისა, რომ კიდევ იცოცხლონ გარკვეული დროის მანძილზე? სად არის სამართალი? მე მინდოდა დამენახა ტანჯვის უთანასწორობა. შემდეგ, მივხვდი, რომ საკუთარ თავს ვადარებდი მათ. სწორი ვიყავი, როდესაც კონტრასტს ვხედავდი, მაგრამ შედარებას არ ჰქონდა აზრი. პასუხი არ არსებობდა. არსებობს გველი, რომელიც დრაკონად იქცა. ამ დრაკონის ზემოქმედების ქვეშ მამაკაცები და ქალები საშინლად ექცევიან ერთმანეთს. გავაცნობიერე, რომ არჩევანის გაკეთების უფლება მქონდა. შემეძლო, გამეგრძელებინა გაბრაზებული კითხვების დასმა, ან შემეძლო უფლება მიმეცა, რომ ეს კითხვის ნიშნები ჩემს ცხოვრებაში გადაქცეულიყვნენ ძახილის ნიშნებად. ცრემლები მოვიწინდე და გადავწყვიტე, რომ მათი ცხოვრება ჩემი ცხოვრების აქცენტირებისთვის გამომეყენებინა.

დევნის ეს ისტორიები ახალი არ არის, რადგან ისინი ყოველ საუკუნეში იჩენენ თავს. ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკში მე უნდა ვიქცე მოწიფულ ქალად, რომელიც არ ებრძვის კითხვებს,

რომლებზე პასუხიც არასდროს მეცოდინება მუდმივობის ამ მხარეს ყოფნის პერიოდში. მხოლოდ ასაკი არ ნიშნავს არაფერს. ჩვენ დაჩქარებულ გზაზე ვიმყოფებით და ჩვენი დროის მოვლენები ემსახურება იმას, რომ მუდმივობა ბევრად უფრო მიმზიდველი გახდეს. რაც კარგ მიზეზს წარმოადგენს იმისთვის, რომ კარგად ვიშრომოთ, სანამ შეგვიძლია. ისტორია მხოლოდ მუდმივობაში მიიღებს აზრს, მაგრამ აქ და ახლა, ჩვენ შეგვიძლია ვილოცოთ და ვიცოდეთ, რომ ჩვენ გვისმენენ, როდესაც ჩვენი გულები თავისუფალია შეჯიბრებისგან, შურისგან და შედარებისგან.

„თქვენ ყველანი მოწოდებულნი ხართ, რომ ერთსა და იმავე გზაზე იაროთ და ერთია და იგივე მიმართულებით, ასე რომ იყავით ერთად, როგორც გარეგნულად, ასევე შინაგანად. თქვენ ერთი ბატონი გყავთ, ერთი რწმენა გაქვთ, ერთი ნათლისლება, გყავთ ერთი ღმერთი და მამა ყოველთა, რომელიც არის ყოველთა ზედა, ყოველივეს მეშვეობით და ყველაფერში. ყველაფერი, რაც თქვენ ხართ, და რასაც აკეთებთ, გაუღენთილია ერთობლიობით. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ყველა ერთნაირად უნდა გამოიყურებოდეთ და ერთნაირად ისაუბროთ და იმოქმედოთ. ქრისტეს საჩუქრის ზომისამებრ ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს თავისი ნიში“. (ეფესელთა 4:4-7 Message)

## იცხოვრეთ თქვენი ცხოვრებით!

ჩვენ ძალიან ბევრი რამ მოგვეცა. ჩვენი უნიკალური პერსპექტივა საჩუქარს წარმოადგენს. ის, რაც ჩვენ გვინახავს და გამოგვიცდია, საჩუქარს წარმოადგენს. ჩვენ არჩევანის ნინაშე ვდგავართ. ჩვენ შეგვიძლია, უფლება მივცეთ ამას, დაგვძლიოს და არაფერი მოვიმოქმედოთ. შეგვიძლია ჩვეულებრივ მოვლენად აღვიტვათ იგი და უფლება მივცეთ წაგვლეკოს. ან, შეგვიძლია ვიცხოვროთ გამუდმებით გაკვირვებულ მდგომარეობაში.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, მე დავწერე „ძულომი“ ქალების შესახებ, გოგონების შესახებ – ხმლებითა და ჯვრებით იბრძოლე, როგორც ქალმა! და კოცნის შესახებ, რომელიც ატირებს გოგონებს, წაცვლად იმისა, რომ გამოკვებოს მათი სული. და ახლა, მე ვწერ იმ იმედით, რომ ყველაფერი, რაც თქვენ გელოდებათ, რეალიზებულ იქნეს, რამეთუ შენ, ღვთის ქალიშვილო, მოწოდებული ხარ იცხოვრო მეტოქის გარეშე!

## პონტურენციის გარეშე

შენ უყვარხარ მამას, რომელსაც არ ჰყავს კონკურენტი. წარმომავლობით ხარ ქვეყნიდან, რომელსაც არ ჰყავს კონკურენტი.

ემსახურები ღმერთს, რომელიც უკონკურენტოა.

ნაყიდი ხარ მსხვერპლით, რომელიც უკონკურენტოა.

მონდობილი გაქვს სახელი, რომელსაც ბადალი არ ჰყავს. გაძლიერებული ხარ სულით, რომლის მსგავსიც არ არსებობს.

გაქვს ენა, რომელიც შეუდარებელია.

უბადლო სხეულის ნაწილი ხარ.

მოცემული გაქვს უბადლო დავალება.

აღჭურვილი ხარ უბადლო იარაღით.

ჩართული ხარ ბრძოლაში, რომელიც უკონკურენტოა.

მოწოდებული ხარ ლოცვებისთვის, რომლებიც შეუდარებელია.

ჩვენს წინაშე შეუდარებელი შესაძლებლობებია, რამეთუ ჩვენ ვდგავართ პოზიციაზე მოვიმკათ შეუდარებელი მოსავალი და წილად გვხვდა მომავალი კონკურენციის გარეშე...

მოდი, ახლა ისეთი ცხოვრებით ვიცხოვროთ, რომელიც შეუდარებელი იქნება სილამაზით, ძალაუფლებით, სათნოებითა და წვდომით... ზოგიერთები ბევრს გაიღებენ, მაგრამ ზოგნი – ყველაფერს.

დადექი ღვთის წინაშე განათებული იმედით, ერთგული მსახურებაში და სიყვარულით ყველაფერში, რასაც აკეთებ. რამეთუ შენ, ჩემო მეგობარო და დაო, გელოდება შეუდარებელი ბედი. ახლა კი წადი სიყვარულისაგან შობილი სიმამაცით და გაბედულად იცხოვრე!

## სადისკუსიო კითხვები

1. რას გეუბნებათ პირადად თქვენ თეკლას ამბავი?
2. აღნერე სხვაობა ქვეყნიერებასთან მეგობრობასა და მისთვის მეგობრად ყოფნას შორის!
3. რა სფეროებია თქვენს ცხოვრებაში ისეთი, რაზეც ყურადღების გამახვილებაა საჭირო?
4. რა არის შემდეგი ნაბიჯი, რომელსაც უბადლო ცხოვრებით ცხოვრებისკენ გადადგამთ?

## შენიშვნები:

### თავი 3: დაპირება კონკურენციის გარეშე

1. თუმცა, „სელაჰ“-ის ნამდვილი მნიშვნელობა არ არის ცნობილი, მრავალი ფიქრობს, რომ ეს არის ლიტურგიული ცნება. ბიბლიის ვრცელ თარგმანში „სელაჰი“ ნათარგმნია, როგორც „შეჩერდი და იფიქრე ამაზე!“

### თავი 5: როდესაც მეტოქედ აღვიქვამენ

1. A. L. Duckworth, C. Peterson, M. D. Matthews, and D. R. Kelly, “Grit: Perseverance and Passion for Long-Term Goals,” *Journal of Personality and Social Psychology* 92, no. 6 (2007): 1087.
2. Malcom Gladwell, David and Goliath: Underdogs, Misfits, and the Art of Battling Giants (New York: Little, Brown and Co., 2013).

### თავი 6: სქესი მეტოქის გარეშე

1. Mark Driscoll, *On Church Leadership* (Wheaton, IL: Crossway, 2008).
2. Ibid.
3. Kris Vallotton, *Fashioned to Reign* (Grand Rapids: Chosen, 2013), chap. 7
4. Gilbert Bilezikian, *Beyond Sex Roles: What the Bible Says about a Woman’s Place in Church and Family*, 3rd ed. (Grand Rapids: Baker, 2006).

### თავი 7: შიშისა და სიყვარულის მეტოქეობა

1. C. S. Lewis, *The Four Loves* (New York: Harcourt Brace Jovanovich, 1960).
2. Kent M. Keith, *The Paradoxical Commandments* (Makawao, HI: Inner Ocean, 2001).

### თავი 9: ქალიშვილი მეტოქის გარეშე

1. <http://oca.org/saints/lives/2015/05/10/39-sunday-of-the-samaritan-woman>.
2. <http://www.pravoslavie.ru/english/print79178.htm>.
  3. Christopher Henry Dawson, *Religion and World History: A Selection from the Works of Christopher Dawson* (Garden City, NJ: Image Books, 1975).
4. ფაქტები, რომელთა შესახებაც საუბარია ამ პუნქტში, აღებულია შემდეგი ცნობებიდან: Robyn Dixon, “At Kenya College, Christian Students Foretold Massacre,” *Los Angeles Times*, April 5, 2015; “Gunmen Kill 147 at University in Kenya,” *Chicago Tribune*, April 3, 2015; “At Least 147 Killed in Islamic Terror Attack at Kenya University Targeting Christian Students,” *KTLA.com*, April 2, 2015.

### თავი 10: ცხოვრება მეტოქის გარეშე

1. თეკლას ცხოვრების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ შემდეგი წყაროები:  
<http://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/shows/religion/maps/primary/thecla.html> (the account from the Apocryphal Acts);  
[http://www.antiochian.org/life\\_of\\_thekla](http://www.antiochian.org/life_of_thekla);  
<http://dce.oca.org/assets/templates/bulletin.cfm?mode=html&id=101>;  
<http://www.newadvent.org/cathen/14564a.htm>.
2. Henry Clarence Thiessen, *Lectures in Systematic Theology* (Grand Rapids: Eerdmans, 1979), 389.

**ლიზა ბევერი** არის საერთაშორისო სპიკერი, ბესტსელერების ავტორი და სატელევიზიო პროგრამა Messenger-ის, რომელიც ორასზე მეტ ქვეყანაში გადაიცემა, თანანამყვანი. ავტორი წიგნებისა „ძუ ლომის გამოღვიძება“, „გოგონები ხმლებით“, და „იბრძოლე, როგორც ქალმა“. ლიზა გადაცემის *Life Today* ხშირი სტუმარია, და ხშირად გამოდის სიტყვით ჯოის მაიერის კონფერენციებზე, სახელწოდებით „რწმენის ქალები“, აგრეთვე ჰილსონგის კონფერენციებზეც. მას და მის მეუღლეს, ჯონს ოთხი ვაჟი ჰყავთ და კოლორადოში ცხოვრობენ.

თუ უფრო მეტი ინფორმაციის გაგება გსურთ, ენვიეთ ვებგვერდს [LisaBevere.com](http://LisaBevere.com).

# გოგონები ხელებით

როგორ ვატაროთ ჯვარი, გმირების მსგავსად



თუ ოდესმე ყოფილა დრო ქალების შესაიარაღებლად, ეს დრო სწორედ ახლაა. მთელ მსოფლიოში, ქალები წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის, სექს ტრეფიკინგის, ბოროტად მოპყრობისა და გენ-დერციდის მსხვერპლნიც კი არიან. ლიზა ბევირი წერს, რომ ეს შემოტევები მეტყველებს იმაზე, თუ რა როლი შეიძლება ჰქონდეთ ქალებს მომავალში, ვიდრე იმაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი წარსულში. წიგნში „გოგონები ხმლებით“ იგი აღწერს, თუ როგორ ცდილობს მტერი ქალების განიარაღებას ყველა დონეზე. დროა, რომ ქალები იქცნენ გმირებად, როგორებადაც ღმერთმა შექმნა ისინი და წამოდგნენ – როგორც მამაცები, გამჭრიახები, მპატიებლები და ბრძენები.

სხვა რესურსები ჯონ და ლიზა ბევირებისაგან ხელმისაწვდომია უფასოდ ვებგვერდზე:

[www.CloudLibrary.org](http://www.CloudLibrary.org)

დამატებითი რესურსები იხილეთ სხვა ენებზე და ჩამოტვირთეთ:

Youtube.com & Yuku.com and other media sharing sites.

„კონკურენციის გარეშე“ ძალიან უნიკალურ პოზიციას იკავებს იმ გამუდმებული ომის წინააღმდეგ, რომელიც ქრისტიში ჩვენი იდენტურობის წინააღმდეგ არის გამართული”.

პოსტ გაიცი

ბიბლიის მასწავლებელი და ბესტსელერების

იმას, რომ ჩვენ სხვა ადამიანებს მეტოქეებად მივიჩნევთ და საკუთარი თავის ლიმიტირებას ვახდენთ მათთან შედარებისა და შეჯიბრების მეშვეობით, თავისი მიზეზი გააჩნია. ჩვენ გვყავს მტერი, რომელიც უტევს ჩვენს გონებას, ნებასა და ემოციებს იმ იმედით, რომ თავს დავესხმებით, როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვებსაც. ეს არის ციკლი, რომელიც ჩვენს იზოლირებას ახდენს მჭიდრო კავშირებისაგან, დაბნეულობას ქმნის ჩვენს იდენტურობას-თან დაკავშირებით და საზღვრებში აქცევს ჩვენს მიზანს.

წიგნში „კონკურენციის გარეშე“, ბესტსელერების ავტორი, ლიზა ბევირი, გვიზიარებს, თუ როგორ ანგრევს ღვთის სიყვარულის გამოცხადება ამ საზღვრებს. თქვენ შეიტყობთ, თუ როგორ შეწყვიტოთ სხვების მეტოქეებად აღქმა და დაამყაროთ ის მჭიდრო კავშირი თქვენს შემოქმედთან, რომელიც მთელი გულით გსურთ – კავშირი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ჭეშმარიტი იდენტურობისა და სიახლოვის მიღწევა. ბიბლიური საღი სწავლებით, ჩვენი დროის წინასწარმეტყველური გაგებით აღვსილი, ლიზა იუ-მორსა და ვნება იყენებს, რათა წაგახალისოთ

- მსუბუქი მეტოქეობისაკენ, რათა მან საუკეთესო გამოავლინოს თქვენში;
- შეწყვიტოთ იმ საუბრებისგან გაქცევა, რომლებიც გჭირდებათ იმისთვის, რომ რაღაცის ნაწილი გახდეთ;
- პასუხი გასცეთ არგუმენტს, რომ ქალები არიან შეუფერებლები, ადგილად ტყუვდებიან და მიამიტები არიან;
- გამოაშვარავოთ გენდერული მეტოქეობა და კაცების გვერდით იშრომოთ ცხოვრებაში.

დროა, რომ ნაბიჯი გადავდგათ წინ და შეუდარებელი ცხოვრებით ვიცხოვოთ!

ლიზა ბევირის ავთენტური, ვწებით აღსავს და იუმორის-ტული მიდგომა, ერთმანეთში აზავებს ბიბლიის ღრმა ჭეშმარიტებებსა და პრაქტიკულ გამიყენებას. მისი წიგნები, როგორებიცაა, „იბრძოლე, როგორც ქალმა“, „ძუ ლომის გამოლვიძება“ და „გოგონები ხმლებით“ – მილიონობით ადამიანის ხელშია მთელი მსოფლიოს მასტებით. ლიზა და მისი მეუღლე, ჯონი, ბესტსელერების ავტორები და Messenger International-ის დამფუძნებლები არიან.



მეტი იმფორმაციისათვის: [CloudLibrary.org](http://CloudLibrary.org)

